

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

КОМИССИЯ ПО ПУБЛИКАЦИИ ИНОСТРАННЫХ  
ИСТОЧНИКОВ О ГРУЗИИ

FONTES PEREGRINI AD GEORGIAM PERTINENTES

СВЕДЕНИЯ ИСКАНДЕРА МУНШИ  
О ГРУЗИИ

Персидский текст с грузинском переводом и предисловием издал

*В. С. ПУТУРИДЗЕ*

EXCERPTA HISTORIAE ISKANDER MUNŠI AD  
GEORGIAM PERTINENTIA

Textum persicum cum versione georgica et introductione edidit

*V. PUTURIDZE*

Издательство „Мецниереба“  
Sumptibus Academiae Scientarum Georgiae  
ТБИЛИСИ—1969—TBILISIIS

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისია

# ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ

სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა  
*ვლადიმერ ფუთურიძემ*

9(c41)  
9(ი17.922)(001)+90(55)  
ო 902

ისქანდერ მუნშის ეს ნაწარმოები სპეციალისტებმა სა-  
ყოველთაოდ აღიარეს საუკეთესო ღირსების პირველწყა-  
როდ როგორც საკუთრივ ირანის, ისე მიმდგომი ქვეყ-  
ნების (განსაკუთრებით ამიერკავკასიის) პოლიტიკური და  
სოციალურ-ეკონომიური ისტორიის შესასწავლად. ამ  
წიგნის გამოცემა დიდად შეუწყობს ხელს XVI–XVII  
საუკუნეთა ირან-საქართველოს ურთიერთობის უფრო  
ღრმად შესწავლას.

მთავარი რედაქცია: **ი. აბულაძე, ვლ. ფუთურიძე, ს. ყაუხჩიშვილი,**  
**გ. წერეთელი** (მთ. რედაქტორი), **ს. ჯიქია**

სპარსული წყაროების სერიის რედაქტორი რ ე ვ ა ზ კ ი კ ნ ა ძ ე

## სარჩევი

რედაქციისაგან . . . . .	6
შესავალი . . . . .	7
ქვეყნის დამამშვენებელი ისტორია აბასისა (ქართული თარგმანი) 11 .	11
შენიშვნები . . . . .	148
საძიებელი . . . . .	163
სპარსული ტექსტი . . . . .	

## რედაქციისაგან

საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისია წინამდებარე წიგნის სახით უკვე მეორე ნაშრომს აქვეყნებს გამოჩენილი ქართველი ირანისტის ვლადიმერ ფუთურიძის სამეცნიერო მემკვიდრეობიდან (პირველ – „ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ“ – 1966 წელს გამოიცა).

ხელნაწერის სასტამბოდ გამზადებისა და გამოცემის შრომა რედაქტორთან ერთად გაიზიარეს განსვენებული მეცნიერის მოწაფეებმა ჯემშიდ გიუნაშვილმა და ანდუყაფარ ჭეიშვილმა.

ისქანდერ მუნშის ცნობათა ქართული თარგმანის ზოგიერთი ნაკლები ადგილი კომისიის დავალებით შეავსო კარლო ტაბატაძემ (გვ. 28<sup>3</sup>–38<sup>15</sup>, 66<sup>19</sup>–68<sup>14</sup> 142–149). ქართული ტექსტის სქოლიოებში მოთავსებული შენიშვნები ვლადიმერ ფუთურიძეს ეკუთვნის, ხოლო ბოლოში დართული შენიშვნები (გვ. 148–162) დავით კაციტაძის შედგენილია. სპარსული ტექსტის კორექტურა წაიკითხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტმა მაია ფუთურიძემ.

„შენიშვნებში“ ამჯერად მხოლოდ ზოგიერთი აუცილებელი ცნობა თუ განმარტებაა მოცემული. ისქანდერ მუნშის ცნობათა გამოწვლილვით შესწავლა მომავლის საქმეა, ასეთი სამუშაოს ჩატარება უთუოდ ბევრს ახალს შესძენს ქართულ ისტორიოგრაფიასა და წყაროთმცოდნეობას.

## შესავალი

ისქანდერ მუნში (ისქანდერ-ბეგ თორქევეანი) უდიდესი წარმომადგენელია სეფიანთა ხანის მდიდარი ისტორიოგრაფიისა.

ცნობები ისქანდერ მუნშის ბიოგრაფიისათვის ნაკლებად არის შემონახული წყაროებში.<sup>1</sup> როგორც მისი სახელიდანაც ჩანს, ისქანდერი ეკუთვნოდა ყიზილბაშურ თორქემანის ტომს. იგი დაბადებულა 968 (1560/1) წელს. მისი სოციალური წარმოშობის შესახებ არაფერია ცნობილი, მაგრამ, როგორც ჩანს, შეძლებული ოჯახის შვილი უნდა ყოფილიყო. ისქანდერს თავისი დროისათვის კარგი განათლება უნდა მიეღო ახალგაზრდობაში. მას სრულყოფილად შეუსწავლია სიაცის წესით ანგარიშწარმოება და ერთ ხანს მოანგარიშედაც იმსახურა სხვადასხვა პირებთან. შაჰ-მოჰამედ-ხოდაბენდეს დროიდან (1578–1587) ისქანდერი დაკავშირებული იყო სეფიანთა სამეფო კართან და, შესაძლებელია, საფინანსო უწყებაშიც მსახურობდა. 1001 (1592/3) წელს იგი დაინიშნა სახელმწიფო დივანის მუნშის (მდივნის) თანამდებობაზე, შემდეგ იგი მუშაობდა დიდი ვეზირის (ეთემად ად-დოვლეს) ჰათემ-ბეგის, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ (1019=1610/11 წ.) მისი ვაჟისა და შემცვლელის აბუ თალიბ-ბეგის ხელქვეით. ამ სამსახურის დროს ისქანდერს შესაძლებლობა ჰქონდა გაცნობოდა სახელმწიფო არქივებს, სხვადასხვა ისტორიულ საბუთებს, შეხვედროდა მაღალი თანამდებობის პირებს, რომელნიც უშუალო მონაწილეობას იღებდნენ პოლიტიკურ ამბებში. ამას გარდა, ისქანდერი თვითონაც უშუალო მონაწილე და თვითმხილველი იყო შაჰ-მოჰამედ-ხოდაბენდესა და შაჰ-აბას I-ის ზეობის წლებში მომხდარი მრავალი მოვლენისა.

შეგროვილი მასალების საფუძველზე ისქანდერ მუნშიმ 1629 წ. დაამთავრა ვრცელი საისტორიო თხზულება – „თარიხ-ე ალამ-არა-აბასი“ („ქვეყნის დამამშვენებელი აბასის ისტორია“). ეს ნაშრომი შედგება წიანსიტყვაობის, შესავლისა და ორი ტომისგან.

---

<sup>1</sup> ისქანდერ მუნშის ბიოგრაფიისათვის იხ. И. П. Петрушенский, Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI–начале XIX вв., Л., 1949; А. А. Рахмфани, „Тарих-и алам арай-н Аббаси как источник по истории Азербайджана, Баку, 1960.

თხზულების შესავალი კომპილაციას წარმოადგენს. აქ XVI ს-ის წყაროების (ძირითადად ჰასან რუმლუს „აჰსან ათ-თავარის“-ის) საფუძველზე მოთხრობილია პირველი სეფიანი შაჰინშაჰების ისმაილ I-ის, თაჰმასპ I-ის, ისმაილ II-ისა და მოჰამედ-ხოდაბენდეს მეფობის წლების ისტორია.

„თარიხ-ე ალამ-არას“ პირველ ტომში შაჰ-აბასის მეფობის პირველი პერიოდის (1587–1617) ისტორიაა გადმოცემული, მეორე ტომი კი მისივე ხელმწიფობის ბოლო წლების ისტორიას ეძღვნება.

როგორც აღნიშნული გვექონდა, ისქანდერს ეს უზარმაზარი ნაშრომი დაუმთავრებია 1629 წელს, შაჰ-აბას I-ის გარდაცვალების შემდეგ. ამის შემდეგ, მეგობრების თხოვნით, რომლებსაც ძალიან მოსწონებიათ „თარიხ-ე ალამ-არა“, ისქანდერს ისევ აუღია ხელში კალამი და შაჰ-აბას I-ის მემკვიდრის შაჰ-სეფი I-ის ისტორიის წერა დაუ-

წყია. ამ ნაწარმოებში, რომელიც „თარიხ-ე ალამ-არას“ გაგრძელების სახელით არის ცნობილი, თხრობა 1633/4 წლამდეა მოყვანილი. მეტის დაწერა ისქანდერ მუნშიმ ველარ მოასწრო. იგი 1634 წელს გარდაიცვალა.

შაჰ-აბასის წინაპრების ისტორიას ისქანდერ მუნშიმ სხვადასხვა პირველწყაროების მიხედვით წერდა. შაჰ-აბასის ისტორიისათვის კი მისი „თარიხ-ე ალამ-არა“ თვითონ წარმოადგენს პირველწყაროს, რომელსაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ამ პერიოდის ირანის ისტორიისათვის, არამედ ირანთან პოლიტიკური ურთიერთობით დაკავშირებული სხვა ქვეყნების, კერძოდ, ამიერკავკასიის ქვეყნების, მათ შორის საქართველოს ისტორიისათვის.

ისქანდერ მუნშიმ სეფიანთა კარის ისტორიკოსია, შიიტი მუსლიმანი, სეფიანთა პოლიტიკის მომხრე და თავგამოდებული დამცველი, ისევე როგორც იმ პერიოდის სხვა ისტორიკოსებიც. მაგრამ ამავე დროს ისქანდერ მუნშიმ როგორც ისტორიკოსს გააჩნია ისეთი რიგი თვისებები, რომლებიც სეფიანთა ხანის სხვა მემატიანეებზე გაცილებით მაღლა აყენებენ მას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ისქანდერ მუნშიმ არ კმაყოფილდება საგარეო პოლიტიკური მოვლენების აღწერით, ომების, გამარჯვებებისა და დამარცხებების დასურათებით. ამავე დროს იგი დიდ ყურადღებას აქცევს სოციალურ-ეკონომიური ისტორიის საკითხებსაც. მის ნაშრომში მრავალი საყურადღებო და საინტერესო ცნობა მოიპოვება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა მიწათმფლობელობა, საგადასახადო პოლიტიკა, სოციალური მოძრაობანი და სხვ.

„თარიხ-ე ალამ-არას“ დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის გარემოება, რომ ისქანდერ-მუნშიმ სათანადო ყურადღებას აქცევს და

## 8

შესაფერის ადგილს უთმობს ცალკე მხარეებისა და ქვეყნების ადგილობრივ ისტორიასაც. თამამად შეიძლება ითქვას, რომ XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის ცნობების სიუხვითა და სიზუსტით ისქანდერ მუნშიმ ნაწარმოებს ვერც ერთი სხვა სპარსული წყარო ვერ შეედრება. რასაკვირველია, ეს ერთი მხრით აიხსნება იმ დიდი მნიშვნელობითაც, რაც საქართველოს ენიჭებოდა: XVI–XVII საუკუნეთა ირანის ისტორიაში, განსაკუთრებით, შაჰ-აბას I-ის პოლიტიკაში.

მიუხედავად იმისა, რომ ისქანდერ მუნშიმ საისტორიო ნაშრომს. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ირანისა და მიმდგომი ქვეყნების ისტორიისათვის, იგი აქამდე არ არის სათანადოდ შესწავლილი და გამოყენებული. დღემდე არ არსებობს ამ თხზულების კრიტიკული გამოცემაც. ისქანდერ მუნშიმ „თარიხ-ე ალამ-არამ“ იმთავითვე დიდი პოპულარობა, მოიპოვა როგორც ირანში, ისე მეზობელ ქვეყნებშიც. ამით აიხსნება, რომ მისი ხელნაწერები მრავლად არის შემონახული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სიძველეთსაცავებში. კარგი ხელნაწერი აქვს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტსაც. „თარიხ-ე ალამ-არა“ ორჯერ არის გამოცემული. 1896/7 წელს ლითონგრაფიულად გამოიცა თეირანში, ხოლო 1956 წელს სტამბურად დაიბეჭდა იქვე (ეს უკანასკნელი ძირითადად ლითონგრაფიული გამოცემის ტექსტს იმეორებს).

წინამდებარე გამოცემისათვის სპარსული ტექსტი გადმოვწერეთ თეირანის ლითოგრაფიული გამოცემიდან. გადმოწერილი ტექსტი შევუდარეთ აგრეთვე ისქანდერის თხზულების თბილისურ ნუსხას და, სადაც აუცილებლად ვსცანით, კითხვასხვაობებიც ვუჩვენეთ.

როგორც აღნიშნული გვქონდა, ისქანდერ მუნშის ვრცელი და საყურადღებო ცნობები მოეპოვება XVI–XVII საუკუნეთა საქართველოს ისტორიისათვის, რომლებიც უმთავრესად ირან-საქართველოს ურთიერთობასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება: შაჰ-თაჰმასპ I-ის შემოსევები საქართველოში; ჩვენი ქვეყნის ბრძოლა ყიზილბაშთა წინააღმდეგ სიმონ I-ის დროს: სიმონის ბრძოლა თურქების წინააღმდეგ, ერევნის ციხის აღება შაჰ-აბასის მიერ; ერევნის ლაშქრობაში ქართველი მეფეების გიორგისა და ალექსანდრეს მონაწილეობა; შაჰ-აბასის შემოსევები საქართველოში; კახელების აჯანყება, გიორგი სააკაძის ეპოპეა, მარაბდისა და ბაზალეთის ბრძოლები და სხვ.

ჩატარებული მუშაობის შესახებ შემდეგი უნდა შევნიშნოთ:

ისქანდერის თხზულებიდან ამოვკრიბეთ არა მარტო ისეთი ცნობები, რომლებიც დიდ პოლიტიკურ მოვლენებს შეეხება, არამედ შედარებით უფრო მცირე მნიშვნელობისაც, რაც კი შეიძლება გამოყენებულ იქნას საქართველოს ისტორიის სპეციალისტის მიერ ჩვენი ქვეყ-

9

ნის პოლიტიკური თუ კულტურულ-ეკონომიური სურათის აღსადგენად ხსენებულ პერიოდში.

„თარიხ-ე ალამ-არა“-დან ამოვწერეთ და ვთარგმნეთ არა მარტო ორიგინალური ცნობები, არამედ ისეთებიც, რომლებიც ისქანდერს სხვა ისტორიკოსთა თხზულებებიდან აქვს გადმოღებული (ასეთია, მაგალითად, ცნობები შაჰ-თაჰმასპის შემოსევების შესახებ).

თარგმნის დროს არ ვიცავთ იმ მაღალფარდოვან სტილს, რომელიც საერთოდ დამკვიდრებული იყო კარის ისტორიკოსთა შორის. მაგრამ იმისათვის, რომ მკითხველს წარმოდგენა შეექმნეს ისქანდერ მუნშის წერის მანერისა და სტილის შესახებ, რიგ შემთხვევებში ზოგიერთი დამახასიათებელი გამოთქმა სიტყვასიტყვით გვაქვს თარგმნილი.

ისქანდერ მუნშის ნაშრომი გამოყენებული აქვთ ჩვენს ისტორიკოსებს, ძველებსაც და ახლებსაც. XVII საუკუნის ქართველ ავტორს ფარსადან გორგიჯანიძეს მთელი თავები გადმოუღია „თარიხ-ე ალამ-არა“-დან. ისქანდერის თხზულებით სარგებლობდა XVI–XVII სს საქართველოს ისტორიის კვლევის დროს აკად. ივ. ჯავახიშვილი.

ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ ჯერ კიდევ გასული საუკუნის პირველ ნახევარში თარგმნა გერმანულად აკადემიკოსმა ბ. დორნმა<sup>2</sup>, ხოლო გერმანულიდან ფრანგულად თარგმნა აკად. მ. ბროსემ<sup>3</sup>. ბ. დორნს საკმაოდ დაწვრილებით აქვს მოცემული ცნობები ისქანდერის თხზულებიდან საქართველოს შესახებ, მაგრამ მაინც არა სრულად. ამდენად, ვფიქრობთ, წინამდებარე ნაშრომში მოტანილი ნაწყვეტები გარკვეულ დახმარებას გაუწევს საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ პირებს.



---

<sup>2</sup> B. D o r n , Beiträge zur Geschichte der kaukasischen Länder und Völker aus morgenländischen Quellen, III. Ersler Beitrag zur Geschichte der Georgier. Memoires de l'Académie imperiale des sciences. VI serie, t. sixième, SPb., 1845, 83. 1–93.

<sup>3</sup> M. B r o s s e t , Histoire de la, Géorgie, II Partie, SPb., 1856, 83. 445–497.

# ქვეყნის დამამშვენებელი ისტორია აბასისა (ქართული თარგმანი)

## ამირ ყოთბ ედ-დინი

იმ ქებული ამირის სიცოცხლის დროს ერთ-ერთი ქართველი მმართველი ურწმუნო ქართველთა ლაშქრის ერთი რაზმით მოულოდნელად თავს დაესხა არდებილის ველაიეთს. ისლამის ხალხს მრავალი უბედურება დაატყდა თავს ჭემმარიტების გზას აცდენილი იმ ჯგუფისაგან. ამ უბედურების შიშის გამო ამირ ყოთბ ედ-დინმა [თავისი] პატიოსანი მანდილოსნები დარ ალ-არშადში\* გადაიყვანა და ერთს გამაგრებულ ადგილას დამალა. დღის ბოლოს, იმის გამოსარკვევად, თუ რას აკეთებდა ის დაკარგული ხალხი (ე. ი. ქართველები), სამალავიდან გამოვიდა. ერთი ურწმუნო შემოვიდა და იმ ბელადს [ხმალი] დაჰკრა. ის დაჭრილი და მკვნესარი მოკლულებში ჩავარდა და, როცა იმ საშინელმა ამბებმა ჩაიარა, ექიმებმა დაუწყეს მკურნალობა\*\*.

926 (1520) წელს სულთან სელიმი<sup>1</sup> გარდაიცვალა და მისმა შვილმა სულთან სოლეიმანმა<sup>2</sup> დაიკავა მისი ადგილი. რადგანაც ის არ იჩენდა მტრულ განწყობილებას, ულემებმა<sup>3</sup> ნება არ დართეს [შაჰს] ლაშქრის დამახებისა, თუ მტერი არ დაიდრებოდა [ირანისაკენ]. რადგანაც სულთან სოლეიმანმა გამეფების პირველ ხანებში რუსისა და ფრანგის\*\*\* ქვეყნებისაკენ გაილაშქრა და ამ [ომით] იყო დაკავებული. მის უდიდებულესობასაც (ირანის შაჰს) ურწმუნოთა წინააღმდეგ საღვთო ომში მონაწილეობისაკენ მოუწოდებენ. ამიტომ იმ სოლომონის სადარმა ხაყანმა\*\*\*\* ძლევამოსილი მეომრები საქართველოზე საღვთო ლაშქრობისათვის დანიშნა და თვითონ ლხინში, მხიარულებასა და განცხრომაში იყო.

\* დარ ალ-არშად ქალაქ არდებილის ეპითეტია.

\*\* ისქნდერ მუნში აღნიშნავს, რომ თხრობა ამ ამბების შესახებ მას ამოდებული აქვს შეიხ სეფი ედ-დინის ცხოვრების აღწერილობიდან, რომელიც XIV საუკუნეშია შედგენილი დერვიშ თავაქოლის მიერ (შდრ. *الصفحة* 5 3452 – ლენინგრადეს საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერი, დორნის კატ. № 300, ფ. 16a–16b).

\*\*\* ფრანგის ქვეყანას აღმოსავლელი ავტორები საერთოდ ევროპას უწოდებდნენ.

\*\*\*\* სეფიანთა სახელმწიფოს დამაარსებელი შაჰ-ისმაილ I (1501–1524).

## მშაჰ-თაჰმასბი\*

დივ-სულთანი, ყარინჩე-სულთანი და [სხვა] რამდენიმე კაცი, რომლებიც არეულობის მიზეზად და შფოთის ამტყუებლად მიაჩნდა, [შაჰ-თაჰმასბმა] მოაკვლევინა, ხოლო ქეფექ-სულთანი უსთაჯლუს [ტომის] მთელი ელითა და ოდიხით საქართველოზე სალაშქროდ გაგზავნა და [თავისი] სახლიდან შორს გადააგდო. ამით არ დაკმაყოფილდა და მათი [ირანში] არყოფნის დროს თაქალუს [ტომი] ამირთა დასაკმაყოფილებლად თიულეები ჩამოაჭრა და დაასუსტა ისინი.

### რუმის ხონთქრის სულთან სოლეიმანის მესამედ მოსვლა ამ ქვეყანაში (ირანში) ალყას-მირზასს წაქეზებით

ხონთქარმა როსთემ ფაშა ვანის ციხეში დასტოვა და, რადგანაც ყარსის ციხე (რომელიც ჩოხურ-საადსა\*\* და არზრუმს შორის მდებარეობს, ხოლო მისი ერთი მხარე მესხეთს\*\* ეკვრის) ორივე მხარის\*\*\*\* ჯარების მისვლა-მოსვლისაგან დანგრეულიყო, ურუმებს ის გაუშენებიათ და ოთხი-ხუთი ათასი კაცი უბრალო ხალხიდან და შესაფერისი პირებიდან ამასიდან, არზრუმიდან, თუყათიფან, სივასიდან აყ-შაჰრიდან \*\*\*\*\* და სხვა ქალაქებიდან იქ გაუგზავნიათ.

### სულთან სოლეიმანის მეოთხედ მოსვლა აზერბაიჯანში მოთხოვნა მომხდარი ამბებისა და იმ ორი მაღალი ხელმწიფის დაზავების შესახებ

ცხრაას სამოცდაპირველი (1553/4) წლის თვეებში, როცა ხუთი წელი იყო იყო გასული ალყას-მირზას მიერ ატეხილი შფოთის დაწყებიდან, ბოლოს და ბოლოს არეულობა და მღელვარება დაწყნარდა... სულთან სოლეიმანი... ფრანგთა (ევროპელების) წინააღმდეგ საომრად წავიდა. სამოთხეში განსვენებულმა შაჰმა<sup>9</sup>) აგრეთვე თავი შეიკავა ისლამის ქვეყანაზე გალაშქრებისაგან და საქართველოს დასარბევად გამართა.

ისქანდერ ფაშა ბოროტგამზრახველი და შფოთის ამტყუებელი კაცი იყო. მაგალითად, როცა მისმა უდიდებულესობამ სამოთხეში განსვენებულ-

---

\* შაჰ-თაჰმასბი – სეფაანთა სახელმწიფოს მბრძანებელი, შაჰ-ისმაილ I-ის ძე. შაჰად იყო 1524–1576 წლებში.

\*\* ჩოხურ-საადი – ერევნის ოლქი.

\*\*\* სპარსულ ტექსტშია „გორჯესთან-ე მესყ“ – მესხეთის საქართველო.

\*\*\*\* ე. ი. ირანისა და ოსმალეთის.

\*\*\*\*\* სამოთხეში განსვენებულ შაჰს ისქანდერ მუნში შაჰ-თაჰმასბ I-ს უწოდებს

მა შაჰმა ყაჯართა ზოგიერთი ამირი საქართველოზე საღვთო ომით ლაშქრობის დროს დადიანის მხარეს\* გაგზავნა, [ისქანდერ ფაშამ] დიდი ჯარით ილდარი ქნა და იმ დროს, როცა ამირები სათარეშოდ იყვნენ წასული, ამირთა ბანაკს თავს დაესხა, ბევრი ყაჯარი ღაზი\*\* მოკლა და უამრავი უმსგავსობა ჩაიდინა...

ისქანდერ ფაშამ რომ ყიზილბაშთა ლაშქრის მოსვლა გაიგო, რუმის ამირებთან და სანჯაყის ბეგებთან, რომელნიც ერზინჯანიდან, ბაიბურთიდან, ქახიდან, მარაშიდან, ტრაპეზუნდიდან და დადიანისა და გურიელის საქართველოდან\*\*\* მოსულნი, მასთან შეგროვილიყვნენ, ბჭობა გამართა იმის შესახებ, რომ გამოსულიყვნენ ციხიდან და ომი ექნათ, თუ ციხეში გამაგრებულიყვნენ.

## თხრობა შაქის ველაიეთის დაპყრობის შესახებ 958 (1551) წლის თვეებში

სამოთხეში დამკვიდრებული შაჰის მიერ დაპყრობილი სხვა ქვეყანა არის შაქის ველაიეთი, რომელიც ორი მხრით შირვანს ეკვრის, ერთი მხრით — საქართველოს და მეორე მხრით — დაღესტანსა და ელბორზის მთას. ჰასან-გეგი<sup>9</sup>, რომელიც იქაური მემკვიდრეობითი მმართველი იყო, შირვანშაჰებს ენათესავებოდა.

სოლომონის სადარი ხაყანის დროს, იმავე წელს, კახეთის მეფემ ლევან-ხან ქართველმა<sup>10</sup> გაილაშქრა შაქზე და მასსა და შაქის ვალის შორის ომი მოხდა. ჰასან-ბეგი მოკლულ იქნა ქართველებთან ომში. შაქის დიდებულებმა თავის ჰაქიმად დასვეს მისი ვაჟი დერვიშ-მოჰამედი<sup>11</sup>. მან, თავის მამის საწინააღმდეგოდ, შაჰთან მტრობა დაიწყო და არაერთხელ გამოიჩინა ურჩობა. როცა სამოთხეში დამკვიდრებულმა შაჰმა შირვანის დასაპყრობად ჯარი გაგზავნა, დერვიშ-მოჰამედ-ხანი, როგორც წინა ამბებში იყო მოხსენიებული, ღამით თავს დაესხა ყიზილბაშების ბანაკს. ამიტომ ცხრაას ორმოცდათვრამეტ (1551) წელს ძღვევამოსილი დროშები\*\*\* ძლევითა და დიდებით ხსენებული ველაიეთის დასაპყრობად იმ მხარეს გაემართნენ. უავგუსტოესი შაჰის წამოსვლის ამბავმა ძრწოლასა და შეშფოთებაში ჩააგდო იმ საზღვრების მმართველები. ლევან-ხან ქართველმა იმ უდიდებულესობის სამსახურის ქამარი წელზე შემოირტყა და იმედის სახე ქვეყნის საფარველ სა-

\* ე. ი. სამეგრელოში.

\*\* მუსლიმანური სარწმუნოებისათვის მებრძოლი, „საღვთო ომის“ მონაწილე.

\*\*\* ტექსტშია „გორჯესთან-ე დადიან ო გურიალ“, ე. ი. სამეგრელო და გურია.

\*\*\*\* ე. ი. შაჰის ამაღლა.

სახლებში მიიტანა“\*, ქალაქ არეშში<sup>12</sup> მეფობის ტახტის საფეხურს თავყვანი სცა და ხელმწიფური ალერსით განდიდებული შეიქნა.

....აბდულა-ხან უსთაჯლუ და ლევან-ხან ქართველი გელესან-გურესანის ცხეში<sup>13</sup> გაგზავნეს. შაჰ-ყული ხალიფა მოჰრდარი<sup>14</sup> ძღვევამოსილი ჯარის ერთი რაზმით სიღნაყზე დანიშნეს და სახელოვანი ამირები და ძღვევამოსილი ჯარი ციხის გარემოცვასა და აღებას შეუდგნენ. ქვემეხების, ზარბაზნებისა და ბადლიჯების\*\* ცემით ზღუდეები შეარღვიეს, რის გამოც კოშკებმა და გალავანმა ზიანი განიცადეს. ციხეებში მყოფმა ხალხმა\*\*\* დაინახა, რომ მათი საქმე ცუდად იყო, გიშის ციხის<sup>15</sup> ქუთვალი\*\*\*\* [კისერზე] სუდარა და ხმალ-ჩამოკიდებული დროის ხელმწიფესთან\*\*\*\*\* გამოეშურა, ციხის კარების კარების კლიტეებიც გადასცა და თვითონ დაჯილდოების და დასაჩუქრების საგანი გახდა.

**თხრობა სამოთხეში დამკვიდრებული შაჰის მიერ მოწყობილ საღვთო  
ომზე, ურწმუნო და ურჯულო ქართველების მოსპობა და  
დამორჩილება და საქართველოს დაპყრობა**

თუმცა მერჯულე და შარიათის მფარველ ფადიშაჰს მუდამ უნდოდა მომზადებულიყო საღვთო ომისათვის, მაგრამ სხვა დიდი საქმეები ჰქონდა მოსაგვარებელი და ამიტომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის მტრული სახელმწიფოებისათვის ველარ იცლიდა, მიუხედავად ამისა, როგორც კი დროს იხელთებდა, ქრისტიან ქართველებთან საომრად მიდიოდა და იმათ ციხეებსა და ადგილებს იპყრობდა. მბრძანებლობის დასაწყისში და შემდეგ, თავისი ბედნიერი ხელმწიფობის დღეებშიც, ქვეყნის დამამშვენებელმა [შაჰმა] ოთხჯერ [პირადად] დასძრა ლაშქარი იმ ქვეყნისკენ და კიდევ რამდენიმეჯერ გაგზავნა იქით ჯარი. შვიდი საქართველოდან კახეთმა, ქართლმა, მესხეთმა, რომელთა ურწმუნო ქართველები რჯულის მასახელებელთა (ე. ი. ყიზილბაშების) ისრებით დაიხოცნენ, ქედზე მორჩილების უღელი დაიდგეს. იმათმა მმართველებმა ქვეშევრდომობა იკისრეს, იმ დიდებული ბატონის ხელიდან მიიღეს ძალაუფლება, ხარაჯისა და ჯიზიას გადახდა დაივალეს, ხუტბა იმ სახელოვანი და მაღალადგილოვანი ბატონის სახელზე აღავლინეს და ფულიც იმის სახელით დაამშვენეს.

\* ე. ი. შაჰს დამორჩილდა და ეახლა.

\*\* „ბადლიჯ“ ზარბაზნის ერთ-ერთი სახეა.

\*\*\* ე. ი. ციხის მცველებმა.

\*\*\*\* ქუთვალი – ციხისთავი.

\*\*\*\*\* იგულისხმება შაჰ-თაჰმასბ I.

14

ეს ამბავი მოკლედ ასე ითქმის:

რადგან შირვანისა და შაქის ველაიეთები საქართველოსთან ახლოს მდებარეობს, ზოგჯერ როცა მათი ვალიები დასუსტებული და დამოუკიდებლობა დაკარგულები იყვნენ, ურწმუნო ქართველები მათ განაპირა რაიონებს შეესეოდნენ ხოლმე ლაშქრით და მუსლიმანებს აწუხებდნენ. იქაური მმართველები შეძლებისდაგვარად უწევდნენ წინააღმდეგობას და ორივე მხარეს შორის მტრობა და უთანხმოება ჩამოვარდებოდა ხოლმე. იმ დროს, როდესაც შაჰის მარადიული ბედის საზეიმო მუსიკის ხმები ხმამაღლა გაისმა იმ ველაიეთში, ლევან-ხან ქართველმა, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, შაჰის მოწყალე ჩრდილს სთხოვა შემწეობა, სათანადო ერთგულება და მორჩილება გამოიჩინა და ხარაჯის გადახდა იკისრა საქართველოს მმართველების რიგებიდან ყვარყვარეს შვილმა ქაიხოსრომაც\* თავისი თავი მორჩილად ჩასთვალა შაჰის მაღალი ზღურბლის მოლაზემთა რიცხვში. ყოველთვის მბრძანებლის კარის მსახურებას ეწეოდა და იმ დიადი ბატონის შემწეობის მთხოვნელი იყო. მაგრამ ქართლის მეფემ ლუარსაბმა, ბაში-აჩუკის\*\* მეფემ ბაგრატმა და დადიანის [ქვეყნის]\*\* მმართველმა მტრობა დაიწყეს, სათანადო მორჩილება არ გამოიჩინეს და წმინდა შაჰის ერთგული და მორჩილი ზემოხსენებული ქაიხოსროს ოლქის რბევა დაიწყეს. მათ წინააღმდეგ რამდენიმეჯერ გაიგზავნა ძლევამოსილი ლაშქარი. ბაში-აჩუკის] და დადილის გამგებლები\*\*\*\* დაისაჯნენ და ამის შემდეგ

წესიერად იქცეოდნენ, ლუარსაბი კი ხანდახან წრეს გადადიოდა და ისლამის ქვეყნის საზღვრებს ესხმოდა თავს. ამიტომ მბრძანებლის მაღალმა გონებამ საჭიროდ მიიჩნია ქართველ მეამბოხეთა დასჯა. საღვთო ომისათვის განკუთვნილი საზღაურის მიღების იმედმა კიდევ უფრო მეტად წააქეზა ამ განზრახვის შესასრულებლად.

### უავგუსტოესი ამაღლის პირველად გალაშქრება საქართველოზე, ღვთის შეწევნით<sup>16</sup>

ცხრაას ორმოცდაშვიდი (1540/1) წლის თვეებში [შაჰის] მაღალაზრს დაებადა სურვილი და გადაწყვეტილება საღვთო ომის დაწყებისა. [ციხილბაშები] გარეგნულად ვითომ გასასეირნებლად და სანადი-

\* სამცხის ათაბაგი ქაიხოსრო II (1545–1573), ყვარყვარე III-ის ძე.

\*\* ბაში-აჩუკი სპარსულ და თურქულ წყაროებში იმერეთს ეწოდება. ბაგრატის 1510–1565 წწ. მეფობდა იმერეთში.

\*\*\* იგულისხმება სამეგრელო.

\*\*\*\* ტიგორც ჩანს, „დადელში“ აქ სამეგრელო უნდა ვიგულისხმოთ, რადგან ისქანდერ მუნშეის ცნობით, ქაიხოსროს სამფლობელოს იმერეთის მეფე და სამეგრელოს გამგებელი არბევდნენ.

15

როდ ყარაბაღისაკენ დაიძრნენ და იქიდან მხნე და გამოცდილი გულადების ერთი რაზმით საქართველოს შეესივნენ. ერთ ღამეს, რომელიც უფრო ბნელი იყო, ვიდრე ბნელი გულები „უვიცობის დროის“ (ხალხისა), ქალაქ თბილისს თავს დაესხნენ და ურწმუნოთა იმ ბნელეთის სამყაროში რბევის, ხოცვისა და მარცვის ცეცხლი დაანთეს. მათი მამაკაცები ელვარე ხმლის ლუკმა გახდნენ და ქალები და ბავშვები ძღვევისნიშნაინმა ღაზიებმა ტყვედ წამოიყვანეს. გულბად ქართველი<sup>17</sup> რომელიც ლუარსაბისაგან<sup>18</sup> თბილისის მმართველად იყო დანიშნული, ქართველების ერთი ჯგუფით ციხეში გაიქცა მას დასძლია ისლამის მიღების სურვილმა, ციხიდან უვნებლობით გამოვიდა და ისლამის მიღების ბედნიერება მოიპოვა. ქართველების ზოგმა ამირმა ძღვევამოსილი მეომრების (ციხილბაშების) შიშით თავი შეაფარა ბირთვისის ციხეს, რომელიც მეტად მაღალი და მაგარია. ისლამის ჯარის მეზრძოლებმა, ცის სფეროსავით მაღალი ხელმწიფის ბრძანების თანახმად იმ ციხეს ალყა შემოარტყეს. უსაზღვრო შიშმა შეიპყრო ის ხალხი. ციხის ჩაბარების გარდა სხვა გზა ვერ გამოსძებნეს. ძღვევამოსილმა ღაზიებმა დაიპყრეს იმ ადგილას მყოფი ურწმუნოები, და ვინც ისლამს ეზიარა და აღსარება თქვა, თავისუფლება მოიპოვა, დანარჩენმა ურწმუნოებმა „ბარგი ჯოჯოხეთში გადაზიდეს“. ლუარსაბმა სხვა ჯგუფთან ერთად თავი შეაფარა მთას, რომელსაც დიდგორი ეწოდება და რომელიც თავისი სიმაღლით ელბურზის მთას ეჯობრება.

[ციხილბაშებმა მოიცვეს იქაურობა და მარცვა და რბევა გამართეს]. ბევრი ურწმუნო მოკლულ იქნა იმ მთებში. ვინც მახვილს გადაურჩა, უბედურების ქვეყანაში მოხეტიალედ გადაიქცა. ლუარსაბი იქიდან გაიქცა და მაგარ მთებსა და უღრან ტყეებში გადავარდა, [რითაც] გადაურჩა ტევრის ლომთა ბრჭყალებს. როცა ის ბოლოს დასჯილ იქნა, ძღვევამოსილი უავგუსტოესი ალმები თბილისისაკენ დაიძრნენ, იმ

საზღვრების ფართობი უწმინდურ ურწმუნოთაგან გაწმინდეს და „გამარჯვებული სადავეები დაბრუნებისაკენ მიმართეს“.

### სამოთხეში დამკვიდრებული შაჰის მეორედ გალაშქრება საქართველოზე<sup>19</sup>

ცხრაას ორმოცდა ცამეტ (1547) [წელს], როცა ალყას-მირზას ურჩობა გამომჟღავნდა, უავგუსტოესი ამალა (ე. ი. შაჰი), ხსენებულ ამბების განმავლობაში [სხვა საქმეებისაგან რომ] განთავისუფლდა. მის დასასჯელად გაემართა, მან (ალყას-მირზამ) თავისი დედა ქვეყნის საფარველ სასახლეში გაგზავნა და პატიება ითხოვა. სამოთხეში განს-

\* უნდა იგულისხმებოდეს ისლამამდელი ხანა.

16

ვენებულმა შაჰმა შირვანში ლაშქრობა მოშალა და ცამდე აზიდული ალმების ჩრდილში შეგროვილი ურიცხვი ჯარით, შუა ზამთარში, როცა მზე თხისრქის ბურჯში იყო,\* საქართველოში საომრად და ურჯულ ქართველების გასაჟლეტად გაემართა. შურაგელიდან<sup>20</sup> გამოვიდნენ. როცა ბედნიერების ამალა ბაჰრამის ძლიერების მქონე ჯარით აყშაჰრში<sup>21</sup> გაჩერდა ლევან-ხანი, კახეთის ზაგემისა და გრემის<sup>22</sup> მმართველი, და ბაში-აჩუკის მეფე ბაგრატო, რომელიც ხალხში ბაქრათის სახელით არის ცნობილი, ქვეყნის საფარველ სასახლეში მოვიდნენ, ფეშქაში, და ბაჯო ხარაჯ<sup>23</sup> მოართვეს და იმ იღბლიან ლაშქრობაში მონურად ემსახურებოდნენ ძლევაამოსილ ამალას.\*\* იმ დროს ზამთრის სიმკაცრე და სიცივის სიმძაფრე იქამდე მივიდა, რომ მტკვარი გაყინულიყო და სიმაგრით გრანიტის ქვას ჰგავდა. თოვლის სიმრავლისაგან, რომელიც დღე და ღამე მოდიოდა, მთა და ბარი საქართველოში გასწორებულიყო. ამ დროს ისლამის ჯარმა ბნელეთისა და წყვდიადის ხალხზე (ე. ი. ქართველებზე) ილღარი ჰქნა. როცა ურწმუნო ქართველების ბინასა და სადგომს მიაღწიეს, ღაზიების ხმაღმა იწყო თავების კვეთა და ის მიწა ურწმუნოთა და [მათი] ძვდლების სისხლით შეღება. იმ ცუდი რჯულის მქონეთა სახლები რისხვის ცეცხლით დასწვეს, მრავალი დავლა ხელთ ჩაუვარდა შურისმაძიებელ სპას და გამარჯვებული და ძლევაამოსილი, უამრავი ნადავლით [დატვირთული] იმ ბედნიერი ლაშქრობიდან უკან გამობრუნდნენ და ბანდიში მოვიდნენ. გზაში ბაში-აჩუკის მეფემ წასვლის ნებართვა მიიღო და დიდებული ხალათებით და ალერსით დაჯილდოებული თავის „ოლქში“ წავიდა, ხოლო ლევან-ხანი რამდენიმე დღე [კიდევ] იყო შაჰის სამსახურში, ვიდრე ქალაქ განჯაში მისი ერთგულება და მორჩილება განმეორებით ცხადი არ გახდა ხელმწიფისათვის და ის ძვირფასი ხალათებით, მრავალი ინამით, ოქროქსოვილი ტანსაცმლით, არაბული ცხენებით და მურასა იარაღით დაჯილდოებული და განდიდებული თავის ველაიეთში არ წავიდა და ღმერთმა უკეთ იცის.

### ცხრაას ორმოცდა თვრამეტი (1551) წლის თვეებში, როცა შაჰის

\* მზე თხის ქის ზოდიაქოში დეკემბერ-იანვარში იმყოფება.

\*\* ჰასან რუმლუს ცნობით, ლევანი და ბაგრატნი იმ დროს ხლებიან შაჰს, როცა მას თავისი საქმე უკვე მოთავებული ჰქონდა საქართველოში და უკან მიემართებოდა. ასე რომ, მათ მონაწილეობა არ მიუღიათ მტრის ლაშქრობაში საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ.

## 2. ვ. ფუთურიძე.

17

დიდებული ურდო ჯერ კიდევ იმ ველაიეთში იდგა, ყვარყვარეს შვილმა ქაიხოსრომ ქვეყნის საფარველ კარზეგამოგზავნა არზა რომ ლუარსაბი, ვახუშტი და შერმაზან ქართველი<sup>25</sup> მავიწროებენ, ჩემი ველაიეთის დაპყრობას ლამობენ, ზოგი ოლქიც წამართვეს, ისქანდერ ფაშაც არზრუმდანი მოვიდა ამ მხარეში და არტანუჯის ციხე დაიკავაო. რაკი ქაიხოსრო მისი უდიდებულესობის ქვეშევრდომი და მოხარკე იყო, [შაჰის ურდო] მის დასახმარებლად იმ მხარეს დაიდრა საღვთო ომისათვის. შაქიდან ილღარი ბრძანა [შაჰმა], ძნელად სავალი უსწორ-მასწორო გზებით იარეს და საქართველოს ველაიეთში შევიდნენ. ბნელეთის ურწმუნო ხალხმა მთების კალთები და ვიწრო გამოქვაბულები თავის სახიზრად გაიხადა და ყოველმა ჯგუფმა თითო მთაში შეაფარა თავი. ზოგიერთი სხვა დიდებული და აზნაური მაგარ ციხეებში გამაგრდა საღვთო ომის [მაწარმოებელი] ისლამის ჯარი იმ კერპთაყვანისმცემლების სადგომებს მამაცურად თავს დაესხა, რამდენიმე ათასი კაცი დაზიების ისრითა და ხმლით მოჰკლეს და იმ საცოდავთა სამყოფლისკენ გაეჩქარნენ. იმ ველაიეთის ციხეებიდან რამდენიმე ციხე დაიპყრეს, ბევრი ქართველი ჰურია და იოსებ [მშვენიერის] ლაწვებიანი ღოღამები ტყვედ წამოიყვანეს და მრავალი ნადავლი ხელთ ჩაიგდო გამარჯვებულმა ლაშქარმა. ქართველი დიდებულების ერთი ჯგუფი გამაგრდა ვარძიის ციხეში და იქაურ ეკლესიაში, რომლებიც ერთი მაღალი მთის კალთაზე კლდეზე მდებარეობდა და სიმაღლით ცის მწვანე გუმბათს და სიმაგრით ხეიბერის ციხეს ედარებოდა. სამოთხეში დამკვიდრებულმა ქვეყნის დიდებულებმა შაჰმა ბედირ-ხან უსთაჯლუ და შაჰვერდისულთან ზიად ოლლი ერთი ძლიერი რაზმით ხსენებულ ციხეზე გაგზავნა და ისინიც იმ ციხეს გარს შემოერტყნენ. მხნე და სახელის მაძიებელმა ბაჰადურებმა? და ბუმბერაზებმა მამაცურად მიიტანეს იერიში და ქვეყნის გამჩენი ღვთის დახმარებით ციხის თავზე ავიდნენ, ამის მნახველი ქრისტიანები დაღონებული და შემფოთებული შეიქმნენ, ნათელი სარწმუნოების სასწაულმა მათ მოძრაობის გზა შეუკრა, ვერც გაქცევის გზა იპოვეს და ვერც ძალა ბრძოლისა, მათი მამაკაცები მახვილის ლუკმა შეიქნენ, ქალები და ბავშვები ტყვედ ჩაცვივდნენ. ეკლესია, რომელიც იმ ციხეში იყო, ღვთის უცხო რამ ქმნილებათა და შორსმჭვრეტელი ჰკუაც ვერ წარმოიდგენდა, რომ ის ადამიანის მიერ იქნებოდა შექმნილი. მართლაც, ხსენებული ციხის შუაში, ერთ კლდეში, ათი გაზის<sup>27</sup> სიმაღლეზე გამოეჭრათ და მოეწყოთ ეკლესია, რომელიც ოთხი ფართო და გრძელი სადგომისაგან შედგებოდა. მის შიგნითა და გარეთა კედლებზე კერპების სახეები დაეხატათ ოქროთი და ლაჟვარდით. მეორე სადგომის შუაში დაედგათ ტახტი, რომელზეც ერთი ბრწყინვალე თვლებით შემკული წმინდა ოქროს კერპის სახე იყო გამოყვანი-



ლი. ორი ძვირფასი მოელვარე ლალი ჩაესვათ თვალების [ნაცვლად] იმ უსულო კერპისათვის, რომლებიც საქმის მცოდნე იუველიერებს ორმოცდაათ თუმნად შეუფასებიათ თითოეული. ხსენებული ეკლესიის გარეთ კლდეში გამოჭრილი იყო მეტად ვიწრო გზა, სიგრძით 150 წყრთა, რომელიც ზემოთ, ეკლესიის სადგომების მხარისაკენ მიდიოდა. ორი მიფარებული კოშკი იყო იქ აგებული შავი დღისათვის, რომ იქ შეფარებოდნენ. ეკლესიის გარეთა სადგომებს ფოლადის კარები ჰქონდა და ერთი კარიც, ოქროსი, ეკლესიის შიგნით იყო გაკეთებული. სამოთხეში დამკვიდრებული შაჰი აბრძანდა ხსენებული ეკლესიის დასათვალიერებლად. ოცი ურწმუნო მღვდელი იმ ურჯულოთა სალოცავში ცეცხლოვანი ხმლით „მოსპობის ქალაქს“ გაგზავნეს (მოკლეს). ჩამოვარდნილი ზარი ეკლესიისა, რომელიც 70 ბათმანი სპილენძისაგან იყო შვიდჯერ ჩამოსხმული, დაამტვრიეს, როგორც დაიმსხვრა ქართველების სიცოცხლის შუშა ფოლადისა და ოქროს კარები მოგლიჯეს და სხვა განძთან ერთად, რომელიც იმ შფოთისა და უწმინდურების საგანძურში დაგროვილიყო, ხელმწიფის ხაზინაში გაგზავნეს. ის ციხე დაანგრის, მისი სიმაგრენი მიწასთან გაასწორეს. ქართველი ამირები, რომლებიც ციხის ხვრელებში და სამალავებში იყვნენ შემძვრალი, როგორც, მაგალითად, ანანია-ბეგი, ლუარსაბი, შერმაზანი და სხვები, ჯერ-ჯერად მოვიდნენ და [შაჰის ფეხთან] „მიწის კოცნის ბედნიერება მოიპოვეს“. ყვარყვარეს შვილი ქაიხოსრო, რომელიც უავგუსტოესი ამალის მოსვლის ხმაზე ისქანდერ ფაშასა და რუმის ჯარის მძლავრობას გადაურჩა, ქვეყნის საფარველ კარზე მოვიდა, საკადრისი ფეშქაშები მოიტანა და ხელმწიფისაგან შეწყალებულ იქნა. ვახუშტი და შერმაზან ოღლი, ორი უცუდესი მტერი, ორივე მოკლულ იქნა. თმოგვისა და აყ-შაჰრის ოლქი, რომელიც მათ ეკუთვნოდათ, ქაიხოსროს ეწყალობა. იქიდან [ციზილბაშთა ჯარი] გამარჯვებული და ძლევამოსილი ქართლის ოლქში შემოვიდა. ძლევამოსილი ჯარი იმ ველაიეთის მხარეებსა და კიდეებს შეესია და, ვინც ლუარსაბის ქვეშევრდომი ხელში ჩაიგდეს, ყველა საღვთო ომის ხმლით მოჰკლეს. იმ ველაიეთიდან მრავალი ქონება წამოიღეს. უამრავი ტყვე და მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი ჩაუვარდათ ხელში დაზიებს. გამგზავრების სადავე ყარაბაღისაკენ მიაბრუნეს და მისი უავგუსტოესობა საზამთროდ იქ დადგა.

### **მისი უდიდებულესობის სამოთხეში დამკვიდრებული შაჰის მეოთხედ გალაშქრება საქართველოზე<sup>28</sup>**

ამ ლაშქრობის ამბავი ასე მოხდა. ცხრაას სამოცდაერთი (1553/4) წლის თვეებში, როცა მის უდიდებულესობას, სამოთხეში დამკვიდრე-

ბული შაჰსა და რუმის, მისრისა და შამის ქვეყნების მბრძანებლის სულთან სოლეიმანს შორის ზავი<sup>29</sup> მოხდა, სახელმწიფო საზღვრები გამორკვეული და დადგენილ იქნა. საქართველოს ველაიეთებიდან, რომელიც ორივე მხარის (ე. ი. როგორც ირანის, ისე ოსმალეთის) მიერ განიცდიდა ხოცვისა და რბევის უბედურებას, მესხეთი, ქართლი და კახეთი ამ

მხარეს (ე. ი. ირანს) მიეკუთვნა. ბაში-აჩუკის ველაიეთი, „დადიანისა“ და „გურიელის“ [ქვეყნები]. ტრაპეზუნდისა და ტრიპოლისის<sup>30</sup> საზღვრებამდე რუმის მბრძანებელს მიეცა. ქართლის მეფე ლუარსაბი, რომელიც ყიზილბაშთა ბუმბერაზების ხმლის შიშით მაღალ მთებში აფარებდა თავს, როცა კი დროს იშოვიდა, წესიერების წრიდან გამოდიოდა და ბევრს უმსგავსოებას ჩადიოდა, ვნებას აყენებდა თბილისის ველაიეთს და იმ ადგილებს, რომლებიც ყიზილბაშების მიერ იყო დაპყრობილი და მათი სამფლობელო გამხდარიყო. იქაური ხალხიც, იმის გამო, რომ მისი ეროვნებისა და სარწმუნოებისა იყო, მასთან ბრუნდებოდა. [შაჰის] მაღალმა აზრმა გადასწყვიტა, იმ მხარისაკენ გაეშალა ძლევამოსილი დროშები იმ ბნელი ზრახვების მქონე ურწმუნოთა მოსასპობად და მთელი მისი (ლუარსაბის) ქვეყანა ისლამის ქვეყნისთვის შეეერთებინა. იმ უმსგავსოთაგან, ვინც კი არ დამორჩილდებოდა და ჯიზიას არ იკისრებდა, ხმლით გამოასალმებდნენ სიცოცხლეს.

ამ სამართლიანი განზრახვით დაიძრნენ ძლევამოსილი დროშები იმ მხარისაკენ და როცა საბარათიანოში გაჩერდნენ, იმ მხარის ურწმუნონი ძლევამოსილი ღაზიების შუბებისა და მახვილების შიშით გაიფანტნენ ხშირ ტყეებსა და ტევრებში, რომლებშიც ძნელი იყო ქვეითად თუ ცხენით გავლა. ზოგი მაღალ მთებსა და მტკიცე სიმაგრეებში ეძებდა საფარს. საღვთო ომის მეზრძოლები მამაცურად ტევრებსა და ტყეებში შეიჭრნენ, ჯგუფ-ჯგუფად იგდებდნენ ხელში [ქართველებს] და შეუბრალებელი ხმლით ხოცავდნენ, მათს ცოლებს და შვილებს ატყვევებდნენ და ურიცხვ საქონელს და სიმდიდრეს შოულობდნენ. ლუარსაბმა ათასი ხერხით თავი დააღწია იმ მომაკვდინებელ [საფრთხეს] და თავშესაფარში წავიდა. როცა საბარათიანოს ველაიეთის ფართობი: იმ ბინძურ კერპთაყვანისმცემელთაგან გაწმენდილ იქნა, ბედნიერი ამაღა დაიძრა გორისაკენ, რომელიც ლუარსაბის სატახტო ქალაქი იყო, გაიარა ძნელადსავალი გზები და ხშირი ტყეები და ის ველაიეთიც უმსგავსო ურწმუნოთა არსებობის ეკლისაგან გაწმინდა. და რადგანაც ქართველ დიდებულთ და აზნაურებს რამდენიმე ციხე გაემაგრებინათ და ყველგან მეომრები ჩაეყენებინათ, ამიტომ ქვეყნის დამპყრობელი აღმები გაშალეს და იმ ციხეებისაკენ გაემართნენ.

პირველად მძორეთის ციხე გარემოიკვეს. ხსენებული ციხეების სიმტკიცით გათამამებული მეციხოვნენი ბრძოლაში ჩაებნენ. ძლევა-

მოსილი ღაზიები ყოველი მხრიდან უტევდნენ ციხეს და შიგ მყოფნი შეავიწროვეს. ცუდი სარწმუნოების მქონე ქართველებმა დაინახეს თავიანთი სისუსტე და უვნებლობა ითხოვეს. ციხისთავი ფარსადან-ბეგი ციხიდან გამოვიდა და სიმაგრე [ყიზილბაშებს] გადასცა. ხსენებული ციხის დაპყრობის შემდეგ გაემართნენ ატენის\* ციხისაკენ, რომელიც იქაურ ციხეთაგან უძლიერესი იყო. [ამ ციხეში] იმყოფებოდა ლუარსაბის დედა. ეს იყო ისეთი მაღალი და ძლიერი ციხე, რომ ფრინველსაც უჭირდა მასზე გადაფრენა და ბედის ტრიალსაც ვერაფერი დაეკლო მისთვის. იმ ციხის მცველებმა ღაზიებთან ბრძოლა იწყეს და მათ შორის ომისა და ჭიდილის ცეცხლი დაინთო. [შაჰის] იღბლის ძალით ის ხეიბერის ციხის მსგავსი სიმაგრე მცირე მეცადინეობითაც დაპყრობილ იქნა. ლუარსაბის დედა მრავალ აზნაურთან ერთად ტყვედ ჩავარ-

და. ის ურწმუნონი საღვთო ომის ხმლით ჯოჯობეთში გაგზავნეს, რამდენიმე სხვა ციხე და სიმაგრეც შაჰვერდი-სულთან ზიად ოღლის მეცადინეობითა და მამაცობით იქნა დაპყრობილი დღევრძელი სახელმწიფოს მოღვაწეთა მიერ. ამ ლაშქრობაში 30.000-ზე მეტი ტყვე ჩაუვარდა ხელში ზღვასავით მქუხარე ჯარს. მათგან ისინი, ვინც დიდებულთა, წარჩინებულთა და აზნაურთა ცოლები, ქალიშვილები და ვაჟები იყვნენ „ხუთისთავის“ ანგარიშში შაჰის უკეთილშობილეს სარქარს მიაკუთვნეს. ამჯერად ლუარსაბმა ისე დაჰკარგა სახე, რომ სრულიად უცნობი გახდა მისი სამყოფელი ადგილი. ამიტომ სიწმინდის ნიშანმა, რჯულიერმა ხელმწიფემ წასვლის სადავეები საქართველოდან ყარაბაღისაკენ მიაბრუნა. ყარაბაღის შემდეგ, იმ ადგილებში ნადირობით და გართობით დაუსრულებელი სახელმწიფოს [მუდმივი] სადგომისაკენ გაემუზნენ.

### ლუარსაბის მოკვლა მორჩილ ხელმწიფის იღბლის ძალით და „მიზეზთა მიზეზის“ განგებით

საქართველოს მეფეთა შორის ლუარსაბი გამოირჩეოდა თავისი მამაცობითა და გულადობით. ამიტომ ის მუდამ იჩენდა ურჩობას, და ამაცობას და თავს არ სდებდა მორჩილებისა და მოხარკეობის უღელში. თუმცა ცდილობდა სამოთხეში დამკვიდრებული შაჰი მის განადგურებას, რამდენჯერმე გაილაშქრა კიდეც საქართველოზე, როგორც მოხსენიებული იყო, მაგრამ რადგანაც ჯერ არ შესრულებულიყო მისი (ლუარსაბის) სიცოცხლის ზომა, ის ხელთ ვერ ჩაიგდეს.

---

\* დედანშიا <sup>آمدین</sup>, რაც სხვა არა უნდა იყოს რა, გარდა ატენისა. ჰასან რუმელუსთან არის <sup>آیدین</sup>

მეოთხე ლაშქრობიდან სამოთხეში განსვენებული შაჰის დაბრუნების შემდეგ, ლუარსაბი ისევ მოვიდა გორში და მასთან შეგროვდნენ ისინი, ვინც [ყოზილბაშთა] მახვილს გადარჩენოდა. ერთ-ორ წელიწადს ასე [შშვიდად] ატარებდა ცხოვრებას და როცა რამდენადმე მოაწესრიგა [საქმეები] ისევ დაიწყო ურჩობა და სარწმუნოების საფარველი შაჰის წინააღმდეგობა. ცხრაას სამოცდასამ (1555/6) წელს გორიდან გამოვიდა და გარისის ციხესა\* და იმ ადგილებში მოვიდა, რომლებიც დივანის მფლობელობაში იყო და აქ შფოთი და ჯანყი დაიწყო. ყარაბაღის ბეგლარბეგმა<sup>31</sup> შაჰვერდი-სულთან ზიად ოღლი ყაჯარმა, რომელიც იმ საზღვრების მცველად იყო დანიშნული, ამ აჯანყების ამბავი გაიგო, ყარაბაღის ლაშქარი შეაგროვა და მის წინააღმდეგ გაემართა. როცა მის სადგომს მიუახლოვდა, ლუარსაბმა მზაკვრობით, რაკი წინააღმდეგობის ძალა არ შესწევდა, გაქცევა არჩია. ყიზილბაშთა ჯარი ქართველებს დაედევნა, იმ ველაიეთის მიდამოებში მიმოიფანტა და რბევა და მარცვა იწყო. ამ დროს ლუარსაბი მზაკვრობისა და მოტყუების საფარიდან გამოვიდა და აზნაურთა რაზმით შაჰვერდის ჯარის ცენტრს თავს დაესხა. რადგანაც ყიზილბაშთა უმრავლესობა გაფანტული იყო, ზიად ოღლისთან დარჩენილმა მცირე რაზმმა მამაცურად იბრძოლა, რამდენიც ძალა შესწევდა, და დამარცხდა. ზიად ოღლიმ სარდლობის გზა და

წესი გაითვალისწინა და ბრძოლიდან უვნებელი გამოვიდა. ქართველები დაედევნენ ღაზიებს. ყიზილბაშებიდან რვაასამდე კაცი დაიღუპა მოწამებრივი სიკვდილით.

ლუარსაბი სახარების მკითხველი მღვდლების ჯგუფით ერთ ბორცვზე იდგა. მოჰამედ-სულთან მირჩინი ღაზიების მცირე რიცხვით მას შეეჩეხა. ძალაუნებურად წავიდნენ იმ ჯგუფს და ბრძოლა იწყეს. ლუარსაბმა „გამბედაობისა და მამაცობის ცხენი გააბრწყინა“ და მოჰამედ ჩინის ეძგერა. ღვთის განგებით ცხენი წაექცა და ლუარსაბი ცხენიდან გადმოვარდა. ჩინის ერთ-ერთმა ღაზიმ, სახელად ზაქირმა, რამდენიმე მომაკვდინებელი ჭრილობა მიაყენა მას. ურწმუნოები მიცვივდნენ მას (ზაქირს). მოჰამედ-სულთანი ლუარსაბის ცხენს დაეპატრონა, ამხედრდა და წავიდა.

ქართველებმა ხსენებული ზაქირი ჩინის რამდენიმე სხვა ღაზისთან ერთად მოჰკლეს. ლუარსაბის სიცოცხლისა და დოვლათის დროშა დაემხო და [იგი] იმავე წუთს გარდაიცვალა. ქართველებმა მისი ნეშტი აიღეს, თავის სასაფლაოზე მიასვენეს და დაკრძალეს, ხოლო მისი ვაჟი სიმონი<sup>32</sup> მმართველად დასვეს და გორში დადგნენ.

\* ტექსტში: لوهس، كوهس، لوهيس;

22

### ქართველთა ამბის გაგრძელება ლუარსაბის მოკვლის შემდეგ და მისი შვილის სიმონ-ხანის შეპყრობა სამარადისო სახელმწიფოს მოღვაწეთა მიერ

როცა სიმონ-ხანი მამის ადგილას ქართლის ქრისტიანეთა მმართველი გახდა, ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში ის გორში ცხოვრობდა. მიმოფანტული ქართველები ყოველი მხრიდან მიდიოდნენ მასთან და ბოლოს [მთელი] ჯამაათი შეიკრიბა. ისიც, მამის წესისამებრ, ურჩობისა და წინააღმდეგობის გზას დაადგა და ცხრაას სამოცდა რვა (1560/1) წელს თბილისის დასაპყრობად თავისი სამყოფელი ადგილიდან დაიძრა. მან სხვა ქრისტიან მმართველებისგანაც კაცი და დახმარება ითხოვა. მრავალრიცხოვანი ხალხი მიუვიდა დასახმარებლად. ლევან-ხანის შვილი გიორგი, მამის ნებართვით თუ თვითნებურად ერთი რაზმით მის დასახმარებლად მივიდა ფანატიკური გრძნობით აღტყინებული. მოკლედ, ქართველების ბანაკში მრავალი ხალხი მოგროვდა და როცა ამ ამბავმა ზიად ოღლიმდე მიაღწია, ყარაბაღის ამირები და იმ საზღვრების ჯარი შეაგროვა და კერპთაყვანისმცემლების მოსასპობად გაემართა. ღაზიებმა ის ხანდაკი, რომელიც ქართველებს იწროებში ამოეთხარათ, ამოავსეს, გადაიარეს [ზედ], კერპთაყვანისმცემლებამდე მიაღწიეს და იმ ბნელეთის ხალხის პირისპირ ხოცვის მწკრივი გააწყვეს. ისლამის ჯარის ჩარხჩიები<sup>33</sup> ეძგერნენ ქართველებს და ბრძოლა გაჩაღდა. ორივე მხარე მამაცურად და გულადად იბრძოდა. ურწმუნონი მტკიცედ იდგნენ და ღაზიების იერიშებს მედგრად იგერიებდნენ.

როცა შაჰვერდი-სულთან ზიად ოღლიმ იხილა ურწმუნოთა ასეთი სასტიკი ომი და მათი მოთმინება და სიმშვიდე ამ ბრძოლაში, ცენტრის რაზმით ერთთავად შეუტია და თავს დაესხა ქართველების ჯარს. ბრძოლის მტვერი ცის კამარამდე ავარდა. ქართველებმა ვერ გაუძლეს მის

შემოტევას და გაიქცნენ. ლევან-ხანის ვაჟი გიორგი ათას კაც ურწმუნოსთან ერთად მოკლულ იქნა. ვინც მახვილს გადაურჩა, გაიქცა და გაიფანტა. სიმონი მცირერიცხოვანი ჯგუფით გორს გაიქცა. ზიად ოღლი გამარჯვებული და ძლევამოსილი განჯას დაბრუნდა. ჯაჯანა-ბეგი<sup>34</sup>, გამოჩენილი ქართველი ამირი, დაეჭირათ და ქვეყნის საფარველ კარზე გაგზავნეს.

ლევან-ხანმა შვილის გლოვაზე შავი ფალასი გადაიცვა კისერზე და კახეთის წარჩინებულებმა და აზნაურებმა მისდამი თანაგრძნობით, შავი ჩაიცვეს და გლოვად დასხდნენ.

ხსენებული ამბების შემდეგ ლუარსაბის შვილმა, სახელად დავით-მა<sup>35</sup> აზნაურთა ერთ ჯგუფთან ერთად ირჩია მამისადმი წინააღმდეგობა და გონებისა და ღვთის მადლის ხელმძღვანელობით „სურვილის სახე

23

ქვეყნის საფარველ კარს მიმართა“, სამეფო ქალაქ ყაზვინში სამართლიანი და რჯულიერი ხელმწიფის ფეხთა მტვერის კოცნით გაბედნიერდა და ისლამის დიდებით იქნა მოსილი. სამოთხეში დამკვიდრებულმა შაჰ-მა მას მიუაღერსა, წვრთნა, შვილობის წოდების პატივით გამოარჩია და თბილისის ველაიეთი და ის ადგილები, რომლებიც მაღალი დივანის მფლობელობაში იყო, მას უწყალობეს<sup>36</sup>. და თუმცა ერთხანს სასახლის ერთი ამირი თბილისის ციხის ქუთვალი და დაუდ-ხანის ლალა და სახელმწიფო საქმეების გამგე იყო, მაგრამ სიმონ-ხანი და მისი ქვეშევრდომნი მაინც ურჩობასა და წინააღმდეგობაზე მტკიცედ იდგნენ, თბილისის ციხისა და მისი ოლქის დაპყრობას ცდილობდნენ და არასდროს ამ ფიქრს არ სტოვებდნენ. ორჯერ-სამჯერ მოვიდნენ მის დასაპყრობად, მაგრამ ვერაფერს გახდნენ და უკან გაბრუნდნენ. ცხრასა სამოცდათხუთმეტ (1567/8) წელს მან შეაგროვა ურწმუნოთა მრავალრიცხოვანი ქვეითი და ცხენოსანი ჯარი და თბილისზე გაემართა. დაუდ-ხანიც აგრეთვე მისი ქვეშევრდომი აზნაურების რაზმით და მუსლიმანების ჯარით ქალაქიდან გამოვიდა და ძმასთან საომრად გაეშურა. როცა მოწინააღმდეგენი ერთმანეთს შეხვდნენ მტრის სიმრავლის გამო, ყიზილბაშებმა და აზნაურებმა დაინახეს რომ ვერ შესწევდათ ძალა, შებრძოლება მიზანშეწონილად არ დაინახეს და უკან დაბრუნება და ციხეში გამაგრება გადასწყვიტეს. იბრაჰიმ-ხალიფე ყარამანლუ, რომელიც ყიზილბაშთა ერთი რაზმის სარდალი იყო, უვიცობისა და სიამაყის გამო ჩაება ომსა და ჭიდილში და ბრძოლაში მოწამებრივი სიკვდილი ჰპოვა. დაუდის მხლებლებმა ძალაუნებურად გაქცევის გზა აირჩიეს და თბილისში მოვიდნენ.

სიმონ-ხანმა ორჯერ გაიმარჯვა ძმაზე და მის ხელქვეითებზე, შფოთი და ჯანყი გაამრავლა. ის ფიქრობდა, რომ თბილისის მცხოვრებნი მას ემორჩილებიან და ციხეს ადვილად ჩაიგდებდა ხელში. ქართველების ჯარი შეაგროვა, სრული ძლიერებით თბილისს მიადგა და ციხეს ალყა შემოარტყა. რადგანაც ყიზილბაშები მტკიცედ იცავდნენ ციხეს, სიმონ-ხანმა რომელსაც ქალაქის მცხოვრებთა მიმხრობაზეც იმედი გაუცრუვდა, დაინახა, რომ ვერ შესძლებდა ციხის აღებას, წასვლის ტაბლას დაჰკრა და გორში წავიდა.

როცა სიმონ-ხანის ურჩობისა და მის მიერ ისლამის საზღვრებზე თავდასხმის ამბავმა შაჰის ყურამდე მიაღწია, გამოვიდა დიდებული

ფირმანი, რომ შამხალ-სულთან ჩერქესი, რომელიც შაქის მმართველი იყო, ყაჯარი ამირებისა და სხვების თანხლებით დაუდ-ხანის დასახმარებლად საქართველოსაკენ წასულიყო და სიმონის შფოთი მოესპო იმ მხარეში. დიდებულმა ამირებმა ნაბრძანები შეასრულეს და ცხრაას სამოცდათექვსმეტ (1568/9) წელს ჯარით საქართველოზე წავიდნენ. სი-

24

მონმა ბედნიერებით მოსილი ჯარის მოსვლა გაიგო, დაინახა, რომ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა და იმ საზღვრების მაღალ მთებში წავიდა. ძლევამოსილი ღაზიები დაიძრნენ იმ მთისაკენ, რომელიც ელბორზისა და ყაფის<sup>37</sup> მთებს ეტოლებოდა, და იქაური მხარეები მოიცვეს. ურწმუნო გებრები, რომელთაც ის მაგარი ადგილები თავის სახიზრად და თავშესაფრად გაეხადათ, ღაზიების წინააღმდეგ გამოემართნენ და მათ შორის ომისა და ხოცვის ცეცხლი დაინთო. სიმონი მხედრების მცირე რაზმით, გათამამებული და გასულელებული, ღაზიებს თავს დაესხა და ერთი-ორი კაცი მოჰკლა. შამხალ-სულთანის ერთმა ღოლამმა სახელად ჯემშიდმა, მას შეუტია, შუბი აძგერა და მიწაზე დასცა. მეორე ღაზი მიეხმარა და მისი პატიოსნება (ე. ი. სიმონი) დაიჭირეს. ქართველებმა რომ თავისი სარდალი ქამანდით დაჭერილი დაინახეს, გაქცევა არჩიეს და ბრძოლას გაეცალნენ. სიმონის ქვეშევრდომთა ერთი ჯგუფიდან, რომელიც მას გარს ეხვია, ზოგი მოკლულ იქნა, ზოგი კიდევ ტყვედ ჩავარდა. დიდებული ამირები გამარჯვებული და ძლევამოსილი დაბრუნდნენ საქართველოში ლაშქრობიდან და სიმონი, სხვა ტყვეებთან ერთად ხალიფობის ტახტის საფუძველს გაუგზავნეს. დედაქალაქ ყაზვინში ის (სიმონი) წარსდგა ხელმწიფის წინაშე, რამდენიმე ხანს უავგუსტოეს სასახლეში ჰყავდათ, რომ იქნებ ისლამის დიდებით შეიმოსოსო. მაგრამ ის ხელს არ იღებდა ქრისტიანობის რჯულზე და ბოლოს ალამუთის<sup>38</sup> ციხეში გაგზავნეს. სანამ ცოცხალი იყო სამოთხეში დამკვიდრებული შაჰი, [სიმონი] იმ ციხეში იმყოფებოდა ისმაილ-მირზას\* დროს ის [ციხიდან] გამოიყვანეს და ალექსანდრეს სადარი ხელმწიფის\*\* დროს ისლამის ბედნიერება მოიპოვა, მისი უდიდებულესობისაგან ძმობის<sup>39</sup> დიდებული წოდებით იქნა განდიდებული და თავისი სამკვიდრო მამულის მმართველობის ბოძებით ამაღლებული, სურვილებშესრულებული საქართველოში წავიდა. მართლაც მან დააფასა ალექსანდრეს სადარი ხელმწიფის ყურადღება და ერთგულება გამოიჩინა, იმ გარემოების აღწერა თავის ადგილას იქნება მოტანილი.

**თხრობა მისი უდიდებულესობის სამოთხეში დამკვიდრებული მაღალი შაჰის გარდაცვალების და იმ დიდი ამბების შესახებ, რომლებიც იმ დროს მოხდა მწყალობელი [ღვთის] განგებით**

ამ თხრობის განმარტება ასეთია: [შაჰის ავადმყოფობის დროს სასახლეში უფლისწულებს შორის ტახტის დაკავების საკითხის გამო ატეხილ ქიშპობასა და დავაში] ზაალ-ბეგი, რომელიც იმ ჯგუფს (ე. ი.

\* შაჰ-ისმაილ II (1576–1577), შაჰ-თაჰმასპ I-ის ძე.

\*\* მოჰამედ-ხოდაბენდე (1577–1587).

ჰაიდარ-მირზას<sup>40</sup> მომხრეებს) ეკუთვნოდა, ხოლო მისი და შაჰის მეუღლეთა რიგებში ითვლებოდა და რამდენიმე უფლისწულის დედა იყო, სულთან ისმაილის მომხრეთა მოძულე იყო, მუდამ ეწეოდა შაჰის აბანოში სამსახურს. იმ დღეს, როცა გადაწყვეტილი იყო, რომ შაჰი აბანოში წაბრძანდებოდა, ისმაილ-მირზას მომხრეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ზაალ-ბეგი უმადური იყო და სახელმწიფოს ერთგული სუფიები მას არ ენდობოდნენ. ჩვენ არ დავუშვებთ, თქვეს მათ, რომ ამ დროს, როცა მისი უდიდებულესობა ასე დასუსტებულია, იგი (ზაალ-ბეგი) აბანოში წავიდეს და იქ იმსახუროსო, მისი დალატისაგან უზრუნველყოფილი არა ვართო, ქართველებმა, შეიხავენდემ, უსთაჯლუმ და ყველა ჰაიდარელებმა ამის შესახებ ლაპარაკი დაიწყეს. ქართველები ამბობდნენ, ჩვენში რა დაინახეს ისეთი, რომ ჩვენი სამსახურის შესრულებას გვიშლიანო.

მოკლედ, იმ დღეს, როცა აწ სამოთხეში დამკვიდრებული ხელმწიფე აბანოში მიდიოდა, ჰოსეინ-ყული ხოლეთა რუმლუ, ამირ ასლან-სულთანი და სხვები, რომლებიც თავისთავს შაჰისევანებს\* უწოდებდნენ, ოთხი-ხუთი ათასი კაცი სუფიებით, რუმლუს, ავშარის და სხვა [ტომთაგან] ზაალ-ბეგისათვის ხელის შეშლის მიზნით, იარაღით და საჭურველით კურთხეული სასახლის კართან მოგროვდნენ. ქართველები, შეიხავედი, უსთაჯლუ და მათი ხელქვეითნიც, აგრეთვე ოთხი-ხუთი ათასი კაცი შეგროვილიყვნენ და ზაალ-ბეგისათვის დახმარების [გაწევა] ჰქონდათ გადაწყვეტილი და უნდოდათ, რომ ისინიც შეიარაღებული და აღჭურვილი სასახლეში შესულიყვნენ. შესაძლებელი იყო არეულობა და სისხლისღვრა მომხდარიყო.

იმ ღამეს, როცა ამ მხარეთაგან ეს ამბები ეწყობოდა, ამ სტრიქონების დამწერი ჰოსეინ-ბეგ იუზბაშისთან<sup>41</sup> იყო მეჯლისში და ის ამ ამბით მეტად შეწუხებული იყო და არ უნდოდა, რომ მათ შორის ჩხუბი მომხდარიყო. დილამდე ამის ფიქრში იყო. დილით, თუმცა ბევრი ხალხი შეკრებილიყო, მაგრამ იარაღი და საჭურველი არ აეღოთ და დათქმული წესის მიხედვით სახელოვან შაჰზადე სულთან მუსტაფა-მირზას, რომლის ლალა ნაზარ-სულთანი გარდაცვლილიყო, ეახლა სამსახურად. ის, წესისამებრ, უსთაჯლუსა და მის ხალხს შორის იმყოფებოდა. სასახლის კარზე მოვიდნენ. გარეთ უვიცები და შფოთისთავეები, მაჩხუბარნი ბევრ საგინებელ სიტყვებს ამბობდნენ. ესენი, ისე რომ მელაშქრეებს არ გაუგიათ, ჩეჰელსოთუნის [სასახლის] აივანში შევიდნენ და დიდხანს ელაპარაკებოდნენ საწინააღმდეგო სიტყვებს ისმაილ-მირზას მომხრეებს. ჰოსეინ-ბეგ იუზბაშიმ მიმართა ჰოსეინ-ყული ხოლე-

\* შაჰისევანი – შაჰის მეგობარი.

ფას და უთხრა: „რა შფოთს სტეხ ყიზილბაშთა შორის და ეს ხალხი შეიარაღებული რად მოგიყვანია სასახლეში. მადლობა ღმერთსა, ჩვენი კურთხეული ხელმწიფე და მწყალობელი მურშიდი ჯანმრთელად ბრძანდება. ჩვენ და თქვენ რა გვრჯის, რომ თვითნებურად ასეთი განზრახვები ვიქონიოთ“. მას ბოროტგამზრახველი და გიჟი უწოდა და

„ერთგული სამსახურისა და სუფიობის გზაზე შედგა ფეხი“. ჰოსეინ-ყული ხოლევამ და მისმა ხელქვეითებმა აგრეთვე დაიწყეს ლანძღვა-გინება, მაგრამ რადგანაც უფლისწული სულთან ჰაიდარ-მირზა მობრძანდა, ისმაილ-მირზას მომხრეებმა ვეღარ შეძლეს მეტი აყალ-მაყალი.

აწ სამოთხეში განსვენებულმა შაჰმა გაიგო ეს ამბავი. მან მიზანშეწონილად მიიჩნია, არ მიექცია ყურადღება და ზაალ-ბეგი იხმო, რათა ჩვეულებრივად მისულიყო აბანოში და სამსახური შეესრულებინა. იმ ხალხმა ხმის ამოღება ვერ შესძლო და შერცხვენილი დაიშალა. სულთან ჰაიდარის მომხრეებმა „ახალი სიცოცხლე მოიპოვეს“ და მატყუარათა ცილისწამებას და ბოროტგამზრახველთა გინებას გადაურჩნენ. შემდეგ, როცა კურთხეული შაჰი სავსებით გამოჯანმრთელდა, ასეთი ამბების მოხდენა აღკვეთა და ამ გარემოების გამოძიება არ დაუწყია.

### **ხსენება მხატვრებისა, რომლებიც [იმ] დროის მოღვაწენი იყვნენ**

სიაომ-ბეგ ქართველი სამოთხეში განსვენებული შაჰის ღოღამი იყო. მისმა უდიდებულესობამ მისი ნიჭი შენიშნა და მხატვრობის შესასწავლად მიაბარა. ოსტატ ალი მოსავერის მოწაფე იყო. როდესაც ის რამდენიმედ დახელოვნდა ამ მეცნიერებაში, მისი ყალმის მოხდენილობამ მიიპყრო უკეთილშობილესი [შაჰის] ყურადღება, რომელმაც თვითონ მოჰკიდა ხელი მის სწავლებას. მისი უდიდებულესობის მოწაფედ ყოფნამ ისეთი სახე მისცა მის [ოსტატობას], რომ მასზე ითქმოდა [ყურანის] სიტყვები: „საუკეთესოდ გამოვხატე თქვენი სახე“. მან დიდ წარმატებას მიაღწია, ფრიად ნაზი ყალამი ჰქონდა, დეტალების დიდი ოსტატი და შეუდარებელი მხატვარი იყო. კონტურულ ხატვაში, მთების გამოსახვასა და თმის დახატვაში მას ვერც ერთი ოსტატი ვერ შეედრებოდა. ჯგუფის („მეჯლისის“) ხატვა მისი უნაკლო იყო. ისმაილ-მირზას დროს ის წიგნსაცავის გამგე გახდა, ხოლო მისი უმაღლესობის ალექსანდრეს სადარი [ხელმწიფის]\* დროს ის და მისი ძმა ფეროხ-ბეგი ბედნიერი და ძლიერი უფლისწულის სულთან ჰამზა-მირზას ნდობით აღჭურვილ პირთა შორის იმყოფებოდნენ. მისი უდიდებულ-

\* შაჰ-მოჰამედ-ხოდაბენდე.

ლესობის, ღვთის ჩრდილის\* დროს დიდი ხნის განმავლობაში იყვნენ უკეთილშობილეს სამსახურში და მათი სიცოცხლის სახეც მის ამაღლაში ყოფნის დროს მოსპო.\*\*

**ამბავი მისი უმაღლესობის მოჰამედ-სულთან ფადიშაჰ ხოდაბენდეს გამეფებისა. მისი განმტკიცება სამეფო ტახტზე და ირანის მბრძანებლობაში და მისი მეფობის ხანაში წლიდან წლამდე მომხდარი მოვლენები.**

ისა-ხან ქართველი, ლევან-ხანის შვილი და სიმონ-ხანი, ლუარსაბის ძე, ორივენი ალამუთის ციხეში რომ იყვნენ დაპატიმრებულები, ისმაილ-მირზამ გამოუშვა. სამოთხეში დამკვიდრებული შაჰის ძმის



საამ-მირზას ასული სულთან-მოჰამედ-ხოდაბენდემ ისა-ხანს მისცა და შაქის მმართველად განაწესა. სიმონ-ხანი ისლამის მიღების პატივით გაბედნიერდა და სულთან-მაჰმუდ-ხანად იწოდა. შესაბამისად სიტყვებისა: მხოლოდ მართლმორწმუნენი არიან ღირსეულნი, – მან „მის“ ბედნიერი წოდებულება მიიღო, პატივითა და ღირსებით მოსილი საქართველოში გაემართა და სამემკვიდრეო ქვეყანას დაეუფლა.

### **თხრობა აზერბაიჯანსა და შირვანში მომხდარი ამბებისა, ოსმალეთის ხონთქრის მიერ იმ ქვეყნებში ლაშქრის გაგზავნა და იმ ხანებში მომხდარი მოვლენები.**

[ოსმალეთის სულთანმა] თავისი ლალა მუსტაფა ფაშა, ლალა ფაშად რომ იყო ცნობილი, მრავალრიცხოვანი ჯარით, რომელიც დაახლოებით ასი ათასზე ჭარბი იყო, ამ ველაიეთში გამოგზავნა, მოჰამედ-გირეი-ხან თათარს, დოვლეთ-გირეის შვილს, რომელიც ჩინგიზ-ხანის ვაჟის ჯუჩი-ხანის შთამომავალი იყო, ჯუჩის ულუსის დაახლოებით ასი ათასი თათართა ოჯახით ბახჩისარაიში სახლობდა და ოსმალეთის სულთანთან მეგობრობა და კეთილგანწყობილება ჰქონდა, შესთავაზა რომ თათართა დიდი ლაშქრის ბრბოთი შირვანის ველაიეთს შესეოდა ხაზართა ველის გზით. თათარი ავაზაკები იმ ქვეყნის საქვეყნოდ განთქმული ქონების მარცვა-გლეჯის სიხარბით, ამ მოწოდებას თანხმობის ნაბიჯით შეხვდნენ.

როდესაც ეს ამბავი სატახტო ქალაქ ყაზვინში ცნობილი გახდა და მის უმაღლესობა ისქანდერის სადარ [ხელმწიფეს] მოხსენდა, ამი-

---

\* შაჰ-აბას I (1587–1629).

\*\* იხ. ვ. ფუთურიძე, ისქანდერ მუნშის ცნობა მხატვრის სიაომ-ბეგ ქართველის შესახებ, „ენიშკის მოამბე“, III, 1938.

რებმა და ქვეყნის თავკაცებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ, უპირველესად ყოვლისა, [შემოსევის] მიზეზის აღსაკვეთად ხონთქრისათვის მეგობრული ხასიათის წერილი ეახლებინათ და ზავისა და ხელშეკრულების დარღვევის, მოსაზღვრე ოლქების გამგებელთა იმ თავხედობისა და გაგულისების მიზეზი გამოერკვიათ, რომელიც ამ საქმეში გამოიჩინეს. მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ამირებმა, დაზავების შენობის სიმტკიცისათვის, რომელიც ამ მხრიდან აღიარებული და გაზიარებულია, მის უდიდებულესობა ხონთქარს მეგობრობის შემცველი წერილები მისწერეს და მოჰამედი-ხან თოხმაყის მსახურს ვალი-ბეგ უსთაჯლუს გაატანეს. მონაპირე საზღვრების ჰაქიმებმა და ფაშებმა იგი დააბრკოლეს და საშუალება არ მისცეს სტამბოლს ჩასულიყო. ამასობაში კი ლალა ფაშა არზრუმს გამოცდა და მოვიდა ყარსის ველაიეთში, რომელიც ჩოხურ-საადის ველაიეთსა და არზრუმს შორის მდებარეობს.

სამოთხეში დამკვიდრებულ შაჰსა და სულთან სოლეიმანს შორის დადებული ზავის ერთ-ერთი პირობა ის იყო, რომ ხსენებული ოლქი შუაში დაქცეულ-გაპარტახებული დარჩენილიყო და მხარეები მის განაშენიანებას არ უნდა ცდილიყვნენ და დღემდე მართლაც გაპარტახებული იყო. ლალა ფაშა, უპირველესად ყოვლისა, ხსენებული ოლქის განაშენიანებას შეუდგა, მისი ციხე შეაკეთა, ქუთვალის და დამცველები

დაუნიშნა და ახალციხის ველაიეთში მოვიდა, რომელიც საქართველოს ეკუთვნოდა, სიმონ-ხანის სიძის მანუჩარ-ხანის [საგამგეო] ოლქი იყო და ამ მხარის (ირანის) საზღვრებში შემოდიოდა. მან (მანუჩარმა) ოსმალთა მორჩილებისაგან თავი შორს დაიჭირა და წინააღმდეგობის გზას დაადგა. თავისი ციხე გაამაგრა და თვითონ კი სიმონ-ხანთან მივიდა. ლალა ფაშამ მისი ციხე გარემოიკვა, ზარბაზნები მიუმარჯვა და ბრძოლა-ჭიდილით დაიმორჩილა. მერე შიგ მცველები და იანიჩრები დასტოვა და სიმონ-ხანის ქვეყნისაკენ გაემართა.

ყიზილბაშ ამირებს რომ ერთობა ჰქონოდათ და ერთმანეთისათვის დაეჯერებინათ, აზერბაიჯანის და შირვანის მთელი ლაშქარი ორმოცდაათი ათასზე მეტი იქნებოდა. ერთ ადგილას რომ შეკრებილიყვნენ და საქართველოს მეფეებიც მათ შეერთებოდნენ, ლალა ფაშას იმ ველაიეთში შესვლა გაუძნელდებოდა. ამირების შეუთანხმებლობის, ომიახთა ჯიუტობისა და უხეირო გადაწყვეტილების გამო ქვეყანაც წავიდა ხელიდან, ყიზილბაშთა დიდებული სარდლებიც დაიღუპნენ თანდათანობით, აზერბაიჯანის ლაშქარიც განადგურდა და რამდენიმე წლის ნაგროვები მათი ქონებაც მარცვა-გლეჯას გაჰყვა.

მოკლედ, ჩილდირის ომში [ყიზილბაშთა] დამარცხების შემდეგ ლალა ფაშამ ახალციხის ციხე იმავ ორ-სამ დღეში დაიპყრო, შიგ სანოვაგე და ლაშქარი დასტოვა და იმ გზით სიმონ-ხანის ქვეყნისაკენ გაე-

29

მართა. მოჰამედი-ხანი თავის ქვეყანაში გაჩერდა, იმამ-ყული-ხანი და ყიზილბაშთა ლაშქარი გამოეყვნენ და თავიანთ ადგილებში წავიდნენ. ლალა ფაშამ კაცი გაგზავნა და სიმონ-ხანსა და ალექსანდრე-ხანს, საქართველოს მეფეებს, ხონთქრისადმი მორჩილებასა და დანებებისაკენ მოუწოდა. ესენი კი ერთმანეთში ფარისევლობდნენ და თანხმობა არ ჰქონდათ.

სიმონ-ხანს ამ დინასტიის (ე. ი. სეფიანთა) მორჩილების შარაზე ფეხი მტკიცედ ედგა და ოსმალებს წინააღმდეგობა გაუწია, გზაჯვარედინებსა და მთის გადასასვლელებზე მტრის ჯარს წინ ხვდებოდა სხვა ქართველებთან ერთად და საგრძნობ ზარალსაც აყენებდა. ალექსანდრე-ხანი კი, რომელიც ცბიერი და წინდახედული კაცი იყო, თავისი საქმის სიკეთეს ჩაუკვირდა და ოსმალებისათვის მეგობრულად თავის მოჩვენება ამჯობინა, ლალა ფაშას ბანაკში ნუხლი და სავერი გაგზავნა და მორჩილება გამოუცხადა. ეს გარემოება ლალა ფაშას გულდაჯერების მიზეზი შეიქნა, საქართველოს ვიწრობებში იოლად და ადვილად გაიარა და თბილისის ციხეს მიადგა, რომელიც სიმტკიცესა და სიმკვიდრეში ცის სფეროთა სფეროს ედავებოდა და სამოთხეში დამკვიდრებული შაჰის დროს სიმონ-ხანის ძმის დაუდ-ხანის მფლობელობაში იყო. ახლა, როდესაც ოსმალთა ლაშქარი იმ მიდამოებში მივიდა, დაუდ-ხანი იმ ჯიუტობის გამო, რომელიც ძმებს შორის არსებობდა, ძმის შემწეობასა და დახმარებაზე იმედდაკარგული იყო, ციხის დასაცავად არ აღსდგა, მიატოვა და ის ციხე ოსმალებს ადვილად ჩაუვარდათ ხელში. ქუთვალი და მცველები დაუყენეს, გორშიც, საქართველოს მმართველების სატახტო ქალაქი რომ იყო, ციხე მოაწესრიგეს და შირვანს გაემართნენ.

ალი-ხან ქართველმაც, ალექსანდრე-ხანის ძმამ, რომელიც შაქ-

ში იყო, [იქ] დარჩენის ძალა ვერ მონახა, გამოეცალა და ლალა ფაშა გალადებული შირვანში შევიდა. დაღესტნის მთელი ჰაქიმები და ლეკები მთლიანად დამორჩილდნენ და ყიზილბაშების წინააღმდეგ აჯანყება და ამბოხი დაიწყეს. შირვანის ბეგლარბეგმა არეს-ხანმა, რომელიც ჭკვიანი და დარბაისელი კაცი იყო, ოსმალთა ლაშქრისადმი წინააღმდეგობა და ციხის დაცვა, რაიების ამბოხის გამო, თავისი ძალისა და შესაძლებლობის სფეროში ვეღარ იგრძნო, ოჯახითა და მახლობლებით შირვანს გაეცალა და მდინარე მტკვრის პირას დაბანაკდა, შირვანის ქვეყანა კი ოსმალთა მფლობელობაში მოექცა. ლალა ფაშამ ოსმან ფაშა შირვანის ბეგლარბეგად დასვა; ყეფთას ფაშა არეშში დასტოვა, შირვანის ყოველ ველაიეთში ჰაქიმი დანიშნა, შემახის, არეშისა და ბაქოს ციხეები გაამაგრა და უკან დაბრუნების დოლი აახმაურა...

30

ოსმალთა გაბრუნების შემდეგ ყარაბაღის ბეგლარბეგი იმამ-ყული-ხანი სიმონ-ხანს შეუერთდა. ერთმანეთის თანხმობით საქართველოს ჭალებსა და ტყეებში სხვადასხვა მხრიდან წარამარა [ოსმალებს] წამოეწეოდნენ ხოლმე, ხელსაყრელი შემთხვევისთანავე საგრძნობ ზარალს აყენებდნენ და დიდძალი დავლა იგდეს ხელთ. თუმცა ამ მოსვლა-წასვლის დროს ოცი ათასი ოსმალ მოიკლა და დაიღუპა, მაგრამ, რადგან ლალა ფაშას უსაზღვრო და ურიცხვი ლაშქარი ახლდა თან, არავითარი გასაჭირი მის მდგომარეობას არ დასტყობია და გამარჯვებული და უძლეველი დაბრუნდა უკან.

თავრიზის ბეგლარბეგი ამირ-ხანი ათი ათასი კაცით თავრიზიდან წამოსულიყო მოჰამედი-ხან თოხმაყის დახმარების მიზნით, მაგრამ, მას შემდეგ რაც მოჰამედი-ხან თოხმაყის გაქცევისა და ლალა ფაშას საქართველოსა და შირვანისაკენ წასვლის ამბავი შეიტყო, პირი იბრუნა და ჩოხურ-საადისაკენ წასვლის მაგიერ ყარაბაღს მიაშურა, იმამ-ყული-ხანი მას შეუერთდა ყარაბაღის ლაშქრით; მდინარე მტკვარზე ერთად გადავიდნენ და მდინარე იორის პირას, რომელიც საქართველოს ეკუთვნის, ოსმალებს წამოეწივნენ. ერთბაშად ხელსაყრელი დრო შეარჩიეს და თავს დაესხნენ იმათ ერთ რაზმს, რომელიც, დაახლოებით, ოთხი-ხუთი ათასი კაცისაგან შედგებოდა და ბანაკიდან სანოვავის საშოვნელად წამოსულიყო. ოსმალთა ლაშქრიდან ორი ათასამდე კაცი დახოცეს და უამრავი ქონება და სიმდიდრე იგდეს ხელთ. ოსმალ ამირთა ერთი ჯგუფიც დატყვევებული იქნა.

ამირ-ხანმა ასეთი გამარჯვებით გული მოიფხანა და უნდოდა უკან გამობრუნებულს ყარაბაღში დაებანაკა ზამთრის გასატარებლად და ნეტარი და სახელოვანი უფლისწულის, მისი უდიდებულესობის ქვეყნიერების გამგებლისა\*\* და ძლევამოსილი ჯარებისა და ამირების მოსვლას დალოდებოდა, რომლებიც იმ მხრისაკენ მიემართებოდნენ.

გამოუცდელ, ოღონდ გულად ყიზილბაშ მეომართა ერთი ჯგუფი, რომელთა სარდალი ამირ-ხანის შვილი სულთან-მურად-ხანი იყო, კვლავ იოლი გამარჯვების სურვილით მდინარე იორზე გადავიდა და ბრძოლა გააჩადა. ყიზილბაშებთან ბრძოლაში გაფიცებული ოსმალები დაუყოვნებლივ მდინარე იორის აქეთა ნაპირზე გადმოვიდნენ, ლაშქარს უკნიდან შემოუარეს, ორი-სამი ათასი კაცი ყიზილბაშთა ჯარიდან შუაში მოიმწყვდიეს, მიეძალნენ და დაამარცხეს. ამირ-ხანისა და სხვა ამი-

რების ლაშქრიდან იმ ბრძოლაში ორ-სამ ათას კაცამდე მოიკლა ან დატყვევებულ იქნა. ამირ-ხანმა ხსენებული დამარცხების შემდეგ, ომში

\* იგულისხმება მოჰამედ-ხოდაბენდეს უფროსი ვაჟი, ტახტის მემკვიდრე ჰამზა-მირზა. იგი ნიჭიერი გამგებელი და კარგი სარდალი იყო, ცდილობდა ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას. მოკლულ იქნა 1586 წელს (რ ე დ.).

31

სარფა-სარგებელი ველარ დაინახა, თავისი მდგომარეობისათვის უკან დაბრუნება უმჯობესად და უკეთესად მიიჩნია და თავრიზისაკენ გამო-ბრუნდა.

თავის სურვილებადსრულებული ლაღა ფაშა უკან დაბრუნდა; არზრუმს მივიდა და საზამთროდ დადგა.

[ლაღა ფაშას დასახმარებლად დარუბანდის გზით შირვანში მოსული ყირიმელი თათრების ჯარი 1580 წ. დამარცხდა ყიზილბაშებთან ბრძოლაში და მისი სარდალი ადილ-გირეი-ხანი ტყვედ ჩავარდა. მას პირველ ხანებში პატივისცემით ეპყრობოდნენ და სასახლეში მოათავსეს].

რაც შეეხება ადილ-გირეი-ხანის ამბავს, რამდენიმე ხნის შემდეგ, რაც სასახლეში იყო დაბინავებული, ამირებსა და ქვეყნის თავკაცებს მის შესახებ აზრი შეეცვალათ და გადასწყვიტეს, რომ იგი სასახლიდან გამოეყვანათ და სხვა ადგილას დაებინავებინათ, ანდა რომელიმე ციხეში გაეგზავნათ, რომელსაც შესაფერისი ბინა ექნებოდა. რადგან აზერბაიჯანის დასასჯელად გალაშქრება წინ გვაქვს, მისი თან ტარება მიზანშეწონილი არ იქნება და იქ იცხოვროს მოსვენებით.

მისმა უდიდებულესობამ ისქანდერის სადარმა [ხელმწიფემ] ბრძანა: სამოთხეში დამკვიდრებული შაჰი რამდენიმე ხანს სიმონ ქართველს, რომელიც უცხო სარწმუნოებისა იყო, მისი ქვეშევრდომი ქართველების გულის მოსაგებად, სასახლეში ინახავდა პატივითა და დიდებით. რადგან თათარ უფლისწულს თავიდან პატივითა და დიდებით მოვეპყართ, ახლა ციხეში გაგზავნა, რაგინდ კარგი ბინაც არ უნდა ჰქონდეს, სირცხვილია და საკადრისი არ არისო.

**ხსენება ზოგი მოვლენისა, რომლებიც ამ წლის დასასრულამდე სულთნის ზამთრის სადგომში, ყარაბაღში, მოხდა, იბრაჰიმ-ხან თორქემანის მოციქულად გაგზავნა ოსმალეთის ფადიშაჰთან.**

როდესაც ბირე-მოჰამედ-ხანი, რომელიც მიზეზი და დამწყები იყო უსთაჯლუთა არეულობისა, გარდაიცვალა, სალმან-ხანსა და მის მომხრე ამირებს იმისი თავი აღარ შერჩენოდათ, რომ შირვანი დაეცვათ, შირვანი მიატოვეს და წამოვიდნენ. ომარ-ალა, რომელსაც სინან ფაშასაგან დავალება მიეღო, რომ შირვანის ველაიეთში წასულიყო და გაერკვია, რომელი ოლქი ვის მფლობელობაში იყო, მაღალ ბანაკში მოვიდა. უძლეველი ქვეყნის ამირებმა და თავკაცებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, რომ შირვანის ველაიეთის დაცვა დავალებინათ ყაჯართა დიდებული ტომისა და ოთუზიექის ელისა და ოიმახის და მისთანები-

სათვის, ყარაბაღში დიდ ჯგუფებად აუარებელი რომ ცხოვრობენ, და

მისი ავი და კარგი იმამ-ყული-ხანის კისერზე შეეგდოთ. ისქანდერის სადარ ხელმწიფესთან და ღვთის მოადგილე ქვეყნის მპყრობელთან შეთანხმებით იმამ-ყული-ხანი ძალით თუ ნებით ამ საქმეზე დანიშნეს და განაწესეს. ზემოთ მოხსენებულის რჩევის თანახმად, ფეიქარ-ბეგი ზიად ოღლი ყაჯარი ველაიეთის გამგებლისა და ხანის წოდებით განდიდდა და შირვანის ბეგლარბეგად დანიშნეს. რამდენიმე ყაჯარ ამირს შირვანში ოღქა მისცეს და მასთან ერთად შემახისაკენ გაისტუმრეს. მათი წასვლის შემდეგ ომარ-ალას კაცი გაატანეს და შირვანში გაამგზავრეს. აგრეთვე, ერთი წყება (ხალხი) თბილისის ციხის დასაპყრობად და იქაური ვალის, სიმონ-ხანის, დასახმარებლად განაწესეს. მურად-ბეგ-თოფჩიბაში, თოფხანის მოხელეები და ზარბაზნის ჩამოსასხმელი ხელსაწყოები გაგზავნეს, რომ ციხის დაპყრობაში მეცადინეობა გამოეჩინათ და, ეგების როგორმე ისე მომხდარიყო, რომ ომარ-ალას უკან დაბრუნების დროს ის მაღალსაფუძვლიანი ციხე ამ ცადაწვდენილი სასახლის მოხელეთა მფლობელობაში მოქცეულიყო. მაგრამ ხელი მოეცარათ და ვერაფერი გააწყვეს.

ფეიქარ-ხანი და შირვანის ამირები თითოეული მისთვის მიჩენილ ველაიეთში წავიდ-წამოვიდა და იქ დადგა. ომარ-ალამ ისინი რომ გაიგულა, ყურადღება მიაქცია, რომ გარდა დარუბანდისა და ბაქოს ციხეებისა, ოსმან ფაშას მფლობელობაში სხვა ადგილი არ იყო. შაჰ-ყული-სულთან თაბეთ ოღლი ზულყადარი ისქანდერის სადარ ხელმწიფის მხრიდან, ომარ-ალას თანხლებით, სინან ფაშასთან მოციქულად გაგზავნეს, რომ მისი განზრახვის ნამდვილი ამბავი შეეტყო და დაზავების თაობაზე სიტყვა ეთქვა.

### **თბრობა აზერბაიჯანისა და შირვანის ამბებისა და ყაზი-გირეი-ხან თათრის შეპყრობა ძლევამოსილი ღაზიების მიერ განუყოფელი მეუფის განგების მეოხებით**

როცა საზამთრო ბანაკში ნიანგის (1580) წლის ზამთარი მიიწურა და ქვეყნიერების გამასხვივოსნებელი ნოვრუზის მახარობელი თურქული გველის (1581) წელიწადი ნეტარებითა და ბრწყინვალეობით დადგა, და. ამბრის სურნელოვანი გაზაფხულის საწუთროს წალკოტის მაცოცხლებელი სიო და მისი მარბიელი ლაშქარი სურნელოვანი მცენარეებისა და ყვავილების სასიხარულოდ მოვლენილი ჯარის შემოსევით ლტოლვა-გაქცევის გზას გაუდგნენ, იბრაჰიმ-ხან თორქემანი, როგორც „უკვე აღწერილ იქნა, სტამბოლისაკენ გაემგზავრა მოლაპარაკების ნოხის გასაშლელად.

კახეთის მეფეს ალექსანდრე-ხანს, რომელიც ყოველთვის სიწმინდის მსახველი ამ სამეფო სახლის მოხელეთაგანი იყო, ოსმალებთან მეგობრული და თავაზიანი ურთიერთობა გაება და გამგონობა და მორჩილება გამოველინებინა. ამის გამო მასა და ქართლის მეფეს სიმონ-ხანს შორის, რომელიც თავის თავს ამ მარადფუძიანი ქვეყნის (ირანის) მომხრედ რაცხდა და [ოსმალების მიმართ] წინააღმდეგობისა და შეუდ-

რეკელოზის გზას მისდევდა, [სათანადო ნდობა არ იყო] და ალექსანდრე-ხანსაც, აგრეთვე, მთელი სულითა და გულით ოსმალთა მეგობრობა-დახმარებისათვის ადანაშაულებდა. სიმონ-ხანი კი ასეთი ბრალდებისაგან თავისუფალი იყო, როგორც საქმის დასაწყისში, როდესაც ლალა ფაშა შირვანში მოვიდა, ოსმალებთან მტრობა და წინააღმდეგობა დაიწყო და რამდენიმეჯერ მასა და ოსმალთა ჯარებს შორის ამ მისვლა-მოსვლის დროს დიდი ბრძოლები მოხდა, ისე წლებულსაც, ოსმალები თბილისის, გორისა და სხვა ციხეებში სანოვანს რომ აგზავნიდნენ. [სიმონი] ყარაბაღის ბეგლარბეგ იმამ-ყული-ხანთან ერთად ოსმალებს გზაში უხვდებოდა, თავს ესხმოდა და უსაზღვრო სიმდიდრე და ქონება ჩაიგდო ხელთ. მაგრამ ისქანდერის სადარ ხელმწიფისა და სამარადისო ქვეყნის თავკაცების გულის დასაჯერებლად და დასაწყენარებლად საჭიროდ ჩაითვალა, რომ სიმონ-ხანის ქალიშვილი მისი უდიდებულესობა ქვეყნიერების გამგებლისათვის ცოლად მოეყვანათ, რომ მის მეგობრობაზე გული სავსებით მშვიდად ჰქონოდათ.

ალექსანდრე-ხანის მნიშვნელოვანი საქმე კი მისი რჩევისა და ბჭობის შესაბამისად უნდა მოეწესრიგებინათ. მოსიბ-ხან შერეფ ედ-დინ ოღლი თექელუ ამ საქმეზე სიმონ-ხანთან საქართველოში გაგზავნეს. ხსენებულმა სიმონ-ხანმა ასეთი შეუღლება გარეგნულად დიდ პატივად მიიჩნია და უზომო სიხარული და მოწონება გამოსთქვა, მაგრამ გულში ქართველები სარწმუნოების სხვაობისა და სხვა გარემოებათა გამო არ თანხმდებოდნენ და ქალიშვილისათვის საჭირო მზითვისა და ნივთების წესრიგში მოყვანისა და მომზადების მომიჯნავეებით დროის გადავადებასა და გაჭიანურებას ლამობდნენ.

ამასობაში ყაზი-გირეი-ხან თათრისა და სეფი-გირეი-ხანის შირვანში მოსვლის ხმა დაირხა. ყარაბაღის ბეგლარბეგმა იმამ-ყული-ხანმა თათართა შემოსვლის წინ ფეიქარ-ხანს დიდი მაშველი ძალა გაუგზავნა შირვანში. ოსმან ფაშამაც, აგრეთვე, ოსმალთა ვენეჯის შვილი, ოსმალთა ლაშქრის ჯგუფით, დარუბანდიდან თათრებს გამოაყოლა და ყიზილბაშებზე თავდასასხმელად გამოგზავნა. როცა მათ შემახის მიდამოებს მოაღწიეს, ამ მხრიდან ფეიქარ-ხანი და ყაჯარის, ჯაგირლუს, ყარამანლუს და სხვა [ტომთა] ამირებიც, შირვანში რომ იყვნენ, თათართა ლაშქრისა და ოსმალების მოსაგერიებლად გაემუვნენ. შემახასა და შაირანს

34

შუა მხარეთა შორის ბრძოლა მოხდა. ყაზი-გირეი-ხანი ყიზილბაშებთან ომში გაგულისდა და ანგარიშს აღარ უწევდა, ბრძოლის ველზე სიმხნის რაში გამოაგელვა და ვაჟკაცობასა და გულადობას ავლენდა. ამ შეხლა-შემოხლის დროს ყაჯარი ღაზიების ერთ რაზმს შეეჩეხა, ხსნისა და თავის შველის გზა დახშული აღმოაჩნდა და, ღვთის განგებით, ყოვლისშემძლე მაჯის მიერ შეპყრობილი და დატყვევებული შეიქნა, მისი შეპყრობის შედეგად გამარჯვებისა და ძლევის სიომ ფეიქარ-ხანისა და ყიზილბაშ ამირთა დროშების ქოჩორზე დაჰბერა, გამარჯვება-ღვთის-შეწევნით გამოირჩნენ და მოწინააღმდეგეები დამარცხებულები და თავგზააზნეულნი უბედურების ჯარის კვალს გაჰყვნენ და პირი გაქცევის გზისაკენ იბრუნეს. სეფი-გირეი-ხანმა ათასი გაჭირვებით იმ საშინელებისაგან სული [მთელი] გამოიტანა და თავის მთავარ ბანაკამდე სადავეები არ მოუწევია.

ფეიქარ-ხანმა ამ თვალსაჩინო სამსახურისათვის თანასწორთა შორის აღმატება მოიპოვა და ფადიშაჰის ალერსისა და მოფერების საგანი გახდა. მაგრამ საწუთროს ავი თვალი ეცა, გვერდი უძღურების სარეცელზე დადო და ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა.

რამდენიმე ხანს ხალიფე ანსარ ყარადაღლუ შირვანის მმართველად დაინიშნა. მაგრამ, რადგან ღმერთის ნება-სურვილს ასე ენებებინა, რომ შირვანის ველაიეთი ოსმალთა მფლობელობაში დამკვიდრებულიყო და იმათი მმართველობის ნოხი ერთ ხანს იმ ქვეყანაში ყოფილიყო გაშლილი, ყიზილბაშთა ლაშქრის ცდასა და მეცადინეობას შედეგი არ მოჰყვა და ხალიფე ანსარმა შირვანში ვერა გააწყო რა, ჩქარა [საიქიოს] გამგზავრების დოლი აახმიანა და სამარადისო საცხოვრებელს მიაშურა.

ხალიფე ანსარის გარდაცვალებისა და უავგუსტოესი ამალის უკან გამობრუნების შემდეგ ერაციისა და ხორასნის მოგზაურობის გამო, რაც მომდევნო წელს მოხდა, ყიზილბაშ ამირებისაგან შირვანში გაჩერება უკვე ველარავინ მოახერხა. ოსმან ფაშა დარუბანდიდან შემახას მივიდა, ციხე გაამაგრა და იმ ველაიეთის დამოუკიდებელი მმართველობა მოიპოვა. დაწვრილებით ეს ამბები სათანადო ადგილას იქნება მოთხრობილი.

საერთოდ, როცა ყაზი-გირეი-ხანი ურდოში მოიყვანეს, იგი სანდო ხალხის თანხლებით ალამუთის ციხეში გაგზავნეს და იქაურ ჰაქიმს ჩააბარეს. ეს ციხე ყაზვინსა და გილანს შორის მდებარეობს და საწუთროს განთქმული ციხეთაგანია, წლების მანძილზე იგი ისმაილელ მეფეთა საჯდომი ქალაქი იყო.

35

ხოლო რადგან სიმონ-ხანის წინააღმდეგობამ თავისი ქალიშვილის მოცემის თაობაზე ზომიერების ზღვარს გადააჭარბა, მირზა სალმანი\* სხვა დიდებულ ამირებთან ერთად, ოცი ათასამდე კაცით საქართველოსაკენ გაემართა, რომ ალექსანდრე-ხანისა და სიმონ-ხანის მნიშვნელოვანი საქმეები მძლეთა მძლე სამეფოს ინტერესების შესაბამისად გადაეწყვიტათ საქართველოს გამგებლები ყიზილბაშთა ლაშქრის მოსვლაზე შეშინდნენ, დაფრთხნენ და თავის მართლებას შეუდგნენ. ალექსანდრე-ხანმა ოსმალებისადმი მორჩილების გამოვლენისა და ყიზილბაშებისათვის ხარაჯის მიუცემლობისათვის საყვედური შეისმინა და მირზა სალმანისა და ამირების კეთილგანწყობილება მოიხვეჭა. იმათაც სამეფოს სიკეთე იმაში დაინახეს, რომ მისი ქალიშვილიც ქორწინებით სვებედნიერ სახელოვან უფლისწულთან დაეკავშირებინათ და მისთვის ხალიფობის ადგილოვანი ამ დინასტიის მეგობრობაზე და ოსმალთა მტრობაზე ფიცი დაედებინებინათ.

ერთმანეთს შორის მოსვლა-მოსვლა რომ მოხდა და ალექსანდრე-ხანმა მირზა სალმანისა და ყიზილბაშ ამირების ემმაკობასა და ვერაგობაზე გული დაიწყნარა, მათთან მივიდა და მათ შორის შეხვედრა მოხდა სიმონ-ხანიც, მოსიბ-ხანთან ერთად იქ მოვიდა. დიდებულმა ამირებმა დაზავება-შეთანხმების პირობის შემდეგ, რომელიც მათ შორის მოხდა, სიმონ-ხანი მოიყვანეს და ისინი (ალექსანდრე და სიმონი) ერთმანეთს შეარიგეს და ქრისტიანული სარწმუნოების მიხედვით ჯვარზე (ჯვარი ქართულად ჯვარედინს ნიშნავს) და სახარებაზე დააფი-

ცეს, რომ ამიერიდან სიწმინდის მსახველ ამ დინასტიის მეგობრობაზე მტკიცედ იდგებოდნენ და შეერთებულად ოსმალთა ლაშქრის. მოსაგერიებლად ყიზილბაშთა ლაშქრის შემწე იქნებოდნენ.

მირზა სალმანი და ამირები მარტო ქალიშვილების მოყვანას არ ჯერდებოდნენ და მოითხოვეს, რომ ორივეს რომელიმე თავიანთი ვაჟი აშირებისათვის უზენაეს ბანაკში გაეტანებინათ, რომ მისი უდიდებულესობა ქვეყნის გამგებლის სამსახურში უზენაესი უზანგის მხლებლები ყოფილიყვნენ. ქართველმა ხანებმა მორჩილებისა და თანხმობის გარდა სხვა ვერა ილონეს რა, ალექსანდრე-ხანმა კონსტანტინე-მირზა, თავისი ვაჟი, რომელიც იმ დროს თორმეტი წლისა იყო, და სიმონ-ხანმა ლუარსაბ-მირზა, რომელიც იმავე ასაკისა იყო, უზენაესის კარზე სამყოფად გაგზავნეს მირზა სალმანმა და ამირებმა ისქანდერის სადარი ხელმწიფისა და მისი უდიდებულესობა ქვეყნის გამგებლის სახელით მათ შესანიშნავი ხელმწიფური ხალათები გადასცეს.

---

\* მირზა სალმან ჯაბირი შაჰ-მოჰამედ-ხოდაბენდეს ეთემად ად-დოელე (პირველი ვეზირი) იყო (რ ე დ.).

36

ალექსანდრე-ხანმა ივალდებულა, რამდენიმე წლის მიუცემელი ხარკის დასაფარავად მიმოქცევაში მყოფ შაჰურ ერაყულ სამი ათას თუმანს ხელმწიფის ხაზინას ჩააბარებდა და ათას თუმანს მისი უდიდებულესობა ქვეყნის მპყრობელისათვის და ათას თუმანს მირზა სალმანის, ამირებისა და ქვეყნის თავკაცების შესანახავად გაიღებდა. თავისი ვეზირი, სახელად ხოჯა იაყუბი, მდიდარი ებრაელი, რომელიც შეძლებული და ფულიანი კაცი იყო, თან წამოიყოლა და განჯაში ხსენებული თანხა გაანაღდა. თანაც შემოიხვეწა, რომ საქართველოში დაეტოვებინათ მისი ძმა ისა-ხანი, რომელსაც სარჩოს თვითონ მისცემდა და შეინახავდა. სიმონ-ხანმაც, აგრეთვე თავისი ძმა დაუდ-ხანი ითხოვა რომელიც ალექსანდრესთან იყო. ორივემ ვალდებულება იკისრა ძმებს ჩინებულად მოეპყრობოდნენ ვერაგობას არ ჩაიდენდნენ და ორივე თავიანთი სამფლობელოებიდან თავიანთ ძმებს გარკვეულ ადგილს მიუჩენდა, რათა მოსვენებით ეცხოვრათ და არსებობა არ გამძნელებოდათ.

ძმების თაობაზე ნაკისრი ვალდებულება არცერთმა მათგანმა არ შეასრულა, ორივე მათი დალუპვის საქმეს შეუდგა და ჩქარა მათი სიკვდილის ამბავი მთელ ქვეყანას გააგებინეს. რაკი შესაფერისი დრო არ იყო, ამიტომ ასეთი მოქმედებისათვის ისინი არავინ გაკიცხა.

ერთი სიტყვით, მირზა სალმანმა და დიდებულმა ამირებმა, საქართველოს საქმეები რომ ისე მოაწესრიგეს როგორც აღწერილი იყო და ქართველ მმართველთა მნიშვნელოვან საქმეებზე გულები რომ დაიშვიდეს, დაძვრის სადავეები უკან გამობრუნებისაკენ მიმართეს, ხსენებულ ვაჟებთან და ქალიშვილებთან ერთად ზაგემს დიდებულ ბანაკში დაბრუნდნენ და იმ მნიშვნელოვანი ამბების ჭეშმარიტი არსი, რომლებიც უკვე მოეწესრიგებინათ და გაერიგებინათ, ისქანდერის სადარი ხელმწიფესა და ქვეყნიერთა უფლისწულს მოახსენეს, რაც მათი კეთილშობილი გულების გახარების მიზეზი გახდა. იქიდან მეიდანჩყუის იალალზე წავიდნენ და რამდენიმე ხანს იმ სვებედნიერ საზაფხულო სადგომში განცხრომითა და მოსვენებით იყვნენ. როცა სარდალ სინან



ფაშას სტამბოლისაკენ დაბრუნების ამბავი სარწმუნო შეიქნა, ასეთ ვითარებაში ოსმალების მხრიდან საშიშროება მოსალოდნელი აღარ იყო... იბრაჰიმ-ხანი დაზავების მოსაგვარებლად იყო წასული, ხოლო საქართველოს მნიშვნელოვანი საქმეები კი უკვე აღწერილის მიხედვით იყო მოწესრიგებული; ყიზილბაშთა ლაშქარი იმ დროს შირვანში იდგა, ხორასნიდან კი შამლუსა და უსთაჯლუს ამირების აჯანყებისა და ამბოხის ამბები მოდიოდა და იმისი საშიშროება იქმნებოდა, ვაი თუ უსთაჯლუს ამირები, რომლებიც გილანიდან იყვნენ გამოსული, ხორასნისაკენ წასულიყვნენ და აჯანყება დაეწყოთ. უავგუსტოესი ამალის დედაქალაქში დაბრუნება მდგომარეობის შესაფერისად მიიჩნიეს და.

37

შემოდგომაზე, როდესაც საზაფხულო სადგომში ჰავა სიცივისაკენ გადაიხარა, გამარჯვებული დრომები ერაყისაკენ მიმართეს, მშვიდობიანად დაბრუნდნენ სატახტო ქალაქში და ის ზამთარი სატახტო ქალაქ ყაზვინში გაატარეს.

[კიჯრის 989 (1581) წელს უსთაჯლუს ტომის ამირებმა ხორასნის მმართველად დასვეს მოჰამედ-შაჰის მცირეწლოვანი ვაჟი აბას-მირზა].

როდესაც ბედნიერების მომგვრელი ეს ამბავი ურდოში ცნობილი შეიქნა, თანამონაწილეებს გაკვირვებას გვრიდა, რომ აქამდე სეფიანთა დინასტიაში ასეთი საქმე არ მომხდარიყო. სადრ აზამ ყაზი-ხან ალ-ჰოსეინის შედგენილი რაყამი გავიხსენე, რომ იმ წელს, როდესაც ის-ქანდერის სადარი ხელმწიფე ყარაბაღში საზამთროდ იდგა, ხოჯა სეიდ ედ-დინ ქაში, ალექსანდრე-ხანის მუშრიფი იყო მოსული და მე მკითხა: სვებედნიერი უფლისწულის ხორასანში გაფადიშაჰების ამბავი ნამდვილად მოხდა თუ არაო. მე პასუხად ვუთხარი, დიაღ, ასეთი ხმა დადის, მაგრამ სინამდვილე ჯერაც არ გარკვეულა-მეთქი.

**ფერჰად ფაშას გალაშქრება ყარაბაღზე და ამ ველაითის დაპყრობა.**

**ჯაღალ ოღლის მოსვლა ბაღდადიდან ალიშუქრში; ნეჰავენდში<sup>43</sup>  
ციხის აშენება და [ამბავი], რომელიც [მაშინ] მოხდა**

ზემოთ აღწერილი იყო, რომ ამას წინათ დადგენილ იქნა, რომ ოსმალებთან დაზავება ისე, როგორც სულთან ჰამზა-მირზას<sup>44</sup> სიცოცხლეში იყო მომზადებული, [მართლაც] მოხდა და მურშიდ-ყული-ხან ველი-აღა ჩამნაგირ-ბამში<sup>45</sup>, რომელიც ამ საქმეზე იყო მოსული თურქეთიდან, ურდოში იქნა გამოძახებული და აღნიშნული საქმის დასამთავრებლად გაემართა. [მაგრამ] ის სიკვდილით დასაჯეს და მაშინ ეს საქმე (დაზავება) არ დასრულებულა და უკეთესი დროისთვის გადადებული რჩებოდა. ოსმალებმა რომ [ყიზილბაშთა] ძლევამოსილი დროშების ხორასანზე წასვლის ამბავი გაიგეს, ისარგებლეს შემთხვევით და ფერჰად ფაშა<sup>46</sup> არზრუმში მდგომი ურიცხვი ჯარით გამოემართა ყარაბაღის დასაპყრობად რომელიც შირვანსა და აზერბაიჯანს შორის მდებარეობს.

საქართველოს ხელმწიფეთაგან სიმონ-ხანს, რომელიც ყოველთვის ამ მხარის (ე. ი. ირანის) ერთგული იყო და მუდამ ძალმიცემით ებრძოდა ოსმალებს, ამ დროს ფერჰად ფაშამ ალერსიანად [დაუწყო ლაპარაკი] და სასიამოვნო შეპირებებით და ძვირფასი საჩუქრებით მოატ-

ყუა. სიმონმაც, რომელიც ჭკვიანი და გამოცდილი კაცი იყო, სწორად შეაფასა ყიზილბაშთა მდგომარეობა, მათგან დახმარებისა და შეწევნის მიღებაზე გული გაუტყდა, ბედს მიენდო, ხელი აიღო ოსმალების

38

წინააღმდეგ ბრძოლაზე, რაც მართლაც აღემატებოდა მის ძალ-ღონეს, გზა მისცა მათ და განზე გადგა. ფერჰად ფაშას, რომელსაც გული დამშვიდებული შეექნა სიმონის შესახებ, აღარ დაუზიანებია საქართველო და თავისუფლად შედგა ფეხი ყარაბაღში. მოჰამედ-ხანი, რომელიც სწორედ იმ დღეებში იყო დანიშნული [ყარაბაღი] მმართველად და ჯერ კიდევ არ შესწევდა ძალა [წინააღმდეგობისა], შემფოთდა. ყარაბაღის ამირთაგან ნახარ-სულთან ყაზაყლარი თავისი ელით განუდგა [ყიზილბაშებს], ოსმალებს მიუვიდა და ფაშობა მიიღო. ყაჯართა ტომი და ყარაბაღის ელები და ოიმახები ისე აირივნენ რომ სრულებით ვერ მოახერხეს გაერთიანება; იმ ლაშქრისათვის წინააღმდეგობის გაწევა მათ ძალასაც აღემატებოდა. მათ დასტოვეს [თავისი] ქვეყანა და საშინლად შევიწროებული და დაბნეული დაიძრნენ, არეზის მდინარეზე გადავიდნენ და არესბარს მოვიდნენ. დიდი მწუხარება და უბედურება დაატყდა ამ ხალხს, მრავალი მათი ქონება და ბარგი გამარცხული და დარბეულ იქნა. ფერჰად ფაშა რამდენიმე დღეს ქალაქ განჯაში იდგა. მეტად ძლიერი და მაგარი ციხე ააშენა, მეზრძოლებით, მრავალი საბრძოლო საჭურვლით, იარაღით და სურსათით მოამარაგა და განამტკიცა ის და უკან გაბრუნდა.

**ცხრაას ოთხმოცდა თვრამეტი (1589/90) წლის ამბები**

. . . . .

**სხვადასხვა ამბები, რომლებიც ამ წელს მოხდა შემოქმედის განგებით**

ამ წელს მოჰამედ-ხან ზიად ოღლი ყაჟარმა და ყარაბაღის ამირებმა, რომლებიც გასულ წელს ოსმალთა ჯარის შემოტევის გამო გადასახლდნენ ხსენებულ ველაიეთიდან და ელითა და ოიმახით არესბარში მოვიდნენ, განიზრახეს განჯის ციხის დაპყრობა და ყაჯართა ღაზიების დიდი ჯარით და ყარაბაღის ელით, ოიმახით და თურქმანებით არესბარიდან ყარაბაღში მოვიდნენ, განჯის ციხეს მოადგნენ და გარემოცვა დაიწყეს.

[შაჰ-აბასი ამ დროს ცდილობდა ზავი დაედო ოსმალებთან, რომელთაც ეჭირათ განჯა. იმის შიშით, რომ ყიზილბაშების მიერ განჯის ციხის გარემოცვა ხელს შეუშლიდა ზავის დადებას, შაჰმა ორჯერ შეუთვალა მოჰამედ-ხანს და სხვა მეთაურებს, რომ თავი დაენებებინათ განჯისათვის].

რადგანაც მოჰამედ-ხანი [შაჰის] ერთგული სუფი იყო, როცა ეს (ე. ი. შაჰის ბრძანება განჯის ციხის გარემოცვის მოხსნის შესახებ) გაი-

გო, ხელმწიფის სურვილის დასაკმაყოფილებლად ციხეს გაეცალა. ამირები და მოლაშქრენი დაიფანტნენ. მათმა უმრავლესობამ – მირ ყაზაყალბამ, შამს ად-დინლუმ და ყარამანლუმ – ურჩობა და ორპირობა გამოიჩინა და თავ-თავის ადგილებსა და სამყოფელში წავიდა; სხვები არესბარში მოვიდნენ ელებიდან და ოიმახებიდან; ვინც [შაჰის] ერთგული იყო, ხელმწიფის სურვილის დაკმაყოფილება თავისი მამულისა და ქონების [შენარჩუნებას] ამჯობინეს, ის ველაიეთი დასტოვეს და ღვთისაგან დაცულ ქვეყანაში (ე. ი. ირანში) მოვიდნენ. ხოლო, ვისაც მართალი რჯული და ერთგულება არ გააჩნდა, პირი იბრუნა ამ სახელმწიფოსაგან და ოსმალეთის ქვეშევრდომობით დაიმცირა თავი და [ამ-რიგად] ის ველაიეთი [შაჰის] „ერთგული ადამიანების სასინჯი ქვა გახდა“.

მოჰამედ-ხანმა ორპირი ადამიანების ჯანყისა და შფოთვის გამო ვერ შესძლო ამ მხარეზე (ე. ი. ირანში) გადმოსვლა, მდინარე მტკვარზე გადავიდა და ალექსანდრე-ხანის\* წინადადებით მასთან წავიდა. ხსენებულმა [ალექსანდრე-ხანმა] უსინდისობა ჩაიდინა, შეიპყრო ის და ოსმალებს გადასცა. სტამბოლში წაიყვანეს და იქ რამდენიმე ხანს დატყვევებული იყო...

### **ჰიჯრის ათას ოთხი (1995/6) წელი, რომელიც მისი უდიდებულესობის შაჰის გამეფების მეცხრე წელია**

...ამ ქვეყნის დამამშვენებელი წლის ნოვრუზი<sup>47</sup> ხსენებული წლის რაჯაბის თვის ათს (1596 წ. 10/III), კვირა დღეს დაემთხვა. მისმა უდიდებულესობამ, ღვთის ჩრდილმა შაჰმა სამეფო ქალაქ ყაზვინში და სამოთხისებურ სასახლეში ჩეჰელ სოთუნში მეფური ღვინო გამართა. [სხვადასხვა] მხარეების ხელმწიფენი და უფლისწულები, როგორც მაგალითად, ხორეზმის<sup>48</sup> ფადიშაჰი ჰაჯი მოჰამედ-ხანი, შაჰიჯანის მერვის<sup>49</sup> ვალი ნურ მოჰამედ-ხანი, არაბისტანის ვალის<sup>50</sup> სეიდ მობარეჰის შვილი, საქართველოს [მეფეთა] უფლისწულები, რუსეთისა და სხვა ქვეყნების ელჩები, რომელნიც შაჰთან იყვნენ, სამოთხისებურ მეჯლისში მოიწვიეს და იქ რამდენიმე დღეს ახალი წლის მოლოცვაში, ღვთისა და განცხრომაში იყვნენ. შაჰის ბრძანებით, ქალაქის ბაზრები მორთული იყო და „საადათაბადის“ მოედანზე ჩოგან-ბურთით, ყაბახის ტყორცნით იყვნენ გართული და დაახლოებით ათ-თორმეტ დღეს მთელი ხალხი გართობაში, საუბარსა და მოსვენებაში ატარებდა.

\* კახეთის მეფე ალექსანდრე II (1578–1605).

### **1005 (1596/7) წელი, რომელიც [შაჰ-აბასის] გამეფების მეათე წელია**

ამ წელს შაჰის კარზე მოვიდნენ ქვეყნის სხვადასხვა მხარიდან და კიდიდან ელჩები, რომელთაგან ზოგი ყაზვინში და ზოგიც ისფაჰანში გაბედნიერდა [შაჰის] თავყვანისცემით. მაღალ სასახლეში იმდენი ელჩი და სტუმარი მოგროვდა, რამდენიც წინა წლებში (არასოდეს) ყოფილა; ყოველი ქვეყნიდან ურიცხვი ძღვენი და საჩუქარი მოართვეს შაჰს...

მოვიდნენ აგრეთვე საქართველოს დიდებული ხელმწიფეების ელჩები, რომელნიც ხელმწიფური უსაზღვრო წყალობითა და ალერსით დაჯილდოებულები უკანვე გაბრუნდნენ.

### **1006 (1597/8) წელი. სხვადასხვა ამბები, რომლებიც ბედის ტრიალით ამ წელს მოხდა.**

ამავე წელს მირზა ზია ედ-დინ ყაზვინი და ხოჯა აბულ-ზარხაფი, მისი უდიდებულესობის ჰინდუსტანის ხელმწიფის ჯელალ ედ-დინ მოჰამედ აქბარის<sup>51</sup> ელჩები, გაისტუმრა [შაჰმა] და ძვირფასი ხალათებითა და დიდებული საჩუქრებით დააჯილდოვა. [შაჰის] ღოღამი, ემიკადასი-ბაში<sup>52</sup> მანუჩარ-ბეგი ელჩად დანიშნეს ინდოეთში და მირზა ზია ედ-დინთან ერთად გაემგზავრა. [ინდოეთის ხელმწიფეს] შესაფერისი საჩუქრები, ძღვენი და ძვირფასი მისართმეველი გაუგზავნეს. საჩუქრებს შორის იყო ასი სული შინ გამოზრდილი, წმინდა ჯიშის [ულაყი] ცხენი, რომლებიც არაბეთის, საქართველოს და ბეიათის სახელგანთქმული ცხენებისგან იყვნენ წარმოშობილი: [აგრეთვე] არაბული ფაშატები, რომელთაგან თითოეული ერთ ქვეყნად ღირდა. [გაუგზავნეს აგრეთვე] სხვა საჩუქრები და ძღვენი, იშვიათი ირანული (საქონელი) და სიყვარულის წერილი პასუხად მისწერეს იმ ხელმწიფეს...

...[ამ წლის] ამბებიდან [აღსანიშნავია კიდევ] ის, რომ საქართველოს ხელმწიფეების ალექსანდრე-ხანისა და სიმონ-ხანისაგან მაღალი ტახტის საფეხურებთან მოვიდნენ ელჩები და აზნაურები; ერთგულება და მორჩილება განაცხადეს. გამოგზავნათ იოსებ [მშვენიერსავით] ლამა-ზი ყმაწვილები და ჰურიების ბუნების, მთვარის სახის მქონე ქალ-წულნი, საქართველოს დიდებულთა შვილები, რომელნიც შეეფერებოდნენ ხელმწიფის ჰარამხანასა და სამოთხისებურ მეჯლისში სამსახურს. [მეფეებმა შაჰს] გულწრფელი ერთგულება განუცხადეს.

### **1011 (1602/3) წელი**

[ერევნის ციხის] გარემოცვის დღეებში მომხდარი ამბებიდან [აღსანიშნავია] ინდოეთის ხელმწიფის ჯელალ ად-დინ მოჰამედ აქბარის

ელჩის მირ მოჰამედ მა'სუმ-ხან მოქრის მოსვლა შაჰის კარზე მდიდარი საჩუქრებით, რომელთა შორის იყო ძვირფასი თვლებითა და წვრილი ალმასით მოჭედილი ოქროსქარქაშიანი ხმალი. შორსმჭვრეტელმა ადამიანებმა ინდოეთის ხელმწიფის, თემურ-ლენგის ჩამომავალისაგან,<sup>53</sup> რომლის მახვილი მუდამ იმარჯვებდა ავღანელებსა და ინდოელებზე, ამ ხმლის საჩუქრად გამოგზავნა შაჰისათვის იმ დროს, როცა ის მტრებზე ამხედრებული სამკვიდრო ქვეყნების შირვანის აზერბაიჯანის და საქართველოს დასაპყრობად მიემართებოდა, კეთილნიშნად მიიღეს და სვებედნიერი ხელმწიფის გამარჯვებისა და ძღვევის იმედი მოეცათ. ერთი სიტყვით, ხსენებული ელჩი ძღვეამოსილ ურდოში მოვიდა ერევნის ციხის ძირზე და მანუჩარ-ბეგის თანხლებით მეჯლისში იქნა პატივით მიღებული. ხელმწიფის საჩუქრები სასახლეში მოიტანეს და დაალაგეს, რათა როცა საშუალება მიეცემოდათ, შაჰისთვის წარედგინათ. რადგანაც შაჰი დაკავებული იყო ციხის ალყის საქმეებით, მან ყურადღება არ მიაქცია ამ საჩუქრებს და გარდა იმ ხმლისა,

რომელიც „კეთილი ნიშანი“ იყო, სხვას არაფერს დახედა. მოქრის ხანის მსახურები ოთხი თვის განმავლობაში, როცა მკაცრი ზამთრის დიდი სიცივისაგან სული იყინებოდა ტანში, სასახლეში იდგნენ იმ ბარგის სადარაჯოზე, ვიდრე ციხის ალების შემდეგ, როცა შერიფ-ფაშა და ოსმალეთისა და ქურთების ჯარის უფროსების და დიდებულების უმრავლესობა შაჰის სასახლეში იყო, [ინდოეთის] ხელმწიფის საჩუქრები და ელჩის მოსართმეველი არ წარუდგინეს შაჰს. ხელმწიფემ ისინი შაჰის ბანაკში მყოფ დიდებულ ამირებს, მხარეთა გამგებლებს, ყველა ტომის და ფენის კეთილშობილებს და წარჩინებულებს დაურიგა და გაუნაწილა მათი ხარისხისდა მიხედვით.

სხვა ამბებიდან, რაც [ერევნის ციხის] გარემოცვის დროს მოხდა, [აღსანიშნავია] კახეთის მეფის, ლევან-ხანის ძის ალექსანდრე-ხანის მოსვლა, რომელიც ამ [სამეფო] გვარის (ე. ი. სეფიანთა) მოხარკეთა (ბაჯგოზარან) და მორჩილთა და ბრძანების შემსრულებელთა რიცხვს ეკუთვნოდა. ის სამოთხეში განსვენებული შაჰის (თაჰმასბ I) ბრძანების თანახმად გამხდარიყო ხსენებული ველაიეთის (კახეთის) მეფედ თავისი მამის და უფროსი ძმის შემდეგ. იმ ხელმწიფის სიცოცხლის განმავლობაში მუდამ მორჩილების ფართო გზას ადგა მტკიცედ და ყოველ წელს ხარკს (ბაჯ ო ხარაჯ) იხდიდა. სამოთხეში განსხვავებული შაჰის (მაჰ-თაჰ-მასბის) გარდაცვალების შემდეგ, როცა ტახტზე ავიდა ალექსანდრე [მაკედონელის] სადარი (მოჰამედ-ხოდაბენდე), როგორც აღწერილია [ამ წიგნის] პირველ ნაწილში, ოსმალებმა ჯარი გამოგზავნეს შირვანის დასაპყრობად. ამ ჯარმა საქართველოზე გადმოიარა, ალექსანდრე-ხანმა, რომელიც თავისი სწორი მსჯელობით და გამჭრიახობით უგამოჩინ-

42

ნებულესი ადამიანი იყო ახალგაზრდათა და მოხუცთა შორის და ეშმაკობის და მოხერხების მხრივ ბებერი მგელი იყო, ქართლის მეფის სიმონის საწინააღმდეგოდ, გადასწყვიტა, რომ მისთვის უფრო სასარგებლო იქნებოდა ოსმალებისათვის მორჩილების გამოცხადება; ის მომავალ ფაშებსა და სარდლებს მიეგება, ნუზლი და საური<sup>54</sup> მისცა და ემსახურებოდა მათ. როცა შირვანი და აზერბაიჯანი ოსმალებმა დაიპყრეს, მან ხარკის გადახდაც იკისრა და ოსმალეთის ხონთქარს ერთგულებას უცხადებდა. ალექსანდრეს სადარი შაჰის (მოჰამედ-ხოდაბენდეს) დროს, როცა მასზე ერთხელ ყიზილბაშების ამირებმა გაილაშქრეს, მან თავისი ვაჟიშვილი კონსტანტინე-მირზა<sup>55</sup> გაგზავნა ყმობის პირობის გასაახლებლად სულთან ჰამზა-მირზას კარზე და ისიც ბავშვობიდან ყიზილბაშთა შორის გაიზარდა და უკეთილშობილეს სამსახურში შაჰის დაახლოებულ პირთა წრეს ეკუთვნოდა. თუმცა ოსმალებს დამორჩილდა ალექსანდრე, მაგრამ მომავლის ფიქრიც ჰქონდა, კაცს შაჰის კარზე ისტუმრებდა, ერთგულებას უცხადებდა ხელმწიფეს, ძღვენსა და საჩუქრებს აგზავნიდა და ხელმწიფური წყალობის ღირსი ხდებოდა. ახლა, როცა შაჰმა განიზრახა თავის სამკვიდრო მამულის დაპყრობა და [განდგომილ] ურჩთა დასჯა, მოხდა ლაშქრობა აზერბაიჯანზე. ერევნის ციხის გარემოცვის დროს კონსტანტინე-მირზა დაეთხოვა შაჰს და საქართველოში წავიდა, რათა თავისი მამა შაჰის კარზე მოეყვანა [იმისათვის], რომ წინანდელ დროს [ჩადენილი დანაშაულისათვის] ბოდიში მოეხადა და ამიერიდან ოსმალებს აღარ მიმხრობოდა და, როგორც სამო-

თხეში განსვენებული შაჰის (შაჰ-თაჰმასბის) დროს იყო, ქვეყნის დამპყრობელი ხელმწიფის (შაჰ-აბასის) ბრძანებისა და ფირმანის მორჩილი გამხდარიყო. მან ტკბილი სიტყვით, დაპირებებითა და მუქარით დაითანხმა მამამისი დამორჩილებოდა ამ სამეფო გვარს (სეფიანებს) და მოსულიყო შაჰის კარზე და ნებით თუ უნებლიეთ ერევანში მოიყვანა. იმ დღეს, როცა ხსენებული [ალექსანდრე] მაღალ ბანაკში მოდიოდა, ხელმწიფის ბრძანების თანახმად ყველა ამირები და სახელმწიფოს დიდებულები მის შესახვედრად წავიდნენ და ის სრული დიდებითა და პატივით მოიყვანეს. გზიდან პირდაპირ მაღალ კარზე მოვიდა და მისი უდიდებულესობის ფერხთა კოცნით იქნა განდიდებული. მან ხელში აიღო თაბახი ოქროს ფულებით, რომელიც თავის ქვეყანაში მოეჭრა შაჰის სახელზე, და თავზე დააფრქვია ხელმწიფეს, როგორც ეს წესჩვეულებად აქვთ საქართველოში, სადაც ხელმწიფეს თავზე აფრქვევენ [ფულს]. შაჰი მას უბრალოდ და გულწრფელად სიყვარულით მოეხვია და, როგორც მოხუცებულს, ბევრი პატივი და წყალობა უძობა. ის მუდამ შაჰის მეჯლისის მონაწილე და შაჰის თანამოსაუბრე იყო. აგრეთვე თაჰმასბ-ყული-ხანი, მელიქ მირმანის სომხითის ძე,<sup>56</sup> შაჰის პირადი

43

ლოლამი, სასახლეში მიღებულ პირთა რიგებს რომ ეკუთვნოდა, წავიდა სიმონ-ხანის შვილის გიორგი-ხანის<sup>57</sup> მოსაყვანად, რომელიც მისი მამის დაჭერის შემდეგ ქართლში თავის სამკვიდრო ქვეყანაში იჯდა მმართველად. მანაც თავისი ბედის ყველა კარი გადაკეტა, ციხის ძირს მაღალ ბანაკში მოვიდა, სამოთხისებურ მეჯლისში (ე. ი. შაჰთან) საუბრით განდიდებული შეიქნა, ხელმწიფური წყალობით შეიმოსა და გამორჩეულ იქნა.

ჰასან-ხანი ზოგიერთ ამირთან ერთად გაიგზავნა სათარეშოდ მესხეთის ხალციხეზე, რომელიც სიმონ-ხანის სიძის მანუჩარ-ხანის<sup>58</sup> „ოლქა“ იყო და ოსმალებს ჰქონდათ დაკავებული. მან ეს სამსახური სასურველად შეასრულა, მრავალი ქალი და ბავშვი ურჯულო ქართველებისა დაატყვევა და უვნებლად და კეთილად დაბრუნდა.

### **ჰიჯრის 1013 (1604/5) წელი, შაჰ-აბასის გამეფების მე-18 წელი**

საქართველოს ხელმწიფეთაგან სიმონ-ხანის შვილმა გიორგი-ხანმა ქართლის მეფემ, იმ მიზეზით, რომ ვაი თუ თბილისსა და ახალციხეში [მდგარმა] ოსმალებმა შეაწუხონ ჩემი ქვეყანაო, წასვლის ნებართვა მიიღო, ძვირფასი ხალათებით დაჯილდოებული და სხვა წყალობით და მოკითხვით განდიდებული, „წყალობის ზღვაში ჩაძირული“, საქართველოსაკენ გაემართა. ხოლო ალექსანდრე-ხანი ისევ მაღალ ბანაკში იყო. დიდებული დროშები (ე. ი. შაჰი თავისი ამალით და ჯარით) ჩოხურ-საადის საქმეების მოწესრიგების შემდეგ ციხის კედლებიდან წამოვიდა და ყორხ-ბულაღში დადგა.

**ამბები და გარემოებანი, რომლებიც მოხდა საზაფხულო სადგომებზე [ყოფნის] დროიდან ოსმალთა სარდლის ჯეღალ ოღლის მოსვლამდე**

იმ დღეების ამბებიდან [ალსანიშნავია] ალექსანდრე-ხანის შვილის

დაუდ-ხანის<sup>59</sup> მოსვლა, რომელმაც წაართვა [მეფობა] თავის მამას და მისი ადგილი დაიჭირა. ის დიდხანს არ დამტკბარა სიცოცხლით და ძალაუფლებით და გარდაიცვალა ბუნებრივი სიკვდილით. მას ორი ვაჟი დარჩა, უფროსს თეიმურაზი<sup>60</sup> ერქვა, უმცროსს – ქეშიშინ<sup>61</sup>. ისინი იმ გვარის ზოგიერთ მანდილოსანთან ერთად მაღალ ბანაკში მოვიდნენ შაჰის სამსახურად.

### **შაჰის გამგზავრება სამეფო ქალაქ თავრიზს, იმ სურნელების მფრქვეველ ქალაქში საზამთროდ დადგომა და სიხარულისა და ლხენის აღმძვრელი ამბები**

როცა სარდალ ჯელალ ოღლის ვანის<sup>62</sup> მხარეს დაბრუნების ამბავი გამოირკვა, [შაჰი] სამეფო ქალაქ თავრიზისაკენ გაემართა, ხსენებული

44

ხეობიდან, სადაც ძლევამოსილი ბანაკი იდგა, დაიძრა და ბედნიერ საათს და სასიკეთო დროს ქალაქში შევიდა. იქ მოეწყო საზამთროდ და [სხვადასხვა], ადგილებიდან გადმოსახლებულ რაიათებს რომელნიც ყველგან იდგნენ, შაჰმა თავის მწყალობელი ხასიათის გამო სურსათ-სანოვაგე და ყველაფერი, რაც საჭიროა ზამთრისათვის, დივანის ქონები-უწყალობა. და რადგანაც ღმერთს განზრახული ჰქონდა ერევნის ოლქის სომხების ძირიან-ფესვიანად მოსპობა, იმ ზამთარს აუარებელი ხალხი ამ ტომისა სასიკვდილო სენმა შეიპყრო უცხო ქვეყანაში და დაიხოცა. გაზაფხულზე, რადგან იმ ქვეყანაში მტკიცე მდგომარეობა არ იყო, მეტისმეტი სიბრალულისა და თანაგრძნობის გამო შაჰმა ბრძანა რომ ერთი ჯგუფი ხსენებული სომხებისა, რომელნიც გადარჩენოდნენ სიკვდილის კლანჭებს, სასწრაფოდ წასულიყო და თავი შეეფარებინა ისფაჰანს, ერთხან იქ ყოფილიყო მოსვენებული და თავისუფლად ეცხოვრა. მრავალი ხალხი დაიძრა და წავიდა თავის სახლკარით. ისფაჰანის ოლქებში მათ ეწყალობათ სახნავ-სათესად ადგილები და თესლი და აგრეთვე ამავე მიზნით მათ ორი-სამი ათასი თუმანი მისცეს დივანის ქონებიდან<sup>63</sup>.

ერევნის მმართველი ამირგუნე-ხანი იმ ზამთარს ნახჭევნის მმართველ მა'სუდ სულთანთან და სხვა ხელქვეითებთან ერთად ალინჯაყში<sup>64</sup> იდგა საზამთროდ. ქერმანის<sup>65</sup> მმართველი განჯალი-ხანი მარაღაში<sup>66</sup> გაგზავნეს საზამთროდ, ხოლო სხვა ამირებმა წასვლის ნებართვა მიიღეს და თავ-თავიანთ ოლქებს მიაშურეს, რათა ლაშქარი მოეწყოთ, შეიარაღებინათ და გაზაფხულის დასაწყისში ძლევამოსილ ბანაკს [შაჰისას] შეერთებოდნენ. ოიმახების მამასახლისებს სასტიკი ბრძანება მიეცათ, რომ თითოეულ მათგანს სრული სია შეედგინა თავის ელის და ოიმახის კომლებისა, რომელნიც ერაცა და აზერბაიჯანში იყვნენ, რათა, რაკი რჯულისა და სარწმუნოებისათვის წარმოებდა ბრძოლა, თითოეული ფენა [სალაშქროდ] მომზადებულიყო, როგორც მოლაშქრეს შეეფარებოდა და, მსახური იყო თუ არ იყო, გაზაფხულის დასაწყისში წამოსულიყო და ძლევამოსილ ამაღას შეერთებოდა. ამ საქმეზე დანიშნულ იქნენ ბაჰრამის შემტევი ძალის მქონე ყორჩიები<sup>67</sup>.

რადგანაც შირვანის ველაიეთის მმართველობა დანიშნული ჰქონდა დიდ ბატონიშვილ კონსტანტინე-მირზას, ალექსანდრე-ხანის შვილს,

[და შეთანხმებული იყვნენ], რომ როცა მაღალი ღვთის წყალობით ის დაპყრობილი იქნებოდა, მას უწყალობებდნენ, ალექსანდრე-ხანმა ახლა შაჰის წინაშე ვალდებულება იკისრა, თავისი ვაჟი მასთან ერთად გაეგზავნა შირვანში. თვითონ საქართველოს ლაშქრით დაეხმარებოდა თავის შვილს და ამ ზამთარში, როცა შირვანში მყოფ ოსმალებს არსაიდან მოუვიდოდათ შეწევნა, იმ ველაიეთს დაიპყრობდა, კონსტანტინეს გა-

45

დასცემდა და ამ კეთილი სამსახურით თავის ერთგულებას დაუმტკიცებდა მის უდიდებულესობას. თუმცა შაჰისათვის ცხადი იყო, რომ მისი სიტყვები წრფელი არ იყო და მის ნამდვილ მიზანს ის შეადგენდა, რომ თავის ქვეყანაში დაბრუნებულიყო მაგრამ... კონსტანტინე-მირზას ხელმწიფური ყურადღება მიაპყრო და ამირთა ამირობისა და ხანობის მაღალი წოდების ბოძებით აღამაღლა. რამდენიმე კაცი, რომელნიც ამირობისათვის შესაფერისი იყვნენ, ამირობის ხარისხით განადიდა, შირვანში სამფლობელოები („ოლქა“) უბოძა და არდებილში გაგზავნა. რათა იქ თავისი და ლაშქრის საქმეები მოეწყობა და ამოცანის შესრულებას შედგომოდნენ. გამოვიდა უმაღლესი ბრძანებულება: არდებილის, არშაყის, თალიშის<sup>68</sup> და იმ საზღვრების ელთა და ოიმახთა ყველა კაცი კონსტანტინე-ხანის და შირვანის ამირების მსახურებად ჩადგეს, არავინ წინ აღუდგესო.

შაჰმა ხელმწიფური პატივი სცა ალექსანდრე-ხანს, დიდებული და ძვირფასი ხალათებით, თაჯით, ჯილით, მურასა ქაშრით და სხვა საკადრისი საჩუქრებით დააჯილდოვა. მისი ვაჟი თეიმურაზი თავის სამსახურში ჰყავდა, ხოლო დანარჩენმა შვილებმა და მანდილოსნებმა იმ ოჯახისამ, რომელნიც მაღალ ბანაკში იყვნენ, წასვლის ნებართვა მიიღეს და მამა-შვილთან ერთად გაემგზავრნენ [თავის ქვეყანაში].

ამირები, რომელნიც კონსტანტინეს თანამხლებელად და ხელქვეითად დაინიშნენ, აქ უნდა ჩამოვთვალოთ: შაჰმირ-ხანი, რომელიც; წარმოშობით შაქის ველაიეთის ძველ ვალიებს ეკუთვნოდა, ერთ დროს შაჰის კარზე მოვიდა, „მორჩილების მიწას შუბლი შეახო“, ხელმწიფემ მას ერთგულების საზღაურად, შაქის სამკვიდრო ველაიეთის მმართველობა და პყრობა უბოძა და ხსენებულ ამირთა ამირთან (კოსტანტინესთან) ერთად გაგზავნა [შირვანში], შამსი-ხან ყაზაყლარი, რომელიც თავის ხელქვეითებთან ერთად ყარაბაღში რჩებოდა და ოსმალებთან ფაშობის ხარისხი ჰქონდა მოპოვებული. ერევნის ციხის კედლებთან შაჰის კარზე მოვიდა, ერთგულება და თავდადება განაცხადა შეწყალებულ იქნა და ხანის წოდება მიიღო. ამჟამად [ის] შირვანის ამირთა რიგში იქნა მოქცეული. შემდეგია ალი-ხან მოვაფეყი, რომელიც ყარაბაღის ოსმალთაგან იყო. იმ დროს, როცა კონსტანტინე-ხანი შაჰის კარიდან საქართველოში წავიდა მამის სანახავად, ხსენებული ალი-ხანი მას ყარაბაღში შეხვედრია და მრავალნაირი დახმარება და ხელშეწყობა გაუწევია მისთვის, ოსმალებში მას ალი-ბეგ მონაფეყს უძახოდნენ. ისიც მოვიდა შაჰის სამსახურად ერევნის ციხის კედლებთან, ამირობა და ხანობა მიიღო და დადგენილ იქნა, რომ ის შამლუს ოიმახში ჩაირიცხებოდა და ამიერიდან ალი-ხან მოვაფეყს უწოდებდნენ. მასაც შირვანში „ოლქა“ მისცეს და კოსტანტინე-ხანთან ერთად გაგ-



ზავნეს. კიდევ [სხვა] ბექთაშ-სულთანი, მოჰამედ-ხან მოვისილუ თორქემანის ვაჟია, რომელსაც ნათესაური კავშირი ჰქონდა კონსტანტინე-ხანთან. ამ უკანასკნელის თხოვნით ამირობის ხარისხი და სულთნის წოდება მიიღო და შირვანის ამირთა რიგში მოეწყო. სხვები თიზრუ-სულთან მოყადამი, ახი-სულთან ჯაგირი, ალი-ხან სულთან შამს ადდინლუ, სარდარ მაჰმუდის ვაჟი, ალი-სულთან არეში და მისი უდიდებულესობის ამაღლის მეთოფეთა ერთი რაზმი კონსტანტინეს თანამხლებლებად დაინიშნენ.

რადგანაც ამ ხალხს ყუინ-ულმის გადასასვლელთან უნდა გადაეღაზა მდინარე მტკვარი, რომელიც განჯასთან ახლოს არის, იმ მოსაზრებით, რომ განჯისა და შირვანის ოსმალებს ვნება არ მიეყენებინათ [მათთვის], გადაწყდა, რომ ზულ-ფაყარ-ხან ყარამანლუ არდებილიდან და ჰოსეინ-ხან ზიად ოღლი არესბარიდან თავისი ჯარით და ლაშქრით გაჰყოლოდნენ ალექსანდრე-ხანს და კონსტანტინე-ხანს მდინარის ნაპირამდე, უვნებლად გადაეყვანათ ისინი მტკვარზე და უკან დაბრუნებულიყვნენ. ისინი ჯერ დარ ალ-არშად არდებილში წავიდნენ, მისი უწმინდესობის წმინდანთა მეუფის (შეიხ სეფი ედ-დინის) და შეიხების – ღმერთმა აკურთხოს მათი სული – საფლავებზე ილოცეს... ოდენობით ორი-სამი ათასი კაცი ყიზილბაში შეაგროვეს და დავალების შესასრულებლად გაემართნენ. ზულ-ფაყარ-ხანმა და ჰოსეინ-ხანმა, შაჰის ბრძანების თანახმად, ისინი მდინარეზე გადაიყვანეს და უკან დაბრუნდნენ.

კონსტანტინე-ხანი შირვანის ამირებთან ერთად თავის მამის საქართველოსკენ გაემართა, რათა ქართველთა ჯარი შემოეერთებინა და შირვანის ველაიეთის დასაპყრობად წასულიყო. მისი და საქართველოსა და შირვანში მომხდარი ამბების აღწერილობა მომავალი წლის მოვლენებში იქნება მოთხრობილი ღვთის დახმარებითა და შეწევნით.

**ჰიჯრის 1014 (1605/6) წელი, შაჰის გამეფების მე-19 წელი  
საქართველოსა და შირვანში მომხდარი ამბები, კონსტანტინე-ხანის  
ბრძოლა ოსმალებთან და გამარჯვების მოპოვება ჟამთა ხელმწიფის  
იღბლის ძალით**

გასული წლის ამბებში აღწერილ იქნა, რომ შირვანის ველაიეთის მმართველობა და ფლობა კონსტანტინე-ხანისათვის იყო განკუთვნილი. ის ამირებით და ჯარით, ალექსანდრე-ხანთან ერთად საქართველოში წავიდა, რათა იქიდან მაღალი ღმერთის დახმარებით შირვანზე წასულიყვნენ რამდენსაც არ ელაპარაკებოდა კონსტანტინე-ხანი შირვანზე წასვლის შესახებ, მამამის ვითომ არ ესმოდა, განგებ აჭიანურებდა. [დროს] და სრულებით არ აპირებდა [თავისი] შვილის საქმის შესრულებას. [ალექსანდრეს] ვაჟი ჰყავდა, სახელად გიორგი-მირზა,<sup>69</sup> რომელიც

თავისი მამის ტახტის მემკვიდრე იყო. ისიც სრულებით არ იყო იმის თანახმა, რომ კონსტანტინე-ხანს, რომელიც ისლამის კეთილშობილებით იყო მოსილი, მის მეზობლად ჰქონოდა ძალაუფლება და მამას უშლიდა [დათანხმებას]. ასე რომ, მოთმინება ყოველ საზღვარს გადასც-

და და ყიზილბაშ ამირებს მეტის მოთმენის და მოცდის ძალა აღარ ჰქონდათ და [ალექსანდრეს მხრით] დახმარებაზე იმედი გადაუწყდათ. მათთვის ცხადი შეიქნა, რომ ალექსანდრე-ხანი და გიორგი-მირზა იმას ელოდნენ, თუ როგორ დამთავრდებოდა ყიზილბაშთა ჯარისა და ოსმალთა სარდლის საქმე [იმ] წელს და ვის მხარეზე იქნებოდა გამარჯვება, რათა მომენტის შესაფერისად მოქცეულიყვნენ. ყიზილბაშები ვეღარ ითმენდნენ [ასეთს მდგომარეობას].

ერთ დღეს კონსტანტინე-მირზა ამირებთან ერთად თავის ბანაკიდან გამოვიდა ცხენით და მამის სადგომში მივიდა. მან ძმაც იხმო, შირვანზე გალაშქრების შესახებ დაუწყო ლაპარაკი და მკვახე [სიტყვებით მიმართა მათ]. თუმცა ამგვარად ელაპარაკებოდა (ე. ი. ასეთი კატეგორიული ლაპარაკი ჰქონდა), მაგრამ ალექსანდრე-ხანმა რამდენიმე მიზეზი მოიხსენია და ის (კონსტანტინე) ქართველებში დასტოვა, თვითონ კი თავის ოთახში წავიდა. გიორგი-მირზაც მამის მსგავსად მოიქცა და თავისი სადგომისაკენ გაემართა. კონსტანტინე-ხანმა მათი ასეთი ქცევა და უყურადღებობა ვეღარ აიტანა, ძმას დაედევნა და როცა დაეწია, დაუწყო ქართულად ლანძვლა. ის გაჩერდა და ძმის ამ სიტყვებზე პასუხი გასცა. კონსტანტინე მასთან ახლო მივიდა, „სისხლის მღვრელი მახვილი იშიშვლა შურისძიების ქარქაშიდან“, დაჰკრა მას და თვალის დახამხამებაში გაათავა. იქიდან გამობრუნდა და მამის ოთახში (ხალვათ-ხანაში) წავიდა, ამირებიდან შაჰმირ-ხანი და ალი-ხან მოვაფეყი მასთან ერთად შევიდნენ ხალვათხანაში. ბექთაშ-სულთან მოვსილუ თორქემანი ყიზილბაშების ერთი ჯგუფით გარეთ იდგა. მან (კონსტანტინემ) მამას ქართულად დაუწყო ლაპარაკი. მამა უგუნურად მის ლანძვას მოჰყვა. ამ დროს შეიტყო მან გიორგი-მირზას [მოკვლის] ამბავი, ყვირილი ასტეხა და ქართველ აზნაურებს უბრძანა დაეხოცათ ყიზილბაშში ამირები. ალი-ხან მოვაფეყი ხმლით ეცა მას, შაჰმირ-ხანმა კი ბოლო მოუღო. ორმა თუ სამმა აზნაურმაც, რომელთაც ხმლები იშიშვლეს ალექსანდრე-ხანის საშველად იგივე [მწარე] შარბათი [სიკვდილისა] შესვეს. ყიზილბაშთა ლაშქარი კონსტანტინე-ხანისა და ამირების გარშემო შემოკრბა.

ქართველმა აზნაურებმა დაინახეს, რომ ალექსანდრე-ხანი და გიორგი-მირზა ორივე მოკლული იყო და ოთხასი თუ ხუთასი ქართველი. რომელნიც მამინ იქ იყვნენ, კონსტანტინე-ხანს და ამირებს ვერ მოერეოდა. დამორჩილების გარდა, სხვა გზა არ ჰქონდათ. ყველა კონსტანტინე-ხანს დაემორჩილა. კონსტანტინე მამისა და ძმის ხაზინას და

48

განძს დაეპატრონა და საქართველოს სრულუფლებიანი მბრძანებელი გახდა. ლაშქარს ულუფა და ჯამაგირი მისცა და შირვანში გალაშქრების [მზადება] დაამთავრა. ის ყიზილბაშთა და ქართველების ჯარით, რომელიც დაახლოვებით ათი ათასი კაცისაგან შედგებოდა, შირვანზე წავიდა. ეს გასაოცარი და სამაგალითო ამბავი ამ წლის დასაწყისში მოხდა.\*

როცა კონსტანტინემ ფეხი შესდგა შირვანში, მოსახლეობისა და წარჩინებულების უმრავლესობამ მორჩილება გამოუცხადა კონსტანტინე-ხანს. შაქის მმართველმა შაჰმირ-ხანმა და ზოგიერთმა ამირმა, რომელნიც წინამავალ ჯარში იყვნენ, ყაბალას<sup>70</sup> სანახებში იქაურ მმართველთან მოჰამედ ემინ ფაშასთან ბრძოლა გამართეს და დაამარცხეს

იგი. მოჰამედ ემინ ფაშა, რამდენიმე ოსმალთან ერთად მოკლულ იქნა. ვინც სიკვდილს გადაურჩა, სიმაგრეში შევიდა და ციხის დაცვის საქმეს შეუდგა. ძლევამოსილი ლაშქარი [ციხილბაშებისა] ციხეს შემოადგა და ყაზალას გარემოცვა იწყო. მოამზადეს კიბეები და ციხის ასაღებად საჭირო [სხვა] იარაღი.

როცა კონსტანტინე-ხანის და ამირების მოსვლის ამბავი შირვანის ბეგლარბეგის ჯელალ ოღლის შვილმა მაჰმუდ ფაშამ გაიგო, მან ოსმალთა ჯარისკაცები, რომელნიც სხვადასხვა მხარესა და კიდეს იყვნენ, შემახაში<sup>71</sup> შეაგროვა და ზარბაზნებით, ურმებით და სხვა საომარი საშუალებებით შემახიდან გამოვიდა. კონსტანტინე-ხანმა ერთი ნაწილი [თავისი ლაშქრისა] ყაზალას ციხესთან დასტოვა, დანარჩენი ჯარით კი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად მიბრუნდა. მოწინააღმდეგენი ერთმანეთს მდინარე აყ-სუზე<sup>72</sup> შეხვდნენ. ბრძოლისა და ხოცვის ცეცხლი გაჩნდა. ოსმალებმა პირველ ხანებში არაფრად ჩააგდეს ციხილბაშები და გაბედულად გამოაჭენეს ცხენები, მარჯვენა და მარცხენა ფრთების ჩარხჩიების რაზმს სძლიეს და [მთავარ] რაზმზე მიდენეს ისინი ისე, რომ კინადამ უბედურება დაატყდა [ციხილბაშთა] ძალოვან ლაშქარს. ციხილბაშთა ჯარი ღვთის წყალობას და შაჰის იღბლის ძაღს მიენდო, ლაშქრის ცენტრმა გულოვნად და გაბედულად შეუტია მტერს და მამაცურად დაესხა თავს მის რიგებს. მარჯვენა და მარცხენა ფრთების მეომრებიც, რომელნიც გამორბოდნენ [ბრძოლიდან], შებრუნდნენ და თვალის დახამხამებაში მტრის რიგები გააბნიეს და გაფანტეს. მტერი დამარცდა. ჯელალ ოღლის შვილმა მაჰმუდ ფაშამ, შემფოთებულმა და გაუბედურებულმა, ბრძოლის ველი მიატოვა და გაიქცა. ძლევამოსილი ლაშქარი [ციხილბაშებისა] მას დაედევნა და ურიცხვი ხალხი დახოცა ოსმალების ჯარიდან.

\* ე. ი. ჰიჯრის 1014 წ. დასაწყისში, რაც 1605 წლის მაისის თვეს შეესაბამება.

ასეთი შემთხვევა მოხდა, რ ომ მაჰმუდ ფაშა წინ შეეჩეხა კონსტანტინე-ხანს. ის (კონსტანტინე) მიხვდა, რომ მაჰმუდ ფაშა იყო, ისე ახლოს მივიდა, შუბის წვერი უნდა ებგერებინა მისთვის ჯავშანში და ხაფთანში, [მაგრამ] ამ ბრძოლასა და ჭიდილში ისარი მოხვდა და დაიჭრა. ჭრილობის გამო ვეღარ შესძლო შეტევა. თიზრუ-სულთანიც ერთ მანძილზე სდევდა მას (მაჰმუდ ფაშას), მაგრამ რადგანაც ტყვედ ჩავარდნა არ ეწერა მისი ბედის ფიცარზე და ციხილბაშებმაც დაინახეს, რომ კონსტანტინე-ხანი დაიჭრა, ამიტომ გაქცეულების დევნა შეწყვიტეს და ნადავლის შეგროვებას შეუდგნენ.

მაჰმუდ ფაშამ უვნებლად დააღწია თავი ბრძოლას, გადარჩენილი ჯარით შემახას ციხეში შევიდა და ციხის დაცვის თადარიგს და კომპების და გალავნის გამაგრებას შეუდგა. იმ რაზმმა, რომელიც ყაზალას ციხის ალყისათვის იყო დატოვებული, აღარ მოიცადა იქ და ბრძოლის ველზე მოვიდა იმ დროს, როცა ოსმალები [დამარცხებული] გარბოდნენ. ორი ათასამდე ოსმალთა მოიკლა ამ ბრძოლაში. ყაზალას ციხის მცველებმა რომ ოსმალების ჯარის დამარცხებისა და ციხილბაშთა ლაშქრის გამარჯვების ამბავი გაიგეს, ციხე დასცალეს და გაიქცნენ. სხვა ციხეების ქუთვალეებმაც ხელი აიღეს მათ დაცვაზე და შემახაში

მოგროვდნენ. შემახას ციხის, ბაქოს და დარუბანდის გარდა სხვა ციხე ოსმალებს ხელში [უკვე] აღარ დარჩენოდათ.

კონსტანტინე-ხანმა, როგორც ეს განზრახული იყო მისი შაჰთან ყოფნის დროს, ყველგან „ოლქები“ დაურიგა ამირებს. შირვანის მთელი მოსახლეობა და წარჩინებულები დამორჩილებულ იქნენ. საქართველოსა და შირვანში [არსებული] მდგომარეობა და მომხდარი ამბები კონსტანტინემ შაჰს მოახსენა მალემსრბოლთა მეშვეობით, თავრიზში სიხარულის ნაღარას დაჰკრეს. მისი (კონსტანტინეს) მოლაზემებიც მოჰყვებენ [გამარჯვების ამბის მომტანთ], მოკლულთა თავები, თორმეტი „ალაი“, რაც დროშას ნიშნავს, და რამდენიმე ცოცხალი ტყვე შაჰის კარზე მოიყვანეს. შაჰის ბრძანებით ქართველი და ჩერქეზი ღოლამები მიეგებნენ მათ. მოკლულთა თავები, ტყვეები და ხსენებული დროშები საჰეზადის მოედანზე შაჰს წარუდგინეს. მისმა უდიდებულესობამ, ღვთის ჩრდილმა შაჰმა, ხელმწიფური მწყალობლობის გამო, ამ გამარჯვებისათვის მას და მის თანამშრომელთ გაუგზავნა დიდებული საჩუქრები და ჯილდო, რომელიც მურასა თაჯისა და ქამარ-ხანჯლის, მურასა ხმლის, მურასა ლაგამ-უნაგირიანი არაბული ცხენის და სხვა საკადრისი საჩუქრებისაგან შედგებოდა.

კონსტანტინე-ხანმა რამდენიმე დღე დაჰყო [იქ] ჭრილობის სამკურნალოდ და, როცა მკურნალობა ბოლოს დასრულდა, შემახაზე მოვიდა და ციხის გარემოცვა იწყო. რადგანაც მას მომზადებული არ ჰქონდა

50

ციხის ასაღებად საჭირო იარაღი, ამიტომ შაჰის კარიდან გამოითხოვა ზარბაზნის ჩამოსასხმელი ხელსაწყო, ტყვია-წამალი და რამდენიმე კაცი მეზარბაზნე. სასახლიდან მას გაუგზავნეს აბუ თარაბ-ბეგი თავისი მუშებით და ყველაფრით, რაც იმ საქმისათვის იყო საჭირო. როგორ დასრულდა მისი ამბავი, ეს მალე იქნება აღწერილი.

### **ქართველებსა და კონსტანტინე-ხანს [შორის] ამტყდარი შფოთი და აჯანყება, ამ უკანასკნელის გამოსვლა შირვანიდან დამარცხებულად და საწყლად**

გონიერთათვის ცნობილია, რომ ხელმწიფობის საქმეთა სადავეები ღვთის სურვილსა და ნდომაზეა დამოკიდებული და მეფობის წარმატება ქვეყნის შემოქმედის ნებასთან არის დაკავშირებული.

ლექსი: ვინ იქნება ამ ქვეყნად ძლევამოსილი,  
რომ მას მეფობა მისცეს [ვინმემ], გარდა უფლისა.

...ამის დამამტკიცებელია და ჭკუის მასწავლებელი მაგალითია ალექსანდრე-ხანის შვილის კონსტანტინე-ხანის ამბავი, რომელიც სულთან ჰამზა ხელმწიფის დროს, როგორც ეს პირველ წიგნშია აღწერილი, შაჰის კარზე იქნა გაგზავნილი მორჩილებისა და ერთგულების განსამტკიცებლად [საქართველოს მხრივ] და ბავშვობიდან დაწყებული ამ უკანასკნელ ხანამდე ბედნიერებით მოსილ სახელმწიფოში (ე. ი. ირანში) იზრდებოდა და მაღალ საფეხურებს მიაღწია. მისი უდიდებულესობის ღვთის ჩრდილის (შაჰ-აბასის) დროს წინანდელზე უფრო მეტად იქ-

ნა ხელმწიფის მიერ პატივცემული და ნაწყალობევი და მის მიერ და-  
ახლოვებული. დღითიდღე მისადმი სიყვარული და ნდობა [ხელმწი-  
ფისა] იზრდებოდა, ისე რომ აზერბაიჯანზე გალაშქრების დროს შირვა-  
ნის მმართველობა მისთვის იქნა დანიშნული. [როცა შაჰი] საზამთროდ  
თავრიზში იყო, ის მამასთან ერთად იქ მივიდა და, როგორც [ამ] წლის  
დასაწყისის ამბებში იყო აღწერილი, საქართველოში მამა და ძმა და-  
ხოცა, დამოუკიდებლობა და თვითმპყრობელობა მოინდომა და მმართვე-  
ლობის დროშა ააფრიალა. იქიდან მრავალრიცხოვანი [ჯარით] შირვანს  
გაემართა და შემახას ციხეს ალყა შემოარტყა. თუმცა გამბედავი, გუ-  
ლადი და მამაცი ყმაწვილი იყო: მაგრამ იმ მცირე გავლენის გამო, რო-  
მელიც მას შაჰის წყალობით მოეპოვებინა მეტად ქედმაღალი და  
ამაყი გამხდარიყო და ამ სიამაყისა და ქედმაღლობის გამო ბევრ ყურად-  
ღებას არ აქცევდა და არად აგდებდა თავის თანამშრომელ ამირებს. ამი-  
რები, რომელნიც ფირმანის თანახმად მის ბრძანებას ემორჩილებოდნენ;  
ხელმწიფის განრისხების შიშით, მის მბრძანებლობას და უფროსობას,

51

ითმენდნენ და ხმის ამოღება არ შეეძლოთ. ხოლო ქართველები ორი  
მიზეზის გამო ვერ ურიგდებოდნენ მას, მალე შესძაგდათ მისი ბატონო-  
ბა და უღალატეს კიდევ. ერთი მიზეზი ის იყო, რომ ის სხვა რჯული-  
სა, მუსლიმანი იყო, ქართველებს კი ქრისტიანი მეფე უნდოდათ,  
მეორე ის იყო, რომ ალექსანდრე-ხანს ქართველ აზნაურებთან გახსა-  
კუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა და მათი კანონებით ნაიბები და  
ჰაჯიბები არ არსებობდნენ, იასაულების და ეშიკადასების მიერ მეფეს-  
თან [თავისუფლად შესვლის] დაშლა არასოდეს ენახათ. ხალხი, რომე-  
ლიც ყოველთვის დაუბრკოლებლად შედიოდა ალექსანდრე-ხანის ხალ-  
ვათხანაში, ახლა ყოველ ორ დღეშიც ვერ წარუდგებოდა [კონსტანტი-  
ნეს] დივანხანაში. მისი მეფური ქცევისაგან ნაწყენი იყვნენ და ერთმა-  
ნეთს შეეთქვნენ, რომ მოხერხებულ დროს ალექსანდრე-ხანის სისხლის  
ასაღებად მას (კონსტანტინეს) მოსპობდნენ ალექსანდრე-ხანის ორ  
შვილიშვილს, რომლებიც მას თან ჰყავდა, წამოიყვანდნენ და საქარ-  
თველოში წამოვიდოდნენ. თუმცა ერთმა მისმა კეთილისმსურველმა მას  
აცნობა ქართველების შეთქმულების შესახებ, მაგრამ ის თავის დიდი  
ამაყობისა და დაუდევრობის გამო, არ შეეცადა ამ შეთქმულების განა-  
დგურებას და მოინდომა იმ რამდენიმე გავლენიანი ქართველის მოსპო-  
ბა, რომლებიც შფოთის მიზეზი იყვნენ. ის მოეთათბირა ხოჯა ზია-  
ედ-დინ ქაშის, ალექსანდრე-ხანის ვეზირს, რომელიც იმ დროს მისი (კონ-  
სტანტინეს) ვეზირი იყო. იმ უგუნურმა ვეზირმა ქართველების შეთ-  
ქმულება ტყუილად ჩასთვალა, უვიც ხანს იმ განზრახვაზე ხელი ააღე-  
ბინა, დაამშვიდა [და უთხრა], თუ შენ ხელს გაისვრი ერთი მათგანის  
მოკვლით, ეს მთელი იმ ხალხის შიშისა და შემფოთების მიზეზი გახ-  
დებო, თვითონ იმ ტომის (ქართველთა) დიდებულებთან ლაპარაკი გა-  
მართა და დარწმუნება და დარიგება დაუწყო. ქართველებმა თქვეს,  
ხანი ჩვენი კეთილისმყოფლის შვილია და მისგან არავითარი შეწყუბება  
არ განგვიცდია, მაგრამ რადგანაც ლაშქრობა გაგრძელდა, გაზეზრე-  
ბული ვართ და შირვანში დარჩენა აღარ შეგვიძლიაო. ბატონმა ვეზირ-  
მა გადასწყვიტა, რომ მათთვის მიეცათ ერთი თვის სარგო ხანის სარქრი-  
დან<sup>73</sup> და ერთი თვის შემდეგ საქართველოში გაემავათ ისინი, ეს გადა-

წყვეტილება მოახსენა ხანს, ის გულუბრყვილო ხანიც დაამშვიდა მათი აჯანყების მხრივ და დანდობილი გახადა. მაგრამ დარწმუნება და დარიგება იმ ხალხისა უსარგებლო გამოვიდა და ისინი უფრო მტკიცედ დადგნენ თავისი განზრახვის შესრულებაზე. შუაღამეს, როცა ისინი ქეშიკში<sup>74</sup> იდგნენ, ქართველი აზნაურები ამოღებული ხმლებით ბატონი ხანის კარავში შეიჭრნენ და ჯანყი და ყვირილი იწყეს. შაჰის საკუთარმა მოლაზემმა ყარაბირმა, რომელიც [კონსტანტინესთან] იყო გამოგზავნილი შაჰის მიერ, შეიტყო ეს, მაშინვე მივარდა მის კარავში და უღარ-

52

დებობის ძილიდან გააღვიძა ის. მანაც გაცეცხულმა კარვის უკანა მხარე ხმლით გააპო, გარეთ გავარდა და ალი-ხან მოვაფეყის კარავში მივიდა აჯანყებული ქართველები კარავში შეცვივდნენ. [კონსტანტინეს] მსახურ ორ მთვარისსახიან ახალგაზრდას ეძინა იქ. იფიქრეს, ერთი მათგანი კონსტანტინე არისო, და ღალატის ხმლით აკუწეს ისინი; მეორე ჯგუფი იმ კარვისაკენ გაემართა, სადაც ალექსანდრე-ხანის შვილიშვილები ჰყავდათ, მათ ხელი დასტაცეს და თავის ხროვას შეუერთდნენ. კონსტანტინე-ხანი, რადგანაც ჯერ მისი სიცოცხლის აღსასრული არ მოსულიყო და ღვთის განგებით კიდევ რამდენიმე დღე დარჩენოდა ბატონობისა, იმ საფრთხეს გადაურჩა და ალი-ხანის კარავს უვნებლად მიაღწია. ყველამ ის იფიქრა, რომ ქართველები შეთქმული არიან ოსმალებთან და მათი დახმარების იმედით მოჰკიდეს ხელი ასეთს საქმესო. ალი-ხანის სადგომთან ქარანას დაამახეს, ყიზილბაშები რომელნიც სიბაში<sup>75</sup> და სანგრებში იყვნენ, იქ შეგროვდნენ. იმ საშინელ ღამეს დიდი ჯანყი და განგაში მოხდა, ქართველები ქარანას ხმაზე და ჯარის შეყრაზე მიხვდნენ, რომ კონსტანტინე-ხანს ვნება არ მოსვლოდა, თავისი უფლისწულები აიყვანეს და ყველანი საქართველოს გზას გაუდგნენ. ხანი დიდებულ ამირებთან ერთად ერთ წუთს ცხენზე მჯდარი იდგა, [შემდეგ] ქართველებს დაედევნა, რომ შეიძლება სამაგიერო გადაეხადათ ან ქართველი უფლისწულები, რომლებიც მათი (ქართველების) ხელჩასაჭიდი (دست‌آویز) იყვნენ, წაერთმიათ. ცუდად განსაჯეს, ბანაკი თვისი ციხის კედლებთან დასტოვეს და [ისე] წავიდნენ.

მზის ამოსვლისას კონსტანტინემ მცირე რაზმით სხვებზე წინ მიაღწია ქართველებამდე. ქართველები შეჩერდნენ, საბრძოლველად მოემზადნენ და ხმამალა უყვირეს: „შენ მუსლიმანი ხარ, ჩვენ კი ქრისტიანი მეფე უნდა გყავდეს. ჩვენს შორის რომ არავითარი ლაპარაკი არ ყოფილა, შენ ვერ გენდობოდით. ახლა, როცა ეს სადავო საქმე გაჩნდა, როგორ უნდა ვიყოთ შენზე დაჯერებული. მთავარი ის არის, რომ ამ საქმეს თავი დაანებო და უკან გაბრუნდე, თუ არადა, სანამ ჩვენგან ვინმე ცოცხალია, ვიბრძოლებთ შენთან!“ რადგანაც ისინი მრავალი იყვნენ და მათთან ბრძოლა ხელსაყრელი არ იყო, დიდებულმა ამირებმა კონსტანტინე-ხანი [აიძულეს] მათი ურჩობა უყურადღებოდ დაეტოვებინა. ჩხუბი მიატოვეს, ციხეზე დაბრუნება ვეღარ გაბედეს და იმ ადგილიდანვე „გაქცევის გზას დაადგნენ“, ხელი აიღეს თავის ბარგსა და ბარხანაზე და მდინარე მტკვრის ნაპირამდე არსად ერთი წუთითაც არ დაუსვენიათ.

თიზრუ-სულთან მოყადამს ჭრილობა ჰქონდა, ცხენზე ჯდომას არ შეეძლო და ბანაკში რჩებოდა. ბანაკის ხალხი ხანისა და ამირების და-

ლაშქრის გაქცევის ამბავი მოიტანა. მეტად შეშფოთებულებმა ის (თიზრუ-სულთან) აქლემზე დააკრეს და წაიყვანეს. ეს ამბავი რომ მოხდა, ბანაკის ხალხი ისე შეძრწუნდა, რომ [თითქოს!] მეორედ მოსვლასავით თავზარი დაეცა. ოსმალების შიშით ყველამ თავისი ქონება დააგდო და თავს უშველა. ვაჭრებისა და ბანაკის ხალხის მრავალი საქონელი და ქონება დარჩა ადგილზე. ყველაზე უფრო საკვირველი ის იყო, რომ ოსმალებმა ეს ამბავი ჩასთვალეს ხრიკად და მოტყუებად და სიფრთხილის და წინდახედულების გამო თავი არ გამოუყვიათ ციხიდან. ერთი სახელოსნოს მუშა, რომელიც ავად იყო და ავადმყოფობის გამო დასუსტებულს ძალა არ შესწევდა გაქცევისა, ბანაკში დარჩა.

მოკვლის შიშით წამოდგა, ბარბაცით ქალაქის ალაყაფის კარს მიადგა და ითხოვა, შემიშვითო. კარის მცველებმა ის ქალაქში შეიყვანეს. მანაც დაადასტურა ეს საოცარი და გასაკვირალი ამბავი, რომელიც [ბანაკში] მომხდარიყო და მართლაც ეს შემთხვევა მეტად უცნაური და გასაოცარი რამ არის.

ოსმალებმა რომ დანამდვილებით გაიგეს ეს მდგომარეობა, მეტად გაუხარდათ, გარემოცვის გაჭირვებისა და ტანჯვისაგან თავი იხსნეს, კონსტანტინე-ხანის ბანაკში მივიდნენ და მრავალი ქონება და ურიცხვი სურსათ-სანოვანე ჯარისა, რაიათისა და ვაჭრებისა ხელში ჩაიგდეს და უზრუნველი გახდნენ საკვების მხრივ. ამირები, რომელნიც ხანის ამაღლასთან ერთად მტკვრის ნაპირას მივიდნენ, დაუყოვნებლივ გადავიდნენ წყალზე, ხოლო ვინც ბანაკში დარჩა [და შემდეგ აიყარნენ შეშინებული], ისინი ჯგუფ-ჯგუფად მიჰყვებოდნენ მათ უკან. როცა მათ გაიგეს ოსმალების ამბავი და ის, რომ მათ (ოსმალებმა) არაფერი იცოდნენ პირველად იმის შესახებ, რაც ბანაკში მოხდა, „სინანულის თითზე იკბინეს“, მაგრამ სინანულს არავითარი სარგებლობა არ მოუტანია.

ერთი სიტყვით, უსაზღვრო გამოუცდელობის, სიამაყისა და უგუნურობის გამო, უომრად იქნენ სამარცხვინოდ დამარცხებული კონსტანტინე-ხანი და ამირები. ისინი არდებილში მივიდნენ და ამ საქმის გამოსწორების ფიქრი იწყეს. ხსენებული ყარაბირი წყლის ნაპირიდან სასწრაფოდ მივიდა შაჰის კარზე და იმ დღეს, როცა შაჰის ბანაკი მაქუს<sup>76</sup> ციხის კედლებთან დგებოდა, ეს ამბავი მოიტანა და ხელმძღიფეს მოახსენა.

### **კონსტანტინე-ხანის მეორედ წასვლა საქართველოზე და ამ უვიცისა და გამოუცდელი ადამიანის აღსასრული მოწყალე ღვთის განგებით**

როცა შაჰმა გაიგო ქართველების აჯანყება კონსტანტინე-ხანის წინააღმდეგ და მისი წამოსვლა შირვანიდან, და ამ უკანასკნელმაც მოახსენა მას საქმის ნამდვილი მდგომარეობა და დახმარება სთხოვა, რად-

განაც ხელმძღიფე ჯერ კიდევ არ იყო დამშვიდებული ოსმალთა სარდლისა და ჯარის მხრივ (ე. ი. შაჰს ჯერ კიდევ შიში ჰქონდა ოსმალების ჯარის მოსვლისა), ამიტომ მან უშურველი ხელმძღიფური წყალობით

დააჯილდოვა კონსტანტინე-ხანი და უბრძანა. რათა საჩქაროდ მოსულიყო შაჰის ბანაკში. როცა ოსმალთა ლაშქრის ფიქრისაგან გავთავისუფლდებიო, ბრძანა შაჰმა, – და, თუ ღვთის ნება იქნა, ყარაბაღისაკენ გავილაშქრებთ, ერთ რაზმს ძლევამოსილი ჯარიდან მეშველად დავნიშნავ. რომ შირვანი, რომელიც მისთვის მაქვს მიცემული, დაიპყრას და საქართველოს საქმეებიც ისე გადაწყდება, როგორც ძლევამოსილი სახელმწიფოსთვის იქნება საჭირო და სასარგებლო.

ხსენებული [კონსტანტინე] სიამაყისა და ზვიადობის გამო, რაც მას შესძინა რამდენიმე დღის განმავლობაში [საქართველოს] დამოუკიდებელ მმართველად ყოფნამ, ანდა იმის გამო, რომ ზემოთ ხსენებული ამბისაგან სირცხვილი და უსიამოვნება მოუვიდა, და ერიდებოდა, წინანდელივით ერთგული აღარ იყო შაჰისა. მას ურჩობის ფიქრები გაუჩნდა თავში, წინააღმდეგ წავიდა შაჰის ბრძანებისა და არ მოვიდა მაღალ კარზე. საქართველოზე გალაშქრების შესახებ ნებართვა არ მიუღია თავის კეთილისმყოფელი ხელმწიფისაგან, ისე, თვითნებურად აკრიფა არდებილის ვაჭრებისაგან დიდი თანხა, ზოგი სესხად, ზოგიც ჯარიმად, დაურიგა ჯარს, შემოიკრიბა ლაშქარი და გაემართა საქართველოსაკენ იმ ამირებთან ერთად, რომლებიც მასთან იყვნენ დანიშნული. როგორც მისი თანამშრომლები. მას უნდოდა ქართველებზე შური ეძია და შემდეგ შირვანის დასაპყრობად წასულიყო. შაჰს შირვანი ჰქონდა მისთვის დანიშნული, მაგრამ საქართველო არ მიუცია. კონსტანტინე თვითნებურად შედიოდა იქ. რადგანაც ის დამოკიდებული იყო კეთილისმყოფელი [შაჰის] თანხმობაზე, ამიტომ დახმარება არ მიუღია და ბედისწერაც მისი განზრახვისა და ფიქრების წინააღმდეგი იყო.

ამ დროს ქართველებიდან მოვიდა ერთგულების [გამომხატველი] არზა, რომელშიც ისინი მრავალს ცუდს საქციელს უჩიოდნენ კონსტანტინე-ხანს და ითხოვდნენ, რომ საქართველოს მმართველად დაენიშნათ თეიმურაზი, დაუდ-ხანის შვილი, რომელიც [შაჰის] მაღალი ტახტის საფეხურებთან იმყოფებოდა. რადგანაც შაჰის მაღალი გონებისათვის ცხადი და აშკარა გახდა, რომ გამუსლიმანებულ კონსტანტინე-ხანსა, და ქრისტიან ქართველებს შორის შეუძლებელი იყო კეთილი დამოკიდებულება და ერთიანობა და რომ, თუ ხსენებული საქმე (ე. ი. საქართველოს მეფობა) კონსტანტინეს ებოძა, ქართველების აჯანყებისა და შფოთის გარდა, სხვა სარგებლობა ამას არ ექნებოდა, – ამიტომ ცხადი იყო, რომ ამ მომენტში, როცა ხელმწიფეს ასეთი დიდი საქმეები ჰქონდა განზრახული, სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვდნენ, რომ

იხიხი (ქართველები) ხელმწიფური წყალობით დაიმედებული გამხდარიყვნენ, რათა არ განეზრახათ ამ სახელმწიფოს (ირანის) ღალატი და ურჩობა: ამის გამო გამოვიდა წყალობის ბრძანებულება ქართველი აზნაურებისა და იმ [სამეფო] გვარის მანდილოსანთა სახელზე, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნის მართვის საქმეებში, და გამოგზავნილ იქნა საქართველოში ჰოსეინ-ბეგ ჯარჩი ზულ-ყადარის ხელით. ამის შესახებ ეცნობა კონსტანტინე-ხანსაც.

ხსენებული ყორჩის გამოგზავნის შემდეგ გამოირკვა, რომ კონსტანტინე-ხანი, რომელიც ასე ნაწყალობევი, განდიდებული და აღზრდილი იყო ხელმწიფის მიერ, შაჰის, თავისი კეთილისმყოფელის თანხ-



მოზისა და ნებართვის გარეშე თვითნებურად წასულიყო ქართველებზე შურის საძიებლად. შორსმჭვრეტელმა შაჰმა, რომელიც ცხოვრების გამოცდილებით იყო შემკული, სიფრთხილის თვალთ შეხედა მის არამართებულ საქციელს და სრულებით არ იწონებდა და არ ადასტურებდა იმას, რომ კონსტანტინე-ხანს წარმატებით შეესრულებინათ თავისი განზრახვა და ცდა, რადგანაც თავისი მოხუცი მამის მოკვლა, თუნდაც რომ გამართლებულიყო სარწმუნოების მიზნებით, მაინც მოსაწონი არ იყო არც ღვთისა და არც ხალხის მიერ. გარდა ამისა, საქართველოს ველაიეთის მმართველობა ხელმწიფეს მისთვის არ მიუცია. შაჰი არ აკმაყოფილებდა ამ მის მეცადინეობას და სურვილს. ამიტომაც კონსტანტინეს საქმე ვერ წავიდა წინ იმ ველაიეთში. სიჭაბუკეში და მორჭმულობაში მას მალე ხელი ააღებინა ბედმა სიცოცხლესა და ბედნიერებაზე. ჯერ კიდევ ექვსი თვე არ გასულიყო მამის მოკვლის შემდეგ, რომ თვითონ იქნა მოკლული, როგორც ამბობს ლექსი:

მამის მკვლელი ხელმწიფობას ვერა იქს.  
თუნდაც რომ ქნას, ექვს თვეზე მეტს ვერ გაძლებს.

ამ მოკლედ [ნათქვამის] ვრცლად [აღწერილობა] ასეთი იქნება:

როცა კონსტანტინე-ხანი ყაბალასთან მტკვარზე გადავიდა, მიატოვა შირვანის [დაპყრობის] საქმე და ქართველებზე შურისძიება და შფოთისა და ჯანყის ხალხის ხელით საქართველოს ველაიეთის დაპყრობა დაიწახა მიზნად და იმ ველაიეთისაკენ გაემართა. მის გარშემო შეიკრიბა მრავალი ხალხი მოლაშქრეების, ნამირალების, ლეკების, შირვანელებისა და ოთუზიექის ელისა. მოვიდა შმაჰმირ-ხანიც შაქიდან და მას შეუერთდა. ქართველი აზნაურები მისი (ე. ი. კონსტანტინეს) მოსვლის ამბის გაგონებაზე შიშმა აიტანა. რამდენიმე მათმა გამოჩინებულმა კაცმა, რომელნიც კონსტანტინე-ხანის წინააღმდეგ ქართველების ამხედრების მიზეზი იყვნენ, ალექსანდრე-ხანის შვილიშვილები და მეფის

56

იმ ოჯახს მანდილოსნები აიყვანეს და საქართველოს სანახების مولى سيد -ში\* წავიდნენ, რომელიც მთების სიმაღლის და გზების სიძნელის გამო იმ ქვეყნის საიმედო თავშესაფარი გამხდარიყო, კონსტანტინე-ხანი დადგა ქალაქ ზაგემში, რომელიც სატახტო ადგილი და იმ სამეფო გვარის სამყოფელი არის. მან წყალობის გაცემა იწყო იმ მხარის ყველა მცხოვრებლებზე, მოწინააღმდეგეებზე და მომხრეებზე, მოლაშქრეებზე და რაიათზე და ბევრმა წარჩინებულმა ქართველმა განუცხადა მას ერთგულება და, ვინც კი წინათ აჯანყებული იყო, ახლა მორჩილებით ეახლა მას. ყველა მიღებულ იქნა სამსახურად და ეპატიათ წინანდელი შეცოდებანი. კონსტანტინე-ხანმა კაცი გაგზავნა [მეფის] ოჯახის მანდილოსნებთან, განსაკუთრებით დედოფალთან\*\* რომელიც არა თუ მონაწილეობას იღებდა, მთავარი გამგებელიც იყო მათი სახელმწიფო საქმეებისა, და მოწყალე ენით აცნობა, რომ მე გარდა სამი-ოთხი კაცისა, რომელთაც მოინდომეს ჩემი მოკვლა და ამდენი-შფოთისა და არეულობის მიზეზი გახდნენ, სხვასთან არავისთან საქმე არა მაქვს და მამობრივი წყალობისა და სიკეთის გარდა სხვას არაფერს მოუვლინებ ბავშვებს, რომლებიც ჩემი ნათესავები არიან. თუ იმ სა-

მი-ოთხი კაცის შესახებაც იმუამდგომლებთ, ისინი დამორჩილდებიან და [ხელს აიღებენ] ურჩობაზე, იმათაც არავითარი ვნება არ მოუვათ ჩვენგანო. და თუ ამ საქმეში რამე ეჭვი და შიში ეპარებათ, ერთი სანდო პირი გამოაგზავნონ, რომ ფიცით დავარწმუნოთო. როცა გამოგზავნილი კაცი **سیدمادو**-ში მოვიდა, მას დედოფალი კეთილად მოეპყრა და თავაზიანად შეხვდა, მაგრამ თვალი იმისაკენ ჰქონდა, რომ პასუხი მოსულიყო არზაზე შაჰის კარიდან, რათა ისე ემოქმედათ, როგორც მისი უავგუსტოესობის ბრძანება და მითითება იქნებოდა.

რამდენიმე დღე ამ კაცთან წერილების წერაა და მის მოფერებაში, გაატარეს, ვიდრე არ მოუვიდათ დედოფლისა და საერთოდ საქართველოს დიდებულების სახელზე გამოცემული ბედნიერი წერილი [შაჰისა] და ნათელი არ გახდა, რომ კონსტანტინე-ხანი თვითნებურად მოსულიყო და მისი ცდა იმ ქვეყანაში გაბატონებისა შაჰის მიერ მოწონებული არ ყოფილა, რადგანაც სამარადისო განგებით გადაწყვეტილიყო მისი მოკვლა, იმ ხალხს იმედი მიეცა და მათი დაბნეულობა და დაღონება დამშვიდებით და იმედიანობით შეიცვალა. მათ შემოიკრიბეს თავისი მომხრენი და თანამდგომნი და დედოფალთან და ქართველ ბატონიშვილებთან. ალექსანდრე-ხანის შვილიშვილებთან ერთად მასთან (კონსტანტინესთან) ბრძოლა და ჭიდილი იწყეს.

\* ისქნდერ მუნშის თხზულების თბილისურ ნუსხაში: **سند بلو**

\*\* სპარსულ ტექსტში ნახმარია ქართული სიტყვა: **دیدہ فال** („დიდექალ“).

კონსტანტინე-ხანიც, რომელსაც იმედი დაეკარგა მათი დამორჩილებისა, მათ წინააღმდეგ გამოემართა. მდინარე **نازوو کیولان** ნაპირზე, **سیدمادو**-ს სანახებში მოხდა მოწინააღმდეგეთა შეხვედრა. ორივე მხარე შეუდგა ბრძოლისათვის მზადებას და ჯომადი მეორეს თვის ცხრას, შაბათ დღეს\*, კონსტანტინე-ხანმა მეწინავე რაზმი და მარცხენა და მარჯვენა ფრთები გააწყო, მეზარბაზნენი და მეთოფენი სათანადო ადგილებზე დანიშნა და თვითონ შაჰის მმართველთან, რომელიც ბრძოლაში გამოცდილი, ძველი მეომარი იყო, და ზოგიერთ სხვა ამირებთან ერთად ცენტრში დადგა. ქართველების მხრიდანაც საბრძოლო რიგები განაწყვეს და დაიწყო ბრძოლა. სარწმუნოებისათვის მებრძოლი ჯარის გულადებმა ზედიზედ მიიტანეს იერიში, სძლიეს ურწმუნო ქართველებს და დაანგრეს მათი რიგები ურწმუნოები სავსებით მოიცვა ძრწოლამ, ზოგი მათგანი გაიქცა და იქამდე მივიდა საქმე, რომ ისინი სავსებით უნდა დამარცხებულიყვნენ. კონსტანტინე ხანს თვალწინ დაუდგა გამარჯვების ბრწყინვალე სურათი. შაჰმირ-ხანი, ალი-ხან სულთან შამს ად-დინლუ და ზოგიერთი ამირი ცენტრში დასტოვა და თვითონ ამ იერიშების დროს რიგების გასაწყობად და ლაშქრის განსამართავად ჯარის ცენტრს გამოორდა და მარჯვენა ფრთისკენ წავიდა. მისი ღოღამი, სახელად ყარჩილა, რომელიც მას მონობიდან ამირობამდე აემალღებინა და რომელსაც ყარჩილა-სულთანს უწოდებდნენ, მარჯვენა ფრთაზე იბრძოდა. ქართველებმა მას სძლიეს და ბოლოს დაამარცხეს. მისი ხალხი გაფანტულიყო და ცენტრისაკენ მოდიოდა. კონსტანტინე-ხანმა როცა ეს სურათი იხილა, მოუთმენლად მის დასახმარებლად „სიმამაცის ცხენი გააჭენა“, პირადად ჩაება ომში და, თუმცა რაზმი არ ახლდა,

ბრძოლაში გაერია. ღვთის განგებით, ბრძოლიდან გამოქცეული რამდენიმე ქართველი შეხვდა მას. ერთმა-ორმა კაცმა იცნო ის და ამხანაგებს ქართულად დაუძახა, ეს ხანი არისო. იმათ რომ კონსტანტინე-ხანი ბრძოლის ველის ერთს ყურეში მარტო იპოვეს, შეუტიეს მას. უკიდურესი გამოუცდელობის, სიამაყის, და სიჯიუტის გამო, რასაც ადამიანები აკვიატებას უძახიან, და რადგან არ უნდოდა, რომ მცირერიცხოვან მტერს გაქცეოდა და ეპოქის მამაცთა შორის გაქცეულის სახელი დასწამებოდა, რაკი „უვიცობის ეკალი და ბრძოლის ჟინი მას კალთაზე მიეკრა“, მარტოდმარტო ურწმუნოთა იმ ჯგუფს შეება. იმ ხალხმა მას რამდენიმე ადგილას შუბი ჰკრა ჯავშანსა და ხიფთანში, ბედნიერების ცხენიდან დამცირების მიწაზე ჩამოაგდო“ და თვალის დახამხამებაში რამდენიმე მძიმე ჭრილობის მიყენებით გაათავა. ყიზილბაშთა ამირებიდან და დიდებულთაგან და ქართველთა ლაშქრიდან არავის გაუგია ეს ამბავი.

---

\* ჰიჯრის 1014 წლისა. უდრის 1605 წ. 22 ოქტომბერს.

58

ზოგიერთმა ქართველმა, რომელნიც კონსტანტინე-ხანის მომხრე იყვნენ და მისი ლაშქრის მწყობრში იმყოფებოდნენ, ამირებზე უფრო ადრე გაიგეს მისი მოკვლა, კაცი გაგზავნეს დედოფალთან, ქართველ ბატონიშვილებთან და მათ ხელქვეითებთან და [შეუთვალეს], მაგრად იდექით, ასეთი ამბავი მოხდაო. მათ კი ეს [სამხედრო] ეშმაკობად ჩასთვალეს და შეუძლებლად მიაჩნდათ, ვიდრე არ მოვიდა თვით მკვლეელი და არ მოიტანა მისი მოკვლის სასიხარულო ამბავი, რომელმაც იმ ხალხში სიხარული და ლხენა გამოიწვია.

ყიზილბაშები თავის ადგილას იდგნენ, დარწმუნებული იყვნენ გამარჯვებასა და ძლევაში და წარმოდგენაც არ ჰქონდათ მომხდარი ამბის შესახებ, სანამ რამდენიმე კაცმა პატივცემულ მსახურთა და დაახლოებულ პირთა რიცხვიდან, რომელნიც [კონსტანტინეს] არ სცილდებოდნენ ბრძოლაში და [ახლა] ეძებდნენ მას ლაშქრის მწყობრის წინ, სისხლსა და მტვერში გასვრილი მისი გვამი ბრძოლის ველის ყურეში დაგდებული არ დაინახეს. ჯარის ცენტრში მყოფ ამირებს აცნობეს [ეს ამბავი] თუმცა ამირებს უნდოდათ დაეფარათ ეს შემთხვევა და ისევ მონდომებით განეგრძოთ ბრძოლა, რათა, იქნებ ქართველი ბატონიშვილები, რომელნიც ქართველების ხელჩასაჭიდი (دست آویز) იყვნენ, ხელში ჩაეგდოთ და ხელმწიფის სამსახურში თავის საყრდენად გაეხადათ, არაფერი გამოვიდა.

ამასობაში ქართველებმა კაცი გაგზავნეს ამირებთან და შეუთვალეს, რომ რაკი კონსტანტინე-ხანი მისი უავგუსტოესობის ბრძანების წინააღმდეგ იყო მოსული საქართველოში, ჩვენ არ ვთანხმდებოდით მის ბატონობაზე. ახლა, [როცა მან] ბრძოლამდე მიიყვანა [საქმე] და ცის განგებით მოკლულ იქნა, ხელი ავიღოთ ომზე და ერთმანეთს ზიანს ნუ მივაყენებთ. ჩვენ არ ვეწინააღმდეგებით შაჰის ბრძანებას, ყველა მისი მონა და ღოღამი ვართო.

ყიზილბაშთა ჯარიდან ვინც კი გაიგო ეს ამბავი, ყველამ სადავეები მიაბრუნა ბრძოლის ველიდან და გაქცევისაკენ იბრუნა პირი. ამირებისათვის შეუძლებელი გახდა ლაშქრის შეკავება, ძალა-უნებურად

ვერც ერთმა ვეღარ იზრუნა ერთმანეთისთვის ამხანაგობის გაწევაზე და ქართველების შიშით თავზარდაცემული გაიქცნენ ბრძოლის ველიდან. ამ შეუთანხმებელი მოქმედების გამო, ზოგი მოლაშქრე საქართველოს ტყვეებში დაიკარგა და დაიღუპა, ზოგმაც ცხენის, იარაღისა და ტანსაცმლისაგან განძარცვილმა, დიდი ტანჯვითა და წვალებით მიაღწია ქვეითად „გადარჩენის ნაპირს“. ყიზილბაშების ბევრი ქონება და მოწყობილობა და იმ სოვდაგრებისა და ბაზრის ხალხის საქონელი, რომელნიც კონსტანტინე-ხანთან ერთად იყვნენ წამოსული სავაჭროდ, დარბეულ-დატაცებულ იქნა და სარგებელი, რომელსაც ფიქრობდნენ

59

რომ მიიღებდნენ, ზარალად შეეცვალათ. ზოგი ამირი გადმოვიდა მდინარე მტკვარზე და აქეთა მხარეს მოვიდა, ზოგი შაჰმირ-ხანთან ერთად. შაქისაკენ წავიდა და მდგომარეობა „მაღალი ტახტის საფეხურს მოახსენეს“. ეს ამბავი მოვიდა როცა სარდალი ჯელღაულ ოღლი ოსმალთა ურიცხვი ლაშქრით აზერბაიჯანისაკენ წამოსულიყო, სალმასი გამოეცლო და თასუჯში იყო მოსული. [შაჰის] ძღვევამოსილი ამაღლა, ხოისა და მარანდის<sup>77</sup> გზით მტრის წინააღმდეგ საჩქაროდ წამოსული, იდგა ხეობაში, რომელიც თავრიზის სოფელ სუფიანიდან<sup>78</sup> ერთი ფარსახით<sup>79</sup> არის დაშორებული. ქართველებმაც მოახსენეს შაჰს მომხდარი ამბავი. რადგანაც უფრო დიდი შემთხვევა იყო მომხდარი და ხელმწიფის მთელი ენერგია მხოლოდ რუმის კეისრის ლაშქრის უკუსაგდებლად იყომიქცეული, ამიტომ იმ ამბებს და მოთხრობებს ყურადღება არ მიექცა-

### **თხრობა უავგუსტოესი ამალის წასვლის შესახებ არდებილის გზით ყარაბაღის დასაპყრობად და განჯის ციხის აღება დიდებული ღვთის წყალობით**

ამ წლის დასასრულის\* ამბებს, რომლებიც ყარაბაღში ლაშქრობის დროს მოხდა, ეკუთვნის კახეთის გადაცემა ალექსანდრე-ხანის შვილიშვილის თეიმურაზისათვის. ეს ასე მოხდა. როცა შაჰის ბანაკი გურქ-ჩაიზე დადგა, ქართველი დიდებული აზნაურები, რომლებიც კონსტანტინე-ხანს ეწინააღმდეგებოდნენ და მის მოსპობას ცდილობდნენ. შაჰის კარზე მოვიდნენ, მორჩილება განუცხადეს ხელმწიფეს, ითხოვეს თავიანთი დანაშაულის პატიება და შეევედრენ, რომ თეიმურაზი, დაუდ-ხანის შვილი და ალექსანდრე-ხანის შვილიშვილი, რომელიც ხელმწიფის სამსახურში იყო, იმ ქვეყნის (ე. ი. კახეთის) მმართველად დაენიშნა სამაგიეროდ ისინი გულმოდგინედ შეასრულებდნენ ყველა იმ სამსახურს რომელზედაც დანიშნავდნენ და წრფელი გულით მოემსახურებოდნენ თეიმურაზ-ხანს.

შაჰის წყალობამ მოიცვა ქართველები, მათი თხოვნა მიღებულ იქნა და [ხელმწიფე] დათანხმდა, რომ ალექსანდრე-ხანის ორი შვილიშვილი, რომლებიც უკანასკნელ [დრომდე] მათი ხელჩასაჭიდი (شست اویز) იყვნენ საქართველოში, ქვეყნის საფარველ კარზე მოეყვანათ, რათა [შაჰის] ნათელი აზრისათვის ცხადი გამხდარიყო მათი წრფელი ერთგულება და ბარემ რაყამიც დაეწერათ მათი შეცდომების პატიების შესახებ. ხსენებული ვაჟების მოყვანის შემდეგ, თეიმურაზ-ხანი მათი თანხლებით წავიდოდა საქართველოში.

მისმა უდიდებულესობამ, ქართველების გულის დასამშვიდებლად, შეარჩია ბედნიერი საათი, იხმო სახელოვანი ამირები და სახელმწიფოს დიდებულები და სამოთხისებურ მეჯლისში მეფური ზეიმი მოაწყო, თეიმურაზს საქართველოს მმართველობაზე ფერხთ ამთხვევინა და ხანის კეთილშობილი წოდების ბოძებით აღამაღლა.

ქართველების წესი და კანონი ისეთია, რომ როცა იმ დინასტიის რომელიმე უფლისწული თავისი სამკვიდრო სამეფოს ტახტზე ადის, ერთ-ერთი მათი ბერი, რომელიც ქრისტიანების კანონის მიხედვით ამ ხალხის მოძღვარია, ქართველების წარჩინებულ და მხცოვან პირებთან ერთად ოქროქსოვილ ხალიჩას გაშლის. მას ამ ხალიჩაზე დასვავენ, თითოეული მათგანი ხელში აიღებს ოქროსა და ვერცხლის ფულით [სავსე] თაბახს და როცა მეფისწული ფეხს შედგამს ხალიჩაზე, ისინი თავზე დააფრქვევენ თაბახით ოქროს, მის წინაშე მუხლს მოიდრეკენ და მიაწოდებენ თასს. ისიც ცალცალკე მიაწოდებს მეჯლისში დამსწრეთ თასს. ერთი სიტყვით, ქართველებმა იმ სამეფო გვარის წესისა და კანონის თანახმად გაშალეს მისთვის ხელმწიფობის ხალიჩა და თეიმურაზ-ხანიც ძლევამოსილი და ბედნიერი ხელმწიფის ბრძანებითა და მითითებით შედგა იმ ხალიჩაზე. ქართველებმა ხელში აიღეს თაბახები ფულით და უნდოდათ გადაეფრქვიათ მისთვის თავზე. მისმა უდიდებულესობამ როცა გაიცნო ეს მათი წესი და ზრდილობა, თავისი დიდი მოწყალების გამო ბრძანა, პირველი მე გადავაცყო თავზე ფულს. როცა მისმა უდიდებულესობამ ოქრო და ძვირფასი თვლები გადააფრქვია მას თავზე, სახელოვანი ამირები და სამოთხის ბაღის მსგავსი წვეულების დამსწრენი ამის თანახმად მოიქცნენ. და თითოეულმა მათგანმა თავისი ხარისხისა და პატივის შესაფერისად თავზე გადაყრის წესი შეასრულა. ქართველთა დიდებულებმაც ოქროსა და ვერცხლის ფული გარდააყარეს თავს და დადგენილი კანონის მიხედვით თასი მისცეს და თასი გამოართვეს [თეიმურაზს]. იმ დღეს გონების გასამხიარულებლად და აზრის მოსალხენად ლხინის საფენები გაშალეს და იმ ხალხთან (ე. ი. ქართველებთან), რომლის სიმღერა და საუბარი უცხო რამ იყო, ილხენდნენ. იმ ხალხიდან ყველა ხელმწიფის მოკითხვით და დიდებულ მეფური ხალათების [თეიმურაზს] განდიდებული გახდა და [სამშობლოში] წასვლის ნებართვა მიიღეს.

### ცხენის წელიწადი, ჰიჯრით 1016

(1606/17) წელი, მე-20 წელი შაჰის ტახტზე ასვლისა.

თხრობა სხვადასხვა ამბების შესახებ, ლორის, თბილისის და დმანისის ციხეების ხელში ჩაგდება და ამბები, რომლებიც განჯის ციხის აღებისა და ყარაბაღის დაპყრობის შემდეგ მოხდა

განჯის ციხის დაპყრობის შემდეგ, რადგანაც ჰოსეინ-ხან ყაჯარი

უხეშად იქცეოდა, ყარაბაღის ხალხი ჩიოდა მისი უმართებულო საქციელის გამო. [შაჰის] „სამართლიანმა აზრმა მისდამი ნდობა დაჰკარგა“ და იმ ველაიეთის მმართველობა ეწყალობა მოჰამედ-ხან ზიად ოღლი ყაჯარს, რომლის ზოგიერთი გარემოება გასული წლის ამბებში იყო აღწერილი.

ყარაბაღის საქმეების მოწესრიგების შემდეგ, შაჰის დაუცხრომელი ენერგია მიჰყრობილ იქნა ლორის, თბილისისა და დმანისის ციხეების დაპყრობისაკენ და ბედნიერი ამაღა იმ საზღვრებისაკენ გაემართა, როცა ცის სფეროსავით დიდებული ურდო აჰსანაბადში დაბანაკდა, ხსენებული ციხეების მცველები ისეთმა შიშმა მოიცვა, რომ არც ერთ მათგანს ფიქრადაც აღარ მოსვლია წინააღმდეგობის გაწევა და ციხის დაცვა. პირველმა ლორის ციხის მმართველმა, მოჰამედ ფაშა ყაზაყლარმა, რომელიც უკანასკნელამდე მტკიცედ ადგა ოსმალებისადმი ერთგულებას და ოდნავაც არ უხვევდა იმ ხალხისადმი მორჩილების ფართო გზას, ძალაუნებურად გაგზავნა სანდო კაცები შაჰის კარზე და სასახლის კარისკაცის მოჰამედ-ბეგ ბიქდელი შამლუს შუამდგომლობით მორჩილება და ყმობა განაცხადა, „ბოდიშის მოხდის ენა ცოდვების პატიების სიტყვებით გაშალა“ და მოახსენა, რომ თუ ბედნიერი ხელმწიფე შემიწყალებს და წინანდელი დანაშაულისათვის არ დამსჯის. დავემორჩილები და ფადიშაჰის სასახლის მიწის საკოცნელად მოვალე. რაკი შაჰის ბრწყინვალე აზრისათვის ნათელი გახდა მისი სიტყვის სიწრფელე, მისი გამოგზავნილი კაცები შაჰური შეპირებით დაამედდა. ისიც, პატიების სასიხარულო ამბავი რომ მიიღო, იმედიტა და შიშით სავსე გულით გაეშურა იმ იმედის ქაბახასკენ, ჩავიდა დიდებულ ურდოში და ამირებისა და შაჰთან დაახლოვებული პირების მემკვიდრით მოემზადა სამოთხისებურ მეჯლისში სხდომისათვის და შეწყალებულ იქნა; მეფური დიდებული ხალათებით, მოოჭვილი თაჯით და სარტყლით, ცხენით და ძვირფასი თვლებით შემკული უნაგირით და სხვა წყალობითა და მოკითხვით პატივი სცეს და განადიდეს. ლორის ციხის კლიტე სასახლის დანიშნულ პირებს გადაეცა და ციხის დასაცავად შაჰის მიერ კაცი იქნა დანიშნული.

როცა [შაჰის] ნათელი აზრი ლორის ციხის შესახებ დამშვიდდა, მან გადასწყვიტა თბილისისა და დმანისისაკენ წასვლა.

62

ამასობაში დმანისის ციხიდან მოვიდა მორჩილების არზა. ითხოვეს, რომ თუ ყოილბაშთა ძლევამოსილი ლაშქარი არაფერს გვავენებს და მეორედ მოსვლასავით [საშინელი] რისხვა ფადიშაჰისა არ დაგვატყდება თავს, ჩაგაბარებთ ციხეს და მორჩილებით მოვალთ ხელმწიფის კარზეო. მწყალობელმა ხელმწიფემ გამოსცა იმ ხალხის შემწყალებელი სიგელი და ბრძანა, რომ ვისაც სურვილი ექნება ამ ქვეყანაში ყოფნისა, მათ ორმაგად ეწყალობებათ ის ულუფა და თიმარი<sup>81</sup>, რომელიც ოსმალების დროს ჰქონდათ; ხოლო, ვინც განიზრახავს ოსმალეთში წასვლას, ის თავისი ხალხით, ოჯახით, ქონებით და საქონლით წავა და არავითარი ზიანი და შეწუხება მოლაშქრეებისაგან არ მოუვაო.

დმანისის ციხის ოსმალე მცველებმა ეს ცნობა თავისი ხსნის მთავარ წყაროდ მიიჩნიეს, ყველამ იმედით მიაპყრო სახე შაჰის სასახლეს და დიდებული ხალათებით და მრავალი ალერსით იქნენ გამორჩეული.

იმ ჯგუფს, რომელსაც წასვლა სურდა, კაცი გაჰყვა და ისინიც უვნებლად გაუდგნენ გზას. ზოგმა კი, რომელთაც დარჩენა ირჩიეს, სავსებით მიაღწიეს თავისი სურვილის შესრულებას. როცა შაჰმა დაიბანაკა მდინარე ალგეთზე, საქართველოს საზღვრებში, თბილისის მმართველმა აბდ ალ-ლატიფ ფაშამ და იმ ციხეში მყოფმა ოსმალო ალებმა და რიშეფიდებმა გაითვალისწინეს განჯის, ლორეს და დმანისის ხალხის მაგალითზე ხელმწიფის წყალობისა და რისხვის შედეგები და ფხიზელი ბედის მითითებით თავისი კაცი გაგზავნეს შაჰთან მორჩილების არ-ზით და იგივე ითხოვეს, [რაც დმანელებმა]. მათი თხოვნაც დაკმაყოფილებულ იქნა და გამოვიდა უავგუსტოესი ფირმანი ხსენებული ფაშას სახელზე, მათი შეწყალებისა და კაპიტულაციის მიღების შესახებ და გაეგზავნა მას ჰოსეინ-ბეგ ჯარჩი-ბაში ზულ-ყადარის ხელით. ფაშამ და ოსმალებმა რომ იმ ბედნიერების მაუწყებელი სიგელის შინაარსი გაიცნეს, თუმცა მათთვის ცხადი იყო, რომ შაჰის დაპირებაში რაიმე სიცრუის ლაქა არ ერია და ყველას ამანი<sup>82</sup> ეძლეოდა ყიზილბაშთა მხრით ვნებისა და ზიანის მიყენებისაგან, მაგრამ, როგორც ნათქვამია [ყურანის] კეთილშობილ სურაში: „არამედ იმისათვის, რომ დამშვიდდეს ჩემი გული“, ხალხის გულის დასამშვიდებლად და თავისი პატივისათვის, აგრეთვე ქვეყნად თავისი სიძლიერით განთქმულ სხვა ციხეებთან შედარებით უპირატესობის გამოსაჩენად, ითხოვეს, ერთი რომელიმე წარჩინებული ამირი მოვიდეს ციხის ძირთან, ციხეს მას ჩავაბარებთ და მისივე მეშვეობით ხელმწიფეს ვეახლებითო. მისმა უდიდებულესობამ ღვთის ჩრდილმა შაჰმა ალი-ყული-ხან შამლუ დანიშნა ამ საქმეზე და თბილისის მხარეს გაგზავნა. როცა ხსენებული ხანი ციხეს მიუახლოვდა, აბდ-ალ-ლატიფ ფაშა და ალები წინ შემოეგებნენ, უღრმესი მორჩილება განუცხადეს და ციხე ალი-ყული-ხანს გადასცეს. ორი-სამი

63

დღე ურდოს ხალხთან სავაჭრო გაცელა-გამოცვლას და გარიგებებს აწარმოებდნენ, სახედრებს ბარგი აჰკიდეს და ყველანი ჯალაბობით ციხიდან გამოვიდნენ. ალი-ყული-ხანმა შაჰის ბრძანების თანახმად, შამლუს [ტომის] ღაზიებისა და მეთოფეების ერთი რაზმი ციხეში დასტოვა და თვითონ ფაშასთან და იმ ხალხის წარჩინებულ პირებთან ერთად სამყაროს მომცველ ურდოში მოვიდა. ალგეთის წყალზე ფაშამ და [მისმა] თანამხლებლებმა [შაჰის კარის] ზღურბლზე კოცნის ბედნიერება მოიპოვეს, ხელმწიფური მოფერებით იქნენ განდიდებული და ყველას დიდებული ხალათები ეწყალობა თვითიული მათგანის ხარისხის მიხედვით. რამდენიმე კაცი, რომლებმაც დარჩენა ისურვეს, თავისი კეთილშობილი სურვილის განხორციელებით გაბედნიერდა. ფაშას და ჯგუფს [ოსმალებისას], რომლებიც წასასვლელი იყვნენ, სასახლის რამდენიმე მსახური დაუნიშნეს გამცილებლად და მათაც უვნებლად და დაუზარალებლად მიიყვანეს ისინი საზღვრამდე მისი უდიდებულესობა თვით გაემართა [თბილისის] ციხისაკენ და „სიფრთხილის თვალით“ განიხილა მისი ავი და კარგი.

თბილისის ციხე მდებარეობს ერთი მაღალი მთის კალთაზე. ერთ მხარეზე, სადაც ნარინ-ყალა არის, პლეადის ვარსკვლავებამდე აქვს თავი აღმართული. თუმცა მდინარე მტკვარი დასავლეთიდან მოდის და აღმოსავლეთისაკენ მიემართება და შირვანთან მას მდინარე არეზი

უერთდება და ხაზართა ზღვაში\* ჩადის, მაგრამ თბილისის სანახებს როცა აღწევს, უხვევს, თითქოს ჩრდილოეთიდან მოდენილად და სამხრეთისაკენ მიდის, იმ ციხის მიდამოებში სამხრეთის მხრიდან ბრუნდება და აღმოსავლეთისაკენ მიედინება. ქალაქისა და ციხის ნაკრძალ ზოლში\*\*, სადაც წყალი ჩაივლის, კლდოვანი ნაპირი ამალღებულია და მის პირდაპირ მაღალი მთაა აღმართული, ძალიან მაგარი ხიდია\*\*\* გადებული თბილისიდან საქართველოს ველაიეთში იმ ხიდით დაიარებიან. ასეთი დიდი მდინარე, რომელიც მთელს მსოფლიოში ცნობილ მდინარეთა რიცხვს ეკუთვნის, ამ ხიდის ქვეშ გადის. ქალაქი თბილისი ამ ხიდის დასავლეთ მხარეზე მდებარეობს. მრავალი წყარო და ურიცხვი ნაკადული გამოდის იმ მთიდან და მათგან დაახლოებით სამოცდაათი-ოთხმოცი წყარო ცხელია. ძველ დროში ყოველი ხელმწიფე, მუსლიმანი თუ ურჯულო ქართველი, ამ ცხელ წყლებზე გუმბათებს აგებდა და ბანაობდა [იქ] იმ ქალაქის ხალხის აბანოებს მხოლოდ ცხელი წყლის აბანოები წარმოადგენენ. რამდენიმე აბანო ციხის შიგნითაა, უმრავლეს-

\* კასპიის ზღვაში.

\*\* حریم – ჰარიმ.

\*\*\* تخت بل – ჩვეულებრივ პონტონის ხიდს ან ასაწევ ხიდს ნიშნავს.

64

სობა მის გარეთ არის. დღეს არსებობს დაახლოებით ოცდაათი-ორმოცი აბანო, ზოგი მომქმედია და ზოგიც შეიძლება ამუშავებულ იქნას. ციხის კოშკები ისეთი მაღალია, რომ ცის სფეროს უთანასწორდებიან. ქვეყნის ვერც ერთი ხელმწიფისათვის ვერ წარმოიდგინება იმ ციხის დაპყრობა, რადგანაც სამი მხრიდან მას ცამდე აღმართული მაღალი მთები აკრავს, ერთ მხარეზე მდინარე მტკვრის წყალი ჩამოუდის და ამიტომ ისეთი ადგილი, რომ იქ ჯარი დადგეს [ციხის ასაღებად], ქალაქისა და ციხის ნაკრძალ ზოლში არ არის. ჭემმარიტად ასე ადვილად ხელში ჩაგდება ასეთი მაგარი ციხისა, რომელიც საქართველოსა და შირვანის ველაიეთების ბურჯია, ზეციური დახმარების, ღვთის შეწევნის და დიდებული ხაყანის იღბლის ძალის გარეშე არ შეიძლებოდა მომხდარიყო. იმ ქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობა სომეხი და ქართველი ქრისტიანებია, ცოტაოდენი მუსლიმანებიც არიან. ქრისტიანების ეკლესიები და სალოცავები, უმთავრესად ძველები, იმ ქალაქში და მის სანახებში ბევრია.

იმ ამბავთაგან, რაც იმ დღეებში მოხდა, როცა მისი უავგუსტოესობა საქართველოზე გაემართა, [ალსანიშნავია] ქართლის მეფის, სიმონ-ხანის შვილის გიორგი-ხანის გარდაცვალება, რის შესახებაც ქვეყნის საფარველ სასახლეს (შაჰის კარს) მოახსენეს იმ სამეფო გვარისაგან მოსულმა წარჩინებულმა პირებმა. მისმა უდიდებულესობამ ალერსით მიიღო მოსულნი და მისი (გიორგის) ვაჟიშვილი ლუარსაბ-ხანი<sup>83</sup>, რომელიც მაშინ თოთხმეტი წლის იყო,

ლექსი: ვით თოთხმეტი დღის მთვარე, სავსე მშვენებით.

მშობლის ადგილას დასვა სამკვიდრო სამეფოს მმართველად და შვილობის საპატიო სახელი უბოძა. მასა და იმ სამეფო გვარის მანდილოსნებს გაეგზავნათ წყალობის სიგელები და დიდებული ხალათები.



მოჰამედ-ბეგ ბიქდელი შამლო, შაჰის დაახლოებულ პირთაგანი, გაიგზავნა იმ მხარეს (ქართლში), რათა მოეკითხა გარდაცვალებულის ნათესავები და შაჰის წყალობის იმედი მიეცა. მანაც ნაბრძანები შეასრულა და იმავე რამდენიმე დღეში დაბრუნდა საქართველოდან. მისი თანხლებით მასთან ერთად შაჰის კარზე ჩამოვიდა ბევრი ქართველი ბატონი-შვილი და აზნაური, რომელნიც [შაჰის კარის] ზღურბლზე კოცნის ბედნიერებით განდიდებული და [შაჰის] განსაკუთრებული მოპყრობით გამორჩეული გახდნენ. იმ სამეფო გვარს ბედნიერი ხელმწიფისაგან შველისა და დახმარების იმედი გაუძლიერდა დიდებულმა ხელმწიფემ თავისი მწყალობელი [ბუნების] გამო, ქართველ უფლისწულებს, მათი ხარისხისდა მიხედვით, შაჰური მოკითხვით მიუალერსა, ხელმწიფური საჩუქრებით დააჯილდოვა, საქმეებიც მათი გულისწადილის მიხედვით მოუწყო და ყველა კმაყოფილი და გახარებული თავის სამშობლოში

### 5. ვ. ფუთურიძე

65

დააბრუნა. ლუარსაბ-ხანსაც მეორედ გაუგზავნა დიდებული ხალათები და მრავალი საჩუქარი და ხელმწიფური წყალობის შეპირებით დააიმედა. თბილისის გამგებლობა და [მისი] ციხის უფროსობა დელუ-მოჰამედად ცნობილ მოჰამედ-სულთან შამს ად-დინლუს ჩააბარეს. რაზმი შაჰის საკუთარი მეთოფეებისა დანიშნეს რომ მოჰამედ-სულთანთან ყოფილიყვნენ იმ ციხეში მის დასაცავად. გადაწყდა, რომ მოწყობილობა, საჭურველი და იარაღი ლორეს და დმანისის ციხეებისა ერევნის ციხისათვის გადაეხიდათ.

როცა [შაჰის] ნათელი აზრი გათავისუფლდა იმ მხარის (ე. ი. საქართველოს) საქმეებზე [ზრუნვისაგან], ის ძლევამოსილი და გამარჯვებული გამობრუნდა [იქიდან]. რაკი შირვანის ველაიეთის და ერევნის ციხის დაპყრობა მუდამ მტკიცედ ჰქონდა [შაჰს] თავის ნათელ ფიქრებში, ამიტომ გადაწყვიტა წასულიყო ერევნის მხარეს, იქაური ციხე შეეკეთებინა და იმ საქმიდან გათავისუფლების შემდეგ, თუ გამოირკვეოდა, რომ [იმ] წელს ოსმალეთის ლაშქარი აღარ წამოვიდოდა აქეთ და შირვანში [მყოფ] ოსმალებს იმედი დაეკარგებოდათ შველასა და დახმარებაზე, მაშინ იმ მხარეს მიაბრუნებდა ლაშქარს და ამ წლის ზამთარში\*, ღვთის შეწყვენით, შეუდგებოდა შირვანის ციხეების დაპყრობას.

### **თხრობა ერევნის ციხის შეკეთებისა და სხვადასხვა ამბების შესახებ, შირვანში გალაშქრებამდე რომ მოხდა**

როდესაც ძლევამოსილმა ამაღამ გოქჩის ტბასთან დიდებული დაბანაკება იწეხა და უძლეველი ჯარები რაზმ-რაზმად შეიკრიბნენ ქმნილებათა თავშესაფარ კარზე, დიდებულ ამირთა უმრავლესობა და მძლეთა მძლე ლაშქრის თანრიგთა უმეტესობა, გარდა ალავერდი-ხანისა და სამეფო კარის ზოგიერთი რჩეულისა და უწმინდესი ტახტის მახლობლებისა, რომლებიც, ბრძანების თანახმად, უკეთილშობილესი [შაჰის] ამაღაში დარჩნენ, ყველა დანარჩენი ერევნის ციხის შესაკეთებლად განწესდა და ამ საქმის შესასრულებლად გაემართა ალაჰყული-ბეგ ყორჩიბაშის მეთაურობით.

მისი უდიდებულესობა უზენაესი შაჰი, ჩრდილი ალაჰისა, უსაზ-

ღვრო სიხარულითა და ხალისით აღვსილი გოქჩის ტბის ნაპირიდან გართობა-ნადირობით წამოვიდა და სისიანის გზით ნახჭევნისაკენ გაემართა.

ერთი ქართველი ქალი, სახელად გოლჩეჰრე, მისი უდიდებულესობა სამოთხეში დამკვიდრებული შაჰის (თაჰმასბ I) დროს ამ სამე-

---

\* იგულისხმება ჰიჯრის 1015 წლის ზამთარი, ანუ 1606 წლის მიწურული.

66

ფო სახლის მოხელეთა სამსახურიდან [გათავისუფლდა] და მისი უდიდებულესობის. [შაჰის] გარდაცვალების შემდეგ სიმონ-ხანს საქართველოში წაჰყვა. როცა სიმონ-ხანი, როგორც ამ ფურცლებზე ზემოთ უკვე იყო მოხსენიებული, ოსმალებმა შეიპყრეს და სტამბოლში წაიყვანეს, იმ (საქართველოს) დინასტიის მანდილოსნებს ხსენებული ქალბატონი სტამბოლს გაეგზავნათ, რომ მასთან ყოფილიყო და სათანადო მოვლა-პატრონობა გაეწია.

ხსენებულმა ქალმა თანდათანობით მიაღწია ოსმალეთის ხონთქრის, სულთან მოჰამედ-ხანის\* პატივცემულ მშობლამდე, რომელიც ხელმწიფის დედად იწოდებოდა და იმ სამეფო სახლის სახელმწიფო საქმეებზე დიდი გავლენა ჰქონდა. [გოლჩეჰრემ] თავისის სიდარბაისლითა და თავაზიანი მოქცევით მასთან დაახლოების გზა გამოძებნა. იგი ერთ ხანს სტამბოლში დარჩა, ახლა კი ოსმალეთის სულთნის ვეზირებისა და ქვეყნის თავკაცების, განსაკუთრებით დიდი ვეზირის დერვიშ ფაშას შეგულიანებით ერთ ოსმალ ჩაუშთან ერთად სიმონის სახელით მოვიდა ბედნიერებით მოსილი [შაჰის] კარზე და არზები მოიტანა. არზების შინაარსი ეს სიტყვები იყო: სამართლიანობით მოსილ ხელმწიფეებს ქვეყნის უშიშროება და ქვეშევრდომთა დამშვიდებული ყოფა ყოველთვის სარწმუნოების მაღალ მოთხოვნებზე აღმატებულ და უპირატეს [საქმედ] მიაჩნდათ; [ახლა კი] ორ მაღალადგილოვან ფადიმაჰს შორის [ჩამოვარდნილი] მტრობა და შფოთი ქვეყნის გაპარტახებისა და ხელქვეითთა და ქვეშევრდომთა საქმის აწეწვისა და ხალხთა სისხლის დანთხევის მიზეზი გამხდარაო. [სიმონი] იხვეწებოდა, ამ ქვეყნად კეთილი სახელის მოსახვეჭად და საიქიოს შეწყალების მოსაპოვებლად, [შაჰს] ოსმალეთის მაღალადგილოვან ხელმწიფესთან ერთად თვალის სხივი მოეფინა სიმნელეთა ნოხისათვის და მეგობრობისა და თანხმობის სიტყვებით ელაპარაკა. ამ (ე. ი. ოსმალეთის) მხრიდანაც კეთილგანმზრახველი შეძლებულნი, განსაკუთრებით დიდი ვეზირი დერვიშ ფაშა, დაზავებას ხელს შეუწყობენ და ყველა საშუალებას იხმარენ, რომ ეს კეთილად დასაგვირგვინებელი საქმე [შაჰის] მისწრაფებათა შესაბამისად გადაწყვიტონო.

ამ (ე. ი. ირანის) მხრიდან სიმონ-ხანის არზების პასუხად ასე დაიწერა: მისთვის (ე. ი. სიმონისათვის) და ოსმალთა სამეფო სახლის უხუცესათათვის ცნობილისა, რომ მისი უდიდებულესობა სამოთხეში, დამკვიდრებული შაჰისა და განსვენებულ სულთან სოლეიმანისა და მისი ვაჟის სულთან სელიმის დროს სამშვიდობო ზავი და პირობა განმტკიცებულ იქნა და მისხით მისხამდე ამ ორ დინასტიას შორის მტრობა აღარ ყოფილა. სამოთხეში დამკვიდრებული შაჰის გარდაცვალების

შემდეგ, მხოლოდ მცირე არეულობათა გამო, ოიმახთა შფოთის შედეგად ყიზილბაშთა შორის რომ მოხდა, ოსმალებმა დრო იხელთეს, ზავი და პირობა უმიზეზოდ დაარღვიეს და ჩვენს სამემკვიდრეო ქვეყნებს ძალით დაეპატრონენ. ახლა ჩვენ ჩვენს კუთვნილ სამკვიდროს მოვითხოვთ. ხოლო თუ ოსმალთა ქვეყნის მბრძანებელი მამა-პაპათა ხელშეკრულებებს იცავს და მეგობრობის [გზას] ადგას და, თუ საზღვრები და მიჯნები იმ დროის ყაიდაზე უცვლელად დარჩება, ჩვენც, ხალხთა მდგომარეობის სიმყუდროვისა და ღვთის დიდებისათვის, მტრობისა და ჯიუტობის გზას გადავუხვევთ და მეგობრობისა და კავშირის გზით ვივლით. ხოლო თუ გაჯიუტდება და მტრობას გააგრძელებს, ჩვენ, ღვთის წყალობას მინდობილები, სამემკვიდრეო კუთვნილების მიებაზე ხელს არ ავიღებთ და, ალბად ისე მოხდება, როგორც მისი უზენაესობა დიდებული ღმერთი ინებებს და ეჭვი არ არის გვიან თუ ადრე, საწადელს ვეწევით.

**ცხვრის წელიწადის ამბები, რომელიც ნაწილობრივ ათას თხუთმეტს და ნაწილობრივ ათას თექვსმეტ (1607) წელს შეესატყვისება. მისი უავგუსტოესობის ტახტზე ასვლის ოცდაპირველი წელიწადი**

შაჰ-აბასი შემახის ციხეს შემოადგა. ხშირმა წვიმებმა ისე გააფუჭეს გზები, რომ ქვეითს და ცხენოსანს სულა უჭირდა. გაჭირვება შეიქმნა სურსათის მხრივაც. ამასობაში დაპყრობილ იქნა ბაქოს და დარუბანდის ციხეები. გაზაფხულზე, როცა გამოიდარა და გზები გაშრა, იწყეს ისევ მიმოსვლა ვაჭრებმა და „გაჭირვება და სივიწროვე სიუხვით შეიცვალა“.

ძლევამოსილი მოლაშქრეები, ხელმწიფის ბრძანების თანახმად, ციხის აღების საქმეს გულმოდგინედ შეუდგნენ და დღე და ღამ დაუსვენებლად იღვწოდნენ. ჰოსეინ-ყული-ბეგ ყაჯარმა ამირგუნე-ხანის ძმამ, რომელიც ზარბაზნების მოტანის [საქმეზე] იყო დანიშნული, განჯაში მყოფი ქვისმტყორცნი დიდი ზარბაზნები, შაჰის იღბლის ძალით, მდინარე მტკვარზე გადმოიტანა და ურმებითა და ფორნებით მაღალ ურდოში მოიტანა. ერთი ზარბაზანი ალავერდი-ხანის\* სიბაში დადგეს, ხოლო მეორე ყარჩილაი-ბეგის\*\* სიბაში დადგეს. შაჰის ბანაკში მოვიდა გაწყობილი ლაშქრით თავრიზის მმართველი ფირ-ბუღდაყ-ხანი,

\* ალავერდი-ხანი, წარმოშობით ქართველი (უნდილაძე), შაჰ-აბასის გამოჩენილი, სარდალი და ყულის ჯარის უფროსი – ყულარადასი იყო. გარდაიცვალა 1613 წელს.

\*\* ყარჩილაი-ხანი წარმოშობით სომეხი, შაჰ-აბასის ერთ-ერთი გამოჩენილი სარდალი და სპასალარი იყო.

რომლის გამოსაწვევად გამოცემული იყო ბრძანება. ხელმწიფის ტახტის ფეხთა კოცნის შემდეგ,\* დადგენილ იქნა, რომ ის დამდგარიყო ციხის აღმოსავლეთ მხარეს, სადაც ჯერ არავინ იყო დანიშნული, და

იქიდან მიეტანა სიბა [ციხეზე]. ძლევამოსილი ლაშქრის მებრძოლებმა ყოველი მხრიდან მიიტანეს სიბა და იერიში მოამზადეს. რკინისჭანგინმა მენალმეებმა ნაღმი შეთხარეს ციხის მიდამოებში და მეზარბაზნეებმაც ქვის ტყორცნა დაიწყეს.

როცა კახეთის მმართველობა ალექსანდრე-ხანის შვილიშვილს, თეიმურაზ-ხანს გადაეცა და ამ მაღალი ხარისხით იქნა განდიდებული, საქართველოს დიდებულებმა და იმ ხალხის ბერებმა. რომელნიც ამ მიზნის განსახორციელებლად მაღალი ტახტის საფეხურთან იყვნენ მოსული, როგორც თავის ადგილას იყო ეს აღწერილი, ისევ განაცხადეს მორჩილება და იკისრეს, [რომ] თავისი წინანდელი ნაკლები სამსახურისა და დანაშაულის ასანაზღაურებლად, განსაკუთრებით შირვანის მიმართ, რა სამსახურსაც არ დაავალდებდნენ, ეცდებოდნენ გულმოდგინედ შეესრულებინათ. ამ დროს გამოვიდა ბრძანებულება, რომელსაც ემორჩილება ქვეყნიერება, რომ თეიმურაზ-ხანი მოსულიყო გაწყობილი ჯარით შემახის ციხეზე და [შაჰის] სამსახურად დამდგარიყო, მაგრამ მან, ზოგიერთი იმ ბოროტგამზრახველის მიერ ცთუნებულმა, რომელნიც მუდამ აცდენდნენ უვიცსა [და] გამოუცდელ [თეიმურაზს] სწორ გზას და არწმუნებდნენ მას, არ წასულიყო ცის მსგავს სასახლეში (შაჰის კარზე), ყალბი ბოდიში მოიხადა და ითხოვა, რომ გაეთავისუფლებინათ ამჟამად მაღალ კარზე წლებისაგან და რომ გამოგზავნიდა თავის დედას, დედოფალს,\*\* რომელიც [მისი] ქვეყნის მთავარი საქმეების გადამწყვეტი იყო, რამდენსაც შეძლებდა და მოახერხებდა, [იმდენი] ლაშქრით. დიდებულმა ხელმწიფემ ბრძანა: „ჩვენ წანააღმდეგი არა ვართ, რომ დავეთანხმოთ მის თხოვნას, მაგრამ, ვაი თუ მისი არმოსვლა ზერელე ჭკუის ადამიანებს ერთგულებისა და მორჩილების ნაკლებობად მოეჩვენოთ, ყველამ მასზე ეჭვი იქონიოს, რომ განდგომილია და გახდეს [სხვა] მხარეების მმართველთა შეშფოთება-შეშინების მიზეზი და მათაც საბაზად გამოიყენონ ესო, შესაფერისი ის იქნება, რომ ის მარტო მსუბუქად გვეახლოს სამსახურად. მიიღებს უკან დაბრუნების ნებართვას და შემდეგ, როცა წავა, თავის დედას გამოატანოს იმდენი ლაშქარი, რამდენსაც შეძლებს“.

[თეიმურაზმა] ბოროტგამზრახველების წაქეზებით ამჯერად საპატიო მიზეზის გარეშე უარი სთქვა [მოსვლაზე] და [შაჰის] სამსახურის

\* ე. ი. როცა ის მიღებულ იქნა შაჰის მიერ,

\*\* სპარსულ ტექსტში „დედოფლის“ აღსანიშნავად ქართული სიტყვაა ნახმარი (بال ديدى – „დიდიბალ“).

ბედნიერებას არ ეზიარა. რამდენიმე დღის შემდეგ მაღალ ურდოში მოვიდა დედამისი ქართველთა ჯარის ერთი რაზმით, რომელიც სულ ათასზე მეტი კაცისაგან არ შედგებოდა, და შესაფერის ადგილზე დადგნენ. თუმცა ხელმწიფეს ეწყინა ეს უხამსი საქციელი [თეიმურაზისა], მაგრამ იმ პატიოსანი მანდილოსნის ხათრით, ის ხელმწიფური ალერსით და მოფერებით პატივცემული და ამაღლებული გახადა, [თეიმურაზის დედა] გაბედნიერებულ იქნა ხელმწიფის ჰარამხანის მანდილოსნებთან შეხვედრით და [ბევრი] უაღერსეს და პატივი სცეს, ხოლო ქართველთა ჯარი, რამდენ ხანსაც არ იყო დიდებულ ბანაკში, არავითარ

საქმეზე არ დაუნიშნავთ.

აგრეთვე მისვლა-მოსვლა იწყეს ქვეყნის საფარველ კარზე დაღესტნის მმართველებმა და ჩერქეზმა ბატონიშვილებმა როსთემ-ხანის ძმები, ყაითაყის უცმი<sup>84</sup> ალი-ბეგ წახურელი, თაბარსარანის<sup>85</sup>. ვალი მა'სუმ-ხანი და მისთანანი ხელმწიფის კარზე სამსახურად მოსვლით იქნენ განდიდებულნი და „მორჩილების შუბლით თხოვნის მიწას ემთხვივნენ“, რადგანაც დაღესტნის ხალხი, რომელიც საერთოდ ადამიანის მსგავსი ველური სახისა არის და არაადამიანობის ველურ ქვეყანაშია გაზრდილი, ერთგულებას და მეგობრობის შარა-გზას დაშორებულია, მა'სუმ-ხანი უმიზეზოდ შეშინდა, უნებართვოდ ხელმწიფის ბანაკიდან გავიდა და თაბარსარანის გზას გაუდგა.

### **ამბები მაიმუნის წლისა, რომელიც ნაწილობრივ შეესატყვისება ათას თექვსმეტ წელს და ნაწილობრივ ათას ჩვიდმეტს (1698 წ.) და შაჰინ-შაჰის ტახტზე ასვლის ოცდამეორე წელია**

ამ დროს ქალაქ თავრიზში მოსული იყო შაჰის კარზე რამდენიმე კაცი მღვდლის და აზნაურის ხლებით სამსახურად მიმავალი ერთი ქართველი უფლისწული ათაბეგ-ხანი, მესხეთის ვალის მანუჩარ-ხანის<sup>86</sup> შვილი, რომელიც მოწვეულ იქნა და დაესწრო ნადიმს. მასა და მის ხალხს აგრეთვე მიართვეს დიდებული ხალათები, გზის ხარჯი და ნუხლი მისცეს და შესაფერისად დაასაჩუქრეს.

### **ქათმის თურქული ბედნიერი წლის დასაწყისი, ნაწილობრივ შესატყვისი 1017 და ნაწილობრივ 1018 წლისა (1609 წ.), ტახტზე ასვლის ოცდამესამე წელი. იმ ხანებში მომხდარი ამბები და შემთხვევები ინდოეთში ელჩების გაგზავნის შესახებ**

იმ საჩუქრებსა და მისართმეველში რომელიც არმადანად გაეგზავნა (ინდოეთის ხელმწიფეს), იყო ორმოცდაათი სული ქართული და ბაიათური ცხენი, რომელნიც შაჰის საკუთარი ჯოგებიდან იყო მიღე-

70

ბული. დარწმუნებულ უნდა ვიყოთ, რომ არც ერთი დიდებული და მდიდარი ხელმწიფის სარქარში ერთი [ასეთი ცხენიც] კი არ მოიპოვებოდა.

საზღვრების ამბებიდან [აღსანიშნავია] ფაშების დაჭერა ახალციხის ომში და თათრების დახოცვა საქართველოში. დაწვრილებით [მოთხრობილი] ეს მოკლედ [ნათქვამი] ასე იქნება:

ამ ფურცლების პირველ ტომში აღწერილი იყო უმთავრესად, რომ როცა სამოთხეში დამკვიდრებულ შაჰსა (თაჰმასბ I) და ოსმალეთის ხელმწიფის სულთან სოლეიმანს შორის ზავი მოხდა და საზღვრები და მიჯნები დადგინდა, მესხეთი\*, რომლის ვალი მანუჩარ-ხანის მამა, სიმონ-ხანის სიძე იყო, ყიზილბაშთა [სახელმწიფოს] საზღვრებში მოექცა.

არზრუმის მოსაზღვრე ახალციხის ველაიეთი და ყარაჯა არდაჰანი<sup>87</sup> მესხეთს ექვემდებარებთან. ალექსანდრე [მაკედონელის] სადარი შაჰის (მოჰამედ-ხოდაბენდეს) დროს, როცა ლალა ფაშა ირანზე ლაშქრობისას მასზე გამოვლით მოვიდა შირვანში, პირველად ახალცი-

ხის ველაიეთი და მისი მიმდგომი ადგილები დაიპყრო და ციხეები გაამაგრა. სანამ მანუჩარ-ხანი ცოცხალი იყო, ის ცდილობდა დახმარებოდა სიმონ-ხანს. მის შემდეგ ოსმალები იმ ქვეყანაში გაბატონდნენ და სიმონ ხანის ქალიშვილი, რომელიც მანუჩარ-ხანის მეუღლე და ენერგიული მანდილოსანი იყო, თავისი პატარა ვაჟიშვილით და მათი ოჯახის ერთგული მსახურების მცირე რიცხვით იმ ქვეყნის ტყეებსა და მთებში აფარებდა თავს. იმ ოცდახუთი წლის განმავლობაში, როცა მთელი საქართველო ოსმალების ქვეშევრდომი და მოხარკე იყო, ხსენებული მანდილოსანი ბევრს ეცადა, რომ როგორც საქართველოს სხვა მხარეებში ოსმალები ქართველ მმართველებს უთმობდნენ [ქვეყანას] და ხარკის აღებით კმაყოფილდებოდნენ, ისე მისი ვაჟისთვისაც, რომელიც ათაბეგად იწოდებოდა, დაეთმობდა [ქვეყანა] და ხარკი აეღოთ. ოსმალები არ დათანხმდნენ ამაზე. მხოლოდ ერთი ნაკვეთი მისცეს იმ ველაიეთში მას და დედამისს ცხოვრების სახსრად და ისიც გაჭირვებით ატარებდა ცხოვრებას.

იმ ხანებში, როცა უავგუსტოესმა [შაჰმა] აზერბაიჯანზე გამოილაშქრა და ერევნის ციხეს შემოადგა, შაჰ იუსუფ ფაშა\*, რომელიც ახალციხის ერთი გამუსლიმანებული ბატონიშვილი იყო და ოსმალე-

\* گرجستان مسق „მესხის საქართველო“. ხელნაწერში, რომლითაც სარგებლობდა აკად. დორნი, ყოფილა ამის ნაცვლად სიტყვა, რომელსაც ის ასე წერს: Fanak, ხოლო ყაზანის ხელნაწერში ეს ადგილი ისევ იკითხება (فانك, როგორც ლითოგრ. გამოცემასა და თბილისის ხელნაწერში.

\*\* აკად. დორნის შენიშვნა: „Nach Hammer, IV, 81, hatte Gregor (Ghurghin) Luarsabs Sohn bei seiner Bekehrung zum Islam olen Namen Jusuf erhalten).

თის ხონთქრისაგან ფაშის ხარისხი ჰქონდა მიღებული, იმ ველაიეთის ზოგი ადგილის მმართველი იყო. ერთბაშად ერთი რაზმი ყიზილბაშთა ძლევამოსილი ჯარისა, ჰასან-ხან უსთაჯლუს მეთაურობით, როგორც იმ წლის ამბებშია აღწერილი, ხსენებულ ველაიეთზე თავს დასასხმელად გაგზავნეს. ჯელალ ოღლისთან ომისა და მისი დამარცხების შემდეგ, როცა ამირგუნე-ხანი და ყიზილბაშთა ჯარი იმ საზღვრებში დამკვიდრდნენ და არზრუმის საზღვრებამდე [ყიზილბაშთა] ძლევამოსილი ლაშქრის მიერ იცემებოდა [ეს ქვეყანა], ისევ და ისევ არბევდნენ ყარაჯა არდაჰანს და ახალციხეს. შაჰ იუსუფ ფაშას და ოსმალების საქმე წახდა. ათაბეგ-ხანის დედამ მიმართა შაჰის ბედნიერ კარს და ითხოვა, რომ ამ სამეფო გვარის მოხელეთა დახმარებით მოეპოვებინა ისევ თავისი დაკარგული ქვეყანა. მისმა უდიდებულესობამ ღვთის ჩრდილმა [შაჰმა] შამს ად-დინლუს, ყაზაყლარის და სხვა ამირები, რომელნიც თბილისში, ზაგემში და აჰსანაბადში იმყოფებოდნენ, დანიშნა მისთვის დახმარებისა და თანადგომის გასაწევად. ცხვრის წელიწადში, ათას თექვსმეტ წელს (1607 წ.), როცა დიდებული ალმები (ე. ი. შაჰი) შირვანზე ლაშქრობდნენ, იმ თავგამოდებულმა მანდილოსანმა ყიზილბაშთა ამირებისა და თავის ოჯახის ერთგულ მსახურებთან ერთად იწყობოდა ხსენებული ქვეყნის დასაპყრობად, გაილაშქრა შაჰ იუსუფ ფაშაზე, დაამარცხა, დაიჭირა ის ას ორმოცდაათ კაც ოსმალისთან ერთად და ახალციხის ციხე, რომელიც იმ ველაიეთის უდიდესი სიმაგრეა, ხელში ჩაიგდო. მან დაიპყრო აგრეთვე იქაური ადგილების უმრავლესობა

და ხსენებული წლის რაბი II თვის 4-ს\* კვირა დღეს, მისი კაცები და ამირები შემახაში მოვიდნენ ქვეყნის საფარველ კარზე და მოახსენეს [შაჰს] ეს ჭეშმარიტი ამბავი, რომელიც შაჰის მარადი იღბლის ძალით მოხდა. ყიზილბაშთა ამირები ყველა თავ-თავის სამფლობელოში წავიდა, ათაბეგ-ხანი, რომელიც მაშინ თექვსმეტი წლის იყო, თავის დედასთან ერთად იმ ველაიეთში იმყოფებოდა. არზრუმის ბეგლარ-ბეგმა ეს ამბავი აცნობა მურად ფაშას<sup>88</sup>, რომელიც სარდლად დაენიშნათ და ჯელაღების<sup>89</sup> წინააღმდეგ ბრძოლით იყო გართული. მან ჯელაღების დამარცხების შემდეგ თათრების მარბიელი ლაშქრას უფროსი, ჯებელ ფაშა სალამათ-გირეი-ხანს რომ გამოეშვა სარდლის დასახმარებლად ფერჰად ფაშასთან და მოჰამედ ფაშას შვილთან ერთად, რომელიც მესხეთის გამუსლიმანებულ უფლისწულთაგანი და ოსმალთა შორის გაზრდილი და ფაშას ხარისხსა და ხელისუფლებას მიღწეული იყო, ახალციხეში გაგზავნა. ისინიც მაიმუნის წელიწადის ბოლოს [რომელიც უდრის] 1017 წელს\*\*, ახალციხეში მივიდნენ. ათა-

\* 1607 წ. 29 ივლისი.

\*\* 1608 წ. ჩვ. წელთაღრიცხვით.

ბეგ-ხანმა და მისმა დედამ ვერ შესძლეს მათთვის წინააღმდეგობის გაწევა და ქართლში გადავიდნენ [ათაბეგის] ბიძაშვილთან. დედა ძმისწულთან დასტოვა და თავისი ვაჟი, რომელიც სილამაზითა და სიმშვენიერით საკვირველებას წარმოადგენდა და რომელზეც ზედგამოჭრილი იყო მირ შამს ედ-დინ მოჰამედ სადრე ჯანისის რობაი, განსვენებული უფლისწულის სულთან ჰამზა-მირზას დროს რომ სთქვა სიმონ-ხანის შვილის ლურსაბის შესახებ,

რობაი: „ქრისტიანი ბავშვია ცეცხლთაყვანისმცემელთა ტამარში ცეცხლის დამნთები.

ასი ჰურიასაგან არის შედგენილი მისი არსება ცეცხლის კალოზე!

როგორც შეშისმზიდავს მისი ცეცხლის ტამრისათვის, რეზვანს\* სამოთხის ხის ტოტები მოაქვს სამოთხიდან“.

(ეს ვაჟი) ქვეყნის საფარველ კარზე (შაჰთან) გაგზავნა.

ამ წლის დასაწყისში შამს ად-დინლუს ყაზაყარის და სხვა ამირები, ქართლის მეფის ლუარსაბ-ხანის ქართველთა ჯარის ერთი რაზმით ახალციხეზე წავიდნენ სალაშქროდ და მრავალი ტყვე წამოიყვანეს, ჯებელ ფაშამ ორი ათასი კაცი თათარი, ფერჰად ფაშა და მოჰამედ ფაშას შვილი, რომლებიც მას ახლდნენ, მათ უკუსაგდებად და ქართლზე თავს დასასხმელად გაგზავნა. ისინი შეესივნენ იმ ქვეყანას, დაარბიეს, გაძარცვეს და უკან გამობრუნდნენ. ლუარსაბ-ხანის ლაშქარმა გზა ჩაუკეტა მათ ვიწრო გასასვლელებსა და ტყეებში და ერთი მხრით ყიზილბაშთა ჯარმა და მეორე მხრით ქართველებმა ისინი შუაში მოიქციეს. ორივე ფაშა შეპყრობილ იქნა. ლაშქარი თათრებისა, რომელიც იმ ქვეყანაში უცხონი იყვნენ, საითკენაც არ წავიდა, ყველგან გზა და გასასვლელი შეკრული დახვდა. ნადავლი დაჰყარეს და ტყეებში გაიფანტნენ... ქართველები დაეძებდნენ მათ, შვიდას კაცამდე თათარი ხელში ჩაიგდეს და ისინი „უბედურების მახვილის საჭმელი გახდნენ“. ვინც მახვილს გადაურჩა, ისინიც ქართველმა გლეხებმა გაამიშველეს ტყეებში ქვეითად და შიშველ-ტიტველებმა ათასი უბედურებით-

მიღწიეს ახალციხემდე. ფაშები ქვეყნის საფარველ კარზე გაგზავნეს. ფერჰად ფაშას ქართველი ბატონების თხოვნით აპატიეს [დანაშაული], მოჰამედ ფაშას შვილი კი სიკვდილით დასაჯეს.

## **თხრობა ამირგუნე-ხანისა და ამირების ყარაჯა არდაჰანზე წასვლისა და იმ ველაიეთის ქართველთა დარბევისა და გამარცვის შესახებ**

წინათ მოხსენებული იყო, რომ ჯებელ ფაშა თათრის ჯარით ახალციხეში მივიდა. ამირგუნე-ხანი ფრთხილობდა, თათრებმა თავდა-

\* ანგელოზი რომელიც დარაჯად დგას სამოთხის კართან.

73

სხმა არ მოახდინონო და მათ შეგროვებას ახალციხეში, რომელიც ჩოხურ-საადის მეზობლად არის, მიზანშეწონილად არ მიიჩნევდა. მან მაღალ ტახტს მოახსენა, უნდა ვეცადოთ უკუვავადოთ ისინი, ვიდრე თავს დაესხმებოდნენ [ჩვენს საზღვრებსო]. ამიტომ გამოვიდა უმაღლესი ბრძანებულება, რომ აზერბაიჯანის ყველა ამირი შაჰის პირადი მეთოფეებით, რომელნიც გასულ წელს თავრიზში იყვნენ გაგზავნილი, ერევანში წასულიყვნენ და ამირგუნე-ხანის მეთაურობით ახალციხის ყარაჯა არდაჰანამდე და არზრუმის საზღვრებამდე შესეოდნენ, უკუეადოთ მოწინააღმდეგენი, მოერბიათ ის ქვეყანა და დაეწვათ საძოვრები და პურეული. დადგენილ იქნა აგრეთვე, რომ ორი ათასი ჯელალი ყარა-საიდის და ალა ჯედენ-ბირის სარდლობით შეერთებოდა ყიზილბაშთა ჯარს და გაჰყოლოდა მას ამ ლაშქრობაში.

შაჰის ბრძანების თანახმად, ფირ-ბუდაყ-ხანი თავრიზიდან, მოჰამედ-ხან ზიად ოღლი ყაჯარი ყარაბაღიდან, სხვა დიდებულ ამირებთან და მოხსენიებულ ჯელალებთან ერთად მარაღიდან ერევანში შეიკრიბნენ. შედგა უზარმაზარი ჯარი. ამირგუნე-ხანმა რამდენიმე დღე უმასპინძლა დიდებულ ამირებს და [შაჰის] კარის მსახურთ და [შემდეგ] სათანადო წესით დანიშნულების ადგილისაკენ გაემართა. ოსმალებმა და თათრებმა დაინახეს, რომ ვერ შესძლებდნენ იმ ჯარის გამკლავებას და ციხეებში დაიმაღლნენ თავის გადასარჩენად. [ყიზილბაშთა] ძლევამოსილი ლაშქარი ქართველთა ქვეყანაში შევიდა და იმ მხარეს „რბევისა და მარცვის ცეცხლი წაუკიდა“. მრავალი ურწმუნო ქართველი ქალი და ბავშვი დაატყვევეს და ის ქვეყანა სრულიად ამოაგდეს. ამირგუნე-ხანმა გაიგო, რომ მუშის ველზე შეგროვილიყო ერთი რაზმი ოსმალებისა და განზრახული ჰქონდათ [ყიზილბაშებზე] თავდასხმა. ის ერევნის ლაშქრით გაემართა იმ მხარეს, გაფანტა მათი რიგები და გამარჯვებული და ძლევამოსილი უკან დაბრუნდა. ტყვეებიდან, ვინც შაჰის საკუთარი სარქრისათვის შესაფერისი და საკადრისი იყო, როგორც [ნადავლის] მეხუთედი, ქვეყნის საფარველი [შაჰის] კარზე გაგზავნეს ალიხან-ბეგ ჯევანშირის თანხლებით. ყიზილბაშთა ჯარის ძლევამოსილება და ძლიერება არზრუმის მიდამოებში და იმ ველაიეთში წინანდელზე უფრო ცხადი გახდა და ვერცერთმა ოსმალო ბეგლარბეგმა და ფაშამ ვერ შესძლო ძლევამოსილი ჯარისათვის წინააღმდეგობის გაწევა და ომი და ვერ გაბედა მასთან ბრძოლა. დიდებულნი ამირები, სურვილებშესრულებულნი და ბედნიერნი უკან დაბრუნდნენ და თავთა-



**შაჰის ძღვევამოსილის ამაღლის წასვლა აზერბაიჯანის მხარეს, ჯელალე-  
ბის გაგზავნა ყიზილბაშთა უძღვევლი მხედრების რაზმთან ერთად  
ქურთისტანისაკენ და იმ ხანებში მომხდარი სხვა ამბები**

ამასობაში ხონთქრის ერთი ღირსეული ჩაუში<sup>90</sup>, სახელად ხეირ ედ-დინი, ჰოსეინ-ყული ხოლეფა რუმლუსთან ერთად, რომელიც ელჩად იყო ოსმალეთში წასული, მოციქულად მოვიდა და სახელოვანი ამირების მეშვეობით „ცის თალივით ძლიერი სასახლის ზღურბლის კოცნით იქნა განდიდებული“, მან წარმოადგინა დიდი ვეზირის მურად ფაშას და ოსმალეთის სახელმწიფოს დიდებულთა არზები და წერილები, რომლებიც მისი უდიდებულესობისა და ირანის სახელმწიფოს დიდებულთათვის მოეწერათ და რომლებშიც კეთილმოსურნეობის და მშვიდობიანობის სიტყვები იყო გამოხატული იმის შესახებ, რომ მოსპობილიყო მტრობისა და ჩხუბის მიზეზი, იმ წესით, როგორც ამას წინათ სიმონ-ხან ქართველის მეშვეობით აცნობეს მათ.

**ამბები ძაღლის წლისა, რომელიც შეესატყვისება ათას თვრამეტ წელს,  
ნაწილობრივ ათას ცხრამეტ წელს (1610), და რომელიც მისი უავგუს-  
ტოესობის ტახტზე ასვლის ოცდამეოთხე წელია**

სხვა ამბებიდან, რომლებიც ოლონგ-ყარაჩუყში დგომის დროს მოხდა, [აღსანიშნავია] ქართლის მეფის სიმონ-ხანის შვილიშვილის, ხელმწიფეთა შთამომავალ ლურსაბ-ხანის მოსვლა რომელიც ამ წელს შეიმოსა მლოცველის სამოსით, რათა მთხვეოდა შაჰინშაჰის [კარის] ბედნიერ ზღურბლს და თავისი დედა-დედოფლით, რომელიც ქართველთა კანონით ხელმწიფის დედაა, უმაღლეს კარზე მოვიდა. უკეთილშობილესი [ხელმწიფის] ბრძანების თანახმად, მოჰამედ ამინბეგი, აზერბაიჯანის ვეზირის, „თავდადებულის“ საპატიო ტიტულით შემკული ხოჯა მოჰამედ-რეზას ძმა, მის შესახვედრად წავიდა და ყოველი სადგურიდან სადგურამდე შესაფერისად ემსახურა და პატივისცემით და მოწიწებით შაჰის ტახტთან მოიყვანა, ხსენებულ ველზე ის შაჰმა მიიღო და მრავალგვარი ხელმწიფური წყალობითა და აღერსით დააჯილდოვა. თბილისის ველაიეთი, რომელიც საქართველოს განთქმული ქალაქია და რომლის ციხე-სიმაგრეს თავი მარჩბივის ვარსკვლავედის თალამდე ჰქონდა აღმართული, ოსმალებს სვიმონ მეფისათვის წაერთმიათ და დაახლოებით ოცდაათი წელიწადია მას ფლობდნენ. ცხენის წელიწადს, ათას თხუთმეტ წელს\*, როგორც ამ წლის ამბებში იყო აღწერილი, [ირანის] ძღვევამოსილი სახელმწიფოს მფლობელობაში გამოვიდა და დღემდე მის მცველად. ხელმწიფის ბრძანების თანა-

\* 1606 წ. ჩვ. წ.

ხმად, მოჰამედ-სულთან შამს ად-დინლუ იყო. წელს [თბილისის], სიმონ-ხანის კეთილმოსურნეობისა და ერთგულების საზღაურად, მის შვი-

ლიშვილს, ხსენებულ ლუარსაბ-ხანს ეწყალობა. ხსენებული [ლუარსაბი] კარგი შესახედავი, მშვენიერი სახის, მოხდენილი ყმაწვილი იყო, ჩვიდმეტი წლისა იყო შაჰს რომ ეახლა. ჭემმარიტად, ქართველ ბატონიშვილთა უმრავლესობა, ის კი არა, იმ ქვეყნის მთელი ხალხი, მამაკაცები და ქალები, ჰავის სინაზის გამო, ნატიფ ღაწვთა და ლოყათა სიტურფით და სინარნართ, ნაკვთების და ხალხების შემკულობით, სხვა ადგილებისა და ქვეყნების ხალხებს სჯობია. ყველანი ჰურას?! მსგავსნი და იოსებ [მშვენიერის] ღაწვთა მქონენი არიან, მოსეს შუქმფენი ხელის სხივები გამოკრთის მათი სახიდან და ქრისტიანული სასწაული ცხადად ჩანს მათი ენატკბილობიდან და საამო ქცევიდან. თუმცა იმ ქვეყანაში ქრისტიანობაა გავრცელებული და ეს ხალხი მოკლებულია ჭემმარიტ სარწმუნოებას, მაგრამ თავისი სილამაზით, ჰავის სიკეთით და ადგილის უმწიკვლობით და აყვავებულობით მას ყველა სხვა ქვეყანასთან შედარებით უპირატესობა შეიძლება მიენიჭოს. ვინც ნახა ის მხარე, მათი მოწმობანი ადასტურებენ ამ ქვეყნის სიმშვენიერეს.

ლექსი: ყოველ წუთს თითო იესო გამოგყავს ფარდიდან,  
თითქოს მარიამის სავანეები გაქვს ფარდაში [გახვეული].

ერთი სიტყვით, ლუარსაბ-ხანი თავისი დედა-დედოფლით და სამეფო გვარის სხვა მანდილოსნებით ექვს თვეს იმყოფებოდა [შაჰის] უმაღლეს ამაღაში. სარდალ მურად ფაშას დაბრუნების შემდეგ, რაც ქვემოთ იქნება მოხსენიებული, მათ წასვლის ნებართვა მიიღეს და, პატივნაცემნი წავიდნენ.

### **თხოვა თავრიზის რაშიდის უბანში<sup>2</sup> ციხის აშენების, ძველი ციხის დანგრევის და ბედნიერად დასასრულებელი ამ წლის სხვა ამბების შესახებ**

ახალი ციხის დასრულების შემდეგ ძველი ციხე დაანგრეს. მისმა უდიდებულებობამ ღვთის ჩრდილმა შაჰმა, როცა მოათავა ლაშქრის გასინჯვა და ციხის აშენება, ქვეყნის დამპყრობი ამაღა ერაციის მხარეს დასძრა და აჰარის გზით ქალაქ არდებილისაკენ გაემართა. ამასობაში კახეთის მეფე თეიმურაზ-ხანი, რომელსაც სარდლის მოსვლის ამბების [გაგონების] გამო, „ცის სფეროს ხელმძღვანელი ზღურბლის [წინაშე] მსახურების სამოსელი ჩაეცვა“ და [შაჰის] მაღალ კარზე წამოსულიყო ჩამოვიდა და ნოხის კოცნის ბედნიერებით იქნა პატივნაცემი. [თეიმურაზი] ზოგიერთ ქართველ აზნაურზე ცუდი შეხედულების იყო, ჭემ-

76

მარიტება მის უწმინდესობას შაჰს მოახსენა. მაღალმა ხელმწიფემ ყურადღება მიაპყრო მისა და ქართლის მეფის ლუარსაბის, რომელიც ხელმწიფეს ახლდა, მდგომარეობას, შეასრულა ორივეს თხოვნა და საწადელი, წყალობა უყო და წასვლის ნებართვა მისცა. ისინიც დაკმაყოფილებულნი თავთავის ქვეყანაში წავიდნენ.

**დასაწყისი ბედნიერად დასასრულებელი თურქული თავგის წლისა რომელიც შეესატყვისება ათას ოცდაერთ (1612)**

**წელს, ღვთის ჩრდილის უავგუსტოესი შაჰის ტახტზე  
ასვლის ოცდამეექვსე წელიწადს**

ს ხ ვ ა და ს ხ ვ ა ა მ ბ ე ბ ი . ამ წელს მომხდარი ამბებიდან [აღსა-  
ნიშნავია] ლუარსაბ-ხანის ხალხის, ქართველი აზნაურების მიერ ლო-  
რის მმართველის მოჰამედ-ხან ყაზაყლარის მოკვლა რამდენიმე საჰა-  
ტიო ადასთან ერთად. მისი მოკვლის მიზეზი ის იყო, რომ ყაზაყლარის  
ტომი, [ქართლთან] ახლო მეზობლობის გამო, ხან აშკარად და ცხად-  
ად, ხან ქურდულად და ფარულად, მუდამ არბევდა და ძარცვავდა  
ქართლებს და ტყვედ მიჰყავდა ქალები და ბავშვები. ამიტომ ყვე-  
ლა ქართველს გულში ძველი სიძულვილი აქვს ხსენებული ტომისადმი.  
ოსმალების ბატონობის დროს, როცა ჯაფარ ფაშამ<sup>93</sup> გამოილაშქრა  
თავრიზიდან სიმონ-ხანზე და საქართველოში შემოვიდა, ნაზარ-სულ-  
თანი, მოჰამედ-ხანის მამა, რომელიც განუდგა ირანს, ოსმალებს მიუ-  
ვიდა და ფაშას [ხარისხი] მოიპოვა. მისი ხალხი, რომელიც იმ ქვეყნისა-  
თვის [მტაცებელ] მგელს წარმოადგენდა, მეგზურად დაუდგა ოსმალე-  
თის ლაშქარს. მან შეიპყრო სიმონ-ხანი და ჯაფარ-ფაშას გადასცა. მათ  
შორის, თანახმად გამოთქმისა: „ზოგი [ნაწილი] მემკვიდრეობით“, მემ-  
კვიდრეობითი უსიამოვნება და წინააღმდეგობა იყო ჩამოვარდნილი.  
ამ ხანებში, როცა მოჰამედ-ხანი კეთილშობილი ნოხის კოცნით იქნა  
გაბედნიერებული და ეპატივა შეცოდებანი და დანაშაულებანი, გადა-  
წყდა, რომ ერთმანეთს შეურიგდებოდნენ და ამიერიდან ერთმანეთში  
თანხმობა და მეგობრობა ექნებოდათ. ლუარსაბ-ხანმა მასთან დაიწყო  
მოლაპარაკება მშვიდობიანობაზე, ლხინი მოაწყო და ის მოიწვია მის  
დაახლოებულ და საჰატიო პირებთან ერთად. მანაც მიიღო მიწვევა  
და მეჯლისზე სტუმრად წავიდა. ლუარსაბ-ხანმა და ქართველებმა უდა-  
ლატეს და წვეულებაზე დახოცეს ისა და მისი მხლებლები. თუმცა მო-  
ჰამედ-ხანი ღირსი იყო ამისა, რადგანაც მისი ფლიდი ბუნება მოკლე-  
ბული იყო გულწრფელობას და სიმართლეს და არ იცოდა ხელმწიფის  
წყალობათა ყადრი. მასსა და ოსმალთა სარდლებსა და [სხვა] ოსმალებს

შორის მუდამ მეგობრული მიწერ-მოწერა იყო და მას მართლაც მი-  
ეზლო ის, რაც დაიმსახურა ირანის სახელმწიფოს წინაშე თავისი უმა-  
ღურობით და თავისი მოქმედებით. მაგრამ ლუარსაბ-ხანმაც და ქართ-  
ველებმაც ცუდი საქმე ჩაიდინეს, – დალატი, რომელიც აკრძალული  
და დაგმობილია როგორც მეგობრის, ისე მტრის მიმართ.

**თხრობა თურქული ხარის წლის ამბებზე, რომელიც შეესატყვისება  
ჰიჯრის ათას ოცდა მეორე, ნაწილობრივ ათას ოცდა მესამე წელი-  
წადს (1613 წ.), მისი უავგუსტოესობის ტახტზე ასვლის ოცდა-  
მეშვიდე წელს**

ყაზი-ხან სადრის დაბრუნება ოსმალებში მოციქულად მგზავრობიდან;

**ოსმალეთის ხონთქრის ელჩების მოსვლა ზავის დასადებად და მისი ჩაშლა საიდუმლოებათა და მოწამეობის სამყაროს ჭეშმარიტების მიუწვდომელი გზების წყალობით**

ამ წლის ამბებსა და შემთხვევებს [ეკუთვნის] ყაზი-ხან სადრის დაბრუნება ოსმალეთში ელჩობიდან და მასთან ერთად ინჯილუ ჩაუშის სახელით ცნობილი მუსტაფა ფაშას მოსვლა. ამ ამბის გარემოებანი ის იყო, რომ ლორის წლის ამბებში, რომელიც შეესატყვისება 1020 (1611) წელს აღწერილ იქნა რომ დიდი ვეზირის ნასუპ ფაშას თხოვნის თანახმად, დიდი სადრი ყაზი-ხან ალ-ჰოსეინი გაიგზავნა ზავის საქმის განსამტკიცებლად ოსმალეთში და დიარბექრში ნასუპ ფაშასთან მივიდა. შეხვედრის, პატივისცემისა და თავაზიანობის წესების ორივე მხრივ შესრულების შემდეგ, ისინი ერთად წავიდნენ კონსტანტინოპოლში. გზა ერთმანეთის მხარდამხარ გაიარეს და, როცა ოსმალთა ხელმწიფეთა სატახტო ქალაქს მიაღწიეს, ნასუპ ფაშა პირველი შევიდა ქალაქში, ოსმალთა ხელმწიფის სულთან აჰმედ-ხანის<sup>94</sup> წინაშე მივიდა და მდგომარეობა და ზოგიერთი რამ ყაზი-ხანის პირადი ღირსებების, გვარიშვილობისა და დიდებულობის შესახებ მოახსენა. მეორე დღეს ოსმალთა ყველა ფაშა, ამირი და დიდებული და [სტამბოლის] მთელი ხალხი შეეგება და სრული პატივისცემითა და მოწიწებით ქალაქში შეიყვანეს. ისა და მისი მხლებლები წესისამებრ, ხსენებული დიდი ვეზირის მეშვეობით ხელმწიფეს წარუდგნენ, ელჩობისა და მოციქულობის [საქმე] შეასრულეს და საჩუქრები და ძღვენი მიართვეს. ხელმწიფის მხრითაც მას, წინანდელ დიდებულ ელჩებთან [შედარებით] უფრო მეტი პატივისცემა შეხვდა. რამდენიმე ხანი რომ დაჰყო სტამბოლში, მის სანახავად მოდიოდნენ ვეზირები, ფაშები, მუფთი<sup>95</sup>, ულემები

78

ყადიები, მერჯულენი; ზავის შესახებ ესაუბრებოდნენ და სამხედრო [საკითხებზეც] კამათი ჰქონდათ. ბევრი დავისა და ბჭობის შემდეგ გადაწყდა ზავი ისეთსავე პირობებზე, როგორც სამოთხეში დამკვიდრებული შაჰის (თაჰმასბ I) და სულთან სოლეიმანის დროს იყო დადებული. ინჯილუ ჩაუში ელჩად დანიშნეს და მეგობრული წერილით და საკადრისი ძღვენითა და საჩუქრებით ყაზი-ხანთან ერთად [ირანს] გამოგზავნეს. ისინიც სამეფო ქალაქ ისფაჰანში მაღალი ტახტის საფეხურებთან მოვიდნენ, ნოხზე კოცნის ბედნიერება მოიპოვეს და საჩუქრები და მისართმეველი, რომელიც ელჩის მიერ იყო ჩამოტანილი [შაჰის] ნათელ მზეერას წარმოუდგინეს და ხელმწიფური წყალობით იქნენ დაჯილდოებული.

რადგან ხონთქარმა აზერბაიჯანის მხარეზე საზღვრისა და მიჯნის დადგენა ვანის ბეგლარბეგს მაჰმუდ ფაშას, ხოლო არაბეთის ერაცის მხარეს – ბაღდადის ბეგლარბეგს მაჰმუდ ფაშას, ჯეღალ ოღლის შვილს, დაავალა, რათა ამ მხარის (ე. ი. ირანის) საპატიო კაცებთან ერთად განესაზღვრათ ისინი ზემოხსენებული დროის დადგენილების [პირობების] მიხედვით, ამიტომ მისმა უდიდებულესობამ [შაჰმა] აგრეთვე აზერბაიჯანის მხარეზეც საზღვრების დადგენა ჩოხურ-საადის ბეგლარბეგის-ამირგუნე-ხანის პატიოსნებას და გამოცდილებას მიანდო, ხოლო ბაღდადის მხარეზე „მოყარებ ალ-ჰაზრათს“ მეჰდი-ყული-ბეგს, მირახორბა-

ში ჩაღატათის დაავალა. რადგან ზემოხსენებულ ცხოვრებულ ხელმწიფეთა შორის ზავის დადების შემდეგ ხანგრძლივი დრო და ჟამი იყო გასული და დროთა ბრუნვისა და ჟამთა ტრიალის გამო ბევრი ცვლილება მოხდა მასში, მათ შორის ის, რომ მესხეთი და ახალციხის ციხე, რომელიც წინანდელი ზავით ამ მხარეში (ირანში) შემოდიოდა, უკანასკნელ დრომდე ოსმალების მფლობელობაში რჩებოდა. ხოლო არაბისტანის ზოგიერთი ციხე და ადგილი და ბაღდადი [მაშინ] ოსმალების საზღვრებში შედიოდა, ამჟამად კი ირანის მფლობელობაშია, მათი დაცლა და ორივე მხარისათვის გადაცემა ძნელი იყო. უკეთესია, რომ ის, რაც საზავო ხელშეკრულების დადების დროს თითოეული მხარის დანიშნულ პირთა მფლობელობაში იყო, როგორც იყო, ისე დარჩენილიყო სამუდამოდ და მხარეებს ის ადგილები არ შეევიწროვებინათ. გაგზავნილ პირებს დაავალეს დაეცვათ ეს წესი და საზღვრები და მიჯნები ისე დაედგინათ, რომ სრულებით მოსპობილიყო მტრობისა და ჩხუბის საბაზი და „ნაწილის გამო მთელი არ შეეფერხებინათ“.

ამირგუნე-ხანი, უავგუსტოესი ბრძანების თანახმად, სათანადო წესით საღმასში წავიდა. მოჰამედ ფაშაც იქ მივიდა. ორი თვე ამ მოლაპარაკებას. მოანდომეს და საზღვარი და მიჯნა დადგენილ იქნა იმგვარად, როგორც აღწერილი იყო. დაიწერა „საზღვრის წიგნი“ და მო-

79

ჰამედ ფაშას, საზღვრისპირა [მხარეების] სანჯაყბეგებისა<sup>96</sup> და ოსმალთა დიდებულების მიერ ბეჭედდაკრული ის ამირგუნე-ხანს მისცეს. მისი პირი ამირგუნე-ხანისა და ამ მხარის (ირანის) ამირების ბეჭედებით მოჰამედ ფაშას გადასცეს და ერთმანეთს განშორდნენ. მაგრამ მაჰმუდ ფაშამ, რადგანაც ბაღდადისა და არაბისტანის მხარის [გამო] მეტი უთანხმოება იყო, ვერ შესძლო იმ საზღვრების დადგენა, მხარეებმა შეაჩერეს [მუშაობა] და [საზღვრების დადგენა] აღარ განხორციელებულა. ბოლოს მემბოხეთა, განსაკუთრებით ქართველებისა და ქურთების, ბოროტებით, ზავის დადების საქმე მოიშალა, იმ ხანად აღარ განხორციელებულა და ორივე მხრით ისე გაჩაღდა შფოთის ცეცხლი, როგორც მომავალი სიტყვიდანაც ნათლად ჩანს.

### **მისი უავგუსტოესობის გალაშქრება საღვთო ომისათვის საქართველოზე, დასჯა და დატუქსვა ურჯულო ქართველებისა და იმ ბედნიერი ლაშქრობის დროს მომხდარი ამბები**

ამას წინათ აღწერილ იქნა, რომ კახეთის მეფე თეიმურაზი, ძე ალექსანდრე-ხანის შვილის დაუდ-ხანისა და ქართლის მეფე ლუარსაბი, სიმონ-ხანის ძის გიორგი-ხანის შვილი, ორივე მისი უავგუსტოესობის მიერ გამოზრდილი და დანიშნული [მეფეებად], ძალის წელიწადს, როცა ოსმალთა სარდალი მურად ფაშა თავრიზს მოვიდა, უკეთილშობილეს [ხელმწიფეს] ახლდნენ. წამოსვლის დროს ხელმწიფეს სთხოვეს, რომ, როცა მისი უდიდებულესობა სამოთხისებურ მაზანდარანს<sup>97</sup> გაემგზავრება სანადიროდ და სასეიროდ, შეგვატყობინეთ. რათა მსუბუქად და მარტო მოვიდეთ უავგუსტოეს ამაღლაში და იქ ნადირობის დროს „უწმინდეს უზანგს“ (შაჰს) ვახლდეთ, რადგან იმ ველაიეთის სანაქებო თვისებების შესახებ ბევრი გვსმენია და სანატრელია

იქ ნადირობა და გასეირნებაო. ისინი პირობას სდებდნენ ხელმწიფის წინაშე, რომ თუ ხელმწიფე საჭიროდ დაინახავს ჩვენს დასწრებას, მალემსრბოლს გამოგზავნის და მიგვიხმობს, იმავე წუთს გამოვემართებით და ნიავქარით [სწრაფად] ბედნიერ ამალაში მოვალთო.

ამიტომ გასულ ზამთარს, როცა დიდებული დროშები (ე. ი. შაჰი) იმ მხარეს გაემართნენ, როგორც დათქმული, იყო, გამოიცა ბრძანება მათი გამოწვევის შესახებ. [მაგრამ] ამირ-ყული ჯილავდარი, რომელმაც მიუტანა მათ ეს სასიხარულო ამბავი, სხვადასხვა მიზეზის მოგონებით გააჩერეს ერთხანს, თითოეული მათგანი თავის წასვლას მეორის გამგზავრებას [უკავშირებდა და] სდებდა [სხვა დროისათვის]. იმდენი იძვრინეს თავი, რომ მაზანდარანში [უკვე] დათბა, გაზაფხული და ნადირობის დრო გავიდა და მისი უდიდებულესობა შაჰიც იმ ველაიეთიდან წა-

80

მოვიდა. ხსენებული ჯილავდარი ხელცარიელი გამოაბრუნეს [საქართველოდან] და შაჰის კარზე არ მოვიდნენ. უეჭველია, რამდენიმე ქართველის, განსაკუთრებით შერმაზხანის წაქეზებით დასდევს მათ პირობა და პაემანი, რომ ამიერიდან ერთმანეთთან თანხმობით ყოფილიყვნენ, იმის საწინააღმდეგოდ, როგორც მათი მამები იქცეოდნენ, და სანამ შესაძლებელი იქნებოდა, თავისი საცხოვრებელიდან არ დაძრულიყვნენ და ყიზილბაშებისათვის არ ჩაეგდოთ თავი [ხელში]. ჭემმართად, ის ხალხი თავისი ბედის დაქცევას ეცადა და უბედურების ხელსაწყო მოიმარაგა, ერთი სიტყვით, ეს ამბავი მეტად დაუმძიმდა მის უწმინდესობას (შაჰს). „მისი ნათელი აზრის სარკე ისე დაიმტვერა, რომ სრულებით არ ღებულობდა სიტყვებით და ბოდიშებით გაწმენდას“. მან გადასწყვიტა, რომ, რადგან ხსენებული უფლისწულები „უვიცობისას და სიამაყის ცხენზე შემჯდარან, ბედის სილის [გარტყმა] ჯერ არ უგემიათ, უბედურების მასწავლებელს მათთვის დარბეგბის მომსმენი ყური დასჯის ხელით არ აუწევია ჭკუის სასწავლად“ და ჟამთა გამოცდილებით არ გამოზრდილან, [ამიტომ] მათ დასასჯელად და დასატუქსავად წასულიყო ყარაბაღს. თუ საქართველოს მეფეები პატიების სათხოვნელად მოსულნი შეხვდებოდნენ უავგუსტოეს ამალას, „უზანგის კოცნით და კეთილი სამსახურით [შაჰის] უწმინდესი აზრის სარკეს მტვერს მოაცილიდნენ“ და ერთგულთა წესით მოიქცეოდნენ, მაშინ მათ ისე მოეპყრობოდა [ხელმწიფე], როგორც მისი კეთილშობილი და მწყალობელი ბუნება მოითხოვდა. და თუ, როგორც ნათქვამია: „მოღალატე მხდალიაო“, შეეშინდათ და არ ეახლნენ, მათ უმეცრების ძილიდან გამოაფხიზლებდნენ და საკადრისად დასჯიდნენ.

რამდენიმე დღე, როცა სამეფო ქალაქ ისფაჰანში სიცხე დაიჭირა [შაჰმა], ფერეიდანის<sup>8</sup> იალაღებზე გაატარა; როცა აგრილდა, სამეფო ადგილსა და სამყოფელს დაუბრუნდა. იქიდან რამაზანის კურთხეული თვის ორს\*, ხუთშაბათს დღეს, სამღვთო ომისათვის საქართველოსაკენ დაიძრა.

რადგანაც საზღვრები [ოსმალეთსა და ირანს შორის] ჯერ კიდევ დადგენილი არ იყო და ამ საქმეზე დანიშნული ორივე მხარის საპატიო კაცები არ დაბრუნებულიყვნენ, [შაჰმა] ბრძანა, რომ ოსმალეთის ელჩი ინჯილუ ჩაუში, რომელიც [შაჰის] მაღალ კარზე იმყოფებოდა, ისფაჰანში ყოფილიყო მოსვენებით და როცა ის საქმე გადაწყდებოდა და სა-

იმედო „საზღვრის წიგნები“ გამზადდებოდა, მას შესაფერისი წესით გაისტუმრებდნენ.

[შაჰი თავისი ამალით] ნელ-ნელა მიდიოდა და ყოველ გასაჩერებელ ადგილზე [ქვეყნის] დამპყრობელი ჯარის რაზმები უერთდებო-

\* 1613 წ. 16. X.

6. ვ. ფუთურიძე

81

დნენ [მის] ბედნიერ ამალას. სვესვიანად და ბედნიერად მიაღწიეს ქალაქ არდებილს, რამდენიმე დღეს იქ ილოცეს წმინდათა ხელმწიფის და მართალთა [დედამიწის] ღერძისა\* და მეცხრე ცაზე დამკვიდრებულ დიდებულ შეიხთა საფლავებზე – ღმერთმა აკურთხოს მათი საიდუმლოებანი – და რადგანაც მომზადებული იყო. ზავი ოსმალებთან იმ პირობებზე, როგორც სამოთხეში განსხვავებული შაჰის (თაჰმასბ I-ის) და სულთან სოლეიმანის დროს იყო დადებული, რომლის მიხედვითაც საქართველოს მხარეებიდან მესხეთი, ქართლი და კახეთი, ყოველი მხრით ყიზილბაშთა ქვეყნებს რომ ეკვრიან, ამ მხარეს (ე. ი. ირანს), ხოლო დანარჩენი: ბაში-აჩუკი (იმერეთი), დადიანის და გურიელის [ქვეყნები] ოსმალეთს მიეკუთვნა. იმისათვის, რომ ხელშეკრულება განმტკიცებულიყო და პირობა შესრულებულიყო, ხოლო ანგარებიან ხალხსა და ბოროტგანმზრახველებს საქართველოზე [შაჰის] გალაშქრება სხვანაირად არ წარმოედგინათ, რაც შეუთავსებელი იქნებოდა ზავთან, და არ ეცადნათ შფოთის ატეხვა და დანგრევა მუსლიმანთა კეთილდღეობისა, – ამიტომ [შაჰმა] უწმიდესი ამალის ერთი მსახური სულთან მოჰამედ-ბეგ თალიში არდებილიდან გაგზავნა მოციქულად ოსმალეთში ნასუჰ ფაშასთან და ნამდვილი მიზანი საქართველოში გალაშქრებისა – ირანის ქვეშევრდომთა დასჯა, აცნობა.

არდებილიდან [შაჰი] გზადაგზა ნადირობით ყარაბაღს მივიდა. რადგანაც მათ (ქართველებს), და განსაკუთრებით ბედოვლათ თეიმურაზს „უდარდელობის ფარდა ჰქონდათ გამჭრიახობის თვალზე ჩამოფარებული“, გადაუხვიეს ჭემმარიტ გზას, „გადაკარგვის გზისაკენ გაემართნენ“ და, რაკი ერთგულნი არ იყვნენ, უდაბური ტყეებისა და ტევრების სიმაგრით ტყუილად დაიმედებულნი, შაჰს არ ეახლნენ. მისმა უდიდებულესობამ, ღვთის ჩრდილმა შაჰმა უბრძანა თავრიზის მმართველს ფირ-ბუდაყ-ხანს ზოგიერთ ამირთან ერთად, ყარაბაღის ამირის დელუ-მოჰამედ შამს ად-დინლუს მეგზურობით და თანხლებით რომელიც საქართველოსთან მეზობლად ყოფნის გამო იმ ქვეყნის გზებსა და იწროებს და ავსა და კარგს იცნობდა, შესეოდა კახეთს თბილისის მხრიდან, რომელიც კახეთის ოლქის აღმოსავლეთ მხარეს არის, ხოლო იუსუფ-ხანს, შირვანის ბეგლარბეგს, იქაურ ამირებთან ერთად [შირვანიდან], რომელიც კახეთის დასავლეთით\*\* არის, და თეიმურაზი, როგორც ნადირი, შუაში მოექციათ.

დიდებული ამალა ძლევაგამოსილი ლაშქრით قوين ازهلی-სთან მტკვარზე გადავიდა, საქართველოს ველაიეთში შევიდა და მდი-

\* იგულისხმება სეფიანთა წინაპარი შეიხი სეფი ედ-დინ ისჰაყი (1252–1334).

\*\* ასეა დეუდანში.

ნარე ყაზრის (ივრის) პირას დადგა. როცა თეიმურაზმა ბედნიერი ამალის მოსვლა გაიგო, ცოტათი გონს მოვიდა, შეძრწუნდა, თავისი არასაქებარი ჯარი, ქვეითებისა და ცხენოსნებისა, შეკრიბა და ტყესა და ტევრში, მაგარ ადგილებში, საკვებს მოკლებულმა, ჩიტსავით ხეებზე გაიკეთა ბუდე, რათა რამდენიმე დღეს თავი გადაერჩინა „ბედნიერების მთებზე მალლა მფრინავი შევარდნის (შაჰ-აბასის) კლანჭებისაგან“. რადგანაც ის, გამოუცდელი და უვიცი, ხელმწიფის ჩრდილ ქვეშ იყო გამოზრდილი, მის უდიდებულესობას, ბუნებრივია, არ უნდოდა თავისი გაზრდილისათვის ერთბაშად მოეკლო ყურადღება. ამიტომ მან ზაქერ-ალა ყუმჩი, რომელიც შაჰის კარზე დაკავშირებული იყო თეიმურაზთან, გაგზავნა მასთან, რათა ტკბილი დარიგებით „დაუდევრობის ბამბა ამოეცლია ყურებიდან“ და ეიძულებონა რომ ხლებოდა ხელმწიფეს, რადგან ამის გარეშე მის საქმეს არაფერი ეშველებოდა. მანაც (თეიმურაზმა) თავისი უძლურება და უმწიფობა გამოთქვა და მოახსენა [ზაქერ-ალას], რომ შიშითა და ძრწოლით ვარ შეპყრობილი, ხელმწიფის რისხვის შიშით ძალა არ შემწევს, რომ ამჟამად ვეახლო მასო. დედამისი თავისი ორი პატარა ვაჟიშვილით რამდენიმე. საპატიო აზნაურთან და ქართველ ეპისკოპოსებთან და ბერებთან ერთად, შაჰის კარზე გაგზავნა, რათა მათ ეშუამდგომლათ მისი დანაშაულის და შეცოდების პატიება. თან ითხოვა, რომ [შაჰს] ამჯერად არ დაესაჯა ის და ენება გაბრუნება. სხვა დროს, როცა ცხადი გახდება, რომ ხელმწიფემ მაპატია და დავმშვიდდები, მაშინ მოვალ ბედნიერების ბუდეში“ – შაჰის კარზეო.

ლექსი: დედას უთხრა ასე: ო, კეთილო ქალო,  
 ნუთუ შენ გინდა ბოდიში მოიხადო ჩემი დანაშაულისათვის.  
 არ იცი, რომ ისინი უმეცრებისაგან არის?  
 ბოლო უვიცისა სინანული არის!

ხსენებული გაგზავნილები მდინარე ყაზრის პირას მივიდნენ, თეიმურაზის დედა და იმ სამეფო გვარის მანდილოსნები შაჰის კარს ეახლნენ და ხელმწიფური ყურადღებით იქნენ მიღებული. მისმა უდიდებულესობამ, ხსენებული მანდილოსნის თხოვნით, აპატია და მიუტევა [თეიმურაზს] დანაშაული და შეცოდება. ამ დროს მიღებულ იქნა ერთი უხამსი წერილი, რომელიც [თეიმურაზს] თავისი სრული უვიცობისა და უგუნურების გამო მიეწერა ქართლის მეფის ლუარსაბის ბიძაშვილის ბაგრატ-მირზასათვის<sup>99</sup>, რომელიც მუდამ „უკეთილშობილესი უზანგის“ (შაჰის) მსახური იყო და ხელმწიფის კარზე იყო მიღებული. ქართულად დაწერილი [ეს ბარათი] მოლაპარაკებისათვის საწინააღმდეგო და დროისათვის შეუფერებელ სიტყვებს შეიცავდა. [ბაგრატმა], რომელიც მეტად ერთგული იყო და ეშინოდა შფოთის ამტეხი

ადამიანებისაგან მოტყუებისა, ვერ დამალა და წერილი [შაჰის] ნათელ მზერას წარუდგინა. იმ წერილის შინაარსმა ისე გააღვივა [შაჰის] რისხვის ცეცხლი, რომ ის ვედარ ჩააქრო შუამდგომელთა მორჩილმა [თხოვნამ]. თეიმურაზის დედა და ვაჟები, მათთან მყოფ მსახურებ-



თან ერთად, სანდო კაცებით ერაყში გაგზავნა და აზნაურები გამოცდილ ხალხს გადასცა, რომ მათი ზედამხედველობით [უკან] დაბრუნებულიყვნენ.

თეიმურაზმა რომ ეს ამბავი შეიტყო, ვეღარ შესძლო თავის სამყოფელ ადგილზე გაჩერება, თავისი ოჯახითა და მომხრეებით, აგრეთვე აზნაურებისა და დიდებულების მცირე რიცხვით რომელნიც დაახლოებით ხუთასი-ექვსასი კაცი იქნებოდნენ, უვალი გზით ქართლის მხარეს გაიქცა და ლუარსაბთან მივიდა. მანაც აგრეთვე [ციხილბაშთა] ძლევამოსილი ლაშქრის წინაშე დიდი შიშით ვერ შესძლო გაჩერებულის თავის ქვეყანაში და ორივე ერთად, სულით დაცემული და შემრწმუნებული, ბაში-აჩუკისაკენ გაიქცა და იქაურ მეფეს გიორგის<sup>100</sup>, რომელიც ოსმალეთის ქვეშევრდომი იყო შეაფარეს თავი მათი თავგადასავალის დასრულება და საქართველოში მომხდარი ამბები შემდეგი წლის შემთხვევებში იქნება აღწერილი, თუ მაღალმა ღმერთმა ინება.

### **თხრობა ჯიქის წლის ამბებისა, რომელიც შეესატყვისება ათას ოცდასამ, ნაწილობრივ ათას ოცდაოთხ წელს (1614 წ.) და რომელიც არის ღვთის ჩრდილის აბასის ტახტზე ასვლის ოცდამერვე წელი**

...მთელს ქვეყანაზე მსრბოლი ურდო [შაჰისა] ხუთშაბათ დღეს, ნოვრუზის ღამეს გადავიდა მდინარე ყანაყზე (ალაზანზე), რომელსაც მესამე [ადგილი უჭირავს სიდიდით] დიჯლასა და ჯეიჰუნის<sup>101</sup> [შემდეგ] და დადგა ერთ ადგილას ქიზიყის\* ოლქში, რომელიც შერმაზან ქართველის საცხოვრებელი იყო. მეორე დღეს იმ მშვენიერ ქვეყანაში ახალი წელი იდღესასწაულეს [ციხილბაშებმა].

რადგანაც უბედური თეიმურაზი, როგორც აღწერილი იყო, ბაში-აჩუკში გაიქცა, სამყაროს ხელმწიფემ საქართველოს მმართველობა და მფლობელობა უწყალობა ალექსანდრეს ძის გიორგი-მირზას შვილს ისა-ხან-მირზას<sup>102</sup>, თეიმურაზის ბიძაშვილს, რომელიც ბავშვობაში უკეთილშობილეს კარზე იყო მოყვანილი, შაჰმა გამოზარდა და ისლამის მიღებით იქნა ამალღებული. ვექილად<sup>103</sup> დაუდ-ბეგი<sup>104</sup>, ქართველი

---

\* აკად. დორნს და ბროსეს აქვთ აქ Franak, რომლითაც ისინი „مسق“ „მესხ“-ს თარგმნიან.

დიდებული აზნაური დაუნიშნეს, ქართველების წესისა და რიგის თანახმად იმ სამეფოს მბრძანებლობის ტახტზე დასვეს და ოქრო გადააყარეს თავზე. ციხილბაშთა ამირებმა და დიდებულებმაც, მისი უავგუსტოესობის მითითების თანახმად, ქართველებთან ერთად ოქროსა და ვერცხლის ფული ოქროს თასებით და ვერცხლის თაბახებით გადააფრქვიეს [მას თავზე]. ქართველი დიდებულები და წარჩინებულები, იმათ გარდა, ვინც თეიმურაზის ხლება ირჩია, ისა-ხანთან შემოიკრიბნენ და მორჩილება განუცხადეს. ხელმწიფის ძლიერების [წინაშე] შიში და მორიდება ისე იცავდა ქართველების ქონებას, რომ არც ერთ კაცს გლეხის კალოდან ბზის ერთი ნამცეცის აღებაც კი არ შეეძლო, რამ-

დენიმე უგუნურ და ბედოვლათ კაცს რომელნიც ლაშქრობის დროს მივიდნენ ქართველების დაცარიელებულ სახლებში და დაიწყეს ქრისტიანების ბინების\* მარცვა, მუცლები დაუფატრეს და უკან გაგზავნეს ბანაკში.

ასეთი სასჯელი ჭკუის მასწავლებელი გახდა სხვებისათვის და ქართველი გლეხები და შეუძლებელნი, რომელნიც მეორედ მოსვლასავით [საშინელი ყიზილბაშთა] ლაშქრის შიშით გაფანტული და ტყეებში შემძვრალი იყვნენ, შაჰის სამართლიანობის ხმის გაგონებაზე თავიანთ საცხოვრებელ და სამყოფელ ადგილებზე დაბრუნდნენ და ხელმწიფის წყალობით იქნენ მოსილნი.

[შაჰი] ქიზიყის ველაიეთიდან აიყარა და დადგა ქალაქ გრემში, რომელიც ქართველ ხელმწიფეთა საჯდომი და სამეფო ადგილია. ხოლო ეს აყვავებული ქალაქი ნიმუშია სამოთხის ბაღისა, რომელიც ქრისტიანების საცხოვრებელ ადგილად გამხდარა [ამ] ქვეყნად, უეჭველია, ამ მხარეზე მართლდება შინაარსი გამოთქმისა: „ქვეყანა საპყრობილგა მორწმუნეთათვის და სამოთხეა ურწმუნოთათვის“. ამ ქალაქში არის ერთი მშვენიერი ეკლესია, უაღრესად ლამაზი და მორთული. არ ვიცი. ისლამის წარმოშობიდან უკანასკნელ დრომდე მუსლიმანური მოწოდება [ლოცვაზე] იმ ადგილის მცხოვრებთა ყურს თუ სმენოდეს. იმ ეკლესიაში მხოლოდ ჭეშმარიტების გზას აცდენილი ბერ-მონაზვნები უნახავთ იქაურ მცხოვრებლებს. მოსახლეობის უმრავლესობას, რომელიც უმთავრესად ქრისტიანებისა და მცირე რიცხვ ებრაელებისაგან შედგება, ისლამის ნიშნისა და მუსლიმანური რჯულის შესახებ სახელის გარდა არაფერი გაუგონიათ. სარწმუნოების საფარველი შაჰი, ღვთის სიტყვის განსადიდებლად, ხსენებულ ეკლესიაში შებრძანდა. ბედნიერი ამალის კეთილხმოვანი მუემინები ჭეშმარიტ გზას აცდენი-

\* აკად. დორნი თარგმნის ამას „მარნად“ – Weinkeller. შეიძლება მის ხელნაწერში იყოს არა خانه نصاری, არამედ სხვა სიტყვა, რაც „მარანს“ ნიშნავს,

ლი იმ ხალხის ტაძრის თავზე ავიდნენ და ხმამაღლა დაიძახეს: „აღლაჰიმე, აკურთხეხს მას და მის ოჯახს და მიესალმება“. ასევე, რომელ მონასტერსა და ეკლესიაშიც არ მივიდოდნენ, ლოცვად მოუწოდებდნენ და სიხარულის მომგვრელი ხმა მშვენიერი სიტყვებისა: „არა არს ღვთაება, გარდა ალლაჰისა და მოჰამედია მოციქული [და] საყვარელი [არსება] ალალი ღვთისა! – ზეციური სამეფოს მკვიდრთა ყურამდე მიიტანეს.

იქიდან აიყარა [შაჰი] და დადგა ალავერდის ეკლესიაში, რომელიც საქართველოს ქრისტიანეთა უდიდესი სამლოცველო და ტაძარია და მართლაც დიდებული შენობაა. იქ გაიგო, რომ იმ ველაიეთის ჩრდილოეთ მხარის შორეულ [კუთხეში] არის ერთი ციხე, რომელსაც თარაღის<sup>105</sup> უწოდებენ. მასში გამაგრებულია ქართველების ერთი ჯგუფი, რომელნიც უკანასკნელ დრომდე არ დამორჩილებიან ისა-ხანს. იქვე ინახება თეიმურაზის ზოგი ბარგი და ქონება. იმ ციხეზე გაგზავნეს ძლევამოსილ მეომართა ერთი რაზმი აზერბაიჯანის მეთოფეთა მინბაშის<sup>106</sup> მოჰამედ-თალი-ბეგ თავრიზელის მეთაურობით, ომისა და ჭიდილის შემდეგ ბრძოლისაგან დაუძლურებული გარემოცულნი გაიქცნენ,

ციხე დაპყრობილ იქნა და რაც მასში მოიპოვებოდა, ხელში ჩაუვარდათ [ყიზილბაშებს]. ციხის ალაფში იყო, სხვათა შორის, ძვირფასი თვლებით მოოჭვილი, მარგალიტებით და იაგუნდით შემკული ერთი გვირგვინი, რომლითაც შეიხი და წამამძღვარი ქრისტიანებისა, რომელიც ალავერდელის თანამდებობის ხარისხს, ესე იგი ალავერდის ეკლესიის წინამძღვრობას მოიპოვეს, ქრისტიანების წმინდა დღეებში და დიდ დღესასწაულებში თავს შეიმკობს ხოლმე. იგი ხსენებულ ტაძარში ქრისტიანთა რჯულის [წესით] სწირავს და მასთან ქრისტიანები წარმატებას და კურთხევას ეძიებენ. იუველირებმა ის ხუთას შაჰურ ერასულ თუმნად შეაფასეს. ქვეყნის დამამშვენებელმა აზრმა (ე. ი შაჰმა) გადასწყვიტა იმ ეკლესიის გადაქცევა ციხე-სიმაგრედ, მაგარი გალავნის შემოვლება მისთვის და იმ გალავანში მეთოფეთა რაზმის ჩაყენება, რომელსაც მუდმივად უნდა დაეცვა ის. მისი მხარეები და გვერდები ამირებსა და დიდებულებს შორის გაანაწილეს [ასაშენებელი] და, თუმცა ამ საქმისათვის საჭირო ქვა და კირი იმ მიდამოებში არ მოიპოვებოდა და შორიდან მოჰქონდათ, ხსენებული ციხე [მაინც] ოც დღეში აშენდა. მის მცველად დანიშნულ იქნა ისმაილ-ბეგ თოფანგჩი-ბაში (მეთოფეთა უფროსი) ორას აზერბაიჯანელ მეთოფესთან ერთად.

რადგანაც თეიმურაზსა და ლუარსაბს ბაში-აჩუკის [ქვეყანა], იმის გამო, რომ იქ მაგარი ადგილები და ძნელად სავალი მთები იყო და

---

\* ფორმულა, რომელიც იხმარება მოჰამედიას სახელის ხსენების შემდეგ.

86

იქაური მეფეც ოსმალეთის ქვეშევრდომი არისო, საიმედო თავშესაფრად წარმოედგინათ და მასზე დაიმედებულთ იქ შეეფარებინათ თავი, ამიტომ [სარწმუნოებისათვის] გულმოდგინე ხელმწიფემ გადასწყვიტა ელაშქრა ყველა მიმართულებით, საითკენაც საჭირო იქნებოდა, სანამ არ ჩაიგდებდა მათ ხელში, ამიტომ ის გაემართა ქართლისაკენ, რომელიც ბაში-აჩუკის გზაზე მდებარეობს, იქიდან გზა ქართლისაკენ მიდის მეტად ძნელ სავალ და ვიწრო ხეობაში. მისი [მთების] ფერდობები ჯიხვების საცხოვრებელი ადგილებია და მწვერვალები მთვარესავით მაღალი. საქართველოს მმართველებს არასოდეს არ შესძლებიათ მისი [მთების] გადალახვა ჯარით და, ლაშქრით, გზების სივიწროვისა და სიძნელის გამო. განსაკუთრებით ძნელი იყო ეს იმ გაზაფხულს, როცა დღე და ღამე არ შეწყვეტილა წვიმა. ხეების სიხშირის გამო მზის სხივი წლების განმავლობაში ვერ ხვდებოდა იმ [მიწას] და დიდი ტალახისა და ლაფის წყალობით ზღვაში გამვლელ მძლავრ სპილოებსაც კი არ შეეძლოთ ეფიქრათ იქ გავლა. თუმცა იმ გზაზე დიდებული ურდოს და ვარსკვლავებივით ურიცხვი ჯარის გავლა ძნელი და შეუძლებელიც იყო დიდებულებისა და მდაბიოთა აზრით, მაგრამ კეთილშობილი [შაჰის] ქვეყნის დამამშვენებელმა აზრმა მტკიცედ გადასწყვიტა იმ გზით წასვლა, რადგანაც ეს სასარგებლო და საჭირო იყო სახელმწიფოსათვის, ჯარის ნაწილები გუნდ-გუნდად და დასტა-დასტად დაიდრნენ და სამ დღეში გაიარეს ის ვიწრო და ბნელი ხეობა, ბევრი აქლემი და სახედარი დაეღუპათ მოლაშქრეებს და ჯარის მხლებელ ვაჭრებს იმ ტალახით სავსე მწვერვალებსა და ღრე-ტყეებში. მეოთხე დღეს ჯარ-

მა, „რომლის სარბიელი მსოფლიოა“, მიაღწია მდინარის ნაპირს, რომელიც მდ. ყანაყისა და ყაზრის სათავეს წარმოადგენს, და „დიდების კარავი მზემდე და მთვარემდე აღმართეს“. ის ქვეყანა არაჩვეულებრივად მშვენიერი და აყვავებულია. მრავალი ტულიპით, რეჰანით და ნორჩი, სურნელოვანი ყვავილებით შემკული ის სამოთხეშიაც იწვევს შურს. ამ ადგილზე და საქართველოს ყველა მშვენიერ კუთხეზე, რომელიც იმ ურწმუნოთა საცხოვრებელ ბინად გამხდარა ქვეყნად, მართლდება ჰადისი: „ქვეყანა საპრობილეა მორწმუნეთათვის და სამოთხეა ურწმუნოთათვის“, რომელიც ზემოთაც იყო მოხსენიებული,

რათა დაესაჯა ერწოსა და თიანეთის, კახეთის ერთ-ერთი მხარის ხალხი, რომლიდანაც ზოგმა მას (თეიმურაზს) მეგზურობა გაუწია და უცნობი გზებით გაიყვანა ის, ზოგმა კი დევ, რომელთაც იცოდნენ თურა გზით მიდიოდა ის, არ აცნობა მის გზაზე მდგომ ძლევამოსილ მოლაშქრეებს, ხოლო იმ ხალხის დიდებულებმაც ჯიუტობა გასწიეს, არ მიუვიდნენ ისა-ხანს და არ დაემორჩილნენ ისლამის ლაშქარს, – განრისხებულმა შაჰმა ნება მისცა ძლევამოსილ ლაშქარს დაერბია, აეკლო

87

და დაეტყვევნა ის ორი ოლქი. [ყიზილბაშებიც] ცალ-ცალკე რაზმებად შევიდნენ ტყეებსა და ტევრებში და ოცდაათი ათასამდე ტყვე და ორმოცი ათასამდე ხარი, ძროხა და ცხვარი იშოვეს. მეხუთედის გამოკლების შემდეგ, რომელიც ხელმწიფის ხაზინის (სარქრის) კუთვნილებაა, ყველაფერი [დანარჩენი] ისლამის ლაშქარს ერგო, ამ დიდებული საქმის კეთილი [შედეგი], 30.000 ურწმუნომ რომ ისლამის დიდება მოიპოვა, [რაც] უეჭველად არის საფუძველი ხანგრძლივი ბედნიერებისა და იმ ქვეყნად ცხოვრებისა, მისი უავგუსტოესობის (შაჰ-აბასის) ბედნიერ ხანაში იქნა მიღებული. როცა შაჰმა დაიბანაკა არაქ-ჩაის (არაგვის) მდინარის ნაპირზე, რომელიც კახეთისა და ქართლის საზღვარია, მას გადასწყვიტა, ერთი გამოცდილი კარისკაცი გაეგზავნა მოციქულად ბაში-აჩუკის მეფე გიორგი-ხანთან და შეეთვალა, რომ „ჩვენს უავგუსტოესობასა და ოსმალეთის დიდებულ ხელმწიფეს შორის ზავი და მეგობრობა განმტკიცებული და ზავის ერთ-ერთი პირობა ის არის, რომ ორივე მხარემ ერთი მეორის გაქცეული ქვეშევრდომები არ შეიფარონ, არ შემოაღებინონ და არ შეინახონ. მისთვის (მეფე გიორგისათვის) [ხომ] ცხადია, რომ თეიმურაზი და ლუარსაბი, ეს ორი უვიცი და უგუნური [ადამიანი], – ორივენი ამ მხარეს (ე. ი. ირანს) ეკუთვნიან, ჩვენს მიერ არიან გამოზრდილნი და უგუნურებისა და უვიცობის გამო შეშინებულან და მანდ (ბაში-აჩუკში), მოსულან მართებული ის არის, რომ ორივე მხარის ქვეშევრდომებმა გაითვალისწინონ ხელშეკრულებისა და პაემნის პირობები და არ ჩაიდინონ ისეთი საქმე, რომელიც ზავთან შეუთავსებელი და ხელშეკრულებისა და პაემნის საწინააღმდეგო იქნება. ახლა არ უნდა შეინახონ ის ორი უგუნური და ამ მხარეს გამოგზავნონ. მათ ისე მოვეპყრობით, როგორც [ჩენი] ბუნებრივი მწყალობლობა და მეფური შევრდომება მოითხოვს, თორემ განკითხვის დღესავით [საშინელ] ყიზილბაშთა ლაშქარს თქვენსკენ აქვს მომართული პირი და, ვაითუ, ისეთი რამ მოხდეს, რაც სინანულის საფუძველი შეიქნება“.

აზერბაიჯანის ვეზირმა ხოჯა მოჰამედ-რეზამ\*, რომლის საქებარი თვისებების შესახებ ზოგი რამ უკვე გვქონდა დაწერილი ამ ფურც-

ლებზე, ითხოვა, ეს საქმე (მოციქულობა) მე დამავალეთო. თხოვნის თანახმად მას ნება დართეს. ისიც სათანადო წესით გაემგზავრა და ბაში-აჩუკის მეფეს და ხსენებულ უფლისწულებს შეხვდა. ის ლუარსაბს რომელიც რაიმე გარკვეული მიზეზის გარეშე გამხდარიყო თეიმურაზის აჯანყების მონაწილე. ტკბილად ეუბნებოდა საყვედურს და კეთილ რჩევა-დარიგებას აძლევდა. დიდი ლაპარაკის შემდეგ,

ტაეპი: ხან თავაზით, ხან ჩხუბით,

მჭევრმეტყველებით, ბრძნული გამოკვლევით და ჭკვიანური, გონიერი სიტყვით ის ველურები და „უმეცრების ველზე მოხეტიალენი ისევ

---

\* აკად. დორნი უმატებს: „სარუ ხოჯად წოდებულმა“.

88

გამოიყვანა მტრობის სადგომიდან და ერთგულებისა და თანხმობის მოსურნე გახადა“. გიორგი-ხანმაც შაჰის კარის ერთგულება განაცხადა, ბატონ ვეზირისადმი მეგობრული თავაზიანობა გამოიჩინა და უძღურმა და გაჭირვებულმა პატიება ითხოვა, რადგანაც ისინი (ლუარსაბი და თეიმურაზი) ჩემი ახლობლები და ნათესავები არიან, ჩვენ ერთმორწმუნენი ვართ და რომ არ შემომეშვა ჩვენს ქვეყანაში, არაადამიანობა იქნებოდაო. ახლა კი ვითხოვ ორივეს შეუნდოთ მათი დანაშაულიო.

ბატონმა ვეზირმა უპასუხა, ეს შეუძლებელია, თუ ისინი არ ეახლნენ [ხელმწიფესო]. ორივე უნდა წავიდეს ქვეყნის საფარველ კარზე და მორჩილებისა და მსახურების გზას დაადგენო. იმათაც პატიება ითხოვეს და თქვეს, თუ უზრუნველყოფილი ვიქნებით ხელმწიფის რისხვისაგან, „ბედნიერების ბუდის“ – შაჰის კარზე წავალთო. თითოეულმა მათგანმა სანდო კაცი გააყოლა [ხოჯას] და შაჰის კარზე გაგზავნა ხოჯა მოჰამედ-რეზაც დაბრუნდა და გორის სანახებში ხელმწიფის კარზე მივიდა. ხსენებული მეფეების გამოგზავნილი კაცები შაჰის კარის ზღურბლზე კოცნით იქნენ განდიდებული და მორჩილად და საწყლად მეფეების დანაშაულის პატიება ითხოვეს. რადგანაც ხსენებულმა ხოჯამ თავდადება გამოიჩინა ისეთს ველურებში ყოფნის დროს, რომელნიც გარეგნობით ადამიანები არიან, მაგრამ ნადირის ქცევა აქვთ და ცხოველებსავით ბალახობენ თავიანთ ულრან ტყეებში, ამიტომ მას ეწოდა საპატიო სახელად ფედავი\* და ბრძანება იქნა, რომ მჭევრმეტყველმა მდივან-მწიგნობრებმა ამიერიდან ბრძანებულებებსა და სიგელებშიც ხოჯას საპატიო სახელს „წმინდა დინასტიისათვის თავდადებული“ დაუმატონ. ხსენებული მეფეების შესახებ კი [შაჰმა] ბრძანა, რომ, როგორც ფედავიმ უთხრა მათ, თუ ისინი ერთგულებას და გულწრფელობას გამოიჩინენ და მაღალ კარზე მოვლენ, მათი თხოვნა დაკმაყოფილებული იქნებაო. ამ დროს დიდებული კარის მსახურთ (ე. ი. შაჰს მოახსენებს, რომ იმ მხარეში არის უს-ად (ოსერი?) წოდებული\*\*. ერთი ველაიეთი, რომლის მცხოვრებნი ქრისტეს – მშვიდობა მასზე! – რჯულის [მიმდევარი] ურწმუნონი არიან და თუმცა ბაში-აჩუკის ქვეშევრდომებად ითვლებიან, მაგრამ გზების სიძნელის, იქაური ადგილების სიმაგრის და იალბუზთან გადაბმული მთების [დიდი] სიმაღლის გამო, [მთების], რომლის „ჰაერში მხოლოდ ოცნების ფრთებით შეუძლია ფრენა წარმოსახვითს ფრინველს და თვალთახედვის მალემსრბოლი ისარიც ვერ შესძლებს გადაიაროს მისი დიდი სივრცე“, გაამაყე-

\* ერთგული, თავდადებული, თავისი თავის მსხვერპლად შემწირველი, მსხვერპლი.

\*\* აკად. ბროსე ამ სახელს კითხულობს რუსიად.

ბულნი [და დაიმედებულნი], მეფესაც არ ემორჩილებიანო. შაჰმა გადასწყვიტა საღვთო ომი იმ გზადაკარგულ ხალხთან და ერთი რაზმი ისლამისათვის მებრძოლთა ჯარისა ბეგვერდი-ბეგ ქართველის, ფარსის<sup>107</sup> ბეგლარბეგის მოლაზემის მეთაურობით, რომელიც თავისი ხალხის რაზმით [შაჰის] „ბედნიერ უზანგს ახლდა“, მათ წინააღმდეგ გაგზავნა. ძლევამოსილმა მოლაშქრეებმა ბევრი გაჭირვება ნახეს იქ ღრმა თოვლით დაფარულ გზებსა და ხევებზე გადასვლის დროს. [იქაურები] ვინც საბრძოლველად გამოვიდა, ღაზიების მახვილებსა და შუბებს ვერ გადაურჩა და ჯოჯოხეთისაკენ გაეჩქარა, ხოლო ვინც ტყესა და მთაში ეძებდა თავშესაფარს, მათი საცხოვრებლები დაარბიეს და აიკლეს [ყიზილბაშებმა], დაახლოებით ხუთასი კაცი ტყვედ წამოიყვანეს და ორიათასამდე ძროხა და ხარი და ცხვარი ხელში ჩაიგდეს და გამარჯვებულები შაჰის ბანაკში დაბრუნდნენ.

[შაჰმა გადასწყვიტა] ქვეყნის სიკეთისათვის ქართლში ორი ციხე აეშენებინა: ერთი სურამში, რომელიც ახალციხისა და ბაში-აჩუკის ახლოს არის, და მეორე – გორში, ქართლის მეფეთა ძველ სატახტო ქალაქში. ქვეყნის მბრძანებლის ფირმანის თანახმად, იმ ორ ადგილას დაწყებულ იქნა ციხის შენება და რამდენიმე დღეში მოათავეს და გაამარეს ორივე.

**თხრობა ბაში-აჩუკიდან ლუარსაბის მოსვლის, უავგუსტოესი ამალის საქართველოში ლაშქრობიდან სამოთხისებურ მაზანდარანში დაბრუნებისა და იმ ხანებში მომხდარი [სხვა] ამბების შესახებ**

რადგანაც ლუარსაბი და თეიმურაზი, როგორც მოხსენიებული იქნა, თავს არიდებდნენ [შაჰის კარზე] მოსვლას და დროს აჭიანურებდნენ, ბაში-აჩუკის მმართველმა და მისმა მეუღლემ, რომელიც იმ სამეფოს დედოფალია და მონაწილეობს სახელმწიფო საქმეებში, ხოჯა მოჰამედ-რეზას სთხოვეს მოეხსენებინა შაჰისათვის რომ, რადგან ლუარსაბმა, ემორჩილებოდა რა თეიმურაზს, პირი იბრუნა ხელმწიფის მორჩილებისაგან და მისი მზაკვრული სიტყვები მოკლებულია ყოველგვარ გულწრფელობას და სიმართლეს, ამიტომ [შაჰმა] მათი ვაჟი<sup>108</sup> მიიღოს ლუარსაბის ნაცვლად სასახლის ღოღამების რიგებში და ზოგიერთი მხარე ქართლის იმ ადგილებიდან, რომელიც ბაში-აჩუკთან უფრო ახლოა, მას უწყალობოს. ბატონმა ფედავიმ (ე. ი. ხოჯა მოჰამედ-რეზამ) მათი თხოვნა მოახსენა [შაჰს] და ის მიღებულ იქნა. იაყუბ-ხან-ბეგ ყარამანლუ, მშვილდ-ისრის ყორჩი, რომელიც ერთი გულუბრყვილო და გულწრფელად ერთგული თურქი იყო და შაჰთან დაახლოებულ პირთა რიცხვს ეკუთვნოდა, ბაში-აჩუკში გაგზავნეს, რომ თუ ლუარსაბი დაიჟინებს ურჩობას და არ წამოვა

სასწრაფოდ შაჰის კარზე, გიორგი-ხანის შვილისთვის\* აღეთქვა მთელი ქართლის მმართველობა და მაღალ კარზე მოეყვანა, რათა ამ ბედნიერი წყალობით ყოფილიყო გამორჩეული თანასწორთა შორის.

ლუარსაბმა რომ ეს გაიგო, ცოტათი „გამოფხიზლდა დაუდევრობის ძილიდან“, გონს მოვიდა და მეტად შემფოთებულმა იაყუბ-ხან-ბეგს სინანული განუცხადა. მანაც შებრალებით დაარიგა ის, ბატონ ფედავისაც წერილი მიეწერა მისთვის, ნუ მიჰყვები ბოროტგანმზრახველების სიტყვას და ტყუილად ნუ გადაიქცევი ქვეყნად მოხეტიალედ და ბედს ნუ დააღუპვინებ თავსო. მოკლედ, ლუარსაბმა თავისი გარეგნობა წრფელი ერთგულების სამოსლით შეიმკო, შიგნით კი ვერაგობით და მზაკვრობით [სავსემ], რაც იმ ხალხის ბუნებას შეადგენს, დედა და თავის მიმდევრები იქ დასტოვა და რამდენიმე აზნაურით. იაყუბ-ხან-ბეგის თანხლებით „ბედნიერების ბუდის ზღურბლოზე“ (შაჰის კარზე) მოვიდა და რამაზანის კურთხეული თვის 13-ს\*\* ნოხის კოცნის ბედნიერება მოიპოვა (ე. ი. შაჰს ეახლა). მას მრავალი ხელმწიფური წყალობა უყვეს, დიდ პატივში იყო იქ. როცა [შაჰის ურდომ] გორისაკენ ერთი თუ ორი გადასავალი [მანძილი] გაიარა, რაკი ის ლუარსაბი) გულწრფელი არ იყო, თვალთმაქცი ხალხის გზას დაადგა, ერთ ღამეს მაღულად უავგუსტოესი ურდოდან გავიდა და გაქცევა დააპირა. ბატონმა ფედავიმ, რომელიც მის მეზობლად იყო და პასუხს აგებდა მასზე, შეიტყო ეს და ერთი რაზმით დაედევნა, ბანაკის მიდამოებში დაიჭირა და დილით სადგომში მოიყვანა. ამ უმართებულო საქციელთ ლუარსაბმა დაჰკარგა ნდობა. მიუხედავად ამისა, მას აპატიეს მოქმედება შერცხვენილმა პირობა დასდო, კაცს გავგზავნი და დედას და [სხვა] ჩემიანებს მოვაყვანიებო. საიდუმლოდ კი აცნობა მათ, რომ რამდენიც არ გითვალოთ წამოდით-თქო, ადგილიდან არ დაიძრეთ, რადგან თქვენი აქ მოსვლა არ მიინდაო. რადგანაც იმ [სამეფო] გვარის მამაკაცებისა და ქალების და ქართლის დიდებულთა ერთი ნაწილი ამ სასახლის (ე. ი. შაჰის კარის) მსახურთა და ღოღამთა რიგებში არის, მათ მოახსენეს მის უწმინდესობას [შაჰს] იმ უბედურის მზაკვრობისა და ვერაგობის ამბავი. ამიტომ „ზადეში გაბმული ნადირის ხელიდან გაშვება“ [შაჰმა] სახელმწიფოსათვის მიზანშეწონილად არ სცნო და [ლუარსაბს] ნება არ მისცა დარჩენილიყო თავის ქვეყანაში, მაგრამ ისევე პატივით იმყოფებოდა „უწმინდეს უზანგთან (ე. ი. შაჰის ამაღლაში). ქართლის გამგებლობა ძველი წესისამებრ მის რწმუნებულთ და დანიშნულ პირებს ჰქონდათ. თბილისის ციხის უფროსობა ალა სოჰრაბ ლარიჯანის ჩააბარეს და სამასი როსთემდარელი მე-

\* აკად. დორნით: ალექსანდრეს.

\*\* 1614 წ. 17. X.

თოფე მისცეს. დანარჩენი თავგადასავალი ლუარსაბისა მომავალი წლის ამბებში იქნება აღწერილი.

ამასობაში ამბავი მოვიდა, რომ ისა-ხანი, რომელიც კახეთის მმართველად იყო დანიშნული, რადგანაც ისლამის [მიღებით] გაკეთილშობილებული იყო, ნაკლებად სცემდა პატივს ჯვარსა და ბერებს და ქართ-

ველები ნაწყენი იყვნენ მასზე რჯულის გამოცვლის გამო და ვერ ურიგდებოდნენ. [ისა-ხანმა] იმის შიშით, რომ შაჰის ამაღლის იქ (საქართველოში) არყოფნის დროს ქართველებმა არ მომკლანო, მიატოვა გამგებლობა და არდებილში წავიდა. ამიტომ ბექთამ-ბეგ იუზბაში თურქმანი დიდებული ყორჩიების რაზმით ზაგემში გაგზავნეს იმ ქალაქის დასაცავად. დაუდ-ბეგ ვეკილი იმავე წესით სამეფოს გამგედ იყოსო და, თუ შემდეგში თეიმურაზს ექნება სურვილი დღევანდელ სამეფოსთან დაახლოებისა, წამოვა ქვეყნის საფარველ კარზე და „თავისი დანაშაულის მტვერს გულწრფელი და ერთგული სამსახურის სუფთა წყლით ჩამოიბანს“, ისევ მას ეწყალობება [კახეთი], თუ არადა მოხდება ისე, როგორც დროისა და ძლევამოსილი სახელმწიფოს (ირანის) სარგებლობის შესაფერისი იქნებაო. [შაჰმა] არ დანიშნა სრულუფლებიანი მმართველი [კახეთში], თბილისიდან გავიდა და ყარაბაღს გაემართა.

[როცა შაჰი ყარაბაღში ნადირობდა და ილხენდა], ისა-ხანი, რომელმაც დასტოვა საქართველოს გამგებლობა და არდებილში წავიდა, შაჰს ეახლა, თავისი საქციელის პატიება ითხოვა. მისმა უდიდებულესობამ, უხვი გულმოწყალების გამო, მას შეუწდო და მოწყალებით მიიღო უკეთილშობილეს ამაღაში.

...ახლა დროა, რომ აღწეროთ ახალი წლის ამბების ფურცლებზე ის სხვადასხვა ამბები და უცნაური შემთხვევები, რომლებიც საქართველოში ლაშქრობის დროს ან სხვაგან მოხდა.

სხვადასხვა ამბებიდან [აღსანიშნავია] ელჩების გაგზავნა ოსმალეთში. ეს ასე მოხდა: სულთან მოჰამედ-ბეგ თალიშმა, რომელიც გასულ წელს ელჩად იყო წასული დიდ ვეზირ ნასუჰ ფაშასთან და საქართველოში ლაშქრობის დროს დაბრუნდა, [შაჰს] მოახსენა, რომ საზღვრისპირა [ოლქებში] ბოროტგანმზრახველი [აღამიანები] ინჯილუ ჩაუშის\*\* ასე დიდხანს გაჩერებას და მისი უავგუსტოესობის საქართველოზე გალაშქრებას ზავის საქმის ჩამლას მიაწერენ და შფოთისაკენ წამქეზებელ სიტყვებს ამბობენო. საქართველოს მეფეების, ლუარსაბისა და თეიმურაზისგანაც ხონთქარს მიუვიდა უმდაბლესი არხები. ისინი თავის თავს ოსმალეთის ხელმწიფის ქვეშევრდომებად

---

\* აკად. დორნით: მუსტაფა ფაშა (ისქანდერის სიტყვით, მუსტაფა ფაშა ინჯილუ ჩაუშის სახელით იყო ცნობილი, იხ. ზემოთ, გვ. 79).

აცხადებენ და ოსმალებს აქეზებენ ამ მხარესთან (ირანთან) ზავი დაარღვიონ, საზავო ხელშეკრულების შესასრულებლად და [იმისათვის, რომ არ მოხდეს, ის, რასაც ამბობს] შინაარსი კეთილშობილი სურისა: „არ გატეხოთ ფიცი მისი დადების შემდეგ“, – შაჰმა საჭიროდ დაინახა, რომ გაეშვა ოსმალეთის ელჩი და აქედანაც გაეგზავნა მოციქული და ეუწყებინა [ხონთქრისთვის] საქმის ნამდვილი მდგომარეობა და თავიდან აეცილებინა ამ მხარისთვის საზავო ხელშეკრულების დარღვევის სირცხვილი, ამიტომ [შაჰმა] ისფაჰანში გაგზავნა მეჰმანდარი<sup>109</sup> ჰოსეინ-ბეგ ზულ-ყადარი და ინჯილუ ჩაუში გამოიწვია და სასწრაფოდ ელჩად გაგზავნა [ოსმალეთში] ზაქერ-აღა ყუში და ოსმალეთის ხელმწიფეს სულთან აჰმედ-ხანს მეგობრული წერილი გაუგზავნა, რომელშიც



მეგობრული თავაზის, ხელმწიფური წესისა და ჩვეულების მიხედვით [მოკითხვის] და ხელშეკრულებისა და პაემნის მტკიცედ დაცვის [სურვილის] გამოხატვის შემდეგ ეწერა, რომ, რადგანაც საღვთო ომის ბედნიერების მიღწევა და ჯილდოს მიღება რჯულისათვის ბრძოლის გამო მტკიცედ გვქონდა გულში გადაწყვეტილი და ზოგი ურწმუნო ქართველი, რომელნიც ძველი დროიდანვე ჩვენი სამეფო გვარის ქვეშევრდომნი და მოხარკენი იყვნენ, აჯანყდნენ და ურჩობა იწყეს, ისლამის დროშის ამალღებისათვის და ჭეშმარიტ გზას აცილებულ მუამბოხეთა დასასჯელად იმ მხარეს (საქართველოზე) გავემართეთ და საღვთო ომის [წარმოების] ბედნიერებას ვეწიეთო, ქრისტიანთა ბევრი ტადარი და სამლოცველო ისლამის ჭეშმარიტი სარწმუნოების ხალხის მიზგიტებად გადაიქცაო. საქართველოში [აღებული] დავლიდან ძვირფასი თვლებით შემკული გვირგვინი, რომელიც თარადას ციხეში ხელში ჩაუვარდათ [ყიზილბაშებ]ს და რომელიც ზემოთ იყო აღწერილი, სხვა საჩუქრებთან და მისართმეველთან ერთად გაეგზავნა [ხონთქარს].

ინჯილუ ჩაუმი მალე ჩამოვიდა ისფაჰანიდან საქართველოში და შაჰს ეახლა. ყასემ-ბეგი, მაზანდარანის სპასალარი, დანიშნულ იქნა ელჩად ოსმალეთში, სადაც ის ინჯილუ ჩაუმთან ერთად უნდა წასულიყო. შესაფერისი საჩუქრები და მისართმეველი მოამზადეს და ელჩი, მის მიერ ჩამოტანილი წერილის პასუხით უკან გაგზავნეს. რადგანაც ოსმალთა ტყვეების შესახებ, როგორც იყვნენ, მაგალითად, რაზე ხათუნის, ოსმალთა ხელმწიფეების საგვარეულოს ერთი ნამამგდარის შვილი მუსტაფა ფაშა, მოჰამედ ემინ-ბეგი, შვილი წინანდელი დიდი ვეზირის მოჰამედ ფაშასი, რომელიც ალი ფაშა საბაბის ძე და ხელმწიფის ძუძუმტე იყო, და სხვები, სულთან იმედოვნებდა, რომ [შაჰი] მეგობრულად [მოიმოქმედებდა და გაათავისუფლებდა მათ], ამიტომ მისმა უდიდებულესობამ ისინი სათანადო ძვირფასი ნივთებით [დასაჩუქრებულნი] ელჩს გააყოლა.

93

სხვა ამბებიდან [აღვნიშნავთ] იმას, რომ, რადგანაც არეულობის დღეებში მრავალი შირვანელი და ყარაბაღელი ქვეშევრდომი გადავიდა კახეთში, იქ შეაფარა თავი და დასახლდა, იქაურმა მეფემ ალექსანდრე-ხანმაც ისინი შეინახა და უკანასკნელ დრომდე იმ ველაიეთში იმყოფებოდნენ, – ამიტომ გამოვიდა უავგუსტოესი ბრძანებულება, რომ, ვინაიდან ის ხალხი საქართველოს მკვიდრი ქვეშევრდომები არ არიან, ამიტომ ყველა მუსლიმანი, ებრაელი და სომეხი აიყაროს და სამოთხისებურ მაზანდარანში წავიდეს; აგრეთვე ის შირვანელები და ყარაბაღელები და იქაური ელები და ოიმახები, რომელნიც ოსმალებს ემსახურებოდნენ ან მათ დაუკავშირდნენ და გადუქები\* და თანამდებობები მიიღეს, აჰყარონ და მაზანდარანში გადასახლონ, რადგანაც სანდო არ არიან და მათი ამ საზღვარზე ყოფნა ძლევამოსილი სახელმწიფოსათვის (ირანისათვის) კარგი არ არის. ისფენდია-ბეგ უჩი-ბაში არაბგერლუ შირვანელებისა და ლატიფ-ხან-ბეგ ყაჯარ. დავათდარი ყარაბაღის ხალხის ასაყრელად იქნენ დანიშნული. 15 ათასამდე ოჯახი წავიდა ფარაჰბადში და ამ გადასახლებით ის ველაიეთიც დასახლებული შეიქნა და მათაც სამაგიერო მიეღოთ ორგულობისათვის. ყარაბაღის ულუსებიდან აჰმედლუს თემმა ურჩობა გამოიჩინა და წასვლას აჰი-

ანურებდა, ხელმწიფე მათზე განრისხდა და ურჩნი დახოცეს და დაარბიეს. ახლა ხალხის ის ფენები, რომლებიც წავიდნენ, სავსებით მოსვენებულად და ბედნიერად ცხოვრობენ იმ ველაიეთში.

**თხრობა კურდღლის წლის ამბების შესახებ, რომელიც შეესატყვისება 1024, ნაწილობრივ 1025 წ., (1615 წ.) რომელიც ღვთის ჩრდილის შაჰის ტახტზე ასვლის ოცდამეცხრე წელიწადია.**

[როცა შაჰ-აბასი ისფაჰანში იმყოფებოდა, მან მიიღო ცნობები საქართველოში და ირანის სხვადასხვა მხარეში აჯანყების დაწყების შესახებ]

ერთი სიტყვით, ყოველი მხრიდან დაიწყო საშინელი ამბების მოსვლა, რაც საფუძველი გახდა ჯარების ამოდრავებისა და უბედურებათა ტალღების თქაფანისა. ოსმალეთის სულთანთან დაზავების [საქმე], მსგავსად ბავშვების სუსტი სახლებისა, რომელთაც ისინი სილაზე აშენებენ, დაინგრა და დაიშალა, მაგრამ მისი უავგუსტოესობის იღბლის და ბედნიერი ვარსკვლავის შემწეობით ყველა არეულობა მალე საკეთილდღეოდ დამთავრდა, როგორც თვითეული მათგანის შესახებ თავთავის ადგილას იქნება ნათქვამი.

---

\* გადუქი ან გადიქი მიწით შეწყალების ერთ-ერთ სახე იყო. ეძლეოდა ციხესიმაგრეთა უფროსებს მათი სამსახურის სამუქფოდ.

94

ყველაზე დიდი [მნიშვნელობის] ამბავი, რომელიც [შაჰის] ისფაჰანში ყოფნის დროს მოვიდა, იყო [ცნობა] ოსმალების მოქმედების შესახებ, რომ ოსმალეთის ხონთქარმა სულთან აჰმედ იბნ სულთან მოჰამედ იბნ სულთან მურადმა, დიდი ვეზირის ნასუჰვამას მოკვლის შემდეგ, რომელიც პატიოსანი და გამოცდილი კაცი იყო და რომლის მეშვეობით ზავი დაიდო, მაშინ როცა თითოეული მხრიდან ელჩები მეგობრული წერილებითა და მეგობრობისა, და სიყვარულის გამონატვით ოსმალეთში წავიდნენ და იქ იმყოფებოდნენ, როცა ამ (ე. ი. ირანის) მხრიდანაც არ მომხდარა არავითარი ისეთი საქმე, რომელიც პირობის დაზიანების და მოშლის საფუძველი გახდებოდა, [სულთანმა ამ დროს] მოუთმენლობა გამოიჩინა და ორი უმეცარი ქართველის\* ტყუილი სიტყვებითა და საქართველოსა და შირვანში ამ წელს მომხდარი იმ მცირე აშლილობით წაქეზებულმა, რაც ქვემოთ იქნება ახსნილ-განმარტებული, აგრეთვე რამდენიმე თავისი დაახლოებული პირის წაქეზებით, რომელნიც დიდებულ ჰარამხანასა და სამეფო სასახლეში იყვნენ გაზრდილი და „ბედს მათთვის სილა არ გაერთყა, ჯანყისა და არეულობის აღმართებსა და დაღმართებზე დაწყულულებული ფეხით არ ევლოთ და ქვეყნის არაფერი გაეგებოდათ“, [ამათი წაქეზებით სულთანმა] „ზავი და პირობა დაშლისა და დავიწყების თახჩაზე შესდო“, ოქუზ-მოჰამედად ცნობილი დიდი ვეზირი მოჰამედ ფაშა, სარდლად დანიშნა და ირანზე გზავნიანო.

მისმა უდიდებულესობამ [შაჰ-აბასმა], წინდახედულების და სიფრთხილის დასაცავად, დივანბეგი ალი-ყული-ხან შამლუ სასახლიდან სამეფო ქალაქ თავრიზში გაგზავნა, რათა აზერბაიჯანის ამირებთან ერთად

იქ დამდგარიყო და თუ ეს ამბავი ნამდვილი გამოდგებოდა, საზღვრის ამბები გაეგო და ნამდვილი მდგომარეობა მოეხსენებინა, რათა შეესრულებინათ ის, რაც ძლევამოსილი სახელმწიფოსათვის (ირანისათვის) სასარგებლო იქნებოდა. კაცი გაგზავნეს, რომ განჯის ციხე, რომლის სიმტკიცეს და სიმაგრეს ვერ ენდობოდნენ, დაენგრიათ. დადგენილ იქნა აგრეთვე, რომ ბეგლარბეგი მოჰამედ-ხან ზიად ოღლი ყაჯარი განჯიდან თბილისის ციხეში გადაეყვანათ და ამიერიდან იქ მდგარიყო, ხსენებული დიდებული ამირები. მიიღეს რა ეს ბრძანება, შეუდგნენ დავალებული საქმის შესრულებას. ალი-ყული-ხანი და ამირები რამდენიმე ხანს თავრიზში რომ იდგნენ, ცხადი გახდა რომ ხსენებული სარდალი ოსმალეთის ჯარით საზღვარზე მოსულიყო და დიარბექსა<sup>110</sup> და იმ სანახებში საზამთხოდ დამდგარიყო, რათა მომავალ წელს ყიზილბაშებზე გაელაშქრა, ლაშქრის მოსვლის ხმაზე საქართველოში

\* ე. ი. ლუარსაბის და თეიმურაზის.

95

და შირვანში ყველგან შფოთი გაჩნდა. ყველა ხალხის მეამბოხეებმა დამოუკიდებლობა და ურჩობა მოინდომეს და ისინი გახდნენ მუსლიმანების კეთილდღეობის დამანგრეველნი, როგორც ქვემო ფურცელზე არის ტკბილად მოუბარი კალმით აღწერილი.

### **თხრობა ქართველებისა და შირვანელთა ერთი ჯგუფის აჯანყებისა და თეიმურაზის მოსვლის შესახებ კახეთში იმ არეულობის გამო, რომელიც ყოველ მხარეს გაჩნდა**

საზღვართან [დაკავშირებული] ამბებიდან კიდევ ის იყო, რომ როცა გავრცელდა ხმა ოსმალეთის ლაშქრის ამ ქვეყანაში მოსვლის შესახებ, ყველა კუთხისა და ყველა ტომის ურჩებმა აჯანყება იწყეს. დაუდ-ბეგ ქართველსაც, რომელიც ისა-ხანის ვეჟილი იყო, გულში აჯანყების სურვილი გაუჩნდა. ქრისტიანების დღესასწაულს, ქართველები როგორც მათი წესი და ჩვეულებაა, ალავერდის ეკლესიაში იყვნენ მისული სალოცავად. ციხის მცველებმა დაუდევრობა გამოიჩინეს, სიფხიზლის და ყურადღების წესები ვერ დაიცვეს, ბევრი ქართველი შეუშვეს ეკლესიაში. როცა დღესასწაულის წესები შეასრულეს, ქართველებმა ხელი მიჰყვეს ძალადობას და დაუდ-ბეგისა და თამაზ ქიზიყელის წაქეზებით, რომელიც ქიზიყელი აზნაური და თეიმურაზის კეთილისმსურველი იყო, ბრძოლა დაუწყეს ყიზილბაშთა მეთოფეებს და ბევრს იმ საცოდავთაგან მოწამებრივი სიკვდილის სასმელი შეასვეს. დაუდ-ბეგმა მალემსრბოლი გაგზავნა თეიმურაზთან, მოუწოდა და შეაგულიანა ის მისულიყო კახეთში. შირვანელების ერთმა ნაწილმაც, რომელთაც ოსმალებთან შეთანხმება ბრალდებოდათ და ბრძანებულე-ბაც იყო გამოცემული მათი გადასახლების შესახებ, განსაკუთრებით კი მელიქ ფირმა, ყაბილეს\* და ყაბესთანის თურქმანთა მეთაურმა, დელუ-მელიქად ცნობილმა, „თავზე მოიხვია აჯანყების ჩალმა“ და დადესტანში გაიჩინა თავშესაფარი. უბედური ნამირალების და გათახსირებული შფოთის ამტეხი შირვანელების ერთმა ჯგუფმა მის (მელიქ ფირის) გარშემო მოიყარა თავი და ხელი მიჰყო სახელმწიფოს მოსამსა-

ხურეებზე ძალადობას. ამიტომ შირვანის ველაითიც აიშალა და ჯანყი და არეულობა დაიწყო. დელუ-მელიქმაც გაგზავნა კაცი თეიმურაზთან და ერთგულება განუცხადა. იმ უგუნურმა შფოთის თავმა, დაუდ ქართველის მხლებელი რამდენიმე ქართველი აზნაურის წაქეზებით, და სსენებული მეამბოხეების შეგულიანებით, არ მიაქცია ყურადღება იმას, რომ „რაც უნდა ძლიერი რქები ჰქონდეს ირემს, მას მაინც არ

\* აკად. დორნით: ყაბალას.

96

შეუძლია ტორი დაჰკრას მძვინვარე ლომს, და ორი დღით ბატონობის სურვილით მოტყუებული, კახეთში ჩავიდა და მმართველობის ტახტზე დაჯდა. ქართველები მრავლად შეიკრიბნენ მის გარშემო. მან დაუდ-ბეგ ვექილი გაგზავნა ბექთაშ-ბეგ იუზბაშზე და ყორჩიებზე, რომელნიც მცირერიცხოვანი იყვნენ. მათ (ყიზილბაშებმა) დაინახეს, რომ ბრძოლა სასარგებლო არ იქნებოდა მათთვის და საქართველოდან გაცლის მიზნით – „საყელო ხელში მისცეს (დანებდნენ) ქართველებს“. ის გზადაკარგული ხალხი არ ჩაუფიქრდა იმას, თუ რა მოჰყვებოდა მათ საქციელს და ავადმყოფი და შეუძლო იუზბაში, ყველა მის ამხანაგთან ერთად დახოცეს.

დელუ-მელიქმაც შირვანელი მეამბოხეებით გაილაშქრა არემის მმართველ მოჰამედ-ჰოსეინ სულთანზე, რომელიც იმად ედ-დინ შირვანელის შვილიშვილი და შაჰ-ყული ხალიფე ოჰრდარ ზულ-ყადარის ქალის შვილი იყო. როცა მოჰამედ-სულთანი თავისი უმეცრებისა და ამპარტავნობის გამო ციხე-სიმაგრიდან გამოვიდა და თავისი ოჯახისა და საბარგულის შესახვედრად იდგა გაუფრთხილებლად, თავს დაესხნენ. მან თავისი მცირერიცხოვანი მხლებლებით მამაცურად იბრძოლა, რამდენიც შეეძლო, და ყველამ ვაჟკაცურად შესვა მოწამეობრივი სიკვდილის სასმელი. სულთნისა და ღაზიების ქონება და მოწყობილობა, რომელიც ციხის გარეთ იყო, აჯანყებულებს ჩაუვარდა ხელში. ხსენებული ამბის შემდეგ სულთნის დანარჩენი მსახურნი, რაკი ნახეს, რომ გასვლის გზა ჩაკეტილი იყო, ციხეში შეცვივდნენ, რათა რამდენიმე დღე რომ მტრისაგან დაცული იქნებოდნენ, შეიძლება პირობისა და პაემნის [დადებით] თავი ეხსნათ მოწინააღმდეგესთან ბრძოლისაგან და რაიმე თავშესაფრისათვის მიეღწიათ. დელუ-მელიქი თავისი ხელქვეითებით არეშს მივიდა და ციხის პირისპირ დადგა. ყუროღლუ ზულ-ყადარის ღაზიები, რომელთაც ციხის დაცვის ძალა და შეძლება არ გააჩნდათ, „განცვიფრების ზღვაში ჩაცვივდნენ“ და გამოსავალს ეძებდნენ, [ამ დროს] ამბავი მიიღეს, ყიზილბაშთა ლაშქარი მოვიდა, [მეამბოხენი] შეშინებულნი აიყარნენ [და წავიდნენ]. ყუროღლუს ღაზიები იმ საფრთხეს გადაურჩნენ და თავის გზაზე წავიდნენ.

ლაშქრის გამოგზავნის ამბავი ასე მოხდა: როცა [ხელმწიფის] დიდებულ ყურამდე ისფაჰანში მოაღწია თეიმურაზის კახეთში მისვლის და შირვანში მღელვარების დაწყების ამბავმა და [ამასთანავე] გამოირკვა, რომ წელს ოსმალეთის ლაშქარი საზღვარზე იზამთრებდა და არა ჰქონდა განზრახვა [ირანზე] მოსვლისა, მისი უდიდებულესობის დაახლოებული პირი ისფენდიარ-ბეგ უჩი-ბაში არაბგერლუ შაჰის მხლებელი მეთოფეების ერთი რაზმით მაღალი კარიდან იმ მხარეს გაგზავ-

ყული-ხან შამლუ წავიდეს თავრიზიდან ყარაბაღს და აზერბაიჯანის მთელი ლაშქარი, მოჰამედ-ხან ზიად ოღლი და ყარაბაღის ამირები მას შეუერთდნენო. თანახმად ბრძანებისა, ისინი ალი-ყული-ხანის სარდლობით სასწრაფოდ გაემართნენ იმ მხარეს. ის და ისფენდიარ-ბეგი, როცა ერთმანეთს შეხვდნენ, დანიშნულ ადგილზე წავიდნენ. მისმა უდიდებულესობამ შაჰმა მოისურვა ზამთარი მაზანდარანში გაეტარებინა. ისფაჰანიდან იმ სამოთხისებურ ქვეყანაში გაემართა და იქ ლხენასა და ბედნიერებაში ატარებდა [დროს].

**თხრობა თეიმურაზ-ხან ქართველის ბრძოლის შესახებ ალი-ყული-ხანთან და ყიზილბაშთა ჯართან ბაჰრანში და ყიზილბაშების დამარცხება ღვთის გონებამიუწვდომელი ჭეშმარიტების გზით**

რადგანაც ქვეყნის საქმეების წარმატება და ადამიანის საკეთილდღეოდ მოქმედება ყოვლისშემძლე და მცირისა და დიდის შემქმნელი უფლის ხელშია, როცა ღვთის მიუწვდომელი განგება მოითხოვს ისეთს საქმეს, რომელიც ხორციელდება და რაღაც სახეს გამოაჩენს, ბედის მბრძანებლებისა და განგების მომქმედთა მფარველობით სრულდება ხოლმე და ეპოქის ბრძენთა მეცადინეობით და გამოცდილი მმართველების რჩევა-თათბირით ის არ იცვლება და ხილული სამყაროს მხილველთ არ შეუძლიათ შეხედონ მას, თუ არა მორჩილებისა და თანხმობის თვალთ. ამის სისწორის დამამტკიცებელია ბრძოლა ბედნიერ ლაშქართან (ყიზილბაშებთან) თეიმურაზ ქართველისა, რომელმაც უმეცრებისა და თავის თავზე დიდი წარმოდგენის გამო, თავხედობა გამოიჩინა და ბოლოს იმ ქვეყნის მთელი ხალხი დაღუპვისა და დაქცევის მორევში გადაჰყარა და თვითონ „მწუხარების უდაბნოში მოხეტიალედ და უვიცობის ქვეყანაში მაწანწალად გადაიქცა“, როგორც ეს მოთხრობილი იქნება თავის ადგილას.

ერთი სიტყვით, ალი-ყული-ხანი და ისფენდიარ-ბეგი, როგორც მოხსენიებული იყო, საქართველოზე წავიდნენ. ყორჩიების, ღოღამებებისა და სხვათაგან შემდგარი აზერბაიჯანის ჯარი, რომელიც მათ უნდა გაჰყოლოდა, ცალ-ცალკე რაზმებად მოდიოდა და მათ უერთდებოდა. თხუთმეტი ათასამდე კაცი შეგროვდა. ჯერ მეთოფეები და ზოგი მოლაშქრენი არ მოსულიყვნენ, რომ [სარდლებმა] მიზანშეწონილად არ დაინახეს დაყოვნება და იმ ჯარით თბილისის გზით საქართველოში შევიდნენ. [ყიზილბაშებმა] მიაღწიეს არაქ-ჩაის (არაგვს), რომელიც კახეთისა და ქართლის საზღვარია და ბაში-აჩუკის გზაზეა, და იქ დაიბანაკეს, რათა, თუ [თეიმურაზი] ბაში-აჩუკში წასვლას განიზრახავდა, ვერ გაევილო იქ. ქართველების ერთი ჯგუფი, რომელიც შაჰისევანებად („შაჰის მეგობრებად“) აცხადებდა თავს, ძლევამოსილ მოლაშქრე-

ებს შეუერთდა და გარეგნულად ერთგულებას იჩენდა. მათ გამოიკვლიეს იმ ხალხის (თეიმურაზისა და მისი მხლებლების) გზები და გასას-

ვლელეები და ყველგან, სადაც მოსალოდნელი იყო, რომ ისინი გაივლიდნენ, საქმის მცოდნე მცველები დააყენეს გზების შესაკვრელად. გაგზავნილ იქნენ გამოცდილი მზვერავები ყიზილბაშებიდან და ქართველებიდან, რომელნიც იცნობდნენ იმ მხარეს, რათა ყოველდღე და ყოველ წამს შეეტყოთ მოწინააღმდეგის მოძრაობა და ცნობა გამოეგზავნათ.

თეიმურაზმა გადაწყვიტა საომრად წამოსვლა და თავისი სადგომიდან დაიძრა. ქართველთა ჯარის დიდი ხროვით, რომელიც მასთან შეკრებილიყო. ქართველების [იერ მოწოდებული] ცრუ ცნობების გამო, დიდებულმა ამირებმა მისი მოძრაობა გაქცევად ჩათვალეს. სრულებით არ ჩანდა, რომ ის ყიზილბაშების ჯარისაკენ მოემართებოდა, ვიდრე ერთ ღამეს ქართველმა ყარაულებმა ცნობა არ მისცეს, საომრად წამოსული თეიმურაზი მოახლოვებულიაო. თუმცა იმ ხალხის სიტყვას არ დაეჯერებოდა, მაგრამ სიფრთხილისათვის დილით ადრე დიდებულმა ამირებმა და ბაჰრამსავით შურისმაძიებელმა მოლაშქრეებმა საჭურველი და იარაღი აისხეს და ბანაკიდან გამოვიდნენ, რათა ბრძოლისათვის შესაფერისი ადგილი აერჩიათ. თუ ხსენებული ცნობა მართალი გამოდგებოდა, ბრძოლა მოხდებოდა, თუ არადა სხვა ადგილს შეარჩევდნენ, რომელიც უფრო შესაფერისი იქნებოდა გასაჩერებლად, და იქ წავიდოდნენ. დიდხანს იდგნენ იქ და ელოდებოდნენ, მზვერავები და გზების მცველები მოვიდნენ და აუწყეს, სრულიად არაფერი ჩანსო. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ დაბრუნდნენ, ყველა თავის სადგომში ჩამოხდა და მოლაშქრენი წავიდ-წამოვიდნენ. უცებ გაისმა მოწინააღმდეგის დოლის ხმა და ამბავი მოვიდა. აჰა, გამოჩნდა მტრის ლაშქარიო. ასე ცხადი გახდა რომ ქართველებს, რომლებიც თავს „შაჰისევანებად“ აცხადებდნენ და გზას უჩვენებდნენ [ყიზილბაშებს] ღალატი და ცბიერობა ჩაედინათ და ის გზა, რომლითაც თეიმურაზი მოვიდა, არ ეჩვენებინათ ყიზილბაშმა მზვერავებმა კი ამ გზის შესახებ არაფერი იცოდნენ ასეთი მდგომარეობა რომ შეიქნა, დიდებული ამირები და ძლევამოსილი მოლაშქრეები ისევ ამხედრდნენ და ბრძოლის ველზე მოვიდნენ. ყარაბაღის ბეგლარბეგი მოჰამედ-ხან ზიად ოღლი ყაჯარი და მისი ხელქვეითნი წინამბრძოლებად იქნენ დანიშნული. ყარაბაღელ ამირთაგან ფეიქარ-სულთან იგირმი დორთი და დელუ-მოჰამედი, შამს ად-დინლუს სულთანი დაინიშნენ ჩარხჩიების მამველად, რომელთაც თურქები „ბუქარ ქაჩი<sup>111</sup>“-ს უმახიან ჯარის მარჯვენა და მარცხენა ფრთები რამდენადაც შეიძლებოდა, გაამაგრეს ბედნიერი ჯარით, მაგრამ დროის უქონლობისა და ჯარის

თავაზნეულობის გამო ლაშქრის რაზმების [მწკრივების] სასურველად გაწყობა ვერ მოხერხდა. ზოგი მოლაშქრე ჯერ ისევ ბანაკში იყო და ცხენზე არ შემჯდარიყო, რომ თეიმურაზმა თავისი ბრბოთი და ლაშქრით, რომელიც დაახლოებით ხუთი-ექვსი ათასი სრულად შეიარაღებული კაცისაგან შედგებოდა, მთელი თავისი ძალებით ჩარხჩიების რაზმს დაჰკრა. ჩარხჩიებმა ვერ გაუძლეს მათ დარტყმას და გაიქცნენ. „ბუქარ ქაჩი“-ს ამირებმა ფეიქარ-სულთანმა და დელუ-მოჰამედმა ვერ მოახერხეს მიშველება და თითოეული მათგანი სხვა მხარეს გავარდა თავისი რაზმით, ქართველთა მახვილით და შუბით დაჭრილი მოჰა-

მედ-ხან ზიად ოღლი, ყაჯართა ტომის რამდენიმე კაცთან ერთად, „და-  
ლუპვის მიწაზე“ დაენარცხა და მოწამებრივი სიკვდილი მოიპოვა. ამ  
ამბავმა გაამხნევა ურჯულო ქართველები და გული გაუტეხა ისლამის  
ლაშქარს, ქართველები ისევ მთელი ძალით გულადად თავს დაესხნენ  
[მოწინააღმდეგის] ცენტრს. მოჰამედ-ხანის მოკვლითა და ჩარხჩიების  
გაქცევით, შეშფოთებული ჯარის მარჯვენა და მარცხენა ფრთები და-  
იხნა ურჯულო და ჭეშმარიტ გზას აცდენილი ქართველების შემოტევი-  
საგან. ახერბაიჯანის ლაშქარმა ზურგი უბრუნა ბრძოლის ველს და გა-  
იქცა ისე, რომ იარაღისათვის ხელი არ მოუკიდია. ბედნიერი ჯარის  
მებრძოლთა ერთი რაზმი და შამლუს ტომი, რომელიც ალი-ყული-ხა-  
ნის ხალხი იყო და მასთან იდგა ცენტრში, ამ ცენტრის ჯარის გაქცე-  
ვის გამო აიშალა და წინააღმდეგობის გაწევა და ბრძოლა ვერ შესძ-  
ლო. ქართველები ვისაც კი მისწვდებოდნენ, [მიწაზე] ანარცხებდნენ.  
ერთი სიტყვით, ცენტრის ლაშქარმაც ვერ შესძლო წინააღმდეგობის  
გაწევა და დამარცხდა. ყველა გარბოდა თავის სამშველად. ალი-ყული-  
ხანმა და ისფენდიარ-ბეგმა, რომელნიც იშვიათი გულადი, მხნე და  
რაზმის წყობისა და ომის [ცოდნის] მხრივ გამოჩენილი მებრძოლები  
იყვნენ, იხილეს ლაშქრის გაფანტვა, წამით შეჩერდნენ ბრძოლის ველ-  
(%), რადგან თავის სახელს უფრთხილდებოდნენ, მაგრამ რაკი გაჩერება  
უსარგებლო იყო, ბრძოლის ველიდან გაბრუნდნენ და თბილისისაკენ  
წავიდნენ. ურჯულო ქართველები გულადების (ე. ი. ყიზილბაშების)  
სისხლმა გაათამამა და შურისძიების მახვილი იძვრეს ქარქაშიდან. ასე-  
თი უბედურება დაემართა ისლამის ლაშქარს. ამ ბრძოლაში ბევრი იქ-  
ნა განდიდებული და ამაღლებული მოწამებრივი სიკვდილით.

თეიმურაზი, რომელიც „დამთვრალი იყო დაუდევრობისა და  
უმეცრების ღვინით“, ამ გამარჯვებით გახარებული და გამხიარებული,  
ყიზილბაშთა ბანაკში მივიდა და ალი-ყული-ხანის კარავთან ჩა-  
მოხდა. მან ყიზილბაშთა ამირების და დიდებულების კარვები ქართ-  
ველ დიდებულებს და წარჩინებულებს დაურია. ისლამის ჯარის ქო-  
ნება და ავლა-დიდება ურჯულო [ქართველთა] ბატონებს ხვდა წილად.

100

[მაგრამ] იმას ვერ მიხვდა [თეიმურაზი], რომ რაც უნდა მაღლა აფრინ-  
დეს წერო ბასრნისკარტიანი, ის მაინც ვერ გადაურჩება ცის უმაღლეს  
სფეროში მფრინავი შევარდნის კლანჭებს. იმ გაბედულების და თავ-  
ხედობის გამო, რომელიც მან გამოიჩინა ბოლოს ის დასჯილ იქნა  
ძლევამოსილი ხელმწიფისაგან და მისი წინაპრების ამდენი წლის ად-  
გილი და სადგომი გავერანდა და მათი ქვეყანა ქარს მიეცა. ამის გან-  
მარტება-აღწერა ქვემოთ იწერება.

ერთი სიტყვით თავგზააბეულმა ალი-ყული-ხან ისფენდიარ-  
ბეგმა და დანარჩენმა ამირებმა ბოლოს მიაღწიეს თბილისის ციხეს,  
სადაც მათი გაფანტული ლაშქარიც მოგროვდა. ჯარის ცნობილი პი-  
რებიდან და ამირებიდან მოკლულ იქნენ მოჰამედ-ხან ზიად ოღლი, გი-  
ლანის ქოჰდამის მმართველი ჰოსეინ-ხან გილანელი და იადგარ ალი-  
სულთნის შვილი ჰოსეინ-ყული-ბეგი, თალიშის იუზბაში. ისჰაყ სულ-  
თან მირ სუფი დაიჭრა. ქასგარის მმართველი მურთაზა-ყული-ხან ქას-  
გარელი, რომელიც თავისი რაზმით ბრძოლის ველის ერთ მხარეზე იდ-  
გა, როცა ქართველთა ლაშქარმა ჩაიარა, უკნიდან მიუხდა მას, ორმოცი

თუ ორმოცდაათი ქვეითი მოჰკლა, [შემდეგ] ამირებს გაჰყვა უკან და თბილისს მიაღწია. ალი-ყული-ხანმა მიზანშეწონილად არ სცნო თბილისში დარჩენა, ციხე მოჰამედ-ხანის შვილს მურშიდ-ყული-ბეგს, ყაჯართა ღაზიებს და მეთოფეების რაზმს ჩააბარა, თვითონ განჯას მივიდა და ციხის დანგრეულ სახლებში დადგა. იქ აპირებდა საზამთროდ გაჩერებას. მან საქმის ნამდვილი მდგომარეობა [შაჰის] დიდებული კარის მსახურთ მოახსენა, თუმცა [შაჰის] უკეთილშობილესი ცეცხლოვანი ბუნება ამ საშინელ ამბავზე დამწველი ცეცხლივით და ზღვასავით მღელვარე და მქუხარე შეიქნა, მაგრამ, რადგანაც დიდად მომთმენი იყო, შემწყნარებლობა გამოიჩინა და წყალობისა და ალერსის გამომხატველი სიგელი გაუგზავნა ალი-ყული-ხანს და ამირებს, [რომელშიაც წერდა]: „მხედრობისა და ომის წესი მარადჟამს ასეთია, რომ დამარცხება და გამარჯვება ერთმანეთს ახლოს სდევნენ. ნუ დაღონდებით იმ მარცხის გამო, რომელიც ისლამის ჯარს ეწია განგების ძალით, და ელოდეთ ზედნიერი ამალის (შაჰის) მოსვლას, რომელიც აი, უკვე გამოემართა მაგ მხარეს. ღვთის შეწევნითა და ისლამის ძალით მალე აღიმართება შურისძიების ქარქაშიდან ქრიზოლითის მსგავსად [მოელვარე] ბასრი ხმალი იმ ურჯულოთა დასასჯელად“.

ხელმწიფის წყალობამ დაამშვიდა მათი (დამარცხებული ამირების) აღელვებული სული და განჯის საზამთრო ბინაზე დარცხვნილი და უმწეონი იმყოფებოდნენ, როცა იმ ქვეყანაში ხმამაღლა გაისმა ძლევაძმოსილი და ბრწყინვალე დროშების საკრავების ხმა და ცამდე

101

ამაღლდა ქვეყნის დამპყრობელი ალმები. ეს გადმოცემული იქნება, თუ ღმერთმა ინება, მომავალი წლის დასაწყისის ამბებში.

**დასაწყისი ნიანგის თურქული უავგუსტოესი, კურთხეული წლისა, რომელიც შეესატყვისება 1025 (1616) წელს და რომლითაც დასრულდა ერთი ზედნიერი ეპოქა მისი უავგუსტოესობის უწმინდესი გამეფებიდან.**

**მისი უდიდებულესობის გალაშქრება საღვთო ომით საქართველოზე და იმ ურჯულოების დასჯა**

რადგანაც ღვთის განგებით გადაწყვეტილი იყო კახეთის ველაიეთის დანგრევა, იქაურ ურწმუნოთა გაწყვეტა და ისლამის გამშვენიერება, იმ ურჯულოთა ასი ათასზე მეტი ქალისა და ბავშვის გამოყვანა რჯულისათვის მეზრძოლი, ქვეყნის დამპყრობელი ხელმწიფის, ეს იგი მისი უდიდებულესობის, ღვთის ჩრდილის დიდებული შაჰის ყურადღების და მახვილის წყალობით, ამიტომ ბედკრულმა თეიმურაზმა, ბედის შემობრუნების გამო, ყველაფერი გააკეთა თავისი უბედურების და იმ საწყალი ხალხის დახოცვისა და დარბევისათვის და, როგორც მოხსენიებული იყო, გაბედა ყიზილბაშთა ბედნიერ ლაშქართან შეზრდოლება, როცა ამ „ამბავმა მიაღწია მაზანდარანში [შაჰის] უწმინდეს გონებას, ხელმწიფის კეთილშობილური აღტყინების ალი და მისი მძვინვარების ცეცხლი ისეთი ავარდა, რომ ყოველი მისი ნაპერწკალი ქვეყნიერების დამწველი მეხი იყო. ამიტომ [შაჰმა] მტკიცედ გადასწყვიტა საქართველოზე გალაშქრება და იქაურ ურჯულოთა დაქცევა,



რომელთაც გაბედეს მუსლიმანების დახოცვა. გამოვიდა უმაღლესი ბრძანებულება, რომ დიდებული ამირები და ძლევამოსილი მეომრები საჩქაროდ და სწრაფად წასულიყვნენ საქართველოსაკენ და მზად ყოფილიყვნენ იმ ქვეყნის ურწმუნოებთან საღვთო ომისათვის. რამდენიმე ათასი მარჯვე მსროლელი ისფაჰანელი და ერაყის სხვა ადგილების მეთოფეები დანიშნულ იქნენ, რათა დამახებისთანავე შაჰის ძლევამოსილ ამაღლას შეერთებოდნენ და რადგანაც ქართველი ბატონიშვილების თანყოლა მიზანშეწონილი არ იყო სახელმწიფო ინტერესებისათვის, ამიტომ ლუარსაბი ასთარაბადში, ხოლო ისა-ხანი დემავენდში გაგზავნეს, რათა უავუსტოესი ამაღლის დაბრუნებამდე იქ ყოფილიყვნენ და იქაურ მმართველებს თვალი სჭეროდათ მათზე.

[შაჰი] ბედნიერ საათს დაიდრა სამოთხისებური სიხარულის ქალაქ ფარაჰაბადიდან გილანზე გავლით და ზღვის ნაპირს გაყვა. ზღვა ლაშქრისა, როგორც ლურჯი ზღვა, ყოველი მხრიდან აღელდა და ყოველ გაჩერებაზე გამარჯვებით მოსილ ამაღლას უერთდებოდნენ ძლევამოსილი მეომრების რაზმები...

102

განჯის მიდამოებში ძლევამოსილ დროშებს მიეგებნენ ალი-ყული-ხანი და ამირები და განდიდებულ იქნენ [შაჰის] უზანგის კოცნის ბედნიერებით. ფირ-ბუდაყ-ხან ფორნაქი და მისი მხლებელი ამირები, რომლებიც მოსული იყვნენ სამეფო ქალაქ თავრიზიდან, გაუშვეს, რათა დაბრუნებულიყვნენ თავრიზში და იქაური საზღვრის ამბები და მდგომარეობა სცოდნოდათ. ქერმანის მმართველი განჯ-ალი-ხანიც გაუშვეს, რათა თავისი ლაშქრით თავრიზში წასულიყო და ფირ ბუდაყ-ხანის და ამირების მაშველად ყოფილიყო [იქ]. როცა იუპიტერივით მტკიცე საფუძვლის მქონე ამაღლა შაჰისა თბილისში დადგა, მან (შაჰმა) ხელმწიფური წყალობით დააჯილდოვა ბაგრატ-მირზა-ხანი, ლუარსაბ-ხანის ძის დაუდ-ხანის შვილი, რომელსაც სამოთხეში დამკვიდრებული შაჰის (თაჰმასბის) დროს ისლამი მიეღო, ხანის კეთილშობილი ტიტულისა და „ბიძის“ საპატიო წოდებულების ბოძებით განადიდა და ქართლის ველაიეთის მმართველობა უწყალობა. იქიდან ბანაკი კახეთში იქნა გადატანილი.

თეიმურაზმა რომ ურუმთა სარდლის და ჯარის საზამთროდ დიარბექრში დგომის ამბავი შეიტყო, არ ეგონა, რომ ყიზილბაშთა ლაშქარი წელს შეძლებდა საქართველოზე წამოსვლას, [ახლა კი] როცა გაიგო მისი უავუსტოესობის გამოლაშქრება, შემფოთებული, თავზარდაცემული და სრულიად სასოწარკვეთილი გამოეთხოვა საქართველოს და [მხლებელთა] მცირე რიცხვით ბაში-აჩუკის მხარეს გაიქცა. ქართველებისათვის მეორედ მოსვლის დღე დადგა...

მისმა უდიდებულესობამ ძლევამოსილი ლაშქარი რამდენიმე ჯგუფად გაჰყო; ყოველი ჯგუფი ცალკე მხარეს გაგზავნეს თითო სახელოვანი ამირის მეთაურობით. შირვანის ბეგლარბეგს იუსუფ-ხანს ებრძანა, რომ იმ მხრიდან წამოსულიყო თავისი ამირებით საქართველოზე. ურდო (მთავარი ჯარი), „რომლის სარბიელი მსოფლიო არის“, სხვა მხრიდან დამრულიყო თავისი მძლეველი რაზმით. ქართველების სამყოფელთ ოთხივე მხრივ შემორტყმოდნენ, ნადირივით შუაში მოექციათ და ვისაც კი მისწვდებოდნენ, ისლამის ხალხთან მეომარი მათი ურჯუ-

ლო მამაკაცები საღვთო ომის ელვარე მახვილით დაეხოცათ. იმ ურჯულთაგან არც ერთი ცოცხალი არ გაეშვათ, ქალები და ბავშვები ტყვედ წამოეყვანათ, ხოლო საქონელი და ქონება, რაც ხელში ჩაუვარდებოდათ, მუსლიმანთა და ღაზიების დავლა იქნებოდა.

ქართველებმა დაინახეს, რომ ყოველ მხრივ გარსშემორტყმული იყვნენ, როგორც თევზები უბედურების ბადეში, შეძრწუნდნენ, ჯგუფ-ჯგუფად უღრან ტყეებს მიაშურეს და მაგარ ადგილებში წავიდნენ, რომელთაც ერთზე მეტი [მისასვლელი] გზა არ ჰქონდა. ყველგან, ყველა მხარეს და კიდეს, სადაც კი გაისვლებოდა, ხანდაკები ამოთხარეს

103

და წყლით აავსეს, ის ადგილები კი, რომელთაც თურქები სიღნაყს<sup>112</sup> უმძახიან, გაამაგრეს. მეომრები და მოსახლეობა თავისი სახლეულითა და ქონებით, რაც ებადათ, სიღნაყებში შევიდნენ. ყველანი საომარი საჭურველით და იარაღით სიღნაყებში დადგნენ და თავის დაცვა დაიწყეს. რაკი სიღნაყების უმრავლესობა მდინარე ყანაყის (ალაზნის) გაღმა მხარეს მდებარეობდა და იმ დღეებში, გაზაფხულზე, განუწყვეტელი წვიმების გამო, მდინარე ყანაყი აბობოქრებული იყო და მასზე გადასვლა, თუ არა გემით ან ნავით, შეუძლებელი ხდებოდა, ხოლო ქართველებს გადაემაღათ ყველა გემი და ნავი, ამიტომ [შაჰმა] საბარგული აქეთა ნაპირზე დასტოვა, ბედირ-ხან ზულ-ყადარ მოჰრდარი ორდუბეგად და ქალბ-ალი-ბეგ შამლუ სოჰბათიასაული უავგუსტოესი ჩარდახის მცველად დააყენა და მამაცი ლაშქრით, მსუბუქად, იმ დიჯლას (ტიგროსის) მსგავს წყალს მიადგა და მშვიდობით გადავიდა [მასზე]. ნავებისა და გემების უქონლობის გამო ძლევამოსილ ჯარს ბევრი გაქირვება შეხვდა [ამ გადასვლის დროს] ბევრი ცხენი და ჯორი და ურიცხვი აქლემი „წყლის გზით არარაობის საძოვრებზე წავიდა“. ერთი სიტყვით, ძლევამოსილი ლაშქარი რაზმ-რაზმად და ჯგუფ-ჯგუფად ტყეებსა და ტევრებში შევიდა. რომელ სიღნაყსაც კი მიაღწევდნენ, მამაცობისა და გულადობის მკლავის ძალით აქცევდნენ. ყოველდღე უდგენდნენ მისი უავგუსტოესობის მზერას მოკლული ქართველების თავებს და ტყვეებს.

იუზბაშ ჰოსეინ-ბეგ შამს ად-დინლუ ზულ-ყადარს, რომელიც ყორჩიებისა და [სხვა] სახელოვანი მებრძოლების რაზმით ტყესა და ტევრში შეიჭრა, ყორჩიბაშმა<sup>113</sup> ქართველი ქრისტიანების მოძებნა უბრძანა. მათ მიაღწიეს დიდ სიღნაყს, რომელშიც დაახლოებით ათი ათასი ქართველი ოჯახი, ბევრი მეომარი და გულადი მებრძოლი იდგა. იმ ციხესავით მაგარ ადგილს ერტყა წყლით სავსე ხანდაკი, რომელსაც მხოლოდ ერთი ვიწრო გზა ჰქონდა [მისასვლელი] წყალზე გადებული ძელით. მისი (ჰოსეინ-ბეგის) მხლებელი ყორჩიების, ღოლამებისა და მეთოფეების ერთი რაზმი, საერთო რიცხვით სამასი-ოთხასი კაცი, ქვეითად შევიდა იმ ვიწრო გზით სიღნაყში ისე; რომ [წინასწარ] არ გაიგო გარემოება და რიცხვი მტრისა, არ განსჭვრიტა „სიფრთხილის თვალთ“ და არ გამოიკვლია მისი ავი და კარგი. ცხენები გარეთ დასტოვეს და სრულიად დაუდევრად და უდარდელად გაიბნენ სხვადასხვა მხარეს ნადავლისა და ტყვეების საშოვნელად. ქართველმა ჯარმა, რომ ეს გაიგო, იარაღით აღჭურვილი მოვიდა რაზმებად. ჰოსეინ-ბეგმა შეიტყო ურჯულოთა საბრძოლველად შემოტევის ამბავი.

[მაგრამ] დაავიანა წასვლა ან მაშველი რაზმის გაგზავნა. ქართველებს ერთი ჯგუფი ზურგში მოექცა ღაზიებს და გზა, რომლითაც ყიზილ-

104

ბაშები გადმოვიდნენ, ჩაანგრია, ყოველი მხრიდან შეუტია მათ და ბრძოლა დაიწყო. ყიზილბაშმა ღაზიებმა და მეთოფეებმა, რომელთა რაზმები გაბნეული იყო სხვადასხვა ადგილას, ვერ მოახერხეს ერთად თავის მოყრა. სანამ ერთი ისარი მაინც ჰქონდათ კაპარჭში, ან ტყვიაწამალი გააჩნდათ, იბრძოდნენ, შემდეგ კი, როცა საჭურველი გამოელათ, იძლივნენ ქართველების შემოტევისაგან და გაიქცნენ ყველანი. რაკი გზა (ხიდი) დანგრეული იყო, სხვა გზა ვერ მონახეს, რომ [სამშვიდობოს] გასულიყვნენ. გზების შეკვრის გამო გარეთ მყოფთაგანაც ვერ მოაღწია მათთან შველამ. ღვთის განგებით ისინი განწირული შეიქნენ მოწამებრივი სიკვდილისათვის. უმრავლესობა მოწამეობით იქნა განდიდებული. რამდენიმე კაცი, დაჭრილი და დაკოდილი, წყალში გადავარდა და გავიდა იქიდან.

ამ ამბავმა საშინლად განარისხა შაჰი. ჯერ მან ჰოსეინ-ბეგ იუზბაში მოითხოვა, სამართალში მისცა, განკიცხა და უთხრა: „შენ სიღნაყებთან საომრად არ ყოფილხარ გაგზავნილი. როცა სიღნაყს მიაღდექი, როგორც იქ მყოფი ხალხისა, შესასვლელი და გამოსასვლელი გზები და თავისებურება იმ სიღნაყისა; უნდა გეცნობებინა ეს შენი უფროსისათვის, რომელმაც დაგნიშნა ამ საქმეზე, და შემდეგ გემოქმედნა ისე, როგორც ნაბრძანები გქონდა, რად გაუშვი თვითნებურად მთელი რაზმი უმეთაუროდ მტრის სიღნაყში ისე, რომ არ გაგიგია მისი მდგომარეობა, რაოდენობა და უკან გამოსასვლელი გზა? და თუ შენი ნებართვის გარეშე ჩაიღინეს ეს დაუდევრობა, შენ უნდა გეზრუნა მათ დაცვაზე, რამდენიმე ადგილას უნდა მოგეწყო გამოსასვლელი და რაზმი უნდა გაგეგზავნა მათ დასაცავად, თვითონ კი დანარჩენი ღაშქრით უნდა შეჭრილიყავ სიღნაყში; როგორც წესი და რიგია, საბრძოლველად უნდა აგენტო მეომრები, რომ შენგან გულგამაგრებულთ ეომათ და, თუ ბრძოლა მიზანშეწონილი არ იქნებოდა და საჭირო გახდებოდა [სიღნაყიდან] უკან გამოსვლა, მაშინ გასასვლელად მოწყობილი გზებით შეიძლებოდა უვნებლად უკან დახევა“. იუზბაშის ის იყო უნდოდა თავი ემართლებინა, მაგრამ სამხედრო საქმის (ხასიათის) და წინდახედულებისა და სიფრთხილის თვალსაზრისით ეს შეპასუხება უარყოფილ იქნა. „დასჯის შეჭნემ“ (პოლიციის უფროსმა) არ ალაპარაკა. (ისეთი) ტანჯვით და უპატიურობით იქნა სიკვდილით დასჯილი, რომ ნურავის ენახოს ასეთი მისი გვამი მთელს ბანაკში და ღაშქარში დაატარეს სხვების ჭკუის სასწავლებლად, რომ ასეთს საფრთხილო საქმეში არავის გამოეჩინა დაუდევრობა, მისი დასჯის შემდეგ, შაჰის დაახლოებული პირი ყარ-

105

ჩილაი-ბეგი გაგზავნეს ძლევამოსილი მეომრების მრავალრიცხოვანი რაზმით იმ სიღნაყზე. ის წავიდა და, როგორც მისმა უდიდებულესობამ დაარია, ის მხარეები და კიდეები დაზვერა. რამდენიმე ადგილი, რომელიც გზად გამოდგებოდა, ხის მაგარი ძელებით გამართა და ღაზიები სათანადო წესისამებრ სიღნაყში შეგზავნა.

ქართველებმა რამდენიმე ადგილზე ჯებირი შეკრეს ციხე-სიმაგრე-სავით და ჯებირებს მოფარებული იბრძოდნენ. ყარჩილაი-ბეგმა დაუშალა ლაზიებს ჯებირებთან ბრძოლა. ზარბაზანი მოიტანეს ბანაკიდან და მეზარბაზნეებმა თითო-თითოდ დაანგრირეს ჯებირები ზარბაზნის ცემით. ლაზიებმა დაიწყეს ბრძოლა. იმ დღეს ქართველებმა გულადად იომეს, მაგრამ ბოლოს, ბრძოლისა და ჭიდილისაგან დაღლილებმა ბრძოლა დასტოვეს და „თავის გადარჩენის საშუალება ეძიეს“. როცა იმ ურჯულოთა გულზე უფრო ზნელი ღამის წყვდიადი ჩამოწვა, ლაზიებმაც ხელი უშვეს ბრძოლას, ერთ ადგილას შეგროვდნენ და სადარაჯოზე დადგნენ.

სიღნაყში მყოფმა დაახლოებით ოთხას-ხუთასმა მეომარმა, რომელთაც საჯდომი ან სასაპალნე ცხენი ჰყავდათ, ზოგმა მარტოდ-მარტო, ზოგმაც ცხენის გავაზე შემოსმული ოჯახით, სიღნაყის უკან გზა მოძებნა და დაღესტნის მთების კალთებისაკენ გაიქცა. დანარჩენმა ხალხმა, ვინც ადგილზე რჩებოდა, მეორე დღეს ნახა, რომ ვერ გაუძლებდა ძლევამოსილი ლაშქრის შემოტევას და სხვადასხვა მხარეს დაიფანტა. ისინი შეხვდნენ ყიზილბაშთა ერთ რაზმს, რომელთაც მოეცვათ მთა და ველი, ტყე და ტევრი, მამაკაცები ყველანი კრიალა ხმლის ლუკმა შეიქნენ, ქალები და ბავშვები დამამცირებელ მონობაში ჩაცვივდნენ („მონობის დამცირებით იქნენ შეპყრობილი“). ძლევამოსილ ლაშქარს მრავალი დავლა ჩაუვარდა ხელთ იმ სიღნაყში. ასევე, სადაც კი [სხვა] სიღნაყი იყო, ღვთის დახმარებითა და ხელმწიფის მარადი იღბლის ძალით, ისლამის ძლიერი ხელით და მუსლიმანთა მკლავის ძალით ყველა დაღეწეს და მიწასთან გაასწორეს. გაქცეულების უმრავლესობა აგრეთვე შეპყრობილ იქნა ტევრებში და „ვაჟკაცთა დამანარცხებული სიკვდილის ღვინით გაბრუებული გახდა მკვდრეთით აღდგომამდე“.

ერთი სიტყვით, უავგუსტოესი ამალა (ე. ი. შაჰი) ოცი დღე დარჩა მდინარე ყანაყის იმ მხარეზე და სარწმუნოებისათვის მებრძოლი ძლევამოსილი მეომრები ურჯულოების ხოცვა-ჟლეტით იყვნენ დასაქმებული. იუსუფ-ხანი და შირვანელი ამირები, რომლებიც საქართველოს აღმოსავლეთით ზაგემის მხრიდან მოდიოდნენ, ასევე იქცეოდნენ. ერთხელ მდინარის ნაპირზე იყვნენ ჩამომხდარი, რომ ზაგემელი ქრისტიანები, რომლებიც ღირსეულ ხალხად არიან ცნობილი, მრავალრიცხოვან [ხროვად] შეგროვილნი შირვანის ჯართან საბრძოლველად გა-

106

მოქანებულიყვნენ. შირვანის ლაშქრის მეომრებმაც “მამაცობის ფეხი გულადობის ასპარეზზე შესდგეს“. დიდი ბრძოლა გაიმართა. ისლამის ხალხს ღვთის დახმარება მოევლინა, ის ხალხი დამარცხდა და ბევრი მათგანი დაიღუპა საღვთო ომის მახვილისაგან. მცირედი რიცხვი ათასი გაჭირვებით და უბედურებით [გადარჩენილი] აქეთ-იქით გაიფანტა. ლაზიებმა მათი საცხოვრებლები დააქციეს და ქალაქ ზაგემში კვალიც კი არ დატოვეს მოსახლეობისა. ასე მოხდა მთელ კახეთში. რაც თეიმურაზის ბედკრული უწესობისა და ურჩობისაგან ხოცვა და რბევა, ძარცვა, ტყვევნა და ნგრევა ქვეყნისა და გავერანება სახლებისა და საცხოვრებლებისა კახეთის ქრისტიანებს თავს დაატყდათ, არ გაგონილა ისლამის გაჩენის დროიდან აქამდე, რომ ასეთი რამ ისლამის ქვეყნების რომელიმე ხელმწიფისაგან მოსვლოდეთ მათ და მათი მამული

ასე აოხრებულიყო. მოკლულთა რიცხვი სამოც-სამოცდაათ ათასს სჭარბობდა. ზოლებისას სილამაზის მქონე ლამაზი ქალწულები, უწვერული, იოსებ [მშვენიერის] ღაწვებიანი, ხალებით დამშვენებული [ვაჟები] და სხვანი და ბავშვები, რომლებიც გატარებულ იქნენ მისი უავგუსტო-ესობის წინაშე, ასი ათასზე მეტი იქნა აღწერილი. მაგრამ ამ სტრიქონების დამწერის აზრით, ოცდაათი ათასი კიდევ სხვა კუთხესა და კიდეში იქნა ტყვედ დაჭერილი, რომლებიც დროის უქონლობის გამო არ ყოფილან აღრიცხული.

ახლა, ეს ამბავი რომ მოხდა, ხელმწიფის რისხვა დაცხრა და ნოვრუზიდან სამი თვე გავიდა, ხოლო ოსმალეთის სარდალი მუშის ველზე იდგა და ჯარსა და იარაღს აგროვებდა სალაშქროდ. საქართველოში მეტხანს გაჩერება სახელმწიფო [თვალსაზრისით] სასარგებლოდ ვერ მიიჩნია [შაჰმა] და უკან გაბრუნდა. ის მარდანყუბის (მარტყოფის?) გზით ქართლს მივიდა რამდენიმე დღით ქალაქ თბილისში დადგა და ციხის მოწესრიგებას და ბაგრატ-ხანის საქმეების მოგვარებას შეუდგა. იქიდან აიყარა, აჰსანაბადის გზით მეიდანჩუყის საზაფხულო ბინებზე ავიდა, ხოლო იქიდან გოქჩის ტბაზე მიბრძანდა. სამი თვე, სანამ ოსმალეთის ჯარი [სალაქროდ] დაიძრებოდა ძლევამოსილი ლაშქარი [ციხილბაშებისა] ხსენებულ იალაღებზე იყო დაბანაკებული. [ოსმალეთის] სარდლის მოსვლისა და ამ დროის განმავლობაში მომხდარი ამბების აღწერა იღბლის შეწევნაზეა დამოკიდებული.

107

### დანეყში სამათროდ დგომის დროს მომხდარი ამბების აღწერა\*

რადგანაც იმ თავხედობისა და უზრდელობის გამო, რომელიც უვიცმა თეიმურაზმა და გზააბნეულმა კახელებმა გამოიჩინეს, შაჰის გულმოდგინეობამ და კეთილშობილურმა აღტყინებამ მოითხოვა, რომ იმ ველაიეთის ურჯულოები ისე დაესაჯა შურისძიების მახვილით, რომ იმ მხარეში მცხოვრებნი და „ნედლი და ხმელი“ (ე. ი. ყველაფერი) განკითხვის დღის რისხვის ცეცხლით ისე დაეწვა, რომ შენებულებისაგან და „უტყვისა და მეტყველისაგან“ (ე. ი. ცოცხალი არსებისაგან) კვალიც არ დარჩენილიყო. წლის დასაწყისში, როცა ქვეყნის დამპყრობელი დროშები იმ მხარისაკენ დაიძრნენ, იმ ქვეყნის მთელი ხალხი ისეთ ხოცვა-ჟლეტის ტყვევანას და ნგრევას მიეცა, რომ იმ ველაიეთზე გამართლდა სიტყვები: „არ არის სახლში, მის გარდა, არავინ“. ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო შაჰის განრისხების ცეცხლი, რომ მას ესმა, დელუ-მელიქ შირვანელი, დაუდ ქართველი და თამაზ ქიზიყელი\*\* მისულან კახეთში, მოუგროვებიათ ყოველი მხრიდან გაფანტული ქართველი მეომრები და გლეხები და ყველა გავერანებულ ადგილში რამდენიმე დარბეული და გაბნეული ოჯახი დასახლებულაო. ამიტომ მათ წინააღმდეგ გაგზავნეს ყორჩიების, ღოლამების და მეთოფეების რაზმი ისა-ხან ყორჩიბაშის მეთაურობით. ძლევამოსილი ლაშქარი იმ ბედკრულთა საცხოვრებელ ადგილებში შევიდა, ჯერ ქიზიყის ველაიეთი გაწმინდა, მამაკაცები კრიალა ხმლის ლუკმად იქცეოდნენ და ქალები და ბავშვები ძლევამოსილი ღაზიების ტყვეები ხდებოდნენ. როცა გაიგეს დაუდის და მისი ამხანაგების ადგილსამყოფელი, მათ წინააღმდეგ გაემართნენ სასწრაფოდ. თოვლით დაფარული გზა ხშირ ტყეებსა

და ტევრებში ძნელად სავალი იყო და ამიტომ დიდი გაჭირვებით მიაღწიეს იმ ბედშავთა სადგომებს. მათ ლაშქრის მოსვლამდე ერთი წუთით ადრე გაიგეს ეს, დაჰყარეს ბარგი და ბარხანა, თავისი მცირერიცხოვანი ჯალაბი ცხენებზე უკან შემოისვეს და თოვლით სავსე ვიწრო გზით დაღესტნისაკენ გაიქცნენ მთებში. ჯერ კიდევ მოჩანდა [შორს] მათი ჩრდილები რომ [შაჰის] მოწინავე რაზმებმა მიაღწიეს მათ სადგომებს. [ყიზილბაშებმა] არ მიატოვეს დევნა და მივიდნენ ისეთს ადგილს, სადაც თოვლში გზის სივიწროვის გამო თითო-თითოს უნდა გაეველო, რადგან ორი ცხენოსნის ერთად გავლა არავითარ შემთხვევაში არ შე-

\* საქ. მუხუუმის ხელნაწერში ეს თავი დასათაურებულია ასე: ذکر لشکر فرستادن بر سر بقیه گرجیان کاخت و انولات را از صامت و باطق پرداختن  
დარჩენილ კახელებზე ლაშქრის გაგზავნის და იმ ქვეყნის უტყვისა და მეტყველი მოსპობის აღწერა.

\*\* ავ. დორნით: Tahmasp Kuli Beg Kisiky.

108

იძლებოდა. ბევრმა ქართველმა ცხენები [ზედ მჯდარი] თავისი ცოლ[-შვილ]ით წინ გაირეკა და თვითონ ქვეითად მზრძოლი, ათასი უბედურებით, თოვლში, თითო და ორ-ორი კაცი მიიწევდა წინ. ფეიქარ-სულთან იგირმი დორთის ძმა ჰასან-ალი-ბეგი, რომელმაც წინ გაუსწრო მდევარს, თოფის ტყვიით [განგმირული] დაეცა ძირს. მის შემდეგ იუზბაშმა ბექთარ-ბეგ ივოღლიმ, აბულ-ყასემ-ბეგ აბდარბაშის შვილმა მამაცურად გააჭენა წინ ცხენი. ის ისარს ესროდა ურჯულოებს, რომ თოფი მოხვდა გულში და გადმოვარდა [ცხენიდან]. მის უკან მირ თათაჰ მინბაში ისფაჰანელი მიდიოდა, ბექთარ-ბეგის ცხენი დაიჭირა და მოაჯდა ზედ. მასაც იქვე თოფი მოხვდა, დაიჭრა და ბანაკში დაბრუნების შემდეგ გარდაიცვალა.

რადგანაც მცირერიცხოვანი [მტრის] ასე დევნა იწვევდა კარგი ვაჟკაცების დაკარგვას და მზერ ჩადიოდა და ღამდებოდა, უკან გამობრუნდნენ. ამჯერად ის რამდენიმე განდევნილი მეამბოხე გადაურჩა სიკვდილის კლანჭებს, მაგრამ ამ ლაშქრობის დროს ათი ათასამდე კარგი ვაჟკაცი, რჩეული ქართველი, რომელთაც პირველად თავი დაიცვეს და ტყვედ არ ჩაცვენილან ახლა ძლიერი სიცივისა და დიდი თოვლის გამო, რომლითაც დაფარული იყო გზები, მოძრაობისა და გაქცევის ძალა რომ ვერ მოიკრიფეს, ხელში ჩაუვარდა [მტერს] ძლევამოსილ ჯარს მრავალი დავლა ერგო წილად და ნადავლით დატვირთული უვნებლად დაბრუნდა უკან.

ქართველი მოსახლეობიდან იმ მხარეში აღარავინ დარჩა. რადგანაც ხსენებულ საქართველოს ჩრდილოეთის მხრით დაღესტანი ეკვრის, დაღესტნის ხალხი მუდამ ჩამოდიოდა იქ საყაჩაღოდ და ტყვეები მიჰყავდა. ახლა, როცა ის ქვეყანა (კახეთი) ასეთი დაუძლურებული გახდა და დამცველი აღარ ჰყავდა, წინანდელზე უფრო მეტი ჩამოდიოდა და ტყვეებს ეძებდა [მოსატაცებლად] თუ ცოტა ვინმე იყო დარჩენილი სხვადასხვა კუთხეში ტყვეებსა და ჯაგებში, ისინი დაღესტნის ლეკების შიშით დიდოეთში, ბაში-აჩუკში და ქართლში გადაცვივდნენ. მოკლედ, მოსახლეობის სუნიც კი არსად იყო დარჩენილი იმ ველაიეთში და თეიმურაზის უგუნურებისა და უმეცრების გამო, ისეთი ქვეყანა, რომელიც ყოველწლივ ურიცხვ სარგებელს და შემო-

სავალს იძლეოდა, დაინგრა და მიწასთან იქნა გასწორებული.

ენისელების<sup>114</sup> ტომის ერთი ჯგუფი და გუნდი ქართველებისა, რომლებიც ზაგემსა და იმ სანახებში იმყოფებოდნენ, რიცხვით ორისამი ათასი ოჯახი, დახოცვისა და დატყვევება-დარბევის შიშით, გადასახლებაზე დათანხმდა და „უვნებლობის სახლში“ – მაზანდარანში წასვლა განიზრახა. [შაჰის] გარდუვალი ბრძანების თანახმად, მათი შე-

109

ვიწროება შეწყვიტეს და ისინი იმ მხარეს წავიდნენ, მშვიდობით მიადწიეს ფარაჰაბადს და იქ დადგნენ.

ს ხ ვ ა ა მ ბ ე ბ ი : როცა [შაჰის] დიდებულ სმენამდე მოაღწია [ამბავმა], რომ დანეყის ხალხში, რომელიც განჯის მმართველის ქვეშევრდომებს ეკუთვნის, ამბოხი გაჩნდა თეიმურაზის აჯანყების დროს, ერთი ჯგუფი მას (თეიმურაზს) მიემხრო და განჯის მმართველის მოჰამედ-ხან ზიად-ოღლის „მსახურთაგან რამდენიმე კაცი, რომელნიც მათში იყვნენ, მოჰკლესო, ახლა, როცა ძლევამოსილი ხელმწიფე ხსენებულ ოლქში დადგა საზამთროდ, მან იმ ხალხის ურჩები და შფოთვის ამტეხნი სამართალში მისცა. როცა დადასტურდა აჯანყება და დანაშაული, იქაური მელიქი,<sup>115</sup> ოცდაათი-ორმოცი დიდებული და მემბოხე დასჯილ იქნენ განრისხებული ხელმწიფის მიერ, ხოლო სხვანი, ვინც სანდო არ იყვნენ, იმ ველაიეთიდან გამოასახლეს და ფადაჰაბადში გაგზავნეს.

### დასაწყისი მეორე ეპოქისა.

**გველის წელიწადი, რომელიც შეესატყვისება ათას ოცდაექვს (1617) წელს ჰიჯრით და რომელიც აზასის ტახტზე ასვლის ოცდამეთერთმეტე წელია**

როცა ნოვრუზის სიხარულის მომგვრელი დღეებიდან რამდენიმე დღე გავიდა და დანეყის ჰავამ პირი სითბოსაკენ იბრუნა, ჟამთა ხელმწიფის ძლევამოსილი დროშები საზამთრო ბინებიდან საქართველოს იალაღებისაკენ დაიძრნენ.

იმ დღეებში მომხდარ ბედნიერ ამბებს ეკუთვნის ყორღანყუჯის\* ციხის დაპყრობა. ურჯულო ქართველების ერთი ჯგუფი შესულიყო იმ მაგარ ციხეში და ჯანყსა და ამბოხს ახდენდა. ის დიდებული ციხე მდებარეობს ერთი მაღალი და მიუვალი მთის წვერზე და არც ერთი მხრიდან არ აკრავს მაღლობი, რომლიდანაც შეიძლებოდა მასზე თავს დადგომა. მისი სიმაღლე ისეთია, რომ კარის ზღურბლიდან იმ ადგილამდე, სადაც ციხის მცველები დგანან, ხუთას სამოცი კიბის საფეხური უნდა აიაროს კაცმა. ერთი სიტყვით, იმ ციხეს რომ წვიმის წყლით ასავსები ამბრის გარდა, ერთი წყაროც ჰქონოდა, ვერც ერთი დიდებული ხელმწიფე ვერ დაიპყრობდა. ახლა ურჯულო ქართველების გული უზომოდ შიშსა და ძრწოლას მოეცვა მისი უავგუსტოესობის წინაშე. მათ უვნებლობა ითხოვეს და ქართლის ვალი ბაგრატი მეოხად გაიხადეს, გამოვიდნენ და ციხე [ყიზილბაშთ] გადასცეს. ხელმწიფის წყალობით მათ უვნებლობა ებოძათ. ვისაც ბაგრატის სამსახური სურდა, ქართლ-

\* აკად. მ. ბროსეს აზრით, ხორნაბუჯის ციხე.

ში წასვლის ნებართვა მიეცა, ზოგი სხვა სამოთხის მსგავს ფარაჰაბადში წავიდა და ჟამთა უბედურებისაგან მოისვენა. ციხის მცველად ჩაყენებულ იქნა შაჰის ამაღლის რამდენიმე მეთოფე.

ამასობაში ხელმწიფის დიდებულ ყურთ ესმა, რომ მახვილს გადარჩენილი ქართველების ერთი ჯგუფი, რომელიც ღაზიების ხმლისა და შუბის შიშით ტყეებსა და გამოქვაბულებში იყვნენ შემძვრალი, ქიზიყში წინააღმდეგობას ეწევიან და ურჩობენო. რადგანაც [შაჰი] განრისხებული იყო იმ ურწმუნოებზე და მისი „ბრაზის ცეცხლი ჯერ არ იყო ჩამქრალი“, ამიტომ ძლევამოსილი ჯარის ერთი რაზმი გაგზავნეს იმ უბედურ სიკვდილმისჯილებზე და შემდეგ გააყოლეს ლოლამების იუზბაში ზამან-ბეგი ლოლამთა რაზმით, რომელიც მათ (ქართველების) დასარბევად და დასატყვევნად იქნა დანიშნული. სარწმუნოებისათვის მებრძოლთა რაზმი იმ სიკვდილმისჯილებს უეცრად თავს დაესხა, როგორც ცით მოვლენილი უბედურება. მრავალი ცოდვილი ურწმუნო შეიპყრეს. საპტიო აზნაურებიდან ბევრი ბედკრული ქრისტიანი ზოგი ხმლის კერძი შეიქნა, ზოგიც, ვინც მახვილს გადაურჩა, ბავშვებთან და ქალებთან ერთად ტყვედ წაიყვანეს. დაჭერილებს, რომლებიც უავგუსტოს ურდოში მოიყვანეს, მრავალი ტანჯვითა და წამებით ხოცავდნენ შაჰის ბრძანებით.

როცა [შაჰის] ნათელმა აზრმა კახეთის საქმეებისაგან მოისვენა, დიდებული დროშები თბილისისაკენ დაიდრნენ და ქართლის ვალი, ბაგრატი, რომელმაც სათანადო სამსახური და მასპინძლობა შეასრულა, მოსალოდნელზე უფრო მეტად იქნა განდიდებული ხელმწიფური მოკითხვითა და დიდებული ხალათების ბოძებით. იქიდან [შაჰი] გამართა სომხითისაკენ და რამდენიმე დღე ილხენდა მელიქ მირმან სომხითარი შვილიშვილის მელიქ ათაბეგის სამყოფელს, რომელიც [ირანის შაჰების] წმინდა გვარეულობის ერთგულთა რიცხვს ეკუთვნოდა. იქიდან სევანის ტბის საზაფხულო ბინებისაკენ წავიდნენ და რამდენიმე დღეს გოქჩის ტბის ნაპირებზე სეირნობით და იმ ამწვანებულ ტბის სამოთხის მსგავს და მვირფასი თვლებივით ანკარა წყაროებით [შემკული] ქვეყნის ველებსა და მთებზე დროს ატარებდნენ მხიარულად.

**სარდალ ხალილ ფაშას მოსვლა დიარბექრში და ლაშქრის გაგზავნა ალი-შუქრის საბრძანებელში, ოსმალეთის ხელმწიფის სულთან აჰმედ-ხანის გარდაცვალება და მისი ძმის სულთან მუსტაფას ტახტზე ასვლა და სხვა ამბები**

როგორც აღწერილი იყო, ოსმალეთის სულთანმა ხალილ ფაშა დანიშნა დიდ ვეზირად და სარდალად და მრავალრიცხოვანი ჯარით და

უამრავი ლაშქრით ყიზილბაშთა საზღვრებზე გამოგზავნა რათა ამ წელს საზღვარზე გამოეზამთრებინა, მომავალ გაზაფხულზე კი ყიზილბაშთა ქვეყანაზე გაელაშქრა. ხსენებულმა სარდალმა, იმის გამო, რომ



არზრუმი დანგრეული და გავერანებული იყო, დიარბექრი აირჩია საზამთრო ბინებად, იქ დადგა; ჯანი-ბეგ-გირეის, თათრების ხელმწიფეს, მოზარექ-გირეის შვილს, რომელიც თათრის ჯარით ოსმალებისათვის დასახმარებლად იყო მოსული, შესაფერის ადგილას მიუჩინა საზამთრო ბინა და ოსმალთა და თათართა ჯარი სხვადასხვა დასახლებულ და გაშენებულ მხარესა და კიდეს დაგზავნა.

იმ წელიწადს ოსმალთა ქვეყანას დიდი ზიანი მოუვიდა თათრებისაგან. ასეთი მდგომარეობა რომ შეიქმნა, ქვეყნის დამამშვენებელმა აზრმა (შაჰმა) გადასწყვიტა, რომ ყარჩილა-ხანი<sup>118</sup>, რომელსაც მიღებული ჰქონდა სარდლისა და სპასალარის ხარისხი, ოსმალთა სარდლის ხალილ ფაშას პირისპირ დაეყენებინა აზერბაიჯანის საზღვარზე. ამიტომ ხსენებული [ყარჩილა-ხანი] სამეფო ქალაქ თავრიზს დანიშნა და ძლევამოსილი ლაშქრის ერთი რაზმი, რომელსაც საქართველოს ამბების გამო ბრალი ედებოდა, მასთან დასტოვეს თავრიზში.

**ამბები თურქული ცხენის წლისა, რომელიც შეესატყვისება ათას ოცდაშვიდ (1618) წელს, მეორე პერიოდის მეორე წელს, რომელიც არის ღვთის ჩრდილის, უავგუსტოესი შაჰის ტახტზე ასვლის ოცდამეთორმეტე წელიწადი.**

.....

### **ხსენება რუსეთის დიდი ხელმწიფის ელჩისა, რომელიც ამ წელს მოვიდა**

ამ წელს აგრეთვე ზღვითა და ხაზართა ველის გზით შირვანის დარუბანდში მოვიდა დიდად პატივცემული ელჩი, რომელიც [რუსთა მეფის] მაღალი დინასტიის ნდობით აღჭურვილ ამირთა და მთავართა [რიგებს ეკუთვნოდა]. ის უავგუსტოეს ამაღლას უკან გამოჰყვა არდებილიდან, სამეფო ქალაქ ყაზვინში მივიდა და „ნეტარების მოედანზე ნოხის კოცნის ბედნიერება მოიპოვა“. მან თარჯიმანის მეშვეობით თავის ხელმწიფისაგან წინანდელზე მეტი გაჭირვება და კავშირის [სურვილი] განაცხადა და თურქულად დაწერილი ვრცელი წერილი ხელმწიფის კეთილშობილ მზერას წარუდგინა, მისი შინაარსი, რომელიც ერთგულებას შეიცავდა, [შაჰს] მოახსენეს. ხსენებული მთავარი (კნი-

\* ტექსტშია: **کناسان** ანუ რუს. „კნიაზები“.

აზი) ხელმწიფური წყალობით და შემწყნარებლობით იქნა განდიდებული. იმავე დღეს, როცა ინდოეთის მბრძანებლის საჩუქრები წარუდგინეს კეთილშობილ მზერას, რუსეთისა და მოსკოვის. ხელმწიფის ძღვენი და საჩუქრებიც წარუდგინა [შაჰის] უწმინდეს მზერას. ამ საჩუქრებს შორის იყო ოწყაზე\* მონადირე რამდენიმე შევარდენი რომელიც რუსეთის გარდა არც ერთ ქვეყანაში არ მოიპოვება. ხელმწიფური წყალობით სიმურღზე\*\* მონადირე ერთი შევარდენი ქვეყნიერების ხანს უძღვნა. ჭეშმარიტად, უცხო რამ საჩუქარი და სასიამოვნო ძღვე-

ნი ჰქონდა მოტანილი. ცოტა ხნის შემდეგ მან წასვლის ნებართვა მიიღო და წყალობამოსილი და ნაალერსევი, გილანის გზით შესაფერი-სად გაისტუმრეს თავის ქვეყანაში.

### ამბები და შემთხვევები

#### ცხვრის წელიწადისა, რომელიც შეესატყვისება ათას ოცდარვა (1619) წელს, რაც მისი უავგუსტოესობა აბასის ტახტზე ასვლის მეორე პერიოდის მესამე წელია

საკვირველი ამბებიდან, რომლებიც ამ წლის დასაწყისში მოხდა კუდიანი ვარსკვლავის და ცის [სხვა] ნიშნების გავლენით და რომლებიც ვარსკვლავთმრიცხველებმა სისხლისღვრის და ხალხის უბედურებათა მომასწავებლად ახსნეს, [ერთი] ის არის, რომ, როცა მისი უდიდებულესობა კეთილშობილ ქალაქ აშრაფში ბრძანდებოდა, ერთმა ქართველმა აზნაურიშვილმა, სახელად ხოჯასთე-ბეგმა,\*\*\* რომელიც ორ თუ სამ თავის ძმასთან ერთად სასახლის დოლამების რიგებში იმყოფებოდა. დრო იპოვა და მტრობით მოჰკლა ქართველი ახალგაზრდა რამაზ-ბეგი, რომელიც აგრეთვე ქართველი შაჰისევანი („შაჰის მეგობარი“) იყო. გამოიცა უკეთილშობილესი ბრძანება, რომ მაღალი დივანის ვეზირს მირზა აბუ თალეხს, სოჰბათიასაულ ქალბალი-ბეგს, რომელიც მაშინ დივანბეგი იყო, და ფარაჰბადის დარულა<sup>119</sup> უმმეთ-ბეგს სიაჰ მანსურს მოეყვანათ ხოჯასთე-ბეგი და დაეკითხათ ხსენებული ამბის შესახებ, თუ რა იყო იმ მკვლელობის მიზეზი და როგორ გაბედა მან ასეთი ბოროტმოქმედების ჩადენა, და ჭეშმარიტება მოეხსენებინათ [ხელმწიფისათვის] ეს პირები შეიკრიბნენ ფარაჰბადის სასახლეში (დოვლათხანაში), მოიხმეს ის და გამოჰკითხეს საქმე. ხსენე-

\* ონყა (عنقا) ზღაპრული ფრინველია.

\*\* სიმურდ (سمرغ) ლეგენდარული ფრინველია.

\*\*\* წერია حجة; აკად. დორნი კითხულობს حجة; შენიშვნით, სხვადასხვა ნუსხებში ყოფილა: حجة, حجة, حجة (გვ. 84, შენ. 2).

ბული ხოჯასთე მოვიდა თავის ორ ძმასთან ერთად, გაბედულად უპასუხა და აღიარა, მე და ჩემმა ძმამ მოგვკალითო. რადგანაც ხჯასთემ დივანში აღიარა, რომ მოჰკლა ის [კაცი], ქალბალი-ბეგმა მოინდომა მკვლელის დატუსაღება და [შემდეგ შაჰისათვის] მოხსენება საქმის ჭეშმარიტი [ვითარებისა]. ამ განზრახვით მან, უმაღლესი დივანის ვეზირთან მოთათბირებისა და მისი ნებართვის გარეშე, ხელი ჩასჭიდა ქამარში ხოჯასთეს. უგუნურებამ, სიგიჟემ და სიამაყემ შეიპყრო მისი ძმები. მათ ხმლები იშიშვლეს ქარქაშიდან და საშინელი ჭრილობები მიაყენეს ქალბალი-ბეგს. ერთი კიდევ ხმლით მივარდა მირზა აბუ თალეხს. ხალხი გაშტერდა და ხმლების პრიალის შიშით გარეთ გაცვივდა. ის სიკვდილმისჯილები სასახლის შიგნითა სადგომებში შეიჭრნენ, დარულა უმმეთი და რამდენიმე სხვა კაცი, რომელთაც შეეჩეხნენ, დასჭრეს და ორიც სხვა მოკლეს. რადგანაც მათ არ დაიცვეს პატივისცემა კურთხეულ სასახლისა, რომელიც დამნაშავეთა თავშესაფარია, და ასეთი საზიზღარი საქმე გაბედეს, რითაც სასჯელი დაიმსახურეს საზღა-

ურად, ამიტომ ხსენებულმა უმმეთ-ბეგმა ერთგული ხალხის ერთ ჯგუფთან ერთად გაბედულად შეუტია მათ სასახლის ბაღში და ისარი და ტყვია დაუშინა იმ სასიკვდილოებს. სამივე თუ ოთხივე მოკლულ იქნა იქ და თავიანთი ნამოქმედარის საზღაური მიიღეს.

ამ წელს გარდაცვლილ ცნობილ [პირთ ეკუთვნის] ბაგრატი-ხანი, შვილი დაუდ-ხანისა ლუარსაბ-ხან ქართველის შვილისა, რომელიც (ლუარსაბი) ქართლის ველაიეთის ვალი იყო და, როგორც სამოთხეში დამკვიდრებული შაჰის (თაჰმასბის), დროის ამბებში იყო აღწერილი, ყარაბაღის ლაშქრის მიერ მოიკლა ურჩობისა და აჯანყებისათვის მისი ვაჟი დაუდ-ხანი სამსახურად ეახლა [აწ] სამოთხეში განავენებულ შაჰს, ისლამის მიღებით გაბედნიერდა და განდიდებულ იქნა თბილისის მმართველობის მიღებით, რომელიც ქართლის სატახტო ქალაქია და დაპყრობილი და დივანის მფლობელობაში შესული იყო. მან თავისი ვაჟიშვილი, ხსენებული ბაგრატი, ბავშვობის ასაკში გაგზავნა სამოთხეში დამკვიდრებულ შაჰთან სამსახურად და [ის] ყიზილბაშთა შორის აღიზარდა, სიბრძნესა და მეცნიერებაში განსწავლული იყო. ამ ხანებში ის ქართლის\* მმართველობის მინიჭებით პატივცემული და ამაღლებული გახდა. ამ წელს თბილისში\*\* ავად შეიქნა და საიქიოს გაეშურა.

\* მ. ბროსეს აქვს „კახეთის“.

\*\* ბ. დორნს შესაძლებლად მიაჩნია, რომ „თბილისის“ ნაცვლად დედანში იქნებოდა „ბოლნისი“, მაგრამ გადამწერს ნაკლებად ცნობილი ბოლნისი კარგად ცნობილ თბილისზე გადაუკეთებიაო (გვ. 85).

მისმა უდიდებულესობამ, მოწყალე და შემწყნარებელი ბუნების მქონე შაჰმა, რომელიც დიდად აფასებს ერთგულ მსახურთ, მისი შვილი სიმონი<sup>120</sup>, რომელიც ჯერ კიდევ მცირეწლოვანი ბავშვი იყო, იმ ველაიეთის მმართველობის ბოძებით აღამალა მამის ადგილზე და საპატიო ქართველთაგან მის ვექილად და ხელმძღვანელად დანიშნა მოურავ-ბეგი,<sup>121</sup> რომელიც მუსლიმანად აცხადებდა თავს და [ირანის] ერთგულ და სანდო ადამიანად იყო მიჩნეული.

**თხრობა მაიმუნის თურქული წლის ამბებისა, რომელიც შეესატყვისება ათას ოცდაცხრა (1620) წელს, რაც აბასის ბედნიერი ტახტზე ასვლის მეორე პერიოდის მეთხე წელიწადია**

[ამ წლის] ბედნიერ ამბებს ეკუთვნის ოსმალეთის ელჩის მოსვლა. იბრაჰიმ-ალა, რომელიც ოსმალთა სამეფო გვარის ნდობით აღჭურვილი დარბაისელი და მჭევრმეტყველი კაცი იყო, იადგარ-ალი სულთან ხოლმეფასთან ერთად მოვიდა, კეისრის ქვეყნების მბრძანებლის სულთან ოსმან იბნ სულთან აჰმედისაგან<sup>122</sup> მეგობრობის წერილი მოიტანა და ერთგულება, მეგობრობა და მშვიდობის საფუძვლების, ერთობისა და თანხმობის განმტკიცების [სურვილი] განაცხადა. სასახლის კართან დაახლოებულ პირთა მეშვეობით ის წარუდგა შაჰს და შაჰინშაჰური წყალობით და მოკითხვით იქნა გამორჩეული და განდიდებული. მან [შაჰის] უწმინდეს მზერას წარუდგინა საჩუქრები და მისართმევე-

ლი, რომელიც ოსმალეთის სულთნისაგან მოეტანა. ამ მხრიდანაც დაიწერა სასურველად საპასუხო წერილი და იუზუბაში თახთა-ბეგ უსთაჯლუ, რომელიც გასულ წელს ისფაჰანის დარულად იყო, ელჩად დაინიშნა ოსმალეთში. [ისიც] ხსენებულ ალასთან ერთად გაემგზავრა შესაფერისი საჩუქრებითა და ძღვნით.

ზავის საქმე გადაწყვეტილ იქნა იმ წესით, რომ დაცული ყოფილიყო ხელმწიფეების: სამოთხეში დამკვიდრებული შაჰ-თაჰმასზის – წყალობა და ყოვლის შენდობა მასზე – და სულთან სოლეიმანის, ოსმალთა უგონიერესი და ყველაზე უფრო სამართლიანი ხელმწიფის დროის პირობები ზავისა. ცვლილება, რაც მასში (ე. ი. იმ საზავო ხელშეკრულებაში) მოხდა და ამ ორ მხარეს შორის უთანხმოების საფუძველი გახდა, არის მესხეთის ახალციხის ველაიეთის [მდგომარეობის] შეცვლა, რომელიც ხსენებულ დროს ყიზილბაშთა [სახელმწიფოს] საზღვრებში შედიოდა და ახლა ოსმალთა მფლობელობაში არის დარჩენილი დართანგის ოლქთან და ზანჯირის ციხესთან ერთად, რომელიც მისი უავგუსტოესობის საბრძანებელსა და არაბეთის ერაყს შუა მდე-

115

ბარეობს. ისინი იმ დროს ოსმალეთის საზღვრებში შედიოდა, ხოლო ამჟამად ამ სახელმწიფოს (ე. ი. ირანის) მფლობელობაშია. გადაწყდა, რომ ორივე მხარე დათანხმდებოდა ხსენებულ ცვლილებებზე, აღარიდავებდნენ და დანარჩენი [მუხლები] ხსენებული ხელმწიფეების დროის [საზავო ხელშეკრულების] მიხედვით იქნებოდა მიღებული. თუმცა მისი უდიდებულესობა [შაჰი] არ თანხმდებოდა ახალციხის [დათმობაზე], მაგრამ ახლა ხალილ ფაშას და ორივე მხარის კეთილისმსურველთა თხოვნის გამო თანახმა შეიქნა და ამ წესით იქნა გაგრძელებული [ის საზავო ხელშეკრულება] ელჩმა იბრაჰიმ-აღამ ითხოვა ბრძანებების [გაცემა] ამის შესახებ სასაზღვრო ქვეყნების მმართველებისა და ვალიებისადმი და ამ თხოვნის შესაბამისად მიიღო ბრძანებები, თავის მიზნებს მიღწეული გაბრუნდა და საზღვრისპირეთის შეუძლოთა და ქვეშევრდომთა მოსვენების საფუძველი გახდა. მაგრამ გაუტანელი და მოღალატე ბედი როდი დაუშვებს, რომ ქვეყნად მოსვენება ხანგრძლივი იყოს. მალე

ლექსი: ისევ გაითამაშა ბედმა,  
ყველაფერი დაღუპა!

იმედია, რომ რაც მუსლიმანთათვის კარგი და საკეთილდღეოა, ხანგრძლივი იქნება...

იმ დღეებში მომხდარი ამბებიდან [ალსანიშნავია შემდეგი]: სამეფოს დამამშვენებელი ნათელი ფიქრი და ქვეყნის შემამკობელი ბრწყინვალე აზრი უკეთილშობილესი [შაჰისა] – უზენაესმა ღმერთმა აღამაღლოს ის! – იმისკენ გადაიხარა, რომ კახეთი, რომელიც ჟამთა უბედურების თავდასხმისაგან გავერანებულიყო და ეპოქის ხელმწიფის განკითხვის დღისათვის [საშინელი] რისხვის გმირული საქმეებისაგან იქ უტყვევ არსებათა კვალიც არ არსებობდა, დასახლებით შეემკო, მომთაბარე ტომების ერთი ჯგუფი გაეგზავნა იქ, რათა დასახლებულიყვნენ და მიწათმოქმედებას და შენებას შედგომოდნენ.

მახვილს გადარჩენილი ქართველებიდან თუ მცირე რიცხვი შეფარებულიყო იმ მხარის მთებში ან თუ საქართველოს სხვა მხარეებში გაფანტული, „უბედურების ქვეყანაში“ დაეხეტებოდა, ხალხისთვის უვნებლობა და უსაფრთხოება აღეთქვა და მორჩილებაზე წაეხალისებინა. რადგან [ხელმწიფის] რისხვა ბოლოს და ბოლოს დაცხრა და თეიმურაზი, რომელმაც უგუნურებისა და სიამაყის გამო თავისი ბედი ჩაწიხლა, დაბნეული დაეხეტებოდა სადღაც, ამიტომ ფეიქარ-სულთან იგირმი დორთი<sup>123</sup> იცნეს იმ ქვეყნის მმართველობის ღირსად, ხანის კეთილმოზილი ტიტულის მინიჭებით განადიდეს და იმ მხარეს გაგზავნეს. გამოვიდა მაღალი ბრძანებულება, რომ ის თავისი ელით და ტომით ყარაბაღიდან იქ წასულიყო და ყორღანყუჯის ციხის ოლქში მდგა-

116

რიყო. თითოეული ტომიდან და ფენიდან გამოყვეს თითო ჯგუფი, რომელიც შესაფერისი იყო იმ სამფლობელოში დასასახლებლად. ფეიქარ-ხანი, თანახმად ბრძანებისა, იმ ველაიეთში გაემართა, გაფანტული ქართველები, რომელთაც მიიღეს შეპირება წყალობისა და ბედნიერება-პატიებისა, სამშობლოსაკენ წამოვიდნენ, მოშენდნენ და ხელმწიფის სამართლიანობის წყალობით მათი საქმე აყვავებისაკენ მიდის.

**ხსენება ქათმის წლის ამბებისა, რომელიც შეესატყვისება ჰიჯრის 1030 (1621) წელს და მეორე პერიოდის მეხუთე წელია აბასის დღითი-დღე მზარდი ხელმწიფობისა.**

**ქრისტიანების ერთი ჯგუფის მოწოდება ისლამის რჯულის მისაღებად**

ამ წელს მისი უავგუსტოესობის ქვეყნის დამამშვენებელმა აზრმა, რომელიც სარწმუნოებისა და სახელმწიფოს საძირკვლების დამფუძნებელი და სამეფოსა და რელიგიის ბურჯების განმამტკიცებელია, მოითხოვა, რომ სომხები და ქრისტიანები,\* რომლებიც [შაჰის] ბრძანების თანახმად ფერეიდანში და ბახთიარების<sup>124</sup> მეზობლად სახლობენ და სამიწათმოქმედო ადგილები უჭირავთ, მოეწოდებინა ისლამის სარწმუნოების მისაღებად, [რადგან] დიდად ეცოდებოდა და თანაურგძნობდა მათ [და ფიქრობდა], რაკი ეს სამყარო უბედურების ადგილი და დაუძღვრების სახლია, ვაითუ, რამე ამბავი რომ მოხდეს და სამეფოს სიმტკიცე დაეკარგოს, მეზობელმა ლურებმა,<sup>125</sup> რომლებიც ბუნებით მოძალადე და უსამართლონი არიან, შეავიწროონ ისინი, ისლამის ქვეშევრდომნი და ზიმიები,<sup>126</sup> და ქალები და ბავშვები ტყვედ წაიყვანონო.

იმ ხალხის ერთი ჯგუფი მისი უავგუსტოესობის მოწოდებას „მორჩილების ნაბიჯით შეეგება“ და ძალაუნებურად დამორჩილდა ბრძანებას. ძირითადი მიზანი ის იყო, რომ ტაძარი, რომელიც მათ აშენებინათ იმ ადგილებში, სადაც ისინი დასახლდნენ, მიზგითად ყოფილიყო ცნობილი და იქიდან მუეძინის ხმა გამოსულიყო, რათა, მუსლიმანობს რომ მიიღებდნენ; მათი საქმე კეთილად და კარგად დაბოლოვებულიყო. სეიდობის საფარველი ამირ აბუ-ლ-მაალა ნაზარი, მისი უავგუსტოესობის მეჯლისნავისი,<sup>127</sup> რომელიც მამა-პაპიდანვე ამ წმინდა ოჯახის (ე. ი. სეფიანთა დინასტიის) ძველ მსახურთა

რიცხვს ეკუთვნის, ბავშვობიდან უავგუსტოესი შაჰის მზრუნველობის ჩრდილში იზრდებოდა, [ხელმწიფესთან] დაახლოებით და მაღალი პატივით იყო განდიდებული, სრული ნდობით სარგებლობდა და თანას-

\* უნდა იგულისხმებოდნენ ქართველები.

წორთა შორის გამორჩეული იყო, ამ უბედნიერეს საქმეზე დაინიშნა. ისიც, თანახმად უმაღლესი ბრძანებისა, ამ კეთილად დასაბოლოვებულ საქმეზე გაემართა და იმ ხალხში მივიდა. ზოგს ღვთის წყალობა ეწია, მორჩილად და დიდი მონდომებით მიიღო ჭეშმარიტი სარწმუნოება, ზოგს კი, რომელთაც ბერ-მონაზონთა და მღვდლების წაქეზებით გაუჭირდათ ქრისტიანული რჯულის დატოვება, ქრისტიანობის [სხვა რჯულზე] გამოცვლა საზიზღარ რამედ მიაჩნდათ. მღვდლებს და ბერებს რომ ცოტა დაემუქრნენ, – ნუ უშლითო, წინააღმდეგობას თავი დაანებეს, დამორჩილების გარდა სხვა გზა არ ჰქონდათ და ზიზღით „შედგეს ფეხი მუსლიმანობის წრეში“. ქალების და ბავშვების უმრავლესობა დიდი მონდომებით და სიხარულით ერთმანეთს ასწრებდა და ისლამის აღსარებას ამბობდა, ქრისტიანობას სტოვებდნენ და მართალ რჯულს და ბრწყინვალე შარიათის<sup>128</sup> ღებულობდნენ. ყველა, ვინც იტყოდა აღსარების მუსლიმანური რჯულის ორი დებულების მშვენიერ სიტყვებს, მათ სახარებას და სხვა საღვთო წიგნებს ეპისკოპოსებს და მღვდლებს ართმევდნენ და დაადგინეს, რომ მუსლიმან მოძღვრებს მათთვის ყურანი და შარიათის დადგენილებანი ესწავლებინათ.

ასევე, ყველა სომეხ ქრისტიანს, რომლებიც გადასახლებული იყვნენ მაზანდარანში, მუსლიმანობა დაავალეს და ისლამის რჯულის მიღებისაკენ მოუწოდებდნენ. ამ საქმეზე დანიშნულ იქნა მოულანა<sup>129</sup> მოჰამედ ალი თაბრიზი. იმ ხალხის უმრავლესობამ გულწრფელად და დაჯერებით მიიღო ხელმწიფის მოწოდება, ზოგმაც ზიზღით, – ღმერთმა უწყის ეს, – თქვა აღსარება და ისლამის ხალხის რიგებში ჩადგა. იმედი, რომ უწმინდესი უფალთა უფალი მალე, ბედნიერ სიცოცხლეშივე მიანიჭებს ხელმწიფეს საზღაურს ამ კეთილი საქმისათვის.

**ამბები ღორის დალოცვილი წლისა, რომელიც შეესატყვისება 1082 (1628) წელს და აბასის დღითიდღე მზარდი მეუფების მეორე პერიოდის მეშვიდე წელია**

**თხრობა დროის მბრძანებლის ფირმანის თანახმად ამირგუნე-ხანის ახალციხეზე გალაშქრების, ციხის დაპყრობის და იმ ველაიეთის გამგებლობის სელიმ-ხან შამს ად-დინლუსათვის ბოძების შესახებ**

ამ წელს ჩოხურ-საადის ბეგლარბეგი ამირგუნე-ხან ყაჯარი დანიშნულ იქნა ახალციხის დასაპყრობად და ამირებით და ძლევამოსილი ჯარის ერთი რაზმით იმ მხარეს გაემურა. წინა წლების ამბებში აღწერილი იყო, რომ ახალციხე მესხეთის საქართველოს სანახებშია.

სამი საქართველოდან ის ამ მხარეს (ე. ი. ირანს) მიეკუთვნა\* იმ და-  
ზავების დროს, რომელიც სამოთხეში დამკვიდრებულ შაჰსა (თაჰმას-  
ბის) და განსვენებული ხელმწიფის, ოსმალეთის ხონთქრის სულთან  
სოლეიმანს შორის მოხდა, და ყიზილბაშების [სამფლობელოს] საზღვ-  
რებში იყო შესული. იქაური ვალი უწმინდეს დინასტიას (სეფიანებს)  
ემორჩილებოდა და ხარაჯს<sup>130</sup> უხდიდა. სამოთხეში დამკვიდრებული  
შაჰის გარდაცვალების შემდეგ, როგორც იმ დროის ამბებში იქნა აღ-  
წერილი, ის ოსმალების მფლობელობაში იყო გადასული და ერთი-  
ორჯერ, როცა მისი უდიდებულესობის, უმაღლესი ხაყანის (ირანის  
შაჰის) და ოსმალეთის სულთნებს შორის ზავი მოხდა, მესხეთის ვე-  
ლაიეთის მოცემის [საკითხის გადაწყვეტა] გაჭირდა და ორ მხარეს  
(ირანსა და ოსმალეთს) შორის დავა იყო.

ამ წელს, როცა დაპყრობილ იქნა ბაღდადის ქვეყანა, გამოვიდა  
უმაღლესი ბრძანებულება, რომ ამირგუნე-ხანი ზოგიერთი ამირითა  
და ჯარით იმ მხარეს წასულიყო და ახალციხის სიმაგრე და მას და-  
ქვემდებარებული ადგილები დაეპყრო. ხსენებულმა ხანმა, თანახმად  
ბრძანებისა, იმ ქვეყნისაკენ გაილაშქრა [ყიზილბაშთა] ძლევამოსილ  
ჯარს და ოსმალთა და ქართველთა შორის ხელახლა დაიწყო  
ბრძოლები. გამარჯვება და ძლევა [ირანის] დღითიდღე მზარდ სახელ-  
მწიფოს ხვდა წილად და მამაცი ხანის შესანიშნავი მეცადინეობის და  
გონიერების წყალობით ახალციხე, რომელიც მესხეთის: უდიდესი ციხე-  
სიმაგრეა და ამ ხანებში ოსმალთა მმართველების საჯდომს წარმო-  
ადგენდა, (ირანის) ძლევამოსილი სახელმწიფოს მფლობელობაში გა-  
დავიდა. იმ ველაიეთის მმართველობა [შაჰის] უმაღლესი კარის მიერ  
უწყალობა სელიმ-ხან შამს ად-დინლუს, რომელიც ლორის მმართვე-  
ლი იყო. ამირგუნე-ხანმა, ამირებმა და ძლევამოსილმა ჯარმა ციხე  
მას ჩააბარეს და თავ-თავიანთ დიდებულ სამფლობელოებს მიაშურეს.  
სელიმ-ხანი შაჰის მხლებელი მეთოფეების ათასი კაცით, რომლებიც  
ციხის დასაცავად და მის (სელიმ-ხანის) დასახმარებლად იყვნენ დანი-  
შნულნი, აგრეთვე მის ლაშქარში მყოფი შამს ად-დინლუს ღაზიებით,  
ციხეში შევიდა და ერთგულად ეწევა ხსენებული ციხისა და მას და-  
ქვემდებარებული სხვა ციხე-სიმაგრეების დაცვას და იმ ოლქის მარ-  
თივა-გამგეობას.

---

\* ირანელ ისტორიკოსებს მოხსენიებული აქვთ: ქართლის საქართველო – ქართ-  
ლი (کرجستان کارتیل), კახეთის საქართველო – კახეთი (کرجستان کاخت) და  
(کرجستان مسق) მესხის, მესხეთის საქართველო – მესხეთი. იმერეთს სეფიანთა  
დროიდან ჩვეულებრივ იხსენიებენ ბაში-აჩუკად (باشی اچوق), სამეგრელოს „და-  
დინ“-ად (دادیان), გურიას – „გურიალ“-ად (گوریاك).

**ამბები თავვის დალოცვილი წლისა, რომელიც შეესატყვისება  
ათას ოცდაცამეტ (1624) წელს და რომელიც არის აბასის ტახტზე  
ასვლის მეორე პერიოდის მერვე წელიწადი.**

ამ წელს მომხდარ ამბებს [ეკუთვნის] ირანის სპასალარ ყარჩიღაი-  
ხანის წასვლა საქართველოს მხარეს და მოურავისა და გზადაკარგული

ბედოვლათი [ქართველების] ჯანყისა და ამბოხების გაჩენა.

ბრძენთა და გონიერთათვის ნათელი და ცხადია, ხოლო ჭკემა-რიტების მამიებელთათვის მტკიცე და ურყევი, რომ ყოველი საქმე, რომელიც ღვთის ნებაზეა დამოკიდებული და საეტლო წიგნში იქნება ჩაწერილი, უეჭველად „არარსებობიდან სიცხადეში მოდის“ და ვერავითარი ღონისძიება ეპოქის ბრძენთა და საუკუნის მმართველთა ბედისწერის მახვილს ვერ მოიგერიებს და ღვთის განგების ისარს ვერ აიცლიებს.

ამ მდგომარეობის გამომხატველი და აქ თქმულის ნიმუშია ირანის სპასალარის ყარჩილა-ხანის გაგზავნა საქართველოს მხარეს, რაც მიზეზი შეიქნა ამდენი დიდი ამბებისა და რამაც ამდენი შფოთი, სისხლის ღვრა, უბედურებანი და აჯანყებანი გამოიწვია. ეს ამბავი ასე მოხდა:

წინა წლების ამბებში აღწერილი იყო, რომ იმის შემდეგ, რაც ამ ქვეყნის (კახეთის) ხალხს, უგუნური და უმეცარი თეიმურაზის უწყსოების, აჯანყებისა და შფოთის საზღაურად რამდენიმე გზის დაატყდა თავს შაჰის რისხვა, რომელიც ღვთის რისხვის ნიმუში არის და ხოცვა-ჟლეტის, ტყვევნისა და ნგრევის შედეგად სრულიად გავრანებული იყო, კახეთის ველაიეთის მმართველობა ფეიქარ-ხან იგირმი დორთ ყაჯარს ებოძა და ის ზოგიერთ ტომთან ერთად იქ გაგზავნეს. მან ყორღანყუჩის (ხორნაბუჯის?) ციხის ჰარიმში აირჩია სამყოფელი ადგილი, დაიწყო ქალაქის შენება და ყოველგვარი სახის კარგი სახლები, აუზები და აბანოები ააგეს. მახვილს გადარჩენილ ქართველებს პატიების და უვნებლობის შესახებ სასიხარულო ამბავი აცნობეს. ერთი ჯგუფი მაწანწალებისა, რომლებიც სიკვდილისა და ტყვედ ჩავარდნის შიშით სხვადასხვა მხარეს იყვნენ გაფანტული და ბნელ კუთხვებში შემძვრალიყვნენ, თანახმად [ნათქვამისა] „სამშობლოს სიყვარული სარწმუნოებისაგან არის“, – იქ შეგროვილიყო და თანდათან შენდებოდნენ. ნელნელა თავი მოიყარეს თავის სამკვიდრო საც-

---

\* حرم – ადვეთილი ადგილი. აქ უნდა ნიშნავდეს ციხის გარშემო მიწის ზოლს, რომელზეც აკრძალული იყო შენობის აგება.

120

ხოვრებელში აზნაურებმა და ჯარისკაცებმაც, რომელთაგანაც საშიში იყო არეულობის მოხდენა\*.

ამ წელს ხელმწიფეს მოხსენდა ფეიქარ-ხანის მიერ განმეორებით [გამოგზავნილი] და შაჰთან მყოფი და მასთან ლაპარაკის შესაძლებლობის მქონე ქართველებისაგან დადასტურებული ცნობა, რომ იქ ჩამოსულ აზნაურებსა და მეომრებს და თეიმურაზს შორის მისვლა-მოსვლა და წერილების ფარულად გზავნა ხდებოდა და შეიძლება იმათ ხალხიც შეაცდინონ და მალე არეულობაც მოახდინონ, ქვეყნის დამამშვენებელმა აზრმა (ე. ი. შაჰმა) გადასწყვიტა, რომ ერთი გამჭრიახი გონების მქონე და საზრიანი კაცი გაეგზავნა იმ მხარეს, რათა გამოეკვლია საქართველოს ნამდვილი მდგომარეობა, მოესპო შფოთის ამტეხნი და ისე მოეწესრიგებინა და მოეწყო საქმეები, როგორც ძლევა-მოსილი სახელმწიფოსათვის იქნებოდა სასარგებლო. ამიტომ მან სპა-



სალარი ყარჩილა-ხანი, რომელიც მაზანდარანში იყო ხელმწიფესთან, ამ საქმეზე დანიშნა. მოურავ-ბეგ ქართველი\*\*, რომელსაც ქართლის მეფის სიმონ-ხანის ვეჯილის თანამდებობა ჰქონდა, მაგრამ ათ წელზე მეტი იყო, რაც მუსლიმანობა მიეღო და თავისი ვაჟიშვილებით და ოჯახობით შაჰის სამსახურში აღზევებულსა და პატივცემულს თიული და ოლქი ჰქონდა ბოძებული და ხელმწიფის ლხინში მონაწილე [შაჰის] დაახლოებულ და ნდობით აღჭურვილ პირთა რიცხვს ეკუთვნოდა, (ეს მოურავ-ბეგი) მას ამხანაგად გაატანეს, რადგანაც მან საქართველოს ავი და კარგი იცის და [თავისი] დიდი ერთგულებით, მორჩილების გამოჩენით და მსახურებით მოპოვებული აქვს ხელმწიფის ნდობა. იმ ველაიეთის საქმეების კეთილად მოწყობისათვის [იგი] იმას გააკეთებს, რასაც სახელმწიფოსათვის (ე. ი. ირანისათვის) შესაფერისად იცნობსო. ისა-ხან ყორჩიბაშის ქალიშვილი, მისი უავგუსტოესობის შვილიშვილი (ქალის შვილი), რომელიც სიმონ-ხანზე იყო დანიშნული, ხსენებულ საპატიო პირთ გაატანეს და ნაბრძანები იქნა, რომ ყარაბაღისა და შირვანის ამირებიც ყველანი სპასალართან შეგროვილიყვნენ და ყოველმხრივ გაეწიათ მისთვის დახმარება.

საქართველოში რომ ჩავიდნენ, ყარჩილა-ხანმა და მოურავ-ბეგმა აცნობეს ეს შირვანის და ყარაბაღის ამირებს და რადგან სიმონ-ხანის ქორწილი და სიძეობა იყო [გადასახდელი], შირვანის ბეგლარბეგი იუსუფ-ხანი, ყარაბაღის ბეგლარბეგი მოჰამედ-ყული-ხან ზიად ოლლი და სხვა დიდებული ამირები და ისლამის ლაშქარი ნაირ-ნაირი ძვირ-

---

\* ე. ი. თავის სამკვიდრო ადგილებში დაბრუნდნენ ის კეთილშობილები და ჯარისკაცებიც, რომლებსაგანაც უფრო მოსალოდნელი იყო ჯანყი, წინააღმდეგობა, რომლებიც უფრო შეურიგებელი იყვნენ ყიზილბაშების მიმართ.

\*\* დიდი მოურავი გიორგი სააკაძე.

ფასი საჩუქრებით და სამკაულებით მათ შეუერთდნენ. ჯერ ქორწილი გადაიხადეს, შემდეგ, რაკი კახელების „ბედის ვარსკვლავი ჯერ არ გამოსულიყო შეცოდების უფსკრულიდან,“ [შაჰის] „სამარადისო განზრახვამ“ გადასწყვიტა მათი მეორე რაზმის გაწყვეტა იმ ხალხის მდგომარეობის გამოსარკვევად და ჯარის და ქვეშევრდომების გასაწმენდად ბაში-აჩუკის ქართველებზე საღვთო ომით გალაშქრების საბაბით, რადგანაც ხმები გაევრცელებინათ, რომ ისინი შეყრილან და დაახლოებით ათი ათასი კაცი, ყველანი იარაღითა და საჭურველით შეგროვილანო. შფოთისა და აჯანყების ნიშნები ჩანდა მათი მდგომარეობის სურათში და მოურავის მეშვეობით იფიქრეს იმ ურჯულო ხალხის ბოროტების მოსპობა და წინადადება მისცეს [მას] რომ, რადგანაც ბაში-აჩუკზე გალაშქრება თქვენთვის ძნელია იმის გამო, რომ ერთი ეროვნებისა და ერთი სარწმუნოებისა ხართ, [ამიტომ] თქვენი იარაღი დაზიებს მიეცით და თვითონ კი თავისუფალი ხართ ბაში-აჩუკში ლაშქრობისაგანო. საჭურველისა და იარაღის ჩამორთმევის შემდეგ, ყველას იმ გარყვნილ ურჯულოებს გარს შემოერთყნენ, როგორც ნადირს, და თვალის დახამხამებაში მოსპეს ის ხალხი; ყველაფერი, „ნედლი და ხმელი“, ცეცხლს მისცეს და „დასჯის მახვილის“ ლუკმა გახადეს. ეს ამბავი რომ მოხდა, ხსენებულმა მოურავმა თავისი ფარული ბოროტება გამოაჩინა, იმის გამო, რომ მათი ერთმორწუნე იყო, თუ

ქართლში ბატონობის და აღზევების სურვილით, იმ ხალხის აზნაურებს და დიდებულებს შეეთქვა და მზაკვრულად დახოცა სპასალარი და ზოგი ამირი და [მრავალი] სხვადასხვა ბოროტება და სისხლისღვრა მოახდინა. დაწვრილებითი აღწერა მდგომარეობისა და იმ ბედუკულმართი და დაღუპული ხალხისა ახალი წლის ამბებში არის მოცემული.

### **ხსენება ხარის წლის ამბებისა, რომელიც შეესატყვისება ათას ოცდა-ოთხმეტ (1625) წელს და მისი უავგუსტოესობის აბასის მეფობის მეორე პერიოდის მეცხრე წელიწადია**

მისი უდიდებულესობა ღვთის ჩრდილი შაჰი სამოთხისებური მაზანდარანის საამურ ქალაქ აშრაფში ატარებდა [დღეებს] ლხენასა და სიამოვნებაში...

თუმცა ყოველგვარი შემთხვევა მოხდა და შფოთმა და აშლილობამ ყველგან იჩინა თავი, [მაგრამ] ბოლოს, ღვთის წყალობით, ყაენის არსების ჯანმრთელობით და მისი უდიდებულესობის იღბლის ძალით, დიდი მეცადინეობით და სწორი ღონისძიებებით პირი დამშვიდებისაკენ იბრუნა და ამბოხებანი წესრიგის [დამყარებით] დასრულდა, რადგანაც უთქვამთ,

122

ლექსი: შაჰის ტანი უნდა იყოს მრთელი,  
[თორემ] ჩემი და ყველას ფეხი კიდევ რომ დასუსტდეს,  
[არაფერი უშავს].

მაგრამ ბედმა ბევრი მტვერი აჯანყებისა აყარა ადამიანებს და ბევრი სისხლი დაღვარა და „დამცირების მიწას აურია“. უპირველესად [მოსახსენებელია] ჯანყი და შფოთი, რომელიც ბედკრული, დაკარგული მოურავ ქართველის უმადურობისა და აჯანყებისა და ამბოხების გამო ატყდა, უდიდესი შედეგი მოჰყვა მას და დიდი ზარალი და ვნება შეხვდა და ხვდება [ახლაც] ხალხს, როგორც ქვემოთ არის განმარტებული და აღწერილი.

### **ხსენება ბედდაზნელებული და ბოროტი მოურავ ქართველის რჯულისაგან განდგომისა და აჯანყება-ამბოხებისა და იმ ცბიერი და შფოთის ამტეხი ბელადის უმსგავსო მოქმედებისა**

ამ დიდი და საშიში ამბების აღწერილობა ასეთია: როცა ურჯულო კახელების ბრბომ, როგორც აღწერილი იყო, სამაგიერო მიიღო აჯანყების განზრახვისათვის და საზღაური [თავის] სიავისათვის, დაღუპულმა, ბედუკულმართმა მოურავმა, რომელიც (მხოლოდ) დროისა [და გარემოების] მიხედვით აღიარებდა ისლამს და ხელი არ აუღია ქრისტიანობის რჯულზე, ქართლელებს, რომელნიც ყოველთვის ერთგულნი იყვნენ ამ მაღალი დინასტიისა (ე. ი. ირანის შაჰებისა) და „მორჩილებისა და მონობის გზაზე ვიდოდნენ წრფელი ერთსულოვნების ნაბიჯებით“ და რომელთაც დიდის წყალობის თვალთ უცქეროდა ხელმწიფე, – (ამ ქართლელებს მოურავმა) ტყუილი სიტყვებით და ფუჭი და შემაცდენელი წინადადებებით ერთგულების ფართო

გზას გადაახვევინა. მან რამდენიმე სიტყვა უთხრა იმ უვიც ბრბოს მისი უდიდებულესობის მიერ მარგალიტებად დაფრქვეული სიტყვებიდან, რომლებიც ამცნობდნენ უყურადღებობას და მათ შიშს გვრიდა და ექვს ზრდიდა. რადგანაც მას მაღალ კარზე ნდობა ჰქონდა მოპოვებული და ძალიან მიღებული იყო [იქ], ამიტომ მისი ტყუილი სიმართლედ და სისწორედ იცნეს და მათი შიში და ზარი ძლევამოსილი ლაშქრის წინაშე დღითი დღე იზრდებოდა.

იმ დროს, როცა ამირების უმრავლესობა, როგორც მაგალითად, ყარაბაღის ბეგლარბეგი მოჰამედ-ყული-ხან ზიად ოღლი და ფეიქარ-ხან იგირმი დორთი, მოურავის რჩევის თანახმად საქმეზე დანიშნულნი, ურჯულოთა სიღნაყებზე იყვნენ წასული, მან გადასწყვიტა ამბოხება მოეხდინა და მთავარსარდალი მოეკლა. ერთ დილას იარაღასხმული და სრულიად შექურვილი თავის კარვიდან ყარჩილა-ხანის კარვის კარს

123

მიადგა და [ვითომ] კეთილის მდომლობით შეატყობინა, ქართლელებ-ბმა საერთო აჯანყება მოახდინეს და გამზადებული არიან ბრძოლისა და ჭიდილისათვისო. უნდა ვიფიქროთ ცხენებზე ამხედრება, რადგანაც, ვაითუ, იმ გზადაკარგულებმა, რომელნიც ყიზილბაშების მიმართ ცუდად არიან განწყობილი და შეპყრობილი არიან [მათდამი] ეჭვით, ყიზილბაშების ლაშქარს ზარალი და ვნება მიაყენონ და უდიერი საქმეების ჩადენა გაბედონო. რადგანაც ყარჩილა-ხანს და ამირებს არა ერთხელ უხილავთ ის პატივისცემა და სიახლოვე [შაჰთან], რომლითაც ის უბედური სარგებლობდა ხელმწიფის სამსახურში, და წყალობა, რომელიც მას დღითი დღე ეფინებოდა მისი უავგუსტოესობისაგან, [აგრეთვე, რაკი მათ იცოდნენ, რომ] ერთი მისი ვაჟი<sup>131</sup> სახლობით და ნათესავებით იმ ველაიეთში (ე. ი. ირანში) იყო და ყველას მათ დიდი წყალობით და პატივით ეპყრობოდნენ, – ამიტომ ვერ წარმოედგინათ სრულებით, რომ მას შეეძლო ისეთი საქმის ჩადენა, რომელსაც „ღალატის სუნი“ ექნებოდა. ერთი სიტყვით, ყარჩილა-ხანი მოურავის რჩევით მოემზადა ასამხედრებლად. როცა ის ცხენზე ჯდებოდა, სანამ მსახურები მოვიდოდნენ, იმ არამზადა მოღალატემ შუბით შეუტია მას და ისე ამგერა, რომ შუბის წვერი მეორე მხარეს გამოვიდა. მერე შირვანის ამირთა ამირი იუსუფ-ხანის კარვისაკენ გაემართა და მასაც იგივე უყო იმავე მზაკვრობით. ქართველები ამ ორი დიდებული სარდლის მოკვლის შემდეგ ყიზილბაშების ბანაკში შევიდნენ და ყარჩილა-ხანის ერთი ვაჟი, სახელად იმამვერდი-ბეგი და ყველა, ვინც კი ხელში ჩაუვარდათ, დახოცეს და მოწამებრივი სიკვდილის ნექტარი შეასვეს<sup>132</sup>. ბანაკის ხალხმა რომ განკითხვის დღის [ეს] საშინელება იხილა, დიდებულებიც და უბრალო ხალხიც საშინლად თავზარდაცემული იქით-აქეთ გარბოდა. ყიზილბაშების მთელი ბანაკი დარბეული და გამარცხულ იქნა, ქართველებს ხელში აურაცხელი და განუზომელი ქონება და იარაღი ჩაუვარდათ.

ეს ამბავი რომ გავრცელდა, ყიზილბაშებს ისეთი თავზარი დაეცა თავს, რომ შირვანისა და ყარაბაღის ვერც ერთმა იმ ამირმა და ლაშქარმა, რომელნიც გაგზავნილი იყვნენ სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად, ვერ მოახერხა დაბრუნება, და ერთ ალაგას შეგროვება და იმავე ადგილიდან, სადაც იყვნენ, „თავის გადარჩენის გზა

ემიეს“ და იქაურობას გაეცალნენ. ქართლის მეფემ სიმონ-ხანმა ვერ მოასწრო თბილისის ციხეში შესვლა, რომელიც მისი მთავრობის სამყოფელი და სახელმწიფოს სატახტო ქალაქი იყო, და ყარაბაღის ბეგლარბეგ მოჰამედ-ყული-ხანთან ერთად აღჯაყალაში<sup>133</sup> შევიდა და იქ გამაგრდა.

124

მოურავი, ამირების დახოცვის და ყიზილბაშთა ქონებისა და იარაღ-მოწყობილობის დარბევის და გამარცხის შემდეგ, გარყვნილი ურჯულოების ერთი რაზმით ყორღანყუჯის (ხორნაბუჯის) ციხის ასაღებად და დასაპყრობად, ფეიქარ-ხანის შესაპყრობად და იგირმი დორთის ტომის და სხვა იქ მყოფთა დასახოცად, დასარბევად და გასაწყვეტად იმ მხარეს გაემართა. მომხდარი ამბებით შეწუხებული ფეიქარ-ხანი ვეღარ გაჩერდა ადგილზე ელების და ოიმახების ხალხის მოუსვენრობის გამო, რომელთაც ყველას თან ჰყავდა თავისი ოჯახი და ქონებაც თან ჰქონდა. მათ მდინარე მტკვრის ნაპირს მიაღწიეს და ზოგი გადავიდა უკვე, ზოგიც გადადიოდა [მეორე ნაპირზე], რომ მოვიდა მოურავი ქართველთა ჯარით. მრავალი ქონება და იარაღ-მოწყობილობა, ურიცხვი მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი ხელში ჩაიგდეს და მუსლიმანთა მრავალი ქალი და ბავშვი ტყვედ წაიყვანეს. ფეიქარ-ხანი თავისიანებით მშვიდობით გავიდა და ბარდავს მივიდა. ყორღანყუჯის ციხეს მრავალი მისი ქონებით, რომლის რიცხვში ორმოცდაათი ხარვალი<sup>134</sup> აბრეშუმი შედიოდა ქართველები დაეპატრონენ.

იქიდან [მოურავი] მიადგა თბილისის ციხეს, რომელიც ქართლის მეფეების სატახტო ქალაქია, რათა ეშმაკური მოხერხებით ხელში ჩაეგდო ეს ციხე. მოხსენიებული ამბების შესახებ რომ ხმა გავრცელდა, ციხის მცველმა მეთოფეებმა და მათმა უფროსმა ციხისთავმა, სახელად შათირმაჰმა, რომლებიც არ ენდობოდნენ თბილისის ქრისტიანებს, სიმონ-ხანის ახლობლები ქალაქიდან ნარიყალაში წაიყვანეს და სურსათის ნაკლებობის და ციხის დაცვისათვის საჭირო საშუალებათა უქონლობის მიუხედავად, მათ იწყეს მისი დაცვა ქრისტიანებიდან ყველა, ვიხედაც ეჭვი ჰქონდათ რომ მტრები იყვნენ, გააგდეს. ქრისტიანების ერთი ჯგუფი ხმლით და ისრით აღსდგა მათ წინააღმდეგ და ბოლოს ბრძოლა და ჭიდილიც დაიწყო. ორივე მხრიდან რამდენიმე კაცი მოიკლა. მეთოფეებმა მოკლულების და სხვა ქრისტიანების სურსათიდან ორი თვის მარაგი მოაგროვეს და დიდი სიმტკიცით იცავდნენ ციხეს.

ბედკრულმა მოურავმა ურჯულოთა ერთი რაზმი ციხესთან დასტოვა და თვითონ ქართველთა ჯარით ყარაბაღს გაემართა და ქალაქ განჯამდე მივიდა. ეს ქალაქი, ბეგლარბეგისა და ყაჯართა ელის და ოიმახის დიდებულთა სადგომი, მან დაარბია და გამარცხა და უსაზღვროდ ბევრი ქონება და იარაღ-მოწყობილობა ხელში ჩაიგდო. იქიდანაც წამოიყვანეს ტყვედ მუსლიმანთა ქალები და ბავშვები. ყარაბაღის ელის და ულუსის მთელი ხალხი დამფრთხალი გაცვივდა თავის სამ-

ყოფელთან და მდინარე არეზის ხოდაფერინის ხიდამდე<sup>135</sup> უკან არ მობრუნებულან.

ბედუკუდმართი მოურავი, განჯა და ის მხარე სრულებით რომ გაანადგურა, თბილისისაკენ გაეჩქარა, რათა თბილისის ციხე ჩაეგდო ხელში. ის ბევრს ეცადა, წერილებისა და ამბის გზავნით, ტკბილი სიტყვით და სიკეთის შეპირებით და ეშმაკობით მათირმაჰი მოეტყუებინა და თავისი მიზნისათვის მიეღწია, არაფერი გამოუვიდა. მეთოფეები ხალიფობის საფუძვლის მქონე ტახტის საფეხურებს (ე. ი. შაჰს) ეახლნენ და მოახსენეს ნამდვილი მდგომარეობა, როგორც [აქ] აღწერილ იქნა. გამოირკვა [აგრეთვე], რომ არამზადა მოურავმა, ამ უმასგავსო მოქმედების შემდეგ ერთგულება განუცხადა ოსმალეთის სულთანს და მოკლულების თავები გაუგზავნა ერთი საპატიო ქართველის ხელით. დიარბექრში სარდალს ძღვენი და საჩუქარი მიართვა იმ ძვირფასი საქონლიდან, რომელიც ხელში ჩაიგდო დავლად, და საქართველოსა და შირვანში მოსვლაზე შეაგულიანა. (ოსმალეთის) სარდალმა ეს შემთხვევა გამარჯვებისა და ძღვევის დასაწყისად ჩასთვალა და გამოგზავნა სიგელები მოურავის – ქართლში და თეიმურაზის – კახეთში ბატონობაზე. თეიმურაზიც ჩამოვიდა და ისინი ერთმანეთს შეხვდნენო. „ორივე „ბატონობის ტახტს დაეყრდნო“ და თავის მდგომარეობის მოწესრიგებით და ქვეყნის განმტკიცებით არიან დასაქმებული და ძალიან ცდილობენ დაიკავონ თბილისის ციხეო.

ეს მდგომარეობა რომ გამოირკვა, მისმა უდიდებულესობამ ისახან ყორჩიბაში დანიშნა ძღვევამოსილი ლაშქრის სარდალად და მოურავის ჯანყის მოსპობა და საქართველოს საქმეების მოწესრიგება დაავალა. ყაზაყ-ხან ჩერქეზს, გილანის ლაჰიჯანის დარულას, რომელიც შირვანის ამირთ-ამირა იუსუფ-ხანის ადგილას იყო, ებრძანა, რომ სასწრაფოდ წასულიყო იმ მხარეს და იქაური ამირებით და ჯარით ყორჩიბაშს შეხვედროდა. ჩონურ-საადის ბეგლარბეგს ამირგუნე-ხანს და აზერბაიჯანის ბეგლარბეგს შაჰბენდე-ხანს აგრეთვე [ებრძანა], რომ თავისი ხელქვეითი ამირებით და ლაშქრით ყორჩიბაშს გაჰყოლოდნენ, მიიღო რა ბრძანება, ყორჩიბაშმა ძალა და შეწევნა ითხოვა მისი უდიდებულესობისაგან და სასწრაფოდ გაემართა იმ მხარეს. ძღვევის დიდებული დრომეტიც სამოთხისებური მაზანდარანიდან მათ კვალზე დაიდრა, სამეფო ქალაქ ყაზვინში ჩამოდგა და რამდენიმე დღის განმავლობაში ხსენებული სამეფო ქალაქი ძღვევამოსილი და გამარჯვებული ხელმწიფის სადგომი იყო., იქიდან სულთანის<sup>136</sup> საზაფხულო ბინებზე გაემართა [შაჰი], რადგანაც ოსმალეთის ლაშქრის მოძრაობის შესახებ მოდიოდა ამბავი, რამდენიმე დღე სულთანისეში იყო დაბანაკებული, რათა იმ მხარეს წასულიყვნენ, საითაც საჭირო იქნებოდა მი-

სი უდიდებულესობის ამაღლისათვის. ფარსის ბეგლარბეგი იმამ-ყული-ხანი<sup>137</sup> იმ მხარის ჯარით მოვიდა და ძღვევამოსილ ურდოს შეუერთდა სულთანის მდებლობაზე. ბრძანება იქნა, რომ ძღვევამოსილი მეომრებიდან, ვინც კი ვერ მიაღწევდა საქართველომდე, ქვეყნის შემომძვლელ ურდოში გაჩერებულიყო და „ძღვევის უზანგთან“ (ე. ი. შაჰის ამაღალში) ყოფილიყო.

## ხსენება ომისა, რომელიც მოხდა ძლევაშოსილ ჯარსა და ურჯულო ქართველებს შორის, და ძლევაშოსილი ჯარის გამარჯვება

როცა ყორჩიბაში, როგორც ზემოთ იქნა დახატული ჯადოსნური კალმის წვერით, საქართველოსაკენ წავიდა დიდებული ყორჩიები, ლოლამები და მეთოფეები უკეთილშობილესი ხელმწიფისა, ერაყის, აზერბაიჯანისა და შირვანის ამირები და ჯარისკაცები, რომლებიც უავ-გუსტოესი ფირმანის თანახმად მას უნდა ხლებოდნენ, რაზმ-რაზმად და ლაშქრებად მოდიოდნენ [და] ყველანი იურთში გროვდებოდნენ, ვიდრე ყორჩიბაშის ბანაკში უზარმაზარი ლაშქარი არ შეიკრიბა და ის თავის დანიშნულების ადგილისაკენ არ გაემართა. იმ მხრიდან კიდევ მოურავი ათაბაგ-ხანთან, მესხეთის ვალის მანუქარ-ხანის შვლთან<sup>138</sup> ერთად, ორივენი (თეიმურაზი და ათაბაგი) რომ ყიზილბაშთა ბრძოლამოწყურებული ჯარის შიშით საქართველოს ოსმალეთს დამორჩილებულ [ნაწილში] იმყოფებოდნენ და ორივე სადღაც კუთხეში იყო შემძვრალი, ახლა [ოსმალეთის] სარდლისაგან დახმარების [მიღების] იმედით და მოურავის წაქეზებით მოსულიყვნენ და მას შეერთებოდნენ. [არა მარტო] საქართველოს ხალხის დიდებულები და წარჩინებულები, არამედ ქართლის უბრალო ხალხიც და მახვილს გადარჩენილი კახელები, ოდენობით ოცი ათასი ქვეითი და ცხენოსანი, შეიყარნენ და ომისა და ბრძოლისათვის მოემზადნენ. ორშაბათ დღეს, რამაზანის თვის 24-ს\*, ალგეთ-ჩაის სანახების ქუმუშლუში, თბილისის მახლობლად მოხდა მოწინააღმდეგეთა შეხვედრა<sup>139</sup>. ორივე მხარემ ლაშქრის რიგები განაწყო და ბრძოლისათვის მზად იყვნენ. რადგანაც შაჰბენდე-ხანი და აზერბაიჯანის ლაშქარი მოახლოებული იყო და მეორე დღეს უნდა შემოსულიყო [ბანაკში], ყიზილბაშთა ჯარმა იმ დღეს გადასდო ომი იმისათვის, რომ [დაეცადა] შაჰბენდე-ხანის მოსვლისათვის. დაღამდა კიდევ და ბრძოლა არ დაწყებულა, ქართველებიც იმ მიდამოებში იდგნენ. ორივე მხარემ დააყენა გუშაგები.

ხსენებული კურთხეული თვის 25-ს (1625 წ. 1. VII), სამშაბათს დილით, ძლევაშოსილმა ლაშქარმა ხოცვის რიგები განაწყო. ყორჩიბა-

\* 1625 წლის 30 ივნისს.

ში ცენტრში დადგა. ამირგუნე-ხანი ავანგარდში დაინიშნა და მარჯვენა და მარცხენა ფრთები ბედნიერი ლაშქრისა მამაცი მებრძოლეებით იქნა გამაგრებული. იქით ქართველებმა აგრეთვე მოაღწიეს და [მოწინააღმდეგენი] ერთმანეთს შეხვდნენ. დაიწყო დიდი ბრძოლა. პირველად ურჯულოები წინ წამოვიდნენ და ყიზილბაშთა ჯარის ავანგარდზე ერთბაშად იერიში მიიტანეს. ავანგარდმა მათ დარტყმას ვერ გაუძლო და გაიფანტა. ამირგუნე-ხანი ერთ წუთს მაგრად იდგა. მძიმედ დაიჭრა. რაკი ბრძოლა შემთხვევით შეუფერებელ ადგილას მოხდა, ყიზილბაშთა ჯარის მარჯვენა და მარცხენა ფრთებიდან დახმარების მიღება ვერ მოხერხდა. ყაჯარებმა დაჭრილი ამირგუნე-ხანი ბრძოლიდან გაიყვანეს, ქართველები ისეთივე გახურებული სიცვით მე-

თოფეების რაზმში შეიჭრნენ. მათი დარტყმისაგან მეთოფეების რიგებიც დაინგრა. ძლევამოსილი ჯარიდან და განსაკუთრებით მეთოფეთა რაზმიდან ბევრმა შესვა მოწამებრივი სიკვდილის შარბათი და ნათელი პირით გაეჩქარა საიქიოს. ურჯულოები ისე გამხნევდნენ და წინ წამოვიდნენ, რომ ერთი მხრიდან, სადაც პირისპირ არ უდგათ მოწინააღმდეგე, ყოზილბაშთა ბანაკში შეიჭრნენ და ორდუბაზარში<sup>140</sup> ალაფობას და მარცვას მიჰყვეს ხელი. ორდუბაზარის ხალხს, ყულუღჩიებს და ხელოსანთა შეგირდებს, რომელნიც ბარგის მცველად იყვნენ დატოვებული, თავზარი დაეცათ. საშინელი არევ-დარევა და ალიაქოთი გავრცელდა ბანაკში, ისე რომ თავგზა აბნეულმა ხალხმა და ნადირალებმა, რომელნიც ბანაკში რჩებოდნენ, ერთმანეთის ქონების რბევას და მარცვას მიჰყვეს ხელი და გაქცევა იწყეს. ბანაკი უპატრონოდ დარჩა და ამით დიდი შეწუხება და ზიანი განიცადა ყოზილბაშთა ძლევამოსილმა ლაშქარმა.

როგორც ნათქვამი იყო, ბრძოლა შეუფერებელ ადგილას გაიმართა. ამ დროს ერთი ჯგუფი მოლაშქრეებისა, რომელიც კუთხეში და კიდეზე, მარჯვენა და მარცხენა ფრთაზე იდგა, იმის გამო. რომ დიდი ცენტრი [ლაშქრისა] (ე. ი. ძირითადი ნაწილი ჯარისა) არ ჩანდა, ამ ღრიალისა და განგამისაგან და ურჯულო და გზადაკარგულ ქართველთა ჯარის სიმამაცისაგან, იფიქრეს, რომ – ღმერთმა დაგვიფაროს! – ისლამის ლაშქარი დამარცხდაო, ვეღარ დადგნენ, ზოგმა სიმხდალისა და ლაჩრობისაგან, ზოგმაც ქონების სიყვარულით და [თავისი] ავლადიდების დაცვის სურვილით, პირი იბრუნა ბრძოლის ველიდან. ზარი და შიში [ჯარის] ცენტრსაც გადაედო, ძრწოლამ და დაბნეულობამ შეიპყრო ლაშქარი.

ყორჩიბაში, უაღრესად გულად და შემმართველ მამაცთა მცირე რიცხვით ამ მდგომარეობას რომ ხედავდა, სრულებით არ შემდრკალა და მტკიცედ იდგა ბრძოლის ველზე. ძლევამოსილი ჯარის ერთ-

128

მა ჯგუფმა, რომელმაც იხილა ყორჩიბაშის სიმშვიდე და სიმტკიცე, გული გაიმაგრა, მიენდო ისლამის ძლიერებას და მაღალი ხელმწიფის ძალას და მოწამებრივი სიკვდილის სურვილით გულგამაგრებული, გაშლილი შუბლით, ურჯულოებს თავს დაესხა და ბრძოლის ველის მიწა იმ სიკვდილმისჯილთა სისხლით ვარდისფრად შეღება.

ამ დროს შაჰბენდე-ხანიც, რომელიც უკან მოდიოდა, თავისი ლაშქრის წინამავალთა ერთი რაზმით გზიდან პირდაპირ ბრძოლის ველზე შემოვიდა. დაღუპვის ველისაკენ გაქცეულთ მისი დახმარების იმედით გული გაუმაგრდათ და შემობრუნდნენ ბრძოლის ველზე. ღაზიების იამანურმა<sup>141</sup> მახვილმა იწყო თავების მოკვეთა და თვალის დახამხამებაში გველეშაპისებური ძგერებით და ელვისებური ხმლის დაკვრით იმ ბილწი ხალხიდან ათი ათასი ქვეითი და ცხენოსანი დაღუპვის მიწაზე დაანარცხეს და მოსპეს ის საძაგლები.

ბედშავმა მოურავმა, თეიმურაზმა და ათაბეგმა ურწმუნო და გზა-აბნეული ქართველების ლაშქარი რომ გაფანტული და თავისი თავი უბედურების ველზე მოხეტიალედ დაინახეს, ზურგი აქციეს ბრძოლის ველს და გაიქცნენ. ისლამის სამყაროს მცველებმა გაიმარჯვეს.

დღედაბნელებული დამარცხებულები თბილისისაკენ გაეჩქარნენ.

იქ რომ მიაღწიეს, მდინარე მტკვარზე გადავიდნენ და ხიდი, რომელიც ხისაგან იყო გაკეთებული, დასწვეს და თვითონ ხემრავალ, უღრან ტყეებსა და მაგარ ადგილებში შევიდნენ. ქართველი ცნობილი მეომრებიდან და სარდლებიდან მოკლულ იქნენ მუხრანბატონი თეიმურაზი,<sup>142</sup> ალა თენგიზი,<sup>143</sup> იარალ-ბეგი,\* ბეჟან-ბეგი და ზურაბ-ბეგი.

გამარჯვებული ლაშქრიდან რამდენიმე კაცი ყორჩიების იუზბაშებიდან, ღოლამებიდან და მეთოფეებიდან პირველი შემოტევის დროს მოიკლა. საშუალო [რიგის] ხალხიდან ათასამდე კაცმა, უმთავრესად მეთოფეთა ჯარიდან მოწამებრივი სიკვდილის შარბათი შესვა.

გამარჯვებისა და ძლევის შემდეგ, როცა ყორჩიბაში, ამირები და ჯარისკაცები დაბრუნდნენ და ბანაკში მოვიდნენ, კარვები ბარგისაგან დაცარიელებული დახვდათ, ცხენებისა და ჯორების ნიშანწყალიც ვერ ნახეს. უკიდურესი გაჭირვება შეიქნა ჯარში. გამარჯვებისა და ძლევის ამბავი თანდათან გავრცელდა და ბანაკიდან გაბნეულები თანდათან შეგროვდნენ და რაც პირუტყვიდან, აქლემებიდან, ქონებიდან და ნივთებიდან ხელთ ჰქონდათ ჩაგდებული, პატრონებმა დაიბრუნეს და თავისი საქმის გამოსწორებას ცდილობდნენ. ბოლოს ბანაკში წესრიგი დამყარდა. იქიდან აიყარნენ და თბილისისაკენ წავიდნენ.

ალყაშემორტყმულები გათავისუფლდნენ გარემოცვით [გამოწვეული] შევიწროებისა და სურსათის გაჭირვებისაგან. ერთი ჯგუფი ურწ-

---

\* ტიქსტშიا ايوال بيك – ივალ-ბეგა; შეამლება ივანე-ბეგი?

მუნოებისა ბაში-აჩუკისაკენ წავიდა და სიღნაყები გააკეთა. შაჰბენდე-ხანი და ყაზაყ-ხანი ძლევამოსილი ჯარის რაზმით მათ წინააღმდეგ გაემართნენ. მრავალი დავლა და ტყვე ჩაიგდეს ხელში, გამარჯვებული და ძლევამოსილი დაბრუნდნენ და საქმის ჭეშმარიტი მდგომარეობა ქვეყნის საფარველ სასახლეს (ე. ი. შაჰს) მოახსენეს, როცა უავგუსტოესი ამაღა სამეფო ქალაქ ყაზვინიდან დაიძრა და ქალაქგარეთ დადგა, მალემსრბოლნი შემოვიდნენ და გამარჯვებისა და ძლევის სასიხარულო ამბავი მოიტანეს.<sup>141</sup>

### **თხოობა [ქვეყნის] დამპყრობელი ჯარის ერთი რაზმის გალაშქრების ყარაყალხანის მხარეს და შაჰბენდე-ხანის მოკვლის შესახებ**

მარცხი და უბედურება, რომელიც ამ კეთილად დამთავრებულ ლაშქრობაში მოუვიდა ისლამის ჯარს, იყო შაჰბენდე-ხანის მოკვლა და ყაზაყ-ხანის ტყვედ ჩავარდნა ყარაყალხანის\* გზაზე. ამ ამბის აღწერილობა ასეთია:

აბდულ-ლაფარ-ბეგი,\*\* ფერამუზ-ბეგის შვილი, ერთი წარჩინებული ქართველთაგანია, რომელიც გაბედნიერებული იყო ისლამის მიღებით და დიდად პატივცემული იყო ხელმწიფის სამსახურში<sup>145</sup> მისი და\*\*\* ხელმწიფის ჰარემის მანდილოსნების რიგებში შედიოდა. თვით ის ფარსის ბეგლარბეგის იმამ-ყული-ხანის სიძე იყო და ამ დროს საქართველოში იმყოფებოდა. აჯანყების შემდეგ ქართველებს ის მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ და მისმა უავგუსტოესობამ გადასწყვიტა, რომ ძლევამოსილი ჯარი ეცადოს გაათავისუფლოს ის და მისიანები,



როგორადაც არ იქნება, და ხელში ჩაიგდოს.

ხსენებული ბრძოლის შემდეგ გამოირკვა, რომ მისი (ანდუყაფარის) ჯალაბობა ყარაყალხანის ციხეში<sup>146</sup> იყო, ხოლო ეს ყარაყალხანი საქართველოს დამოკიდებული ძნელად სავალი ქვეყანაა, აქვს ერთი პატარა ციხე, რომელიც გზის სიძნელის, ხშირი ტყეების და ტევრების გამო ქართველთა საიმედო თავშესაფარს წარმოადგენს. ყორჩიბაშმა ამ მოთხოვნის შესასრულებლად ერთი რაზმი ამირებისა და გამარჯვებული ჯარისა გაგზავნა ყარაყალხანზე აზერბაიჯანის ბეგლარბეგის შაჰ-ბენდე-ხანის, მირვანის ბეგლარბეგის ყაზაყ-ხანის და ბაგრატ-ხან ქართველის ძმის ხოსროვ-მირზას<sup>147</sup> მეთაურობით. დიდებული ხანები და ძლევამოსილი მეომრები დანიშნულ ადგილს გაეჩქარნენ ძნელი გზით. ციხის ძირს მივიდნენ და გარს შემოადგნენ მეციხოვნეთა რიცხვი

\* არაგვის ხეობა.

\*\* ანდუყაფარ ამილახორი.

\*\*\* აკად. ბროსეს აქვს: და ძუძუმტე.

130

უმნიშვნელო იყო. ისინი დათანხმდნენ, რომ აბდულ-ლაფარის ჯალაბობა გადმოეცათ და ყიზილბაშების ძლევამოსილი ჯარი გაბრუნებულიყო და არაფერი ევნოთ [ციხისათვის]. დიდებულმა ამირებმაც მიზანშეწონილად აღარ სცნეს იქ გაჩერება, წამოიყვანეს მისი (ანდუყაფარის) სახლობა და ჯალაბობა და წამოვიდნენ.

აჯანყებული ქართველების ერთმა ჯგუფმა გაიგო ეს ამბავი, რამდენიმე ვიწრო ადგილას მეთოფე და მშვილდოსანი ჩასვეს და ლაშქრის გასავლელი ადგილი ჩაკეტეს, რათა ძლევამოსილი ჯარის დაბრუნების დროს თავს დასხმოდნენ მას. იღბლის დახმარებით ღვთის განგებამ ამირებს იმ გზას გადაახვევინა. მათ სხვა გზა აირჩიეს, ლაშქრის წინა და უკანამავალი ნაწილები გამოცდილი ვაჟკაცებით გაამაგრეს და დიდი სიფრთხილით მოდიოდნენ.

მოწინააღმდეგეებმა დიდი ხნის ლოდინის შემდეგ გაიგეს, რომ ყიზილბაშთა ჯარი სხვა გზით წასულიყო. რაზმი გაგზავნეს იმ მხარეს. ერთ დღეს, როცა ლაშქრის უმრავლესობამ უკვე ჩაიარა და სადგომს მიუახლოვდა, [ხოლო] შაჰბენდე-ხანი და ყაზაყ-ხანი მცირერიცხოვანი რაზმით ლაშქრის უკან ფრთხილად მოდიოდნენ, გზის ერთი მხრიდან თოფის ხმა მოისმა ტყიდან. ცხადი გახდა, რომ ქართველების თოფის ხმა იყო, რომელნიც ყოველი მხრიდან მოდიოდნენ იერიშით საბრძოლველად. ხსენებულ ამირებსა და იმ ხალხს შორის სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. თურქმანთა აღებიდან დაიღუპნენ შაჰბენდე-ხანის მოლაზე-მები, კარგი ვაჟკაცები. ყაზაყ-ხანის ლაშქრის უმრავლესობამ სიმტკიცე ვერ გამოიჩინა და თავს უშველა. თვით ყაზაყ-ხანი, მეტად მამაცი და გამოუცდელი, მტკიცედ იდგა. შაჰბენდე-ხანი, რომელიც თანახმა არ იყო იქ დარჩენაზე (წინააღმდეგობის გაწევაზე), ამბობდა, ამ ხალხთან ბრძოლის გამართვა მიზანშეწონილი არ არის და უნდა ვეცადოთ აქედან გავიდეთო. ყაზაყ-ხანმა არ ისმინა, გადავიდა რუზე რომელიც გზის მხარეს იყო და მტრისაკენ გაემართა, რათა გაეგო იმ ხალხის (ქართველების) ამბავი, ბევრნი არიან თუ ცოტანი, და ამის

მიხედვით მოეფიქრებინა [შემდეგი მოქმედება]. იმ იწროებში ქართველებმა დაინახეს ის მარტოდ რამდენიმე კაცთან ერთად და ეცნენ. შაჰბენდე-ხანმა ის იმ საფრთხეში მიატოვა და თვითონ თავს უშველა, თანადგომისა და ამხანაგობის წესების შესრულება საჭიროდ აღარ სცნო. ისიც იმ რუხე გადავიდა.

ამ დროს ქართველების მრავალრიცხოვანი ჯგუფი გამოჩნდა ტყიდან და შემოუტია. მათ შორის დაიწყო ბრძოლა. ყაზაყ-ხანი ტყვედ ჩავარდა. შაჰბენდე-ხანი, რამდენიმე თურქმან ღაზისთან ერთად, რაც ძალა შესწევდა იბრძოდა. [ბოლოს] „მოწამეობრივი სიკვდილის მაღალ ხარისხს მიაღწია“. ამ ბრძოლის დროს [ყიზილბაშთა] ძლევამოსილმა

131

ჯარმა ვერ მოახერხა, გზის სიძნელის გამო, დაბრუნება და საშველად მოსვლა. ამასთან ეს ამოც იყო. [ჯარმა] მშვიდობით გაიარა და სადგომებს მიაღწია.

ყაზაყ-ხანი ქართველებმა ცოცხალი წაიყვანეს. თეიმურაზმა, მოურავმა და ზურაბ-ბეგმა<sup>148</sup>, რომელნიც მასთან ნაპურმარილევი იყვნენ, შაჰის კარზე ყოფნის დროს, არ ისურვეს მისი მოკვლა და მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ. რამდენიმე ხნის შემდეგ დრო იხელთა, რამდენიმე მცველი მოისყიდა, მათი დახმარებით გათავისუფლდა და ყიზილბაშებთან მოვიდა; ამჟამად შირვანის ბეგლარბეგად არის [ისევ].

როცა ხსენებულმა ამბავმა ხელმწიფის უკეთილშობილეს სმენას მოაღწია, დიდი მოწყალებისა და თანაგრძნობის გამო, რომელსაც ის იჩენდა საერთოდ თავდადებულ და ერთგულ [მსახურთა] ნათესავებისადმი, ამ თავდადების საზღაურად შაჰბენდეს ვაჟი, რომელიც სამი წლის ბავშვი იყო, მამის ნაცვლად აზერბაიჯანის ხანობის და ამირთამირობის მაღალი თანამდებობით აღაზევა და მისი ნათესავებიდან ვექილი და ნაიბი დანიშნა იმ სარქრის საქმეების მოსაწესრიგებლად. იმ გვარეულობის მანდილოსნებს ამ წყალობის სასიხარულო ამბის გაგონებაზე გახარებულებს, გლოვის ტირილი ღებინად და სიხარულად შეეცვალათ.

### **თხრობა სხვადასხვა შემთხვევებისა და ამბების შესახებ რომლებიც დიდებული დროშების ბაღდადისაკენ წასვლამდე ამ (1625) წელს მოხდა ღვთის განგებით**

როცა ხსენებულ მოურავისაგან მოხდა აქ აღწერილი ამბები, ბევრი საშინელი და ტყუილი ხმა გავრცელდა საზღვრისპირა ქვეყნებში და ყველა მხარეს და კუთხეს მიაღწია ყველგან შფოთი გაჩნდა. უგუნურმა და ცეტმა ხალხმა ამ ამბების მოხდენა [ირანის] სახელმწიფოს სისუსტეს მიაწერა და მტრებმა რომელნიც ხელსაყრელ ჟამს ელოდებოდნენ, იფიქრეს, რომ დადგა დრო. იმ ხალხმა, რომელიც თავის თავს [ირანის] ერთგულად აცხადებდა, სიყალბე გამოიჩინა.

აბაზა ფაშამ<sup>149</sup>, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა გულწრფელ ერთგულებასა და ერთსულოვნებაზე, „პირობა და პაემანი დავიწყების თაროზე შესდო“, სანდო კაცი გაგზავნა ჰაფეზ აჰმედ ფაშასთან<sup>150</sup> დიარბექრში და მორჩილება გამოუცხადა. ნოვრუზ-ბეგ ყორჩი უსთაჯლუ, რომელიც უმაღლესი მხრიდან (ე. ი. შაჰისაგან) იყო მასთან წა-

სული, დაიჭირა, ციხეში ჩასვა და რაც შეეძლო [ეცადა, რომ] ეშმაკობით და გაიძვერობით ხმა გაევერცელებინა მისი მოკვლის შესახებ. რამდენიმე მისი კაცი და ამხანაგი მოჰკლა და მათი თავები სარდალს გაუგზავნა.

132

მურთაზა ფაშამ, ოსმალების ერთ–ერთმა ამირმა, რომელიც მის მიერ იყო გაგზავნილი ახალციხის სანახების ყარაჯა არდაჰანში, მისი წაქეზებით თუ თავისი სურვილით, განიზრახა ახალციხის ციხის დაპყრობა და იმ მხარეს დაიძრა, ახალციხის მმართველი სელიმ-ხან შამს ად-დინლუ და ციხის მცველი მეთოფეები საქართველოს ამბებით და ყოველი მხრიდან განუწყვეტლივ მომავალი სხვა საშინელი ცნობებით გულშეწუხებული იყვნენ და იმის გამო, რომ უბრალო ხალხში მღელვარება იყო, დგომა ვერ შესძლეს, ციხე დააგდეს, გავიდნენ და ყორჩიბამის ბანაკში მივიდნენ. მურთაზა ფაშა მოვიდა და ადვილად და უბრძოლველად დაიკავა ციხე. ირანელი სოვდაგრები რომელნიც ოსმალებიდან ბრუნდებოდნენ მრავალი საქონლით, იქ (ახალციხეში) იყვნენ [ამ დროს] და აქეთ (ირანში) მოემართებოდნენ. აბაზამ დაიჭირა და [თავისი] დიდი სიხარბის გამო ყველაფერი წაართვა იმ საწყლებს.

### **თხრობა ძლევამოსილი დროშების მშვიდობის ქალაქ ბაღდადის მხარეს წასვლისა და უფლის წყალობის შემწეობით გამარჯვების შესახებ**

როცა ძლევამოსილი და დიდებული დროშები, როგორც წინათ აღწერილ იქნა, რამდენიმე ხნით სულთანზე დადგნენ, შაჰის დაახლოებული პირი ზეინალ-ბეგ თუმალბაში, რომელიც ბაღდადის საზღვრის მხარეში იყო წასული, მოვიდა, მაღალი ტახტის საფეხურებს წარუდგა, ნოხზე კონის ბედნიერებას ეწია და იმ მხარის მდგომარეობის შესახებ ჭეშმარიტება მოახსენა.

მაცნეთა და მსტოვართა ცნობებიდან, რომლებიც ზედიზედ მოჰქონდათ, გამოირკვა, რომ ოსმალების ჯარი ბაღდადისკენ დამრულიყო. გადაწყდა უავგუსტოესი ამალის (ე. ი. შაჰის ურდოს) იმ მხარეს წასვლა. ზეინალ-ბეგი დანიშნეს მთელი ძლევამოსილი ჯარის სარდალად და სპასალარად და ბაღდადზე გაგზავნეს, რომ უწმიდესი, ამალის სპის მეწინავე ყოფილიყო და იმ ველაიეთის დიდებულ ამირებთან და კეთილშობილ მმართველებთან ერთად კარგი გულმოდგინეობა გამოეჩინა სამეფოს დაცვაში და რჯულისა და სახელმწიფოს მტრების უკუგდებასა და მოსპობაში და ის ემოქმედა, რაც საკეთილდღეო იქნებოდა მძლეველი სახელმწიფოსათვის (ე. ი. ირანისათვის).

გამოვიდა ბრძანებულება, რომ იმ მხარს ძლევამოსილი ჯარი მთლიანად ხსენებულ სპასალართან შეკრებილიყო და არ გადაეხვია მისი გონიერი რჩევისა და გადაწყვეტილებისათვის, სამი ათასამდე გამოცდილი და მამაცი მეომარი, მეზარბაზნეთა და მეთოფეთა გამობრძმედილი მეთაურები და ციხისმცველი მარჯვედ მსროლელი მეთო-

ფეხები გამოჰყვეს მისი უავგუსტოესობის ამალიდან და დალოცვილი ბაღდადის ციხეზე გაგზავნეს, რათა არაბეთის ერაცის ბეგლარბეგ სეფი-ყული-ხანთან და ისფაჰანის მინბაშ მირ – ფათაჰთან და იმ მებრძოლებთან ერთად, რომელნიც წინათ ციხეში იდგნენ, მტკიცედ დაეცვათ და დაეჭირათ ციხე. ზეინალ-ბეგ სპასალარს უკან გააყოლეს კიდევ სხვა რაზმი ძლევამოსილი ჯარიდან, რომელიც მისი ძმისშვილის ნურ ად-დაჰრ-ბეგის მეთაურობით დანიშნეს მის დასახმარებლად.

(თვითონ შაჰი წმინდანების საფლავზე სალოცავად წავიდა, იქ ილოცა და გამარჯვებისა და ძლევის მონიჭებს შესთხოვა შემდეგ სულთანის მხარეს დაბრუნდა). ყორჩიბაშის სახელზე გამოცემულ იქნა ბრძანებულება, რომ ამ წელს საზამთროდ ყარაბაღში დამდგარიყო და მოურავისა და სხვა მეთაურობე ქართველების უკუსაგდებად ებრძოლა. ჯარიდან თავისთან დაეტოვებინა რამდენიც საჭირო იყო, დანარჩენი მოლაშქრეები კი გამოეშვა [შაჰის] ძლევამოსილ ურდოში. საფარის თვის 2-ს\* მისცეს [ჯარის] დაძვრის ნიშანი და მტკიცე იმედით და წრფელი განხრახვით სულთანიდან დანიშნულების ადგილისაკენ გაემართნენ.

### **თხოვა სარდალ ჰაფეზ აჰმედ ფაშას არაბეთის ერაცის დასაპყრობად ურიცხვი ჯარით გალაშქრებისა და ბაღდადის ციხის გარემოცვის შესახებ**

როცა ჰაფეზ აჰმედ ფაშა, როგორც ხსენებული იყო, დიდი ვეზირი და სარდალი გახდა და ბაღდადის ციხის დასაპყრობად დაინიშნა, ორი წლის განმავლობაში, როცა ის დიარბექრში იდგა, მან ოსმალეთის ყოველი მხრიდან და კუთხიდან შეკრიბა ურიცხვი ჯარი და მის ურდოში ურიცხვი ლაშქარი და უამრავი ხალხი შეგროვდა. ისიც, როგორც საჭირო იყო, არტილერიის მოწყობილობის, ცეხის აღებისათვის საჭირო მარაგის და იარაღის და ლაშქრის სურსათის მომარაგებას შეუდგა და სალაშქროდ მოემზადა.

მოურავ ქართველის აჯანყებამ, საქართველოში მომხდარი ამბების და ყარჩილა-ხანისა და იუსუფ-ხანის<sup>151</sup> დახოცვის შესახებ ცნობებმა, მოციქულების და წერილების ზედიზედ მოსვლამ, ამ საგანზე რომ მოდიოდა, შირ-ბეგ მოქრის წინააღმდეგობისა და აჯანყების ამბავმა გამოიწვია ის, რომ ხალხში გავრცელდა [ხმა] ყიზილბაშთა ლაშქარი საქართველოში დამარცხდა და ყიზილბაშების ხელმწიფემ ქართველების ჯანყის მოსასპობად იმ მხარეს გაილაშქრა და არდებილში არისო.

\* 1625 წლის 3 ნოემბერს.

ოსმალეთის სარდალმა და დიდებულებმა გადაწყვიტეს, რაკი ბაღდადის მხარე თავისუფალია, ამიტომ საჭიროა ვისარგებლოთ ხელსაყრელი შემთხვევით და იმ მხარეს გავილაშქროთო, რადგანაც საფიქრებელი არ არის, რომ აჯამის (ირანის) ხელმწიფემ, რომელიც სასტიკად არის დაკავებული [საქმეებით] ყარაბაღისა და საქართველოს საზღვრებზე, დახმარება გაუწიოს (ბაღდადსო) ბაღდადში მყოფი ყიზილბაში ამირები, რომელთაც იმედი არა აქვთ თავისი ხელმწიფისაგან დახმარე-

ბისა და შველისა, როგორც კი გაიგონებენ ოსმალთა უზომო ჯარის მოსვლის ამბავს, ვეღარ დადგებიან, დატოვებენ ქვეყანას და ბაღდადის ციხეს ადვილად ჩავიგდებთო ხელში.

### გარდაცვალებანი

ყარჩილაი-ხანი, რომელიც, როგორც მოხსენიებულ იქნა, საქართველოში უმადური მოურავის საღალატო მახვილით მოიკლა და მოწამებრივი სიკვდილის ხარისხი მოიპოვა. ის ერევნელ ქრისტიანთაგან იყო. როცა ჯერ კიდევ ბავშვი იყო და იმ ველნიეთში აშლილობა სუფევდა, ის ტყვედ ჩავარდა; იღბლიანი გამოდგა, უკეთილშობილესი [ხელმწიფის] საკუთარი მონებისა და ღოლამების რაზმში მოხვდა და თავისუფლების ბედნიერება მოიპოვა. რადგან ჭკვიანი იყო, ხელმწიფის სამსახურში გაიწვრთნა, დღითი დღე უფრო მაღალ საფეხურს აღწევდა და თავისი კარგი სამსახურით ყიჯაჯობის (قیجا جیگرى) პატივი მოიპოვა. ჭკუის მოწიფულობა და საქმის ცოდნა რომ გამოიჩინა, მეზარბაზნეთა უფროსი და მეთოფეთა სარდალი გახდა. დიდი ნიჭის გამო ის „უწმინდეს ნოხს დაახლოებულთა“ (ე. ი. შაჰთან დაახლოებული პირების) ჯგუფში მოხვდა და გამარჯვების საფარველი ჯარის სარდლობის ხარისხი მოიპოვა. ამ საქმეში ის თავისი კეთილსმყოფელი ხელმწიფის) სურვილის თანახმად და მისი უდიდებულესობის დალოცვილი ხასიათის [შესატყვისად] იქცეოდა და რა სამსახურსაც არ დაავალდებდნენ, პირნათლად ასრულებდა [ყველაფერს]. ბოლოს მმართველობის მაღალი ხარისხით და ხანობის ძვირფასი წოდებით იქნა ამაღლებული. გონივრული მოქმედების უნარის მქონე, მეტად გულადი, ხალისიანი, შორსმჭვრეტელი, მართებულად მოაზროვნე და ომში შეუდრეკელი, ის ირანის მთელი ლაშქრის სპასალარის ხარისხით იქნა განდიდებული. რამდენიმე ხანს აზერბაიჯანის ამირთა. ამირად იყო. ამ ხანებში მას უწმინდესი მეშჰედის მმართველობა ეჭირა და ხორასნის უმრავლესი ადგილები მას ეკუთვნოდა. მისი გარდაცვალების შემდეგ მისმა უფროსმა ვაჟმა მანუჩიქ-ხანმა მიიღო იმ

ველაიეთის მმართველობა და დღეს მაღალი, უწმინდესი მეშჰედის მმართველია.

იუსუფ-ხანი. ამანაც საქართველოში მოიპოვა მოწამებრივი სიკვდილი იმ უმადურის (ე. ი. გიორგი სააკაძის) საღალატო მახვილით. ისიც ყარჩილა-ხანის ტომისა იყო. ორივემ მოიპოვა ამ სახელმწიფოს ღოლამობის პატივი, მუდამ ერთმანეთის მეგობარნი და ძმები იყვნენ. ხსენებული [იუსუფ-ხანი] ბავშვობიდან ყუმჩობის და ბაზიერობის საქმეზე იყო დანიშნული და ამ მეცნიერებაში დიდი გამოცდილება მიიღო. თანდათან უფრო და უფრო დახელოვდა ამ სამსახურში და ბაზიერთ-უხუცესის თანამდებობის [ბოძებით] იქნა განდიდებული. რამდენიმე ხანს მას „მორწმუნეთა კარის“ – ასთრაბადის მმართველობა ჰქონდა ჩაბარებული. მას კეთილი ქცევა და ქვეშევრდომებზე ზრუნვა ახასიათებდა. ახლა უკვე თორმეტი წელიწადი იყო, რაც შირვანის ველაიეთის ბეგლარბეგად იყო და იმ ქვეყნის ქვეშევრდომთ და შეუძლებელთ ძალიან კარგად ეპყრობოდა. რადგანაც მისი ვაჟები პატარე-

ბი იყვნენ, ხოლო იმ ველაიეთის მმართველად გამოცდილი კაცი იყო საჭირო, [ამიტომ] ყაზაყ-ბეგ ჩერქეზი, რომელიც გილანის დარულა იყო და იმ ამბების აღწერაში იქნა მოხსენიებული, [იუსუფ-ხანის] მაგვირად დაინიშნა და ხანის ხარისხი მიიღო.

... ამირგუნე-ხან სარუასლანი, ერევანის ბეგლარ-ბეგი. ის აღჯა-ყოინლუს ყაჯართა ელიდან არის. მამამისი გოლაბი-ბეგი ყორჩიების რიგებში შედიოდა სამოთხეში განსვენებული, ედემის მკვიდრი შაჰის დროს და რამდენიმე ხანს ჰარემის ემიკალასი, ყაზვინის კურთხეული სასახლის მცველი და იქაური დარულა იყო. [თავისი] დიდი ჭკუით, გამოცდილებით [და] სათანადო კარგი სამსახურით გამგებლობისა და ხანობის ხარისხს მიაღწია და ჩოხუდ-საადის ამირთა ამირა გახდა. [მან] იმ საზღვრისპირეთში ოსმალებთან, როგორც თავის ადგილას აღწერილი იყო, ძლიერი ომები გადაიხადა და დიდი სახელი გაითქვა. იმ ვაჟკაცობის საზღაურად, რომელიც მან იმ საზღვრისპირეთში გამოიჩინა, „სარუასლანის“ („ყვითელი ჯიქის“) საპატიო მეტსახელით დააჯილდოვეს და განადიდეს. ამ წელს დაიჭრა საქართველოსთან ომში, რომელშიც ის ძღვევამოსილი ლაშქრის ავანგარდის [უფროსი] იყო. ერთ ხანს ერევანში მკურნალობდა ჭრილობას. ამ წლის ბოლოს\*\* ჭრილობამ კრუნჩხვა გამოიწვია და გარდაიცვალა. რადგანაც ურჯულო ქართველების წინააღმდეგ საღვთო ომში იყო დაჭრილი, იმ ბრძოლაში [დაღუპულ] დანარჩენ მოწამეთ შეუერთ-

\* შაჰ-თაჰმასბ I.

\*\* იგულისხმება ჰიჯრბს 1034 წ. ბოლო, რაც 1625 წლის აგვისტოს შეესაბამება.

და. მისმა უდიდებულესობამ მისი უფროსი ვაჟი თაჰმასბ-ყული-ბეგი, რომელიც ღირსი იყო გამოცდისა და გაწვრთნისა, და სიფრთხილის [ზომების] გათვალისწინებით იმ მხარეს ჰყავდათ გაგზავნილი, მამამისის გარდაცვალების შემდეგ ხანობის და ჩოხურ-საადის ამირთა ამირობის მაღალი ხარისხით განადიდა და დღეს იმ ველაიეთის მმართველობით არის დასაქმებული.

### **დასაწყისი კურდღლის წლისა, რომელიც შეესატყვისება ათას ოცდათექვსმეტ (1627) წელს და მისი უდიდებულესობის ღვთის ჩრდილის მაღალი შაჰის ხელმწიფობის მეორე პერიოდის მეთერთმეტე წელია**

...ბედნიერი ამბებიდან, რომელიც კეთილად მოვლენილ იქნა ამ წელს, [აღსანიშნავია] მეამბოხე მოურავ ქართველის ტყვეობიდან-გათავისუფლება შირვანის ბეგლარბეგის ყაზაყ-ხან ჩერქეზისა, რომელიც ქართველებს ჩაუვარდათ ტყვედ საქართველოს ყარაყალხანის (არაგვის ხეობის) გზაზე, როგორც თავის ადგილას იქნა აღწერილი. დიდხანს იყო ტყვეობაში. როცა მოურავს ცუდად წაუვიდა საქმეებისა-ქართველოში,<sup>152</sup> ერთმა თუ ორმა კაცმა მისი (ყაზაყ-ხანის) მცველებიდან, მოსყიდულებმა, მოხერხებულ დროს ის საქართველოს გარეთ გამოიყვანეს და მშვიდობით მიიყვანეს ყორჩიბაშის ბანაკში. მისი უავგუსტოესობისათვის მოხსენების და მისგან ნებართვის მიღების.

შემდეგ წავიდა შირვანში და იქ მყოფ თავის რწმუნებულებს, მოადგილეებს და ნათესავებს შეუერთდა. |

### სხვა საბედნიერო შემთხვევებიდან აღსანიშნავია ყორჩიბაშის გა- ლაშქრება ახალციხეზე და იმ ციხის დაპყრობა სამარადისო სახელმწიფოს ძალით

წინათ მოხსენიებულ იქნა, რომ მესხეთის საქართველოს ახალციხის მმართველობა სელიმ-ხან შამს ად-დინლუს ეკუთვნოდა და იქაური ციხეების დაცვა მას და მეთოფეების ერთ რაზმს [ევალეზოდა]. გასულ წელს, იმ სხვადასხვა შფოთისა და არეულობის გამო, რომელიც საქართველოსა და საზღვრის [ქვეყნებში] მოხდა, [აგრეთვე რადგანაც] მოდიოდა ხმა ოსმალეთის ჯარის მოსვლის შესახებ, ხსენებული ველაიეთის მეზობელი არზრუმის მმართველი აბაზა ფაშაც არაგულწრფელობას და ეშმაკობას იჩენდა. მცველები ახალციხის ციხისა, რომელიც უდიდესია იქაურ სიმაგრეებში, შეცბუნებულნი, გარემოცვისა და დაპყრობის შიშით კანკალებდნენ. რადგანაც ციხის დაზიანებული

137

[ადგილები] და სიმაგრეები ჯერ შეკეთებული არ იყო და არ ჰქონდა საჭირო სიმტკიცე, სელიმ-ხანმა მიზანშეწონილად ვერ სცნო [იქ] დარჩენა, გამოვიდა და ყორჩიბაშს შეუერთდა.

ერთი ოსმალთა ამირი მურთაზა ფაშა, რომელიც იქაურ სანახებში – ყარაჯა არდაჰანში იმყოფებოდა, თავის გადაწყვეტილებით თუ აბაზას ბრძანებით და რჩევით, ასე იყო თუ ისე, ცარიელი ჰჰოვა რა ქვეყანა და ციხე, იმ მხარეს გაემართა და დაიპყრო. ყორჩიბაშში, რომელიც ზოგიერთ ამირთან ერთად ყარაბაღში იდგა საზამთროდ და საზამთრო ბინებიდან წამოსული, ერევნის საზღვრებში მოსულიყო, ხსენებული ციხის დასაპყრობად დაინიშნა. ზამან-ბეგ ნაზირი, რომელიც მეთოფეების და მეთოფეთა უფროსების ერთი რაზმით გასულ წელს აზერბაიჯანს იყო წასული, თანახმად ბრძანებისა, ყორჩიბაშს შეუერთდა. ახალციხეზე წავიდნენ, ციხე გარემოიკვეს და სხვადასხვა მხრიდან სიბა მიიტანეს, ორიოდ სიმაგრე დაიჭირეს და თანდათან წინ მიიწევდნენ. ოსმალები რამდენიმე ხანს იცავდნენ ციხეს, [მაგრამ], რადგანაც ციხე სადაც არის უნდა დაცემულიყო და [ოსმალებიც] მიხვდნენ რომ მალე ძალით დაიპყრობენ [მას] ხოლო შველა არსაიდან მოდიოდა, მურთაზა ფაშამ ზავი გადასწყვიტა და ციხის დაცვაზე ხელი აიღო იმ პირობით, რომ ყიზილბაშები არაფერს ავნებდნენ ოსმალებს და ეს უკანასკნელები, ვისაც საით სურდა, იქით წავიდოდნენ. თუ ვინმეს ყიზილბაშთა ქვეყანაში მოსვლის სურვილი ექნებოდა, მას კეთილად მოეპყრობოდნენ [ყიზილბაშები] ხელშეკრულებისა და ფიცის დადების შემდეგ მურთაზა ფაშამ ციხე გადასცა [ყიზილბაშებს და] თვით ყორჩიბაშთან მივიდა. ოსმალებმა ზოგმა ირჩია მას გაჰყოლოდა, ზოგიც თავის ქვეყანაში წავიდა. ციხე ძლევაშისილი სახელმწიფოს (ირანის) მოღვაწეთა მფლობელობაში გადავიდა.

რადგანაც სელიმ-ხანს ბრალი ედებოდა მასში, რომ ციხე დააგდო და გამოვიდა [იქიდან] ისე, რომ არც ალყაშემორტყმული ყოფილა და

არც ბრძოლა გაუწევია რამდენიც შეეძლო, [ამიტომ] იმ ადგილის მმართველობა შამსი-ხან ყაზაყლარს ჩააბარეს. ის ყაზაყლარის ტომთან ერთად, რომელიც იცნობს იმ ქვეყანას, ციხეში შევიდა და მის დაცვას შეუდგა.

### სხვა ბედნიერი ამბები მოურავისა და თეიმურაზის მტრობა, ბრძოლა მათ შორის და მოურავის დამარცხება

ეს ამბავი ასე მოხდა: იმ ბრძოლის შემდეგ, რომელიც ძლევამოსილ ჯარსა, [ერთის მხრით] და მოურავს, თეიმურაზსა და ქართველებს

138

შორის [მეორე მხრით] მოხდა და ქართლის ზოგიერთი დიდებული მოკლულ იქნა იმ ბრძოლაში, მოურავს, რომელიც ამტეხი იყო იმ შფოთისა, უნდოდა ქართლში მმართველი და მბრძანებელი ყოფილიყო. ერთი ჯგუფი დიდებულებისა და თავადებისა მასზე უფრო მაღალი გვარისა იყო, მათ სძაგდათ მოურავის ბატონობა და უფროსობა.

თეიმურაზ-ხანი, რომელიც სამეფო გვარის იყო და ვალი (მეფე) იყო კახეთისა, იმის გამო, რომ მისი ველაიეთი დანგრეული იყო, [აგრეთვე რადგანაც] ქართლის წინანდელი ვალის სიმონ-ხანის შთამომავალთაგან არავინ იყო დარჩენილი მამრობითი სქესისა, ხოლო მისი (თეიმურაზის) ვაჟები სიმონ-ხანის შვილთა შვილიშვილები იყვნენ დედის მხრით, და ქართლელებმაც წინანდელი სიმონ-ხანის (სიმონ I) ძმისშვილის ბაგრატ-ხანის შვილს სიმონ-ხანს (სიმონ II) უმტრეს, – [ამიტომ თეიმურაზს] უნდოდა, რომ ქართლის დიდებულები მის ვაჟებს მიმხრობოდნენ და ერთი თავისი ვაჟიშვილი, დედის მხრივ მემკვიდრეობით უფლების ძალით, ქართლის ბატონად გაეხადა და თვითონაც იმ ქვეყანაში (ე. ი. ქართლში) მბრძანებელი და ბატონი ყოფილიყო, ზოგიერთი ქართლელი ეთანხმებოდა მას ამაში და მოურავისაგან შორს ყოფნა ერჩივნა. ამის გამო მოურავსა და თეიმურაზს შორის ერთმანეთისადმი შიში გაჩნდა, ბოლოს აიშალნენ და ერთმანეთს დაშორდნენ. თეიმურაზი მას უფრთხილდებოდა. მოურავმა შეადგინა ჯარი თავის მომხრეთაგან და მოულოდნელად გაემართა მის წინააღმდეგ. თეიმურაზის მომხრეებმა ეს ამბავი [მეფეს] აცნობეს. იმ დროს მას (თეიმურაზს) ძალა არ შესწევდა წინააღმდეგობის გაწევისა და ბრძოლისა, თავისი სადგომიდან დაიძრა და სხვა მხარეს გაეჩქარა. ხელსაყრელი დრო შეარჩია და იმ მცირერიცხოვანი ლაშქრით, რომელიც შეეგროვებინა, მოურავზე გაილაშქრა. ამ ორ ჯარს შორის ძლიერი ომი მოხდა. თეიმურაზმა გაიმარჯვა, მოურავი დამარცხდა<sup>153</sup>, მისი ძალა და გავლენა დაეცა\*, საქართველოში დადგომა ველარ შესძლო, ოსმალეთში წასვლა გადასწყვიტა და იმ მხარეს გაემართა: მივიდა იმ სარდალთან, რომელიც აბაზას\*\* წინააღმდეგ მოდიოდა არზრუმს. იქიდან სტამბოლს წავიდა. ამ დროიდან მოკიდებული ის ოსმალთა შორის იმყოფება.

თეიმურაზმა თავისთვის უმჯობესად სცნო, რომ შეხვეწნოდა [შაჰის] კარს. ალავერდი-ხანის<sup>154</sup> შვილს,\*\*\* რომელიც ყორჩიბაშის განკარგულების თანახმად, თავისი ხალხის ერთი რაზმით თბილისში იდგა,



\* სიტყვა-სიტყვით: „მისი გავლენის ყლუპი აზრის ღვინისაგან დაიცალა“.

\*\* აბაზა ფაშა იმ დროს ოსმალეთის სულთნის წინააღმდეგ იყო აჯანყებული.

\*\*\* ალავერდი-ხანის შვილი დაუდ-ხანი განჯის ბეგლარბეგი იყო.

ვლა გაიმართა. გასულ წელს მან მისი მეშვეობით მორჩილების არზები გაგზავნა ქვეყნის საფარველ კარზე, როგორც ქვემოთ აღიწერება. წელს მათი შეხვედრაც მოხდა.

### თეიმურაზის მიმართვა თხოვნით ქვეყნის საფარველი კარისადმი ალავერდი-ხანის შვილის დაუდ-ხანის<sup>155</sup> მეშვეობით და მათი შეხვედრა ერთმანეთთან

როცა თეიმურაზსა და მოურავს შორის განხეთქილება მოხდა და მათი თანხმობა მტრობით დასრულდა, მოურავი ოსმალეთში წავიდა დახმარების საძებრად, [ხოლო] თეიმურაზი „უმეცრების ძილისაგან გამოფხიზლდა“, თავისი წინანდელი მოქმედება და ის ამბები, რაც მოახდინა, ინანა, ისევ „ამ ოჯახის (ე. ი. ირანის შაჰის) კალთას ჩასჭიდა დახმარების ხელი“, დაუდ-ხანთან მეგობრობა და ნაცნობობა დაამყარა და წინანდელი წესით ამ ზღურბლის (შაჰის კარის) მონად და ყმად გამოაცხადა თავი. მისი (დაუდ-ხანის) მეშვეობით და შუამდგომლობით თავისი დანაშაულის შენდობა ითხოვა. მან და ხანმა არსებული მდგომარეობა და მისი (თეიმურაზის) მორჩილებისა და მონობის განცხადება მის კეთილშობილებას (შაჰს) მოახსენეს. როცა დიდებული და ბრწყინვალე ძლევამოსილი დროშები, ძლევითა და ბედნიერებით იყო წამოსული ერაყის მხარეს ბალდადზე კეთილად დასრულებული ლაშქრობიდან, დაუდ-ხანის არზა და თეიმურაზის ვედრების წიგნი რომელიც მისთვის (შაჰისთვის) მიეწერა, მის უავგუსტოესობას მიუვიდა. იმ წიგნში მას დაეწერა, ამ რამდენიმე წლის განმავლობაში ბევრი შეცდომა ჩავიდინეო და იმ ბრძოლების გამო, რომელიც განგებით მოხდა [ჩვენს შორის] ყიზილბაშთა ტომებს მოწამლული მახვილები აქვთ მომზადებული ჩემი სისხლის დასადვრელად. ამიტომ ვერ ვბედავ უმაღლესი ტახტის წინაშე მოსვლასო. უკეთუ მისი უდიდებულესობა შაჰი, რომელიც დიდსულოვანი ოჯახიდან არის, მაჰატიებს შეცოდებებს დამნაშავე მონას და მომიტევებს წარსულ შეცდომებს, ხელახლად „გავიყრი ყურში მონობის რგოლს და ამიერიდან ოდნავადაც აღარ გადავუხვევ მონობის შარაგზას“. და როცა ცოტაოდენ სამსახურს შევასრულებ და თავდადებას რამდენადმე გამოვიჩენ, რაც ხალხში საქები და მოსაწონი იქნება, [მაშინ] ამაზე დაყრდნობით შევძლებ მოვიპოვო [შაჰის წინაშე] მსახურების ბედნიერება\*. ახლა, დანაშაულებრივი უწყესობის [ჩადენის გამო] შიშით [შეპყრობილი] ვიმედოვნებ, რომ გამათავისუფლებთ თქვენთან ხლების მოვალეობისაგან და ამ დანგრეულ [ქვეყანაში] დავრჩებიო.

\* ე. ი. შეიძლება გეახლოთო კარზე.

დაუდ-ხანმა წარადგინა ეს თხოვნის წიგნი და იშუამდგომლა შებრალებების შესახებ. მისმა უდიდებულესობამ მისაღებად სცნო დაუდ-ხანის შუამდგომლობა და წყალობის და დანაშაულის პატიების სიგელი გაუგზავნა მას. [ამასთან ერთად] დაავალა, გამოეცხადებინა თეიმურაზისათვის: ის ჩვენი უავგუსტოესობის ჩრდილშია გაზრდილი და კარგად გვიცნობს, [ჩვენი] უწმინდესი ხასიათის კარგი და ავი გაეგებო. ახლა ჩვენ ვღებულობთ მის ბოდიშებს, მონანიებას და მონობას, მაგრამ იცოდეს, რომ ვიდრე ის არ გამოეშურება ჩვენი ცის მსგავსი სასახლისაკენ და ცოდვილთა წესისამებრ კისერზე ხმაღამოკიდებული არ წარსდგება ჩვენი უავგუსტოესობის წინაშე, წრფელი გულით მისი პატიება და (დანაშაულის) მიტევება არ შეიძლება. ეს ეშმაკური და მიწიერი სიტყვები არ გვიჩვენებენ, რომ ის ეცდება ურჩობით დასვრილი თავისი კალთა [ერთგული] მსახურებისა და სიმართლის წყლით გარეცხოს და თავისი თავი ჩვენთან ხლების ბედნიერების მიღწევის ღირსად გახადოს.

ფირმანის მიღების შემდეგ დაუდ-ხანმა გადაწყვიტა მასთან (თეიმურაზთან) შესახვედრად წასულიყო და უავგუსტოესი და უწმინდესი არსების\* დახმარების იმედით უბრალოდ გაემართა მისი (თეიმურაზის) სამყოფელისკენ მსახურთა მცირე რიცხვით. [ისინი] მეგობრულად შეხვდნენ ერთმანეთს და დაუდ-ხანმა, რომელსაც ნაკისრი ჰქონდა პასუხისმგებლობა მისი შეცოდების პატიებისათვის, შაჰის მჭევრმეტყველური დანაბარები ნათლად გადასცა და აუხსნა მას უპირველეს ყოვლისა [დაუდ-ხანმა] წინადადება მისცა მას გამოეცვალა თურქული სამოსი, განდგომის ხანებში რომ ჩაეცვა, და ყიზილბაშური ტანსაცმელი ჩააცვა. მისმა (თეიმურაზის) ხელქვეითებმაც ყველამ გამოიცვალეს ტანსაცმელი. [თეიმურაზმა] „ხელი ჩასჭიდა მისი შუამდგომლობის კალთას“ და თავისი საქმე მის ნება-სურვილსა და შეხედულებას მიანდო. მან პირობა დასდო, რომ თუ ხელმწიფის წყალობა და შევრდომა მოევლინებოდა, თავის სიცოცხლეში აღარ ასცდებოდა მონობისა და მორჩილების გზას.

პირობისა და შეთანხმების დადების შემდეგ [დაუდ-ხანი] უკან წამოვიდა, თბილისში დაბრუნდა და დიდებული კარის მსახურთ მოახსენა თავისი მისვლა-მოსვლის ამბავი: თეიმურაზი მორჩილებისა და გამგონობის შარაგზას ადგასო.

\* ე. ი. შაჰ-აბას I-ის.

### შემდეგი ამბავი. აბაზა ფაშას მეორედ თავის შეფარება ქვეყნიერების საფარველის კარზე

ამ ამბის ვითარება ასეთია: როდესაც უავგუსტოესი დროშები ღვთის შეწევნითა და ბედნიერებით ბაღდადის კეთილშედეგიანი მოგზაურობიდან დაბრუნდნენ და ძლევა-გამარჯვებისა და ოსმალთა ლაშქრის გაქცევის ამბები კიდით-კიდეს მოედო, აბაზა ფაშამ, მეორეჯერ, გულწრფელი ერთგულება გამოიჩინა, ნოვრუზ-ბეგ ყორჩიბაში უსთა-

ჯლუ, რომელიც გასულ წელს შეიპყრო, პატიმარ ჰყო და მისი მოკვლის ხმაც დაჰყარა, [ახლა] უკან გამოგზავნა და წარსული საქმეების, სამარცხვინო მოქმედებისა და ვაჭართა ქონების დასაკუთრების გამო გულის მამებელი მობოდიშებით უვნებლობის პირობა ითხოვა. როცა ოსმალთა სარდალი ხალილ ფაშა მასზე თავს დასასხმელად გაემართა, დახმარების იმედის თვალი ამ ქვეყანას (ე. ი. ირანს) მოაპყრო. მაგრამ, რაკი მის მოქმედებაში ორპირობა, ვერაგობა და ცბიერება გამოსჭვიოდა, როდესაც (ოსმალთა) ლაშქარი თავს დაესხა, მის დახმარებას საჭირო ყურადღება არ მიექცა და გადაწყდა: ძლევამოსილი ყორჩიბაში ლაშქრით იმ მიდამოებში, ერევანში, დამდგარიყო, რადგან, ვაითუ ოსმალების მხრიდან მისი უდიდებულესობის სამფლობელოთა ხელყოფა მომხდარიყო.

მას შემდეგ, რაც სარდალი ხალილ ფაშა არზრუმს მიუახლოვდა, დიშლარ ჰოსეინ ფაშა რამდენიმე სხვა ფაშასა და იანიჩრებთან ერთად ახალციხის ციხის დაბრუნების მოთხოვნის მიზნით არზრუმს გაგზავნა და ბასთან ფაშა და ისა-ბეგი, რომელიც საპატიო პირი იყო, აბაზა ფაშასთან მოციქულად გაგზავნეს რომ ეგების იგი მიემხროთ და წაექეზებინათ, რომ დიშლარს შეერთებოდა და ახალციხეზე ერთად გაელაშქრათ. მისმა მეგობრებმა მას (აბაზას) შეატყობინეს, ამ ხალხს შენი შეპყრობა აქვს დავალებული და თავს გაუფრთხილდიო. აბაზამ ბასთან ფაშა და ისა-ბეგი შეიპყრო და დააკავა, თვითონ კი არზრუმის ლაშქრით, ჩოხურ-საადში მდგომი უძლეველი ჯარების (ე. ი. ყიზილ-ბაშთა) დახმარების იმედით, შეშინებული გამოვიდა ციხიდან და მოულოდნელად თავს დაესხა [ოსმალთა] ამირებს, ფაშებს და იანიჩრება, რომლებიც ავანგარდში იყვნენ. მათ ბრძოლა გაუმართა და ძალიან იოლი გამარჯვება მოიპოვა. ლაშქრის რამდენიმე დიდებული, რომელთა შორის იყო ჰოსეინ ფაშა დიშლარი, ხელში ჩაიგდო და მრავალი ოსმალთა და იანიჩარი დახოცა ჰოსეინ-ფაშა დაჭრილი, ციხესთან მიიყვანა და განშორდა.

როდესაც ამ ამბავმა სარდლამდე მიაღწია, მთელი სპით გაემართა მასზე თავდასასხმელად და არზრუმის ციხე გარემოიკვეს. იგი (აბაზა

142

ფაშა) ოთხ თვეს ალყაში იყო მოქცეული და ციხეს იცავდა ყველა საშუალებით. ამ ხნის განმავლობაში ბრწყინვალე დროშებიც, აგრეთვე, კეთილგონიერებისა და სიფრთხილის შესაბამისად, სულთანნიეში იყო დაბანაკებული.

ზამთარმა მოაწია. ოსმალებმა ამის მეტი ვედარ შეძლეს არზრუმში ყოფნა და უკან გაბრუნდნენ ხელცარიელები. მან (აბაზა ფაშამ) ვითარების ჭეშმარიტი არსი მის უწმინდესობას [შაჰს] შეატყობინა. უზუნაესმა უდიდებულესობამ მის მოციქულებს გულახდილად გამოუცხადა: რადგან აბაზას აზრები მისი ნათქვამის შესაბამისი არ იყო, ამიტომ მის შეპირებებს დიდად ვერ ვენდეთ. თუ მისი სიტყვა გულწრფელია და [იგი] ჩვენი უდიდებულესობის მომხრეა, ასე უნდა ექნა: დატყვევებული ოსმალები, რომლებიც ომში და შეტაკებებში ხელში ჩაუვარდა, შაჰის უზუნაესი ტახტის ფერხთით უნდა გამოეგზავნა, რათა მისი ნათელი გულისათვის უეჭველი გამხდარიყო, რომ ოსმალებთან ეს მისი შეხლა-შემოხლა ამ დინასტიის ერთგულების გამო ხდებოდა.

და უნდა ემოქმედა ამ სიტყვების მიხედვით: „თუ ზანგი ხარ, ზანგი იყავ, თუ ბერძენი ხარ – ბერძენი“.

მისი ამბის დანარჩენი ნაწილი მომდევნო წლის ამბებში აღიწერება.

### **ამბავი უავგუსტოესი ამაღლის დაბრუნებისა სულთანადან მაზანდარანის საზამთრო სადგომში**

რადგანაც რამდენიმე ხანს ქალაქი სულთანზე მისი უავგუსტოესობა შაჰის დაბანაკების ადგილი გახდა, ხოლო ოსმალთა სარდალი, საზღვარს რომ მოსდგომოდა და არზრუმის ციხე გარემოცვა, წადილის აღუსრულებლად უკან გაბრუნდა, [შაჰის] უწმინდესი გონება რომ უავგუსტოესის სამწყსოსა და საზღვრებზე [ოსმალების] მოსალოდნელ მძლავრობასა და სხვადასხვა მიდამოებსა და განსაკუთრებით ახალციხის ციხეზე დაწყნარდა, გამგზავრების სადავე უკან გამობრუნებისაკენ მიუშვა. მოლაშქრეები თავიანთ სამშობლოსა და საცხოვრებელ ადგილებისაკენ დაითხოვეს, ღვთისშეწევნილ ამაღლასთან დაკავშირებულ ხალხთან ერთად სულთანადან მაზანდარანის ზამთრის სადგომისაკენ გაემართნენ მხიარულებითა და სიხარულით და უკეთილშობილეს დიდებულ ბანაკში დაბინავდნენ...

სხვადასხვა მოვლენებიდან [აღსანიშნავია], რომ, რადგანაც ყარაბაღის ბეგლარბეგს მოჰამედ-ყული-ხან ზიად ოღლის მოურავის ბოროტების გამოვლენაში ცოტა უგულვებელყოფა და გულგრილობა გამოეჩინა და განჯასა და მის მიდამოებში იმ უბედურების აღკვეთაზე კალთა დაებერტყა, მოურავს კი მისი ქვეყანა და ველაიეთი დაელაშ-

143

ქრა და სხვადასხვა სახის ზიანი სპასა და რაიათს მოსვლოდა, ყარაბაღის ამირთა ამირობიდან გადაყენებულ იქნა და დაუდ-ხანი, ალავერდი-ხანის ძე, რომელიც თბილისის დასაცავად და საქართველოს მიდამოების საქმეთა მოწესრიგებისათვის განწესებული [მაშინ] იმ მიდამოებში იყო, ამ დიდი თანამდებობის მიღებით გაბედნიერდა.

**გ ა რ დ ა ც ვ ა ლ ე ბ ა ნ ი :** [ამ წელს გარდაიცვალა] იოთამ-სულთან ქართველი. იგი იყო სამეფო კარის მსახურთა წრიდან, მისი უდიდებულესობის აღზრდილი და ბაბ ალ-აბვაზის დარუბანდის მმართველად განდიდებული. ამ წელს ბაბ ალ-აბვაზში გარდაიცვალა ჭაბუკობის გაფურჩქვნის ასაკში. იმ ველაიეთის მმართველობა ჩაბარდა სამეფო კარის ღოლამს ფეროხ-სულთანს, რომელიც როსთემდარელი თოფანგჩიების სარდალი იყო.

### **დასაწყისი მწუხარებით აღსავსე თურქული ნიანგის წლისა, რომელიც ათას ოცდაჩვიდმეტ (1628) წელს შეესატყვისება და აზასის მზრძანებლობის მეორე პერიოდის მეთორმეტე წელია**

[შაჰ-აბასმა] გაზაფხულის სამი თვე მასანდარანში გაატარა. როცა ამინდმა ზომიერების პირი სიცხისაკენ იბრუნა, ოსმალეთიდან ამბავი მოვიდა, ამ წელს ხოსროვ ფაშა ვეზირი და სარდალი გახდა, დიდმა-

